

როლანდ თოფჩიშვილი

გეოგრაფიული გარემო და კავკასიელთა ეთნიკური კულტურა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ეთნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

როლანდ თოფჩიშვილი

გეოგრაფიული გარემო და კავკასიელთა ეთნიკური კულტურა

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2018

კავკასია ეთნიკური, ენობრივი და ტრადიციული მრავალფეროვნებით გამორჩეული გეოგრაფიული რეგიონია. წიგნში ყურადღება გამახვილებულია ამ მრავალფეროვნების განმაპირობებელ ფაქტორებზე. ეს ფაქტორები კი უპირველეს ყოვლისა ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო და კლიმატია. ნაჩვენებია ისიც, რომ კავკასიის მკვიდრი ეთნოსები გეოგრაფიულ გარემოსთან ჰარმონიაში იმყოფებოდნენ.

რედაქტორები
სალომე ბახია-ოქრუაშვილი
ნათია ჯალაბაძე
ლავრენტი ჯანიაშვილი

© რ. თოფჩიშვილი, 2018

გამომცემლობა „**უნივერსალი**", 2018
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: gamomcemlobauniversali@gmail.com; universal505@ymail.com

ISBN 978-9941-26-223-4

შესავალი

დედამიწის მკვიდრი ადამიანები მთელი რიგი ნიშნებით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. განმასხვავებელი ნიშნები კი რამდენიმეა; ესაა ანთროპოლოგიური ტიპი, კულტურა, ენა. მეცნიერები დიდი ხანია ამ განმასხვავებელი ნიშნების წარმოქმნის მიზეზებს იკვლევენ. მიზეზებიც ახსნილია – განმასხვავებელი ნიშნები პლანეტის სრულიად სხვადასხვაგვარმა ლანდშაფტურმა, ბუნებრივ-გეოგრაფიულმა და კლიმატურმა პირობებმა განსაზღვრა. ლანდშაფტი ეთნოსის ყოველდღიური ცხოვრების ელემენტია. ეთნოსის კუთვნილი ტერიტორია ეს მხოლოდ უბრალოდ ტერიტორია არაა. ტყეები, სტეპები, მთები, მდინარეთა ხეობები არა მხოლოდ იქ არსებულ ცხოველებს კვებავენ, არამედ ადამიანთა ჯგუფებსაც/ეთნოსებს. ადამიანთა ჯგუფები მეურნეობის ისეთ ფორმას მისდევენ, რასაც ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო, ლანდშაფტი და კლიმატი კარნახობს. იგივე ფაქტორი განაპირობებდა და განაპირობებს მატერიალურ კულტურას (საცხოვრებელი ნაგებობანი, შრომის იარაღები, სამოსი). შენიშნულია, რომ გეოგრაფიული გარემო სულიერი კულტურის ცალკეულ მხარეებზეც გარკვეულ გავლენას ახდენს. ლანდშაფტის ცალკეული ელემენტები ხშირად შესაბამის გარემოში მცხოვრები ეთნოსების სიმბოლოებადაც კი იქცა (ასეთ სიმბოლოს წარმოადგენს არარატის მთა სომხებისათვის).

ფიზიკური გეოგრაფია ისტორიასთანაც მჭიდრო კავშირშია; გეოგრაფიული ფაქტორი იყო ბევრი იმ კონფლიქტისა თუ ომის მიზეზი, რომელიც დედამიწაზე ხდებოდა, რასაც შედეგად ადამიანთა ჯგუფების/ეთნოსების შერევა და ახალი ხალხების წარმოქმნა მოსდევდა. სამისოდ ევრაზიის სტეპურ სივრცეში ნომადების ხშირი გადაადგილება შეიძლება გავიხსენოთ. მათი მიგრაციის მიზეზი ძირითადად ციკლონების გადაადგილება იყო. გეოგრაფიული ფაქტორი განაპირობებდა ხალხ-

თა გადარჩენასაც, რადგან ამ მიზეზით მათი სხვებთან შერევა არ ხდებოდა. მთიანი ლანდშაფტი ეთნოსებს გარეშეთა შემოსევებისაგან იცავდა. ეთნოსის გეოგრაფიულ გარემოსთან კავშირი ნათლად ჩანს კაცობრიობის მიერ დედამიწის სივრცეების ათვისებაში. ჩინელები, რომლებიც ციმბირთან ახლოს ცხოვრობდნენ, ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე არ დაინტერესდნენ მისი ათვისებით, რუსებმა კი ტერიტორია ურალიდან ალიასკამდე რამდენიმე წლის განმავლობაში დაიპყრეს. მიზეზი კი ის იყო, რომ სამხრეთით მცხოვრები ჩინელებისათვის უჩვეულო იყო ციმბირის გეოგრაფიული გარემო და მისი კლიმატი. რუსები კი, რომლებიც ჩრდილოეთის კლიმატის პირობებთან ადაპტირებული იყვნენ, ადვილად მიიწევდნენ ციმბირისაკენ. თუ დავაკვირდებით, აღმოვაჩენთ, რომ კოლონიზატორები მიისწრაფოდნენ ისეთ ბუნებრივ-გეოგრაფიულ, ლანდშაფტურ და კლიმატურ გარემოში, რომელიც მათთვის ხელსაყრელი იყო და ადაპტაციის პრობლემები არ შეექმნებოდათ. მაგალითად, ინგლისელებმა ზომიერი კლიმატის მქონე გეოგრაფიული რეგიონების კოლონიზაცია მოახდინეს, არაბებმა და ესპანელებმა კი — ცხელი კლიმატის ზონისა.

ცნობილია, რომ მეზობელი ხალხები ხშირად ერთმანეთისაგან მთელი რიგი კულტურის ელემენტებს სესხულობენ, გავლენას ახდენენ საზოგადოებრივი და სოციალური განვითარების სფეროშიც. მაგრამ იმ მეზობლებს შორის, რომლებიც სრულიად განსხვავებულ გეოგრაფიულ და კლიმატურ პირობებში ცხოვრობდნენ, ასეთი კულტურული სესხება და გავლენა საერთოდ არ ხდებოდა. საამისოდ სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად მოიხმობენ ცენტრალურაზიურ ნომადურ და ჩინურ სამყაროს — პირველებმა საუკუნეების განმავლობაში ამ უკანასკნელთაგან არ ისესხეს არც იეროგლიფები, არც სოციალური ინსტიტუტები, არც წეს-ჩვეულებები და შეინარჩუნეს თავიანთი კულტურის თვითმყოფადობა. გამონაკლისს მხოლოდ ის ნომადები წარმოადგენდნენ, რომლებიც ჩვეულ ლანდშაფტს

იცვლიდნენ. ეს უკანასკნელი გარემოება განსაკუთრებით ყურადღებამისაქცევია ჩვენთვის, ჭრელ, ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულ კავკასიური ლანდშაფტში მკვიდრთათვის.

განსაზღვრული ლანდშაფტი განსაზღვრულ ეთნოსსაც წარმოქმნიდა. ასეთ შემთხვევაში მოცემულ ლანდშაფტთან ეთნოსის ადაპტაცია იმდენად ორგანულია, რომ მათ დამპყრობლებსა და მიგრანტებთან ყოველთვის განსაკუთრებული უპირატესობა გააჩნდათ. ამ თვალსაზრისითაც საქართველოსა და საერთოდ კავკასიის არაერთგვაროვანი გეოგრაფიული გარემო ეთნიკური ურთიერთობების არაერთი საკითხის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა.

კიდევ ერთი – ყველა ლანდშაფტს თავისი ე. წ. ტევადობაც გააჩნდა, გარკვეული გეოგრაფიული არეალი მხოლოდ მოსახლეობის გარკვეულ რაოდენობას იტევდა, მხოლოდ ადამიანთა გარკვეული რაოდენობის გამოკვება შეეძლო. ზღვარს მიღწეული მოსახლეობა კი სხვა ლანდშაფტში ეძებდა განსახლების არეალს, რაც არა მხოლოდ შეჯახებებს, არამედ ეთნიკურ კონტაქტებსაც, ახალ ეთნოგენეტიკურ პროცესებსაც იწვევდა. ამ ფაქტორმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქართველოსა და კავკასიაში მიმდინარე პროცესებში, ქართველი ერის გადარჩენაში (ბარში შეთხელებულ აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობას მთისა და დასავლეთ საქართველოს ლანდშაფტებიდან გამოსული „ზედმეტი“ მოსახლეობა ავსებდა).

საბჭოთა პერიოდში ჰუმანიტარული მეცნიერება გეოგრაფიულ ფაქტორს მაინცდამაინც ყურადღებას არ აქცევდა. ისტორიული მატერიალიზმის მიხედვით, ადამიანთა ყველა საზოგადოებას განვითარების ერთნაირი გზა უნდა გაევლო. ასე რომ, ყველაფერი გარკვეულ სქემებში იყო ჩასმული. თუმცა მარქსიზმის კლასიკოსები ასე ნამდვილად არ აზროვნებდნენ. თვით კ. მარქსი და ფ. ენგელსი წერდნენ, რომ ბუნების ისტორია და ადამიანთა ისტორია ურთიერთს განაპირობებენ.

ხალხთა/ეთნოსთა და ბუნების ურთიერთქმედება სხვადასხვა გეოგრაფიულ რეგიონში სრულიად განსხვავებული იყო. საამისოდ შეიძლება ხმელთაშუაზღვისპირეთში, ჯუნგლებში, სტეპებში, მთებში მცხოვრები ხალხების ეთნიკური კულტურა შევადაროთ ერთმანეთს. ისინი საზოგადოებრივი განვითარების თვალსაზრისითაც ფრიად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. ლანდშაფტი და კლიმატი არა მხოლოდ აღნიშნული თვალსაზრისით გვევლინებოდა განმასხვავებელ ფაქტორად... გეოგრაფიული გარემო თვით ადამიანის ორგანიზმზეც განსაკუთრებულ გავლენას ახდენდა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ ტუნდრაში, ტყიან გარემოში, სტეპებში, უდაბნოთა სიახლოვეს, მთებში, ზღვებსა და დიდ მდინარეებთან, კუნძულებზე ცხოვრება, სამეურნეო ყოფასა და მატერიალურ კულტურაზე რომ არაფერი ვთქვათ, ადამიანთა გარეგნულ იერზედაც აისახებოდა.

დიდ გეოგრაფიულ რეგიონებს ფაქტობრივად ერთნაირი ბუნებრივ-გეოგრაფიული და კლიმატური პირობები ახასიათებდათ. ამიტომაც ასეთ გეოგრაფიულ არეალებში მცხოვრებ ხალხებს მსგავსი კულტურა გააჩნდათ. მაგრამ დედამიწაზე ისეთი დიდი გეოგრაფიული რეგიონებიც არსებობს, რომელთა ლანდშაფტი და კლიმატი ძალიან განსხვავებულია. მათ შორის შეიძლება კავკასიაც დავასახელოთ, კავკასია, რომლის ერთი ნაწილი ქართველთა განსახლების არეალია. ეს არეალი არა მხოლოდ ქართველთა განსახლების არეალი, არამედ მისი ეთნოგენეზის ტერიტორიასაც წარმოადგენდა.

რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში კავკასიას არა მხოლოდ ერთ გეოგრაფიულ რეგიონად წარმოადგენდნენ, არამედ ყველა კავკასიელს „ერთ ქვაბში“ ათავსებდნენ კულტურული თვალსაზრისით. ის კი არა, ბოლო დროს, ტერმინიც კი შექმნეს – «лицо кавказской национальности». მართალია, კავკასიის ხალხების გარკვეული ნაწილის ანთროპოლოგიური ტიპები ერთმანეთის მსგავსია, მის ერთ ნაწილს, განსაკუთრებით ერთმანეთის მეზობლად მცხოვრებთ მატერიალური კულ-

ტურა მსგავსი აქვთ, ზოგჯერ მეურნეობის ფორმაც, მაგრამ წარმომავლობით, ენით ისინი საკმაოდ განსხვავდებიან, მათი საზოგადოებრივი განვითარებაც სხვადასხვაგვარი იყო. წინამდებარე წიგნში სწორედ ამ პრობლემებზეა ყურადღება გამახვილებილი. უნდა გავიხსენოთ, რომ კავკასიის არცთუ ისე დიდ გეოგრაფიულ არეალში 50-მდე ხალხი მკვიდრობდა და მკვიდრობს, და, რომ ამ ხალხებმა მათთვის დამახასიათებელი ეთნიკური კულტურაც შექმნეს. კავკასიის ზოგიერთ ადგილას თუ ეთნოსები ხშირად იცვლებოდნენ, სხვაგან ეთნიკური ვითარება ფაქტობრივად უცვლელი იყო. რა იყო კავკასიაში მრავალრიცხოვანი ეთნოსებისა და ეთნიკური კულტურების არსებობის მიზეზი? ამ კითხვაზე პასუხი, ვფიქრობთ, წიგნის სათაურშია მოცემული – კავკასია ბუნებრივ-გეოგრაფიული, ლანდშაფტური და კლიმატური თვალსაზრისით ერთფეროვანი არ არის, ერთმანეთის მეზობლად არსებული მიკრორეგიონებიც კი ამ თვალსაზრისით საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან.

ეთნოლოგია არა მხოლოდ ამა თუ იმ ხალხის კულტურას სწავლობს, არამედ სხვადასხვა ხალხების კულტურას ერთმანეთს ადარებს და გამოავლენს მათ მსგავსსა და განსხვავებული კულტურის ელემენტებს. სამართლიანად შენიშნავდა ცნობილი ეთნოლოგი, ისტორიკოსი და გეოგრაფი *ლევ გუმილოვი*, რომ აღნიშნილი თვალსაზრისით ეთნოლოგიური კვლევები გეოგრაფიული გარემოს გაუთვალისწინებლად არ შეიძლება. უფრო მეტი ის ომებს, სახელმწიფოთა წარმოქმნას ან დაცემას ეთნოლოგიური კვლევის ობიექტებად მიიჩნევდა: «Характер трудовых процессов, потребление, войны, создание государства или падение его – такие же объекты этнографического исследования, как свадебные обряды или ритуальные церемонии. А изучение народов на определенных стадиях их развития и в процессе сравне-

ния и противопоставления каждого из них соседям немыслимо без учета географической среды»[1].

წინამდებარე წიგნში კავკასიაში არსებული კულტურული მრავალფეროვნების მიზეზების შესახებ ყველაფერი არაა ნათქვამი; ამ თვალსაზრისით სრულყოფილი კვლევა მომავლის საქმედ მიგვაჩნია.

[1] Л.Н. Гумилев. Этносфера: история людей и история природы. – СПб., 2002.с.293.

ბუნებისა და ადამინთა საზოგადოების ურთიერთმიმართების პრობლემა

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რაოდენ მრავალფეროვანია ევროპასა და აზიას შორის მდებარე კავკასიის გეოგრაფიული რეგიონი. ეს მრავალფეროვნება კარგად ჩანს ეთნოსთა მრავალრიცხოვნებაშიც, ეთნიკური კულტურის სიჭრელეშიც. ზოგიერთი მკვლევარის „მტკიცებულებით“ კავკასიის ხალხთა კულტურა ერთგავროვნია, უფრო მეტიც, ისინი „გვიმტკიცებენ“ კავკასიის მკვიდრთა მიერ შექმნილი საერთო კავკასიური ცივილიზაციის არსებობასაც. ერთიანი კავკასიური ცივილიზაციის შესახებ ჩვენი ნეგატიური დამოკიდებულება უკვე გამოვხატეთ[2] და ამ საკითხზე ამჯერად საუბარს აღარ ვაპირებთ. წინამდებარე ნაშრომის მიზანი კი გეოგრაფიული გარემოს როლს შეეხება კავკასიის ეთნიკურ ისტორიასა, უფრო რომ დავაკანკრეტოთ კავკასიის ეთნიკურ სიჭრელესა და ეთნიკური კულტურების მრავალფეროვნებაში; წიგნში იმ მიზეზების შესახებაცაა საუბარი, თუ რატომ იდგნენ სოციალური და ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა დონეზე კავკასიაში მცხოვრები ეთნოსები.

საბჭოთა მეცნიერება ადამიანთა საზოგადოების განვითარებაში ფაქტობრივად უგულველყოფდა გეოგრაფიული გარემოს როლს; როგორც ზემოთაც აღინიშნა, ყველაფერი მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების მიერ შემოთავაზებულ გარკვეულ სქემებში იყო ჩასმული. დასავლურ მეცნიერებაში კი გეოგრაფიული გარემოს როლი არასდროს არ ყოფილა ყურადღების მიღმა დატოვებული. თუ ღრმად ჩავუკვირდებით მსოფლიოს ისტორიის მნიშვნელოვან მომენტებს, აღმოვაჩენთ, რომ მთელი რიგი მოვლენები, მაგალითად, ხალხთა მიგრაციები, მომთაბარეთა გადაადგილებები ძალიან ხშირ შემთხვევაში ბუ-

---

[2] რ. თოფჩიშვილი. მითი კავკასიური ცივილიზაციის შესახებ, თბ., 2012.

ნებრივი ზემოქმედებით იყო განპირობებული. ესენია ციკლონების გადაადგილება, გვალვები, ზღვებისა და მდინარეთა დონეების აწევა, დიდი მიწისძვრები... ამავე კონტექსტში უნდა განვიხილოთ ეპიდემიები[3], რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა არა მხოლოდ დემოგრაფიულ, არამედ ეთნიკურ ვითარებაზეც. სამწუხაროდ, კავკასიაში ასეთი მოვლენების არსებობის შესახებ საისტორიო წყაროებით განებივრებული არა ვართ, თუმცა მსოფლიოში მიმდინარე გეოგრაფიული და ბუნებრივი მოვლენები კავკასიაზეც დიდ გავლენას ახდენდა.

ევროპული საისტორიო მეცნიერება ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოს როლს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა. ამ თვალსაზრისით შეიძლება ფრანგული ანალების სკოლის წარმომადგენლები გავიხსენოთ. რუსულ მეცნიერებაში საბჭოთა პერიოდის დასალიერზე *ლევ გუმილიოვის* შემოქმედება შეიძლება დავასახელოთ. ხაზგასმულია, რომ გარემომცველი ბუნება, კლიმატი გავლენას ახდენდა არა მხოლოდ ცალკეული ადამიანების ქცევაზე, ფსიქიკაზე, არამედ ადამიანთა ჯგუფებზეც[4]. ადამიანები და ეთნოსები ყოველთვის ცდილობდნენ ბუნებასთან ჰარმონიაში ყოფილიყვნენ – ეთნოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი დანიშნულებაც ისაა გაარკვიოს, რამდენად იყვნენ თავიაანთი სამეურნეო და მატერიალური თვალსაზრისით ხალხები ბუნებასთან და გარემომცველ ფაქტორებთან ჰარმონიაში. ამიტომაცაა რომ ბოლო პერიოდში ყურადღება მიექცა ეთნოლოგიის იმ მიმართულებას, რომელსაც ეთნოეკოლოგია ჰქვია[5]. ეთნოლოგიის ამ მიმიართულების განვითარებას

---

[3] ისტორიაში ეპიდემიების როლის შესახებ იხ.: ჯ. სამუშია. შავი ჭირის ეპიდემია საქართველოში 1802-1804 წლებში. – საისტორიო კრებული, 5, წელიწდეული, 2015, გვ. 97-125.

[4] *Фоссье Робер*. Люди средневековья. Пер. с франц. Санкт-Петербург, 2010. С. 138.

[5] ქართულ ეთნოლოგიაში ამ მხრივ პირველი და სერიოზული სამეცნიერო გამოკვლევა მიხეილ გეგეშიძემ შექმნა. იხ.: მ. გეგეშიძე. ეკოლოგიის კულ-

უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია. ხალხური ეკოლოგიის უცოდინარობამ და უგულველყოფამ არაერთი პრობლემის წინაშე დააყენა ქართული საზოგადოება – დაიცალა მთელი რიგი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები[6], გეოგრაფიული რეგიონები; ამას კი ტრადიციის გაწყვეტა მოჰყვა. როდესაც ტრადიციაზე ვსაუბრობთ, უპირველეს ყოვლისა, მეურნეობის ის ფორმები გვაქვს მხედველობაში, რომლებიც ამა თუ იმ რეგიონში საუკუნეების განმავლობაში ადამიანის ბუნებასთან, გეოგრაფიულ გარემოსთან ჰარმონიული ურთიერთობის შედეგად იყო ჩამოყალიბებული.

გამოწვლილვითაა შესასწავლი მცენარეული სამყაროს თვისება და განფენილობა, ფაუნის მოცულობა და სპეციფიკური თავისებურებები. აღნიშნული და კლიმატური ვარიაციები მოგვცემს საშუალებას გავარკვიოთ ამ კომპონენტებს რა ადგილი ეკავათ კავკასიელი ხალხების კვებაში, დასახლებაში, შრომით საქმიანობაში, ერთი სიტყვით ყველაფერ იმაში, რაც „მატერიალურ კულტურას“ შეადგენს. მეცნიერები შენიშნავენ, რომ ამაში უნდა ვეძიოთ მენტალური რეაქციის სათავეებიც[7]. არ უნდა დაგვავიწყდეს ნიადაგის ქიმიური შემადგენლობის, მისი მზის რადიაციისადმი მიმართულების, საკითხებიც, რაც ასევე მეურნეობის ხასიათს, სხვადასხვა მცენარეთა ჯიშების ჩამოყალიბებას საბოლოოდ განაპირობებდა. მცენარეთა საფარი კი, რომელიც შინაური ცხოველების მთავარ რაციონს შეადგენდა, რძისა და რძის პროდუქტების, ხორცის ხარისხს განაპი-

---

ტურულ-ისტორიული და სოციალური პრობლემები საქართველოში, თბ., 1981.

[6] ტრადიციული ეკოლოგიური ცოდნის გაუთვალისწინებლობამ გამოიწვია თუშეთში წოვათის თემში მეწყერი, რასაც არა მხოლოდ ნგრევა, არამედ ადამაინთა მსხვერპლიც მოჰყვა. აღნიშნულმა მოვლენამ კი ფაქტობრივად შეცვალა მათი ცხოვრების წესი (ორგანბინადრობა) და გადარეკვითი/მთაბარული მეცხვარეობა უფრო მაღალ დონეზე აიყვანა.

[7] ***Фоссье Робер***. Люди средневековья. С. 139.

რობებდა. კვება (საკვების შემცველი ნივთიერებები) კი ბევრად განსაზღვრავდა ადამიანების და ადამიანთა ჯგუფების ხასიათს, ქცევის სტერეოტიპს. ისიც ცნობილია, რომ სტეპების მცხოვრებნი ანუ მომთაბარენი/ნომადები უფრო მოძრავნი იყვნენ, ჰქონდათ მისწრაფება სხვათა განსახლების არეალების მითვისებისა, ვიდრე მთებსა და ხეობებში მცხოვრებთ. მთიელს სხვათა მიმართ აგრესიის გამოვლინების სხვა მეთოდები გააჩნდა, ნაკლებად იყო სხვათა განსახლების არეალიების მიმთვისებელი. მთიელების ცხოვრება ყოველმხრივ უფრო კონსერვატიული იყო, იგი საუკუნეების განმავლობაში ბუნებასთან ჰარმონიული ურთიერთობის ჩამოყალიბებულ ტრადიციებს ნაკლებად არღვევდა. ამ თვალთახთდვით კავკასია მთლიანად შესასწავლია; შესწავლა კი აუცილებლად მასში შემავალი გეოგრაფიული რეგიონებისა და სხვადასხვა ეთნოსების შეპირისპირებით შესწავლას მოითხოვს – ეთნოლოგიის უპირველესი მიზანი ხომ არა მხოლოდ ცალკეული ეთნოსების, ეთნიკური კულტურების, არამედ ამ ეთნოსებისა და ეთნიკური კულტურების შედარებითი შესწავლაა.

ვერ გავექცევით ისეთ მნიშვნელოვან მოვლენას როგორიცაა ტემპერატურა, რადგან საყოველთაოდ ცნობილია, რომ მასზეა დამოკიდებული მცენარის ნაყოფის (მაგალითად ყურძნის) დამწიფება, ძროხის/ფურის ლაქტაცია (რძის გამოყოფა სარძევე ჯირკვლებიდან), ანდა მინდვრის სამუშაოების დაწყება. გასარკვევია ამ თვალსაზრისითაც კავკასია ერთგვაროვანი იყო, თუ მრავალფეროვანი. ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს ისეთი კლიმატური მოვლენები, როგორიცაა წვიმა, თქეში/კოკისპირული წვიმა, ჭექა-ქუხილი, რომელთა შედეგი მსგავსი იყო. დასავლეთ ევროპული წყაროებისაგან განსხვავებით, კავკასიაზე ამ მოვლენების შესახებ წყაროები ფაქტობრივად არაფერს გვამცნობენ. დღევანდელ ადამიანებს ხშირად გვიკვირს ტალახიანი წვიმა, წყალდიდობა, აღშფოთებული ვართ ხანძრების შედეგად ტყეების გადაწვით, ქარიშხალითა თუ

გრიგალით, რომელსაც ადამიანების ბუნებასთან არასწორი ურთიერთობით ვხსნით, მაგრამ ასეთი ბუნებრივი მოვლენები შუა საუკუნეების ევროპულ წყაროებს ცოტა არა აქვთ დაფიქსირებული. მაგალითად, XIV–XV საუკუნეების მიჯნაზე საფრანგეთის დასახლებულ პუნქტ *კრესისთან* აღწერილია, რომ წვიმისაგან გამოწვეული ჭუჭყისაგან რაინდები და ეტლები ადგილიდან ვერ გადაადგილდებოდნენ[8]. კლიმატი იწვევდა ხანგრძლივი და დიდი მასშტაბების დანაკარგს, სახლების, ნათესების, შინაური ცხოველების დასილვას. კლიმატი მოუსავლიანობას, ბალახის, ხილისა და ყურძნის ცუდ ხარისხს, ფუტკრის ყრის დაცემას, ან მღრღნელებისაგან დანაკარგს განაპირობებდა. ყველა ეს ფენომენი კი ცხოვრების რიტმს, შრომას, ჯანმრთელობას გარკვეულ ტონს აძლევდა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ *ჰიპოკრატესა* და *გალენის* თანახმად ადამიანის სხეული ოთხ სტიქიას – *ცეცხლს, წყალს, დედამიწას* და *ჰაერს* და მათ ურთიერმიმართებასა და ზემოქმედებაას ექვემდებარება. წელიწადის ოთხი დრო შეესატყვისება ოთხ სტიქიას და გავლენას ფიზიოლოგიაზე, კვებასა და ფსიქიკაზეც კი ახდენს.

რატომ იყო ისტორიულად დასავლეთ ევროპაში ბინადარი ცხოვრების წესი და მიწათმოქმედება განვითარებული და თითქმის რატომ არ არსებობდა აქ მომთაბარე მესაქონლეობა და რატომ იყო მესაქონლეობა ამ რეგიონში სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ელემენტთაგანი, რა თქმა უნდა, მისი მნიშვნელოვანი ელემეტი, მაგრამ უკვე ბინადარი. ევროპაში მხოლოდ სეზონური გადარეკვის პრაქტიკა არსებობდა მაღალმთიან საძოვრებზე. მწყემსებს ჰქონდათ თავიანთი მენტალიტეტი, მაგრამ მათი ფარები სოფელის ბინადართ ეკუთვნოდა, და არა სტეპების ან უდაბნოს „მოძრავ“ მოსახლეობას[9].

---

[8]*Фоссье Робер*. Люди средневековья. С. 142.
[9]*Фоссье Робер*. Люди средневековья. С. 154.

ბინადარ და მიწათმოქმედ ხალხებში ვერ ნახავდით სოფლის მცხოვრებს, რომელსაც წინაპართაგან გადმოცემული ცოდნა რომ არ ჰქონოდა და, ბუნებრივია, საკუთარი გამოცდილებაც, სრული წარმოდგენა იმ მიწაზე, რომელსაც ამუშავებდა. ის გეტყოდათ, მიწა „ცივია“, თუ „თბილი“, „ნეშომპალიანი“ თუ „მძიმე“, „ღრმა“ თუ „მსუბუქი“. ის გეტყოდათ ამა თუ იმ ნიადაგზე რომელი კულტურა უკეთესად მოდიოდა, სარწყავი წყალი სიღრმეში მიდიოდა თუ მხოლოდ ზედაპირს უვლიდა. მისი ემპირიული ცოდნა ხანგრძლივ დაკვირვებასა და გამოცდილებას ემყარებოდა.

აღნიშნული თვალსაზრით კავკასიის ყველა რეგიონი და ყველა ხალხის ეთნიკურა კულტურა ერთიანობაში შესასწავლია და ეს შესწავლა, უპირველეს ყოვლისა, შედარებას უნდა ეფუძნებოდეს. ახლა მეცნიერებას ნიადაგის განოყიერების ბევრი ქიმიური საშულება აქვს შექმნილი. ცნობილია, რომ ძველად, შუა საუკუნეებში, ადამიანები მიხვდნენ, რომ მიწა მალე იფიტებოდა და რომ საჭირო იყო განოყიერება. საამისოდ სხვადასხვა ხერხს მიმართავდნენ: ეს იყო ცხოველის ნაკელის შეტანა დასამუშავებელ მიწაში და სახნავ მიწებზე ნახირის მოძრაობა. შედარება ამ თვასლაზრისით არის მოსახდენი. განსახილველია მიწის დასვენების ცოდნაც, სახვნელი იარაღის ტიპიც. მაგრამ რამდენი თაობა დასჭირდა იმის მიხვედრას, რომ მიწა უნდა განოყიერებულიყო, მორწყულიყო და რომ შესაბამისად ცხოვრების წესიც უნდა შეეცვალა, ნახევრადმომთაბარეობიდან და ნახევრადბინადრობიდან ბინადარ ცხოვრებაზე გადასულიყო? სამი-ოთხი წლის შემდეგ ხომ მიწა იფიტებოდა და ადამიანთა ჯგუფი, გარკვეული ეთნიკური ერთობა იძულებული იყო სხვაგან მოეძებნა სახვნელი ნიადაგი. ამის ძებნაში კი ხშირად ამ ერთობებს საკმაოდ შორსაც უხდებოდათ გადაადგილება. სწორედ ნახევრად ბინადარი ცხოვრებით იყო გამოწვეული გერმანული ტომების მიგრაცია ადრე შუა საუკუნეებში. ცხოვრების ასეთი წესი (პრიმიტიული მიწათმო-

ქმედება) არც კავკასიის ზიგიერთი ხალხისათვის იყო უცხო, რაზედაც საგანგებო მსჯელობა წიგნის შეაბამის მონაკვეთშია წარმოდგენილი.

ხალხთა კულტურულ განვითარებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ მიწათმოქმედი ხალხებისათვის რომელი კულტურები იყო ძირითადი და წამყვანი. საერთოდ რა ადგილი ეკავა მიწათმოქმედებას ამა თუ იმ ეთნოსის ცხოვრებაში, ან რა შესაბამისობაში იყო მიწათმოქმედებასთან მეცხოველეობა. ამ მხრივ ფრიად მნიშვნელოვანია ესა თუ ის ხალხი ძირითადად მარცვლეული კულტურების მოყვანაზე იყო ორიენტირებული, მევენახეობაზე თუ, შესაბამისად, მეღვინეობაზე. ფრანგი ისტორიკოსი *რობერ ფოსიე* აღნიშნავდა, რომ „ყურძენი – განსაკუთრებული შემთხვევაა. თუ ადამიანი ამუშავებს „თავის“ ვენახს და სვამს „თავის“ ღვინოს, ეს დღესაც მიიჩნევა მაღალი სოციალური მდგომარეობის ნიშნად“[10]. ანალოგიური მდგომარეობა გვქონდა და გვაქვს საქართველოში. დანარჩენ კავკასიაში? რა თქმა უნდა, კავკასიის ხალხების ეთნოგრაფიული ყოფა ამ მხრივაც შესასწალია. და ეს შესწავლა ბუნებასა და გეოგრაფიულ გარემოსთან შეთანაწყობით უნდა მოხდეს. ვენახი და ღვინო ქრისტიანობასთანაც მჭიდრო კავშირში უნდა იქნეს განხილული. უფრო მეტიც: შენიშნულია, რომ მევენახე-მეღვინე ხალხებს ხასიათიც კი განსაკუთრებუ-ლი და განსხვავებული აქვთ; განსხვავებული და ორიგინალური აქვთ სიმღერები და ცეკვები. შენიშნულია, რომ ასეთი **მაღალი დონის სიმღერებისა და ცეკვების შექმნის სტიმულირებას ღვინოში შემავალი ნივთიერებები განაპირობებდნენ. მეღვინეობისა და მევენახეობის მიმდევარი ადამიანები და ადამიანთა ჯგუფები, ეთნოსები განსაკუთრებული შრომისმოყვარეობითაც გამოირჩეოდნენ.**

---

[10] *Фоссье Робер*. Люди средневековья. С. 161.

მხედველობის არედან არ შეიძლება გამოგვრჩეს ტყის მნიშვნელობა საზოგადოების განვითარებაზე. ტყიანი ლანდშაფტი ადამიანებს თავის დაცვის საშუალებას აძლევდა, განაპირობებდა მატერიალური კულტურისა და მეურნეობის ფორმებს. ტყე მკვებავი და მასაზრდოებელი იყო. შედარება ამ თვალსაზრისითაც უნდა მოხდეს. ბუნებრივია, უტყეო და ტყიან ლანდშაფტში ხალხებს სხვადასხვაგვარი ეთნიკური კულტურის შექმნის საშუალება ეძლეოდათ. ეთნოსთა სხვადასხვაგვარ ხვედრს რელიეფის თავისებურებაც ბევრად განაპირობებდა. ღრმა ხეობებში, დაცემულ ზეგნებზე, სტეპებში და ნახევრადსტეპებში ცხოვრება არა მხოლოდ მეურნეობის თავისებურებას ანუ ეთნიკურ კულტურას განსაზღვრავდა, არამედ ეთნიკურ ისტორიასაც.

რა ტერიტორიას მოიცავს კავკასია?

წიგნის ძირითადი მიზანი, როგორც სათაურიდან ჩანს, ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოს როლს შეეხება კავკასიის ხალხების ეთნიკურ ისტორიასა და ეთნიკურ კულტურაში. ამისათვის კი, უპირველეს ყოვლისა, ზუსტი ცოდნაა საჭირო თუ რა ვითარება გვაქვს ამ თვალსაზრისით კაკასიაში.

კავკასია ერთი მხრივ, შავი, აზოვის და, მეორე მხრივ, კასპიის ზღვებს შორის არის მოქცეული. პირველი ორი დასავლეთით ესაზღვრება, მესამე — აღმოსავლეთით. კავკასიის ჩრდილოეთ საზღვრად *კუმომანიჩის* ღრმული და მდინარე *დონის* ქვემო დინება, ხოლო მის სამხრეთ საზღვრად კი ყოფილი საბჭოთა სახელმწიფოს (ახლა კი საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის) საზღვარი ირანთან და თურქეთთან მიიჩნევა. კავკასიის სამხრეთი და ჩრდილოეთი საზღვრები შედარებითაა განსაზღვრული. სამხრეთით კავკასიის განუყოფელი ნაწილია *მცირე კავკასიონი*, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი დღევანდელი საქართველოსა და სომხეთის სახელმწიფოს საზღვრებს გარეთაა. ამ სახელმწიფოების სამხრეთით მდებარე დიდი არეალი არა მხოლოდ გეოგრაფიულად, არამედ ისტორიულად, კულტურულად და ენობრივი თვალსაზრისით, კავკასიის რეგიონის განუყოფელი ნაწილია. მთლიანად *ჭოროხის* ხეობა/აუზი, *არაქსის* ხეობა/აუზი და *მტკვრის* სათავე და ზემო წელი კავკასიის ბუნებრივი შემადგენელი ნაწილებია. ასე რომ, დღევანდელი კავკასიის საზღვარი ჩრდილოეთით თუ ბუნებრივ-ლანდშაფტური ფაქტორებით არის განსზღვრული, სამხრეთით — პოლიტიკური ფაქტორებით.

არც თუ ისე დიდი ხნის წინ სამეცნიერო ლიტერატურაში, ცნობარებსა თუ ენციკლოპედიებში კავკასია მხოლოდ საბჭოთა კავშირში შემავალ გეოგრაფიულ რეგიონად იყო სახელდებული. დღევანდელი ვითარებით ჩრდილოეთ კავკასია რუსეთის ფედერაციის სახელმწიფოში შედის, სამხრეთ კავკასიაში

კი სამი სახელმწიფო — საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი — მდებარებს. მაგრამ კავკასიის საზღვრების საკითხი ძველადაც და ახლაც სხვადასხვა კრიტერიუმებით განისაზღვრებოდა და განისაზღვრება. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ამა თუ იმ გეოგრაფიული რეგიონის საზღვრების დასადგენად ძირითადად ბუნებრივ-გეოგრაფიულ კრიტერიუმებს გამოიყენებენ. კავკასიის მიმართ ეს კრიტერიუმი დარღვეულია და ბუნებრივ-გეოგრაფიულ პარამეტრებთან ერთად პოლიტიკური მომენტიც იყო და არის ჩართული. კავკასიას კიდევ ერთი თავისებურება ახასიათებს: ის ორ კონტინენტზე მდებარებს; მიიჩნევენ, რომ კავკასიონის მთავარი ქედი ევროპისა და აზიის გამმიჯვნელია, ე. ი. ჩრდილოეთ კავკასია ევროპაში შედის, სამხრეთ კავკასია — აზიაში. თუმცა აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ მთელ რიგ მეცნიერებს ჩრდილოეთ კავკასიაც აზიაში შეჰყავთ.

ამრიგად, დიდი გეოგრაფიული ერთეულის — კავკასიის სამხრეთი საზღვრის შემოსასაზღვრავად პოლიტიკურ ფაქტორს იყენებდნენ და იყენებენ. 1924 დაბეჭდილ *ა. ლიაისტერისა* და *გ. ჩურსინის* „კავკასიის გეოგრაფიის“ სახელმძღვანელოს თანახმად, კავკასიის სამხრეთი საზღვარი პირდაპირ თანხვდებოდა საბჭოთა სახელმწიფოს საზღვრებს: ის გასდევდა ქედებს, მდინარეს, სტეპებს, ხევებს, პატარა მდინარეებს. უფრო მეტი, უკიდურესი სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით არსებული დასახლებული პუნქტებიც კი ორად იყო გაყოფილი. შავ ზღვასთან სოფელ *სარფის* ერთი ნაწილი საბჭოთა კავშირს ეკუთვნოდა, მეორე ნაწილი — თურქეთს. კასპიის ზღვასთან ასევე ორად იყო გაყოფილი ქალაქი *ასტარა.* გამოდის, რომ სარფისა და ასტარის ერთი ნაწილი კავკასიაში შედიოდა და შედის, მერე ნაწილი — არა. პარადოქსია, რომ არაქსის მარცხენა მხარე კავკასიაში შედიოდა, მარჯვენა კი კავასიის გარეთ იყო, ზოგიერთ ადგილას კი *არაქსის* მარცხენა მხარეც კავკასიის მიღმა რჩებოდა.

საბჭოთა ხელისუფლებამდე, ცარიზმის დროს, კავკასიის სამხრეთი საზღვარი სხვაგვარად შემოიფარგლებოდა და იმ შემთხვევაშიც ის რუსეთის იმპერიის საზღვარს გაუყვებოდა. მაშინ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა და კავკასიად აღიქმებოდა ისტორიული საქართველოს და დასავლეთ სომხეთის ტერიტორიები (მაშინდელი ადმინისტრაციული დაყოფით *ართვინის* ოკრუგი, *ყარსის* ოლქი). ისტორიული საქართველოს ტერიტორიებიდან ესენი იყო შავშეთისა და კლარჯეთის, კოლასი, არტნის და ერუშეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები და ტაოს ოლთისის მხარე. ესაა მცირე კავკასიონად ცნობილი გეოგრაფიული ერთეულის სამხრეთი ნაწილი. ქართველი გეოგრაფი *ლ. მარუაშვილი* სამართლიანად შენიშნავდა: „მცირე კავკასიონი (და მთლიანად ანტიკავკასიონი) გაგრძელებას პოვებს დასავლეთით – თურქეთში (*პონტოსისა* და ჩრდილო სომხეთის *ტავრუსის* ქედების სახით) და აღმოსავლეთით – ირანში (*ყარადაღის* სახით, რომელიც აკავშირებს მცირე კავკასიონს *თალიშ-ბოგროვდაღ-ელბურსის* მთიანეთთან)[11]“. ასევე შემოსაზღვრავდნენ კავკასიის სამხრეთ საზღვრს XIX საუკუნის გეოგრაფები. ნათლად მიუთითებდნენ, რომ *მცირე კავკასიონი* ანუ *ანტი-კავკასიონი ტრაპიზონის* აღმოსავლეთით იწყება, სადაც ის მკვეთრად მაღლდება და აღმოსავლეთის მიმართულებით მთავრდება კასპიისპირეთის დაბლობში *ყარაბაღის* ჩრდილოეთი ფერდობით. ეს ტერიტორიები დღეს დამოუკიდებელი სახელმწიფოების – საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის – საზღვრების გარეთაა. ასე რომ, კავკასიის სახელმწიფო საზღვარი ცარიზმის დროსაც და საბჭოთა პერიოდში პოლიტიკური ფაქტორით მონაცვლეობდა. ასეა ეს დღესაც. გეოგრაფიული ფაქტორი უგულვებელყოფილია.

---

[11] ლ. მარუაშვილი. კავკასიის ფიზიკური გეოგრაფია, ნაწ. 1, თბ., 1975; ნაწ. 2, თბ., 1981; ნაწ. 3, თბ., 1986.

კავკასიაში შემოსვლის შემდეგ, რუსეთის ხელისუფალნი კავკასიას უწოდებდნენ მის იმ ტერიტორიებს, რომელსაც იპყრობდნენ. ეს ჯერ კიდევ 1918 წელს კარგად შენიშნა პავლე ინგოროყვამ: „1801 წელს კავკასია შესდგებოდა მარტოოდენ ქართლ-კახეთისაგან, ხოლო 1813-ის წლიდან მოკიდებული აქ შედიოდა დასავლეთ საქართველოცა, ჩრდილოეთი ადერბეჯანი, და კავკასიის მთიულეთის (მთიანეთის – რ. თ.) ზოგი ადგილები; 1828 წლამდე ერევნისა და ნახჭევანის პროვინციები კავკასიად არ ითვლებოდა, ხოლო – 29 წლიდან კავკასიას შეადგენდა ჩრდილო-სომხეთთან ერთად ჩრდილო-მესხეთიც. 1878 წლამდე ყარსსა, ან ოლთისს ჯერ-კიდევ არ ეძახდნენ კავკასიას, ხოლო მიმდებარე ომების ბედი რომ სხვაგვარად წარმართებულიყო, ვინ იცის კავკასიად არ მოენათლათ ტრაპიზონი, და მასთან ერთად არზრუმი, და თავრიზიც...[12]“.

მაგრამ რა ვუყოთ იმას, რომ *მცირე კავკასიონი*, გარდა სამხრეთ კავკასიის სამი დამოუკიდებელი სახელმწიფოს ტერიტორიისა, თურქეთისა და ირანის ტერიტირიებზეც ვრცელდება? რეალურად გეოგრაფიულ ფაქტორს თავი რომ დავანებოთ, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სახელმწიფოების სამხრეთით მდებარე დიდი არეალი, როგორც ისტორიული, ისე კულტურული თვალსაზრისით, კავკასიის განუყოფელი ნაწილია. კავკასიის არეალში თავსდება მთლიანად *ჭოროხისა და არაქსის* ხეობის აუზები, *მტკვრის* სათავე და ზემო წელი. ზემოხსენებული 1924 წელს დაბეჭდილი „კავკასიის გეოგრაფიის“ წიგნის ავტორებიც ამ თვალთახედვით ერთგვარ უხერხულობას გრძნობენ და აღნიშნავდნენ, რომ კავკასიის სამხრეთი საზღვარი უფრო უპრიანი იქნება გადიოდეს 1914 წლის რუსეთის იმპერიის ირანისა და თურქეთის საზღვართან. თუმცა, ამ შემთხვევაშიც კვლავ პოლიტიკური ფაქტორია წინ წამოწეული. ცარიზმის დროინდელი პოლიტიკური

---

[12] პ. ინგოროყვა. საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ, თბ., 1990, გვ. 30-31.

საზღვრის გარეთაც რჩებოდა გეოგრაფიული კავკასიის გარკვეული ნაწილი. ცარიზმის დროინდელი და საბჭოთა მეცნიერებისათვის არც გეოგრაფიული ფაქტორი არსებობდა, არც საისტორიო და ეთნოგრაფიული. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოსთან მიმართებაში ეს დაყოფა ნამდვილად არასამართლიანია. რუსეთის იმპერიაში XIX საუკუნის მეორე ნახევარში ისტორიული სამხრეთი საქართველოს მხარეების მნიშვნელოვანი ნაწილი შედიოდა. ოსმალეთის იმპერიაში რჩებოდა ასევე მნიშვნელოვანი ნაწილი – ტაოდან მხოლოდ *ოლთისი* შედიოდა რუსეთის იმპერიაში. გამოდის, რომ *ოლთისი* კავკასია იყო და *თორთუმი* და *პარხალი* – არა. ანალოგიური სიტუაციაა ლაზეთთან მიმართებაში. ცარიზმის დროს საზღვარი რიზესთან გადიოდა. რევოლუციამდე ლაზეთის სანაპირო ზოლი, *რიზეს* ჩათვლით, კავკასია იყო და საბჭოთა იმპერიის შექმნის შემდეგ – აღარ? საერთოდ, ლაზეთი, თავისი *პონტოს* ქედით, ტრაპიზინიდან მოყოლებული ბუნებრივ-გეოგრაფიულად კავკასიის განუყოფელი ნაწილია.

ამრიგად, კავკასიის რეგიონი სინამდვილეში უფრო ვრცელი ფართობის მომცველია, ვიდრე მას განსაზღვრავენ. გეოგრაფიული თვალსაზრისით ის საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მოსაზღვრე თურქეთისა და ირანის რაიონებსაც მოიცავს. უფრო რომ დავაკონკრეტოთ, ესაა ლაზეთი, ჭოროხის აუზი, მტკვრის სათავე და ზემო წელი და არაქსის აუზი. არაქსისა და ჭოროხის აუზები გეოგრაფიულად იმიტომაც ეკუთვნიან კავკასიას, რომ პირველი მათგანი (არაქსი) კასპიის ზღვას დასავლეთიდან შეერთვის (კასპიის ზღვის დასავლეთი მხარე კავკასიის აღმოსავლეთი ბუნებრივი საზღვარია), ხოლო მეორე მათგანი (ჭოროხი) შავ ზღვაში აღმოსავლეთიდან ჩაედინება (შავი ზღვის აღმოსავლეთი კი კავკაასიის დასავლეთი საზღვარია).

კავკასია ბუნებრივ-გეოგრაფიული თვალსაზრისით ერთგვაროვანი არაა. მისი ერთი ბუნებრივ-გეოგრაფიული ზონა

სხვა, ხშირად მომიჯნავე ზონებისაგან მკვეთრად განსხვავდება. კავკასია ასევე არაერთგაროვანია ენობრივ-ეთნიკური და კულტურული თვალსაზრისით. უფრო მეტიც: კავკასია არც ერთიანი ცივილიზაციის მომცველი გეოგრაფიული ერთეულია. ბუნებრივ-გეოგრაფიული პარამეტრების მიხედვით კავკასიას ორ მთავარ ნაწილად ჰყოფდნენ: *ჩრდილოეთ კავკასიად* და *სამხრეთ კავკასიად*, რომელსაც საბჭოთა პერიოდში *ამიერკავკასიას* უწოდებდნენ. ზოგჯერ ცალკე მიჯნავდნენ კავკასიის მთავარ ქედსაც და მასთან მიმართებაში ჩრდილოეთ კავკასიას *კავკასიისწინეთადაც* მოიხსენიებდნენ. კავკასიის მთავარი წყალგამყოფი ქედის ჩრდილოეთი ნაწილი, ბუნებრივია, ჩრდილოეთ კავკასიაში შედის, სამხრეთი ნაწილი — სამხრეთ კავკასიაში.

მიღებულია აგრეთვე კავკასიის აღმოსავლეთ და დასავლეთ მონაკვეთებად დაყოფა. ხოლო მონაკვეთი *იალბუზიდან მყინვარწვერამდე* ცენტრალურ კავკასიად არის მიჩნეული. ზოგიერთი მეცნიერი ცენტრალურ კავკასიას ოდნავ განსხვავებულ პარამეტრებში გულისხმობს. ესენია: *ჩრდილო-დასავლეთი* (ყუბანის აუზი), *ჩრდილო-აღმოსავლეთი* (თერგის აუზი) და, მათ შორის მოქცეული, *ცენტრალური კავკასია* (უპრიანი იქნებოდა მისთვისაც ჩრდილო-ცენტრალური კავკასია ეწოდებინათ). ცენტრალურ კავკასიას უფრო ფართო საზღვრებშიც წარმოიდგენენ. ესაა მონაკვეთი, რომლის დასავლეთი საზღვარია მდინარე დიდი ლაბა და აღმოსავლეთი საზღვარი — მდინარე არღუნი.

ამრიგად, კავკასიის აღნიშნული დაყოფა ძირითადად რუსულ მეცნიერებაში შემუშავდა და არსებითად პასუხობდა რუსულ იმპერიულ ინტერესებს, განსაკუთრებით მის სამხრეთ საზღვართან მიმართებაში.

კავკასიის ასეთი რეგიონილაზაცია, ბუნებრივია, ახალ დროში გარკვეულ მეცნიერთა ყურადღების საგნად იქცა. გასაზიარებლად მიგვაჩნია მოსაზრება (ე. ისმაილოვი, ვ. პაპავა), რომ კავკასიის დაყოფის „აღნიშნული მოდელი ემყარება კავ-

კასიის ისტორიულად ჩამოყალიბებული სოციალურ-ეკონომიკური, სოციოკულტურული და ეთნიკური პარამეტრების არასწორ გაგებას“[13]. სრულიად სამართლიანად გაჩნდა ახალი მიდგომა: კავკასიის რეგიონის ფარგლებში შეჰყავთ თურქეთის ჩრდილო-დასავლეთი ოლქები (ვილაეთები – *ყარსი, არდაგანი, ართვინი, იგდირი* და სხვ.) და ირანის ჩრდილო-დასავლეთი ოლქები (ოსთანები – აღმოსავლეთი აზერბაიჯანი და დასავლეთი აზერბაიჯანი). ჩვენი მხრივ დავსძენთ, რომ შემოთავაზებული სტრუქტურალიზაცია ერთგვარ დაზუსტებას მიოთხოვს. მთლიანად ირანის აზერბაიჯანის კავკასიის რეგიონში შემოყვანა გაუმართლებლად მიგვაჩნია. ირანის აზერბაიჯანი კავკასიის აზერბაიჯანზე ბევრად დიდ ტერიტორიას მოიცავს – ურმიის (რეზაიეს) ტბის გარშემო მდებარე ორი ოსთანის (ოლქის) ფართობი 108 507 კვადრატული კილომეტრია (აზერბაიჯანის სახელმწიფოსი კი – 86,6 კვადრატული კილომეტრი). დასავლეთ აზერბაიჯანის და აღმოსავლეთ აზერბაიჯანის ოსთანების მხოლოდ პატარა ნაწილი (გოთურისა და ყარასუს ხეობები) შედის არაქსის აუზში. ორივე დასახელებული ოსთანის დიდი ნაწილი არაქსის აუზის მიღმაა. ამ შემთხვევაში ეთნიკური ფაქტორი ნამდვილად გამოსარიცხია (ეთნიკური აზერბაიჯანელები მხოლოდ კავკასიაში არ მკვიდრობენ, ანალოგიურად – ისტორიული სომხეთი მხოლოდ კავკასიას არ მოიცავდა. დასავლეთ სომხეთის ცენტრალური რაიონი, ვანის ტბის მიდამოები კავკასიის მიღმაა). გეოგრაფიული თვალსაზრისით, კავკასიაში ირანის აზერბიჯანის მხოლოდ ის ნაწილი შედის, რომელიც არაქსის აუზის მომცველია (მდინარე არაქსის მარჯვენა შენაკადი *გოთურისა* და *ყარასუს* (*აღჩაის*) ხეობები; ამ მდინარეებს შორის მოქცეული ყარადაღის ქედი; *თალიშის მთების* ირანული მხარე; *მულანის ვაკის* ირანული ნაწილი.

---

[13] ე. ისმაილოვი, ვ. პაპავა, ცენტრალური კავკასია: გეოპოლიტიკური ეკონომიის ნარკვევები, თბ., 2007, გვ. 37.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, კავკასიის განუყოფელი ნაწილია შავი ზღვის მონაკვეთი სარფიდან ტრაპიზონამდე, ანუ ისტორიული ლაზეთი თავისი პონტოს ქედით.

გვთავაზობენ აგრეთვე კავკასიის სრულიად ახლებურ სტრუქტურალიზაციას. ნაცვლად ორი დიდი ერთეულის – ჩრდილოეთ კავკასიისა და სამხრეთ კავკასიისა – შემოთავაზებულია სამი ერთეული: 1. ჩრდილოეთი კავკასია; 2. ცენტრალური კავკასია და 3. სამხრეთი კავკასია[14]. ამ ახალ სტრუქტურალიზაციაში უცვლელად ჩრდილოეთი კავკასია რჩება. საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სახელმწიფოების ტერიტორია, ანუ სამხრეთი კავკასია (ამიერკავკასია) იწოდება ცენტრალურ კავკასიად, ხოლო თურქეთისა და ირანის ტერიტორიების კავკასიის ნაწილი, ანუ გეოგრაფიული ანტი-კავკასია (მცირე კავკასიონი და თალიშის მთები) – სამხრეთ კავკასიად. ახალი მოსაზრების ავტორები ამ მესამე ერთეულში თავის მხრივ ორ ქვეერთეულს გამოყოფენ: საქართველოსი და სომხეთის მოსაზღვრე თურქულ ვილაიეთებს სამხრეთ-დასავლეთ კავკასიას უწოდებენ, ხოლო აზერბაიჯანის მოსაზღვრე ირანის ჩრდილო-დასავლეთ ოსთანებს – სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიას. ვიმეორებთ, ირანის ტერიტორიიდან კავკასიაში შედის მდინარე არაქსის მარჯვენა შენაკადი ხეობებით, ესენია: გოთურისა და ყარასუს ხეობები.

მიგვაჩნია, რომ წარმოდგენილი დაყოფა იმ თვალსაზრისითაა მხოლოდ გამართლებული, რომ კავკასიაში აუცილებლად უნდა იგულისხმებოდეს თურქეთისა და ირანის შესაბამისი მხარეები. გეოგრაფიული რეგიონის პოლიტიკური თვალსაზრისით დაყოფაზე საბოლოოდ უარი უნდა ვთქვათ. დაყოფაში არც ეთნიკური ფაქტორი უნდა ფიგურირებდეს. პოლიტიკური ფაქტორი აქ ისევ წინაა წამოწეული, როდესაც „ცენტრალურ კავკასიისა“ და „სამხრეთ კავკასიის“ გამმიჯვნელად ისევ სა-

---

[14] ე. ისმაილოვი, ვ. პაპავა, ცენტრალური კავკასია... გვ. 37-38.

ხელმწიფოთა შორის არსებული საზღვარი გვევლინება. სამხრეთი კავკასია ერთიანი გეოგრაფიული ერთეულია. ასეა მიღებული საერთაშორისო სამეცნიერო და პოლიტიკურ ნომენკლატურაში. დღეს „სამხრეთ კავკასიის“ უკიდურესი სამხრეთი რეგიონისათვის სხვა სახელის მინიჭება და „სამხრეთ კავკასიისათვის“ „ცენტრალური კავკასიის“ დარქმევა შეუძლებად მიგვაჩნია. კიდევ ერთ წინააღმდეგობას ქმნის ის გარემოება, რომ მტკიცედაა დამკვიდრებული ჩრდილოეთ კავკასიაში, დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით (იალბუზიდან მწინვარწვერამდე, ანდა მდ. დიდი ლაბიდან მდ. არღუნამდე) ცენტრალურ კავკასიად სახელდება. ახალი, ვიტყოდი რადიკალური სტრუქტურალიზაცია არ აღმოჩნდება მისაღები მეცნიერთა, პოლიტიკოსთა და პოლიტოლოგთა ფართო წრისათვის. საერთოდ, კავკასიის სტრუქტურალიზაცია რომ ყველასთვის მისაღები იყოს, საჭიროა გეოგრაფების, ისტორიკოსების, ეთნოლოგების და სხვათა ერთობლივი შეთანხმებული გადაწყვეტილება. გადამწყვეტი სიტყვა მაინც გეოგრაფებს ეკუთვნით. ერთი რამ ცხადია: ყოვლად გაუმართლებელია მცირე კავკასიის თურქული და ირანული მონაკვეთების კავკასიის რეგიონისაგან გამოყოფა და მოწყვეტა.

ჩრდილოეთ კავკასიას ბუნებრივ-გეოგრაფიული თვალსაზრისით ვერტიკალური სპეციფიკის მიხედვითაც ყოფენ: 1. მთიანი კავკასია, 2. მთისწინა დაბლობი და 3. სტეპური კავკასიისწინეთი. რა ვითარება გვაქვს ამ თვალსაზრისით სამხრეთ კავკასიაში? აქაც გამოიყოფა მთიანი, მთისწინა და ბარის ქვერეგიონები. ჩრდილოეთ კავკასიაში თუ მთათა სისტემა მხოლოდ ცენტრალურ წყალგამყოფ ქედზეა, სამხრეთ კავკასიაში, გარდა წყალგამყოფი ქედისა, მთათა სისტემა სხვაცაა — სამხრეთით, რომელიც ანტი-კავკასიონის (მცირე კავკასიონი და თალიშის მთიანეთი) სახელითაა ცნობილი და, რაც მთავარია, მცირე კავკასიონი წყალგამყოფი ქედის მთათა სისტემასთან უშუალოდაა დაკავშირებული დაბალი მთიანი ჯაჭვით, რომე-

ლიც სურამის (ლიხის) ქედის სახელითაა ცნობილი. დიდი კავკასიონისა და მცირე კავკასიონის შემაერთებელი ქედი მტკვრისა და რიონის აუზების ბუნებრივი წყალგამყოფია. ამ ქედით არა მარტო საქართველო იყოფა დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებად, არამედ, საერთოდ, სამხრეთ კავკასია.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ კავკასიის რეგიონალიზაციის პრობლემებზე რუსეთში გამოქვეყნებულ ჩვენს ნაშრომს[15] გარკვეული გამოხმაურება მოჰყვა. ამ ქვეყანაში ბევრ მეცნიერულ საკითხებს პოლიტიკური ფაქტორებით რომ წყვეტენ, ამას დისკუსიაში ჩართული ეთნოლოგის სერგეი არუთინოვის სტატიაც მოწმობს, რომლის მიხედვითაც აფხაზეთი ამიერიდან სამხრეთ კავკასიად არ უნდა მიიჩნეოდეს; ის მას ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის შემადგენელ ნაწილად განიხილავს. ხოლო დისკუსიის მეორე მონაწილე – იამსკოვი პირდაპირ აცხადებს, რომ ირანისა და თურქეთის გარკვეული ტერიტორიის კავკასიის შემადგენელ ნაწილად აღიარება რუსულ პოლიტიკურ ინტერესებში არ შედისო[16].

ერთი მნიშვნელოვანი გარემოების შესახებაც: როგორც აღინიშნა, ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის წყალგამყოფია კავკასიონის მთავარი ქედი, რომელიც გადაჭიმულია ტამანის ნახევარკუნძულიდან (ანაპიდან ოდნავ სამხრეთით) აფშერონის ნახევარკუნძულამდე. გეოგრაფიული თვალსაზრისით სამხრეთ კავკასიაში შედის რუსეთის ფედერაციის შავი ზღვის ზოლი ქალაქებით სოჭი, ტუაფსე, გელენჯიკი, ნოვოროსიისკი. არც საქართველოსა და აზერბაიჯანის ტერიტორიები მოიცავს მხოლოდ სამხრეთ კავკასიას. საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები თუშეთი, ხევი, პირიქითი ხევსურეთი კავკასიის მთავარი წყალგამყოფი ქედის ჩრდილოეთითაა. კავკასიო-

---

15 Топчишвили Р. А. Какую территорию охватывает Кавказ?//Этнографическое Обозрение. 2013. №5, გვ.61-66.

16 იქვე.

ნის მთავარი ქედის ჩრდილოეთითაა დვალეთის ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეც, რომელიც მეფის რუსეთმა საქართველოს 1858 წელს ჩამოაჭრა. აზერბაიჯანის მნიშვნელოვანი ნაწილიც კავკასიონის მთავარი ქედის პირიქით მხარესაა. ასე რომ, ყველგან კავკასიონის მთავარ ქედს არ გასდევს რუსეთ-საქართველოსი და რუსეთ-აზერბაიჯანის პოლიტიკური საზღვარი. გეოგრაფიულად აზერბაიჯანი და საქართველო არა მხოლოდ აზიას, არამედ ევროპასაც ეკუთვნის.

ამრიგად, სამხრეთ კავკასიის რეგიონში გარდა სამი დამოუკიდებელი სახელმწიფოსი — საქართველოსი, სომხეთისა და აზერბაიჯანისა — თურქეთისა და ირანის მომიჯნავე ტერიტორიებიც შედის. თურქეთისა და ირანის ტერიტორიების მომცველი სამხრეთ კავკასიის მონაკვეთები, ფაქტობრივად, მისი სამხრეთ-დასავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი ქვერეგიონებია და ასეც უნდა იწოდებოდეს — (სამხრეთ) კავკასიის სამხრეთ-დასავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი.

კავკასიის გეოგრაფია: ლანდშაფტისა და კლიმატის შესახებ

კავკასიის მნიშვნელოვანი გეოგრაფიული ფაქტორია მისი რელიეფი. კავკასია უმეტესად მთიანი მხარეა. მთელ კავკასიაზე დაახლ. 1500 კმ-ზე გადაჭიმულია (შავი ზღვის დასახლებული პუნქტ *ანაპიდან* კასპიის ზღვის ნახევარკუნძულ *აფშერონამდე)* დიდი კავკასიონის მთათა სისტემა. დიდი კავკასიის წყალგამყოფი სისტემა, როგორც მას უწოდებენ, მთავარი ქედი, კავკასიას ორ ნაწილად ყოფს. ჩრდილოეთ კავკასიად და სამხრეთ კავკასიად. მთავარი კავკასიონის სამხრეთით – სამხრეთ კავკასიაში, შავ ზღვასა და მდ. არაქსის ქვემო დინებას შორის, განლაგებულია მეორე სისტემა დანაოჭებული (ნაოჭა) მთებისა ე. წ. მცირე კავკასია. ორივე სისტემას აქვს ბევრი განშტოება და ერთმანეთთან შეერთებული არიან საქართველოში სურამის ქედით. მცირე კავკასია ოროგრაფიული და გეოლოგიური თვალსაზრისით წარმოადგენს თითქოსდა ჩრდილო-აღმოსავლეთ პერიფერიას სომხეთის მთიანეთისას. სომხეთის მთიანეთი (ჯავახეთ-სომხეთის მთიანეთი) და მცირე კავკასია ხშირად განიხილება როგორც ერთიანი მთათა ოლქი, რომელიც სამხრეთ კავკასიის მთიანეთად იწოდება. სამხრეთ კავკასიის სამხრეთ-აღმოსავლეთით განლაგებული თალიშის მთებიც მიეკუთვნება სომხეთის მთიანეთს – ეს არის მისი ირანული ნაწილის უკიდურესი ჯაჭვი.

დიდი კავკასიონის ჩრდილოეთით კავკასიისწინა რეგიონია, რომელიც მაღალი მთებით არ ხასიათდება. სტავროპოლის მაღლობზე ყველაზე მაღალი წერტილი ზღვის დონიდან 832 მეტრზეა.

დიდი კავკასიონის ცენტრალურ ნაწილში მისი მთავარი მწვერვალები (*იალბუზი* – 5662 მ., *შხარა* – 5201 მ., *დიხთაუ* – 5198 მ., *ყოშთანთაუ* – 5144 მ., *ჯანლა* – 5059 მ., *მყინვარწვერი* – 5033 მ....) მუდმივი თოვლის საფარითაა და-

ფარული. მართალია, კავკასიის მთათა სისტემა მიუვალია, მაგრამ მასზე არაერთი გადასასვლელია. ისინი უძველესი დროიდან კავკასიაში განსახლებული ეთნოსებისათვის კომუნიკაციის საშუალებას წარმოადგენდა. ასე რომ, კავკასიის ქედი არასოდეს არ ყოფილა გადაულახავი ზღუდე. განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ორი მათგანი – **დარიალი** და **დერბენტი**. ზაფხულობით კი არაერთი სხვა გადასასვლელი, ბილიკი მოქმედებდა (მნიშვნელოვანი იყო დვალეთიდან ჩრდილოეთ კავკასიაში შესასვლელი **კასრის კარი**), რითაც სამხრეთით და ჩრდილოეთით მცხოვრებ ხალხებს ცხოველი კულტურული ურთიერთობა ჰქონდათ. ამდენად, ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის ეთნოსებს შორის მთელი ისტორიის მანძილზე, კულტურულ ურთიერთობასთან ერთად, ეთნიკური და სამეურნეო ურთიერთობაც არსებობდა. მაგალითად, *მოსე კალანკატუაცის* ცნობაც შეიძლება დავასახელოთ ჩრდილოეთ კავკასიელების მიერ სამხრეთ კავკასიის, კერძოდ დღევანდელი ყარაბაღის ტერიტორიის საძოვრებად გამოყენების შესახებ[17].

კავკასია ბუნებრივ-გეოგრაფიული მრავალფეროვნებითაც გამოირჩევა. აქ მაღალმთიანეთთან ერთად არის ვრცელი სტეპები და ნახევარუდაბნოებიც, ზომიერი და სუბტროპიკული ჰავაც. **კავკასიაში ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული 21 ფიზიკურ-გეოგრაფიული რაიონი და 11 კლიმატური ოლქი გამოიყოფა. შესაბამისად მრავალფეროვანია მისი ფლორა და ფაუნა.**

კავკასიის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა, ენათა მრავალრიცხოვნობა, მატერიალური კულტურის და სამეურნეო ყოფის ნაირგვარობა, სოციალური განვითარების სხვადასხვაობა, განსხვავება სულიერ კულტურებში, ბუნებრივია, საზოგადოებრივ-ისტორიულ ფაქტორებთან ერთად, ბევრად განაპირო-

---

[17] მ. კალანკატუაცი. ალვანთა ქვეყნის ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძე-ტატიშვილმა, თბ., 1985.

ბა კავკასიის ბუნებრივ-გეოგრაფიულმა და კლიმატურმა პირობებმაც. ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოთი იყო გამოწვეული მეურნეობის ფორმების სხვადასხვაობა. ჯერ კიდევ *სტრაბონი* შენიშნავდა, რომ აქ ბარის მკვიდრნი მიწათმოქმედნი და მთიელები — მესაქონლეები იყვნენ. კავკასიის ხალხებმა, როგორც ბარში, ისე მთისწინეთსა და მთაში მიწათმოქმედების განვითარებული ფორმები შექმნეს, რაც, თავის მხრივ, ხელოვნური მორწყვითა და ტერასების მოწყობის კულტურითაც იყო განპირობებული. სხვადასხვა ბუნებრივ-გეოგრაფიულ/ლანდშაფტურ და კლიმატურ პირობებში განსახლებული ეთნოსები ჩაკეტილი არ ყოფილან (თუმცა დაღესტანში სოციალური თვალსაზრისით იზოლატი ეთნოსები ცხოვრობდნენ). გარემოება მათ აიძულებდა ერთმანეთთან მჭიდრო სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები ჰქონოდათ და აქედან გამომდინარე ერთმანეთის ბევრი კულტურული მიღწევაც გაეზიარებინათ. ევროპისა და აზიის შესაყარზე მდებარეობის გამო, კავკასიის მოსახლეობას მშვიდობიანი განვითარების საშუალება იშვიათად ჰქონდა. იმპერიების გარდა, ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში, მისდამი ინტერესს მომთაბარე ტომებიც იჩენდნენ. განსაკუთრებით შეიცვალა კავკასიის ეთნიკური რუკა რუსეთის იმპერიის დამკვიდრების შემდეგ. რუსეთის იმპერიამ კავკასია ეთნიკურად უფრო ჭრელი გახადა და ზოგიერთ ეთნოსს თავისი ეთნიკური ნიშაც დააკარგვინა.

ახლა უფრო დაწვრილებით კავკასიის ბუნების შესახებ. თავისი რელიეფით, გეოლოგიური აგებულებით, ბუნებითა და მოსახლეობით კავკასია წარმოადგენს განსაკუთრებულ მრავალფეროვნებას. შედარებით მცირე/პატარა სივრცეზე თავმოყრილია აქ არსებული სხვადასხვა წარმოშობისა და აგებულების ფორმის ზედაპირი: დაბლობები, ბარი, ზეგნები, მთის ქედები, ვულკანური მწვერვალები. კავკასიას თავის სხვადასხვა ნაწილებში სხვადასხვაგვარი კლიმატი ახასიათებს — მაღალმთიანი კავკასიის პოლარული კლიმატიდან დასავლეთ კავკასიის დაბ-

ლობის სუბტროპიკულ ტენიან კლიმატამდე, აღმოსავლეთ კავ-კასიისწინეთის სტეპური სივრცის მშრალი კონტინენტური კლიმატიდან, რომელსაც ბევრი საერთო აქვს შუა აზიის უდა-ბნოს კლიმატთან და აღმოსავლეთ სამხრეთ კავკასიის სტეპე-ბის მშრალი სუბტროპიკული კლიმატი.

არანაკლებ სხვადასხვაგვარია კავკასიის ნიადაგები, დაწყე-ბული კავკასიის მაღალმთიანეთის ალპური მდელოების ტუნდ-რული ნიადაგებიდან, დამთავრებული ბათუმის სანაპიროს წი-თელმიწით, კავკასიისწინეთის დაბლობის შავმიწით, სამხრეთ კავკასიის მაღალი მთიანეთით და აღმოსავლეთ სამხრეთ კა-ვკასიის უდაბნოს ნიადაგებით.

ასევე მრავალფეროვანია კავკასიის მცენარეული სამყარო: სუბტროპიკული და ზომიერი კლიმატის ტყეები ენაცვლებიან ერთმანეთს, ერთი მხრივ, ალპურ მდელოებს, და, მეორე მხრივ, აღმოსავლეთ კავკასიისწინეთისა და სამხრეთ კავკასიის მშრალი დაბლობის სივრცეების მწირ ნახევრადუდაბნოს მცე-ნარეულს და დასავლეთ კავკასიის შავმიწანიადაგიანი სტეპე-ბის ფლორას.

კავკასიის ცხოველთა სამყაროც ფრიად მდიდარია და აგ-რეთვე გამოირჩევა დიდი მრაფალფეროვნებით. აქ გვხვდება კა-ვკასიის ირგვლივ მდებარე ქვეყნების ფაუნის წარმომადგენლე-ბი და მეორე მხრივ, ცხოველები, რომლებიც შემოსაზღვრუ-ლია მხოლოდ კავკასიის ფარგლებით. დაბოლოს, რამდენადაც მრაფალფეროვანია კავკასია ბუნებრივი თვალთახედვით, იმდე-ნად მრავალხრივია ეთნიკური თვალსაზრისითაც.

ახლა კი კავკასიის გეოგრაფიის წიგნის ავტორებს ა. ლი-აისტერსა და გ. ჩურსინს უნდა დავესესხოთ, რომ კავკასიის გეოგრაფიული თავისებურებანი მკვეთრად გამოყოფს სხვა რე-გიონებისაგან, რაც არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ის ერ-თიან მთლიანობად წარმოვიდგინოთ: «...разнообразие географических особенностей Кавказа, придающее ему совершенно исключительный интерес и резко выделяющее

его из числа других, ближайших к нему стран, не дает возможности рассматривать его, как однородное целое и побуждает расчленить его на отдельные части, из которых каждая представляет собою нечто более или менее однородное по своей природе, но резко отличается от других частей Кавказа».[18]

კავკასიაში ერთმანეთისაგან თავისი ბუნებით ძალიან განსხვავებული სამი ნაწილია: **1. კავკასიისწინეთი (ჩრდილოეთ კავკასია), 2. კავკასიონის მთავარი ქედი, 3. სამხრეთი კავკასია.**

1. ***კავკასიისწინეთი (ჩრდილოეთ კავკასიის დაბლობი)*** ესაა ვრცელი დაბლობი სივრცე, რომელსაც უკავია კავკასიის ყელის მთელი ჩრდილოეთი ნაწილი. მას დიდი მსგავსება აქვს მომიჯნავე ჩრდილოეთის დაბლობთან და აღმოსავლეთ ევროპის დაბლობთან, ვიდრე მისგან სამხრეთით მდებარე კავკასიის ქედთან. სამხრეთით, სადაც კავკასიისწინეთის დაბლობი კავკასიის მთავარი ქედის მთისწინეთთან მიდის, ის რამდენადმე მაღლდება; პირიქით, ჩრდილო-დასავლეთით, სადაც ის ეკვრის შავი და აზოვის ზღვების სტეპებს, და ჩრდილო-აღმოსავლეთით, სადაც შეერწყმის კასპიისპირა სტეპებს, დაბლდება და კასპიის ზღვის ზოგიერთ ადგილას ზღვის დონიდან ქვემოთ მდებარეობს. ასე მაგალითად, კასპიის სანაპიროზე მდინარეების კუმისა და თერგის ვრცელი სივრცე ზღვის დონიდან 1,5-დან 24 მეტრამდეა.

ჩრდილოეთ კავკასიისწინეთის შუაში დაბლობის სივრცე მნიშვნელოვნად მაღლდება 800 მეტრამდე. ამ მაღლობს უწოდებენ სტავროპოლის პლატოს. ეს შემაღლება არის მდინარეების ყუბანისა და თერგის აუზების წყალგამყოფი. ის კავკასი-

---

[18] *Ляйстер А. Ф., Чурсин Г. Ф.* География Кавказа: Природа и население. Тифлис, 1924. С. 4. კავკასიის გეოგრაფიის შესახებ საიტერესოა ე. ვეიდენბაუმის ნაშრომი: *Вейденбаум Е. Г.* Путеводитель по Кавказу, составленный по поручению командующего войсками округа: Факсимильное воспроизведение издания 1888 года. М., 2012.

ისწინეთს ორ ნაწილად ყოფს – ა) აღმოსავლეთი კავკასიისწინეთი და ბ) დასავლეთი კავკასიისწინეთი.

ყუბანის ქვემო წელი ჭაობიანაია. დასავლეთი კავკასიისწინეთის ლანდშაფტი შავი ზღვის ჩრდილოეთი სანაპიროს სტეპებს (ნოვოროსიისკის სტეპები) ძალიან წააგავს. აღმოსავლეთი კავკასიისწინეთი თერგი-სუნჯის დაქანებულ დაბლობსა და კუმა-კასპიის დაბლობს უკავია. აქ, თერგისა და სუნჯის გამოკლებით, მდინარეები ზღვამდე ვერ აღწევენ, იკარგებიან ბარის ქვიშნარში, ცალკეულ ჭაობსა და მარილიან ტბაში იყოფიან. თერგის ქვემო წელში, მდინარის წყალუხვობის გამო, ბევრი ჭაობიანი ადგილია. ამ ადგილების გამოკლებით, კუმო-კასპიის დაბლობი თითქმის მთლანად ნახევრადუდაბნოს ხასიათს ატარებს. ის ძალიან მსგავსია მეზობელი ყალმუხეთის სტეპებისა, რომელსაც ის შეუმჩნევლად ერწყმის ჩრდილოეთით, კუმის იქითა მხარეს. კუმო-მანიჩის დაბლობის მლაშობიანი ნაწილები, სწორი, როგორც მაგიდა, თავის უსიცოცხლობით, მნახველს ანცვიფრებს: ადგილებში ის საერთოდ მოკლებულია მცენარეებს და მშრალ ამინდში დაფარულია მოთეთრო მარილის ნადებით. დაბლობის დიდი ნაწილი დაფარულია ბალახის იშვიათი ნაბურცებით. ამ მხარის უწვიმარი ცხელი წელი მთელ მოსახლეობას აიძულებს მდინარესთან დასახლდნენ, სამაგიეროდ ზამთრობით ისინი გადადიან სტეპების სიღრმეში, სადაც ადამიანებისა და საქონელისათვის წყალს ცვლის თოვლი. ხოლო თოვლის ქვეშ მოყოლილი ლელქაში და ბალახი საქონლის საკვებს წარმოაგენს. ეს მხარე ადამიანებს შუა აზიის უდაბნოებს აგონებს. მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთისაკენ, სადაც იწყება თერგ-სუნჯის დაბლობი, აღმოსავლეთ კავკასიისწინეთი თვალს ახარებს მწვანე მინდვრებით და კავკასიის თოვლიანი მთებით. კავკასიონის მთისწინეთი აქაც ტყითაა გარემოცული.[19]

---

[19] *Ляйстер А. Ф., Чурсин Г. Ф.* География Кавказа. С. 4.

2. ***კავკასიონის მთავარი ქედი.*** კავკასიის მთავარი ქედი დიაგონალური მიმართულებით გადაჭიმულია შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე. მისი სიგრძე დაახლოებით 1100 კილომეტრია. ვლადიკავკაზსა და თბილისს შორის სიგანე 60 კილომეტრია, იალბუზის მერიდიანზე – 100 კილომეტრი, დაღესტანში – 135 კილომეტრი. მას დიდი ფართობი უკავია (145 ათასი კვადრატული კილომეტრი). ესაა მთელი კავკასიის ფართობის 28%. **წყალგამყოფი ქედის ცენტრალური ნაწილი ნახარის უღელტეხილიდან ჯვრის უღელტეხილამდე გრძელდება.** ჯვრის უღელტეხილიდან კასპიის ზღვამდე ვრცელდება წყალგამყოფი ქედის აღმოსავლეთი ნაწილი. ევროპისა და აზიის საზღვარზე უწყვეტ კედლად განლაგებული კავკასიის ქედი ყოველთვის წარმოადგენდა, თავისი სიმაღლითა და სისქით, ზღუდეს, რომელიც ყოფდა ამ ორ მხარეს. მასზე გარდამავალი უღელტეხილები მახლობლად არსებულ მწვერვალებზე ძალიან დაბალი არაა. მხოლოდ რამდენიმე გადასასვლელია შედარებით დაბალი – მათზე გადასვლაც მოსახერხებელია. ესენია ჯვრისა და მამისონის უღელტეხილები, რომელთაგანაც პირველი მის ზემოთ აღმართულ მყინვარწვერზე მთელი 2664 მეტრით დაბლა მდებარეობს, მეორე კი – ადაიხოხის ქვემოთ 1822 მეტრით დაბლაა. ამ უღელტეხილებზე გადის უფრო მოხერხებული და მარჯვე გზები: საქართველოს სამხედრო გზა ჯვრის უღელტეხილის (2379 მეტრი) გავლით თბილისიდან ვლადიკავკაზამდე და ოსეთის სამხედრო გზა, რომელიც გაივლის მამისონის უღელტეხილით (2825 მეტრი) ქუთაისიდან ალაგირამდე. ძველად ერთადერთი მოხერხებული გზა სამხრეთ კავკასიიდან ჩრდილოეთ კავკასიაში ეს იყო კავკასიონის ქედის გვერდის ავლით, კასპიის ზღვის სანაპიროზე, დარუბანდის კარის გავლით. კავკასიონის ქედის დანარჩენი თითქმის გაუვალი იყო, რადგან უღელტეხილებზე გადიოდა არა გაყვანილი გზები, არამედ საშინელი მთის ბილიკები, რომლებითაც სარგებლობდნენ მხოლოდ ქედის ორივე მხარეზე მცხოვრებნი. სხვა

გადასავლელებიდან უფრო მეტად მნიშვნელოვანია: **ქლუხორის** (2813 მ.), რომელზედაც გადის სოხუმის სამხედრო გზა სოხუმიდან ბატალფაშინსკამდე და **არხოტის** (2752). მთავარი კავკასიონის ქედის დანარჩენი გადასავლელები მოუხერხებელი და ძნელად მისადგომია. ჯვრის გადასავლელი გამოყოფს თერგის ხეობას არაგვის ხეობისაგან, მამისონის უღელტეხილი – არდონისა და რიონის ხეობებს, ქლუხორის – კოდორისა და თებერდის სათავეებს. უწყვეტი თოვლის საფარი კავკასიონის მთავარ ქედზე მხოლოდ მის ცენტრალურ ნაწილშია – იალბუზიდან მყინვარწვერამდე.[20]

3. *სამხრეთ კავკასია.* სამხრეთ კავკასია კავკასიის მთავარი ქედის სამხრეთით მდებარეობს. ის ჩრდილო-დასავლეთით შედგება მდინარე რიონისა და სხვა მდინარეების ხეობებისაგან, რომლებიც შავ ზღვას ერთვიან და მდინარე მტკვრისა და არაქსის აუზებისაგან და მცირე კავკასიონისაგან სამხრეთით. ბუნებრივია სამხრეთ კავკასიის შემადგენელი ნაწილია ჭოროხის ხეობაც. მთავარი კავკასიონის ქედი მცირე აზიასთან დაკავშირებულია მესხეთის ქედით, რომელიც, ამავე დროს, განაცალკევებს რიონის აუზს მტკვრის აუზისაგან. მცირე კავკასიონი საკმაოდ რთულ მთათა სისტემას წარმოადგენს, რომელიც შედგება მრავალი ქედისა და ზეგანისაგან; ისინი განფენილნი არიან შავი ზღვიდან არაქსის ქვემო დინებამდე. სამხრეთ კავკასიას მეცნიერები თავის მხრივ ორ ნაწილად ყოფენ: ა) აღმოსავლეთ სამხრეთ კავკასია და ბ) დასავლეთ სამხრეთ კავკასია. საერთოდ, **სამხრეთ კავკასიის ზედაპირის ძირითად ფორმას წარმოადგენს მთის ქედები, ზეგნები, დაბლობები და ვაკეები. სამხრეთ კავკასიის ზეგნები გამოირჩევა თავისი სიმაღლით (ზღვის დონიდან საშუალო სიმაღლე 1500 მეტრი) და ჩაკეტილობით,** რაც გამოიხატება იმაში, რომ ყოველი მხრიდან ისინი შემოსაზღვრულია მაღალი მთის ქედებით. სამ-

[20] *Ляйстер А. Ф., Чурсин Г. Ф.* География Кавказа. С. 4.

ხრეთ კავკასიის ამ ზეგნებს ქვაბულის ხასიათი აქვს, სადაც ბევრი ტბაა წარმოქმნილი. სამხრეთ კავკასიის ზეგნები თავისი სიმაღლის გამო გამოირჩევიან მკაცრი და ხანგრძლივი ზამთრით. ზეგნებზე ოდესღაც არსებული ტყეები მოსპობილია და მათი ზედაპირი უტყეოა. **ცალკეული ქედებით სამხრეთ კავკასიის ზეგანი იყოფა რამდენიმე განცალკევებულ ამაღლებულ ქვაბულად და ზეგნად.** მდინარე მტკვრის სათავეებში მდებარეობს **გელის/კოლის ქვაბული,** რომლისაკენაც მიისწრაფის შემოსაზღვრული მთებიდან პატარა მდინარეები, რომლებიც ნელ-ნელა მიხვეულ-მოხვეულ (დაკლაკნილ) კალაპოტებში ექცევიან. გაზაფხულზე კი **თოვლის დნობის დროს ქვაბულის დიდი ნაწილი გადაიქცევა ერთიან ჭაობად.** ასევე **იტბორება წყლით გაზაფხულზე მეზობელი არდაგანის/არტაანის ქვაბული,** რომელიც კოლის ქვაბულის ჩრდილოეთით მდებარეობს. ახალქალაქის ქვაბულში კი ატმოსფერული ნალექები თავს იყრის გამდინარე ტბებში (*ტაბაწყური, თავფარავანი, ხოზაპინი)*. ახალქალაქის ზეგნის სიმაღლე დაახლოებით 1700 მეტრია, მაგრამ მისი სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი 2000 მეტრამდეა. მას ახასიათებს ძალიან მკაცრი კლიმატი. ასევე მაღლაა განლაგებული კოლისა და არტაანიის ქვაბულები. ახალქალაქის ქვაბულის აღმოსავლეთით მდებარეობს **წალკის ზეგანი/თრიალეთი** (საშუალო სიმაღლე 1500 მეტრი), რომელიც ირწყვება ხრამის და მისი შენაკადების ზედა დინებით, აგრეთვე დაფარულია მრავალრიცხოვანი ჭაობებით. წალკის სამხრეთით კი დევს **ლორეს ზეგანი,** უფრო დაბალი, ვიდრე ზემოთ აღნიშნული ზეგნები (1400 მეტრი საშუალო სიმაღლე). ის წარმოადგენს მცირე ბორცვებიან ვაკეს, რომელიც ირწყვება მდინარე კამენკითა და მისი შენაკადებით. მდინარე ყარსის ნაპირებზე მდებარეობს **ყარსის ზეგანი**. ყარსის ზეგნის მნიშვნელოვან ნაწილს აქვს უნაყოფო სტეპური სივრცის სახე. მხოლოდ ყარსის მარცხენა სანაპიროზე არის შედარებით მოსავლიანი სარწყავი მიწები. ამ მიწებს კი ძირითადად ყარსის შე-

ნაკადები რწყავს. ყარსის ზეგნის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდინარე დასავლეთ არაპჩაის ზემო დინებაზე განლაგებულია ვიწრო **შურაგელის ზეგანი,** რომელიც მაღალ ვაკეს წარმოადგენს (1500 მეტრი საშუალო სიმაღლე). ის სამი მხრიდან შემოსაზღვრულია მაღალი მთებით, რომლებიც ზეგნისაკენ ტერასების სახით ეშვებიან. ამ მდინარის ქვემო დინებაზე დასავლეთის ქედის მხარეზე ზეგნებს შორის ყველაზე დაბალი ქვემო არაპჩაის – სამხრეთ კავკასიის მაღალი ვაკე ეკვრის. *ის წარმოადგენს უნაყოფო ქვიან ზეგანს.* **აქ მიმდინარე დასავლეთი არაპჩაი ღრმა და ვიწრო კანიონში დის და ამიტომ სრულიად არ რწყავს ირგვლივ მდებარე ადგილებს.** შემდეგია ვეებერთელა ვულკანური მასივი, რომელსაც უკავია ფართობი, რომლის სიგრძე ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ 58 კილომეტრამდეა და 75 კილომეტრი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. ალაგეზის უმაღლესი მწვერვალია 4095 მეტრი. სამხრეთ კავკასიაში ამ მთის მასივს არარატის შემდეგ მეორე ადგილი უკავია.[21]

ყარაბაღის ზეგანი სამხრეთ კავკასიაში ყველაზე მაღალია, რომელიც შემოსაზღვრულია აღმოსავლეთით ყარაბაღის და დასავლეთით ზანგეზურის ქედებით. ამ ვრცელი ზეგანის სამხრეთ საზღვარს წარმოადგენს მდინარე არაქსი და ჩრდილოეთ საზღვარს – მუროვ-დაღის ქედი. ის არის ვაკე აღმართული ზღვის დონიდან 2500-3000 მეტრზე. ზეგანზე მიმდინარე მდინარეები რწყავენ მას და ისინი ერთი მხრივ მიემართებიან მტკვრის ხეობაში და მეორე მხრივ – არაქსის ხეობაში. ლამაზი მდელოებით დაფარულია ყარაბაღის ზეგანი. აქ მნიშვნელოვანი სიმაღლის გამო საკმაოდ ცივი კლიმატია უხვი თოვლითა და ხშირი წვიმებით.

გოქჩის ზეგანი ყარაბაღისა და მისგან გამოცალკევებული სამხრეთ-გოქჩის ქედების ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს.

---

[21] *Ляйстер А. Ф., Чурсин Г. Ф.* География Кавказа. С. 4.

მას აქვს ვეებერთელა სამკუთხედის სახე და შემოსაზღვრულია აგმაგანის, შაჰდაღის და სამხრეთ-გოქჩის ქედებით. მისი დიდი ნაწილი უკავია ვრცელ ქვაბულს, რომელშიც მდებარეობს მთელ კავკასიაში ყველაზე დიდი გოქჩის (სევანის) ტბა. ტბა ზღვის დონიდან 1925 მეტრზეა. ტბას მრავალრიცხოვანი ღელეები და მდინარეები კვებავს.

სამხრეთ კავკასიის სტეპური ზეგანი სიგრძით 295 კილომეტრს აღემატება და სიგანე კი 20-65 კილომეტრს შორის მერყეობს. ის გადაჭიმულია მდინარე მტკვრის შუა დინებასა და კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთი კალთის აღმოსავლეთ მონაკვეთის ძირს შორის. სტეპური ზეგანი ზღვის დონიდან 700 მეტრზეა. მის განაპირას მაღლდება გორაკ-ბორცვიანი სერები. მხოლოდ მცირე ნაწილი ირწყვება მდინარით. ალაზნის ქვემო დინების სტეპური ზეგანი თითქმის დაუსახლებელი იყო. იყოფა დასავლეთით იორის ზეგნად და აღმოსავლეთით – შექის ზეგნად. იორის ზეგანზეა შირაქის სტეპი (იორისა და მტკვარს შორის სივრცეში), გარეჯის მრავალმთიანეთი და სხვ. იორის ზეგანი უწყლოა და მხოლოდ გაზაფხულზე თოვლის დნობის დროს იფარება ბალახით და ასევე ნაყოფიერია შემოდგომის წვიმების დროს. ზაფხულში კი უნაყოფოა სიცხეების გამო. დაუსახლებელი იორის ზეგანი შემოდგომასა და გაზაფხულზე იცვლის თავის სახეს; ეს ადგილები მთლიანად ცხვრის ფარებს ჰქონდათ ათვისებული. უწყლობის გამო განსაკუთრებით უნაყოფოა იორის სამხრეთი ნაწილი.

შექის ზეგანი ერთგვაროვანი ამაღლებული ვაკეა. მხოლოდ მის განაპირა ჩრდილოეთითა და სამხრეთით გასდევს ორი არცთუ მაღალი ქედი. შექის ზეგნის დასავლეთი ნაწილი უწყლო და უნაყოფოა. აღმოსავლეთი ნაწილი კი ირწყვება მრავალრიცხოვანი პატარა მდინარეებით, რომლებიც კავკასიონის მთავარ ქედს გამოედინება.

სამხრეთ კავკასიის დაბლობები. მცირე კავკასიონის მთიანი სისტემა კავკასიონის მთავარ ქედს მხოლოდ ერთი ად-

გილით – მესხეთის ქედით უკავშირდება. დანარჩენ განფენილობაში ისინი განცალკევებლი არიან დაბლობებით. სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთ ნახევარში დაბლობები წარმოქმნილია არა მხოლოდ მდინარეების – მტკვრისა და არაქსისა და მათი შენაკადების მონატანით, არამედ კასპიის ზღვის სანაპიროს უკან დახევით. ვრცელი დაბლობი, რომელსაც უჭირავს კასპიის ზღვის სანაპირო და მტკვრის შუა და ქვემო დინების და არაქსის ქვემო დინების ხეობები, **კასპიისპირეთის დაბლობის** სახელწოდებას ატრებს. მას სამხრეთიდან აკრავს ვიწრო და დაბალი სანაპირო ზოლი, რომელიც ძევს თალიშის მთების ძირში და ცნობილია **თალიშის** ანუ **ლენქორანის** დაბლობის სახელწოდებით.[22]

სამხრეთ კავკასიის დასავლეთი ნახევარი, რომელიც აკრავს შავ ზღვას ცნობილია ***შავი ზღვის დაბლობის*** *სახელწოდებით.* ამ დაბლობის წარმოქმნაში შავი ზღვის უკან დახევამ მნიშვნელოვანი როლი არ შეასრულა; ის სანაპირო ზოლში ძირითადად წარმოიქმნა მდინარეათა მიერ შლამის ჩამონატანის შედეგად. შავი ზღვის ანუ კოლხეთის დაბლობი განფენილია მდინარეების რიონისა და ყვირილას ხეობებში; ის თითქმის მესხეთის ქედამდე გრძელდება, შავი ზღვის პირზე კი ქალაქებს ბათუმსა და სოხუმს შორის. მისი სიგრძე 160, ხოლო სიგანე 60 კილომეტრია. კოლხეთის დაბლობი მოთავსებულია კავკასიონის მთავარი ქედის დასავლეთ ნაწილსა და მცირე კავკასიონის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილის მთათა სისტემას შორის. კოლხეთის დიდი ნაწილი ჭაობს უჭირავს. კოლხეთის დაბლობი რამდენიმე ნაწილად იყოფა. მათი გამმიჯვნელი კი შავ ზღვაში ჩამდინარე მდინარეებია. ყველაზე ჩრდილოეთითაა აფხაზეთის დაბლობი – მისი სამხრეთი საზღვარი მდინარე ღალიძგაა, რომელიც ოჩამჩირესთან ჩაედინება შავ ზღვაში. ღალიძგიდან ენგურამდეა სამურზაყანოს დაბლობი.

---

[22] *Ляйстер А. Ф., Чурсин Г. Ф.* География Кавказа. С. 4.

მისგან სამხრეთით მდინარე სუფსამდე სამეგრელოს დაბლობია; აღმოსავლეთით კი ცხენისწყლის აქეთ იმერეთის ანუ რიონის დაბლობია. დასასრულს, სუფსის სამხრეთით მდინარე კინტრიშამდე, რომელიც ზღვაში ქობულეთში ჩაედინება, გურიის დაბლობია. ამ დაბლობებიდან ყველაზე ჯანმრთელი კლიმატი და მშრალი ნიადაგი არის მჭიდროდ დასახლებულ რიონის დაბლობზე, აგრეთვე აფხაზეთში.[23]

კასპიისპირეთის დაბლობი მდებარეობს მტკვრის შუა და ქვემო დინებასა და არაქსის ქვემო დინებას შორის მოქცეულ ვრცელ ფართობზე. მისი სიგრძე აქსტაფიდან კასპიის ზღვამდე 370 კილომეტრია და სიგანე მთავარი კავკასიონის ქედიდან სალავათის ქედამდე დაახლოებით 150 კილომეტრი. კასპიისპირეთის დაბლობი ზღვის დონიდან 50-75 მეტრზეა, მაგრამ ზოგიერთ ადგილას ზღვის დონიდან დაბლაა. კასპიისპირეთის დაბლობის დიდი ნაწილი უწყლო მარილიანი ვაკეა, მაგრამ ბევრ ადგილას ნახევრადუდაბნოს ხასიათი აქვს. კასპიისპირეთის დაბლობზე მოსახლეობა თავმოყრილია მხოლოდ მდინარეების გაყოლებით, დანარჩენი სივრცე კი, განსაკუთრებით ზაფხულში, წარმოადგენს უწყლო და უნაყოფო უდაბნო ვაკეს. ის ცოცხლდება მხოლოდ შემოდგომით, როდესაც აქ მეზობელი მთებიდან მომთაბარეები ჩამოდიან თავიანთი ფარებით. კასპიისპირეთის დაბლობი მტკვრისა და არაქსის დინებით სამ ნაწილადაა გაყოფილი: ***შირვანის სტეპი*** – მტკვრის ჩრდილოეთით, ***ყარაბაღის ანუ მილის სტეპი*** – მტკვარსა და არაქსს შორის და ***მუღანის სტეპი*** – არაქსის სამხრეთით მტკვრის ქვემო დინაბამდე. ყველაზე დიდი მუღანის სტეპია, რომელიც ირანის ტერიტორიაზეც ვრცელდება. ის უნაყოფო და უწყლოა – ნიადაგი მარილიანია.

ლენქორანის დაბლობი მუღანის სტეპის სამხრეთით – თალიშის მთასა და კასპიის ზღვას შორის მდებარეობს.

---

[23] *Ляйстер А. Ф., Чурсин Г. Ф.* География Кавказа. С. 4.

სამხრეთ კავკასიის ვაკეები. დაბლობების გვერდით სამხრეთ კავკასიაში ვაკეებიც გვაქვს, რომლებსაც შედარებით უმნიშვნელო ფართობი უკავიათ. ისინი შეიძლება დავყოთ დაქანებულ/დახრილ ვაკეებად და მაღალ ვაკეებად. პირველს მიეკუთვნება ***კახეთისა*** და ***სამეგრელოს*** ვაკეები. მეორეს – ***გორის, მუხრანის*** და ***ერევნის ვაკეები,*** რომლებიც ყოველი მხრიდან მთებითაა ჩაკეტილი. **კახეთის ვაკე** წარმოადგენს დაბლობს, რომელიც დახრილია სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, ე. ი. მდინარე ალაზნის დინების მიმართულებით და ჩრდილოეთ ნაწილში ზღვის დონიდან 450 მეტრზეა სამხრეთით 200 მეტრზე. მისი სიგრძე 160 კილომეტრია და სიგანე 15-დან 40 კილომეტრამდე. აქ ნიადაგი შავია და მსუბუქი. ეს და საკმარისად ტენიანი კლიმატი ალაზანის ხეობას ფრიად მოსავლიანს ქმნის. ვაკის მარცხენა მხარეზე ბევრია ხშირი ტყეები. მარჯვენა მხარეზე კი ტყე შედარებით ნაკლებადაა და ის თითქმის დაფარულია მინდვრებით, ვენახებითა და ბაღებით. ***სამეგრელოს ვაკე*** მდებარეობს სამეგრელოს დაბლობის აღმოსავლეთით, მდინარე ხობის ხეობაში. ***გორის (შიდა ქართლის) ვაკე*** შემოსაზღვრულია ყველა მხრიდნ ტყიანი ქედის განტოტებებით. ესენია მესხეთის, მთავარი კავკასიონის და თრიალეთის ქედები. ვაკეს აქვს სამკუთხედის ფორმა. ზღვის დონიდან მდებარეობს 750 მეტრზე. მიუხედავად იმისა, რომ ის სხვა ვაკეებისაგან განსხვავებით ზღვის დონიდან შედარებით მაღლაა, ხასიათდება რბილი და ჯანმრთელი კლიმატით და ფრიად გამოსადეგია მებაღეობისა და მევენახეოისათვის. ***მუხრანის ვაკე*** გორის ვაკის ფაქტობრივი გაგრძელებაა და მდინარე მტკვრის მარცხენა მხარეს და გორიდან აღმოსავლეთით მდებარეობს. ეს ვაკეც შემოსაზღვრულია მთებით. ვაკე წარმოქმნილია მდინარეების ქსნისა და არაგვის ჩამონატანებით. მისი საშუალო სიმაღლე 560 მეტრია. ახასიათებს რბილი და ჯანმრთელი კლიმატი და ნაყოფიერი ნიადაგი. მუხრანის ვაკის უშუალო გაგრძელებაა *საგურამოს ველი,* რომელიც მუხრანის

ვაკისაგან მდინარე არაგვით გამოიყოფა. ის თითქმის თბილისამდე გრძელდება.

ერევნის ვაკე მდებარეობს არაქსის შუა დინებაზე და ამიტომაც ხშირად *არაქსისპირა ვაკედაც* იწოდება. ის ყოველი მხრიდან შემოასზვრულია მაღალი მთებით (აღმოსავლეთით ყარსის ზეგანით, ალაგეზის და არარატის მასივებით და აგრიდაგისა და აგმანღანის ქედების ფერდობებით). ზღვის დონიდან საშუალოდ 900 მეტრზეა. **არაქსი აქ ნელა მიდის დაბალ ნაპირებს შორის.** ერევნის ვაკე არაქსთან გოქჩის (სევანის) ტბიდან გამომავალი მდინარე *ზანგის* შეერთების ადგილიდან ძლიერ ვიწროვდება და სამხრეთ-აღმოსავლეთი მიმართულებით აღწევს ქალაქ ნახჭევანამდე. ერევნის ვაკეზე მშრალი კლიმატია შედარებით ცივი ზამთრითა და ძალიან ცხელი ზაფხულით. ბევრ ადგილას ის ატარებს უნაყოფო ქვიანი უდაბნოს ხასიათს. სხვა ადგილებში ის ირწყვება მრავალრიცხოვანი არხებით და დაფარული იყო ბამბის, ბრინჯის მინდვრებითა და ვენახებით.[24]

კავკასიის კლიმატი.

კავკასიის კლიმატური პირობების მრავალფეროვნება. მიუხედავად კავკასიის შედარებით უმნიშვნელო სივრცისა, **კავკასია გამოირჩევა კლიმატური პირობების მრავალფროვნებით**. ეს აიხსნება, ერთი მხრივ, კავკასიის ყელის შუალედური მდგომარეობით. მისი ჩრდილოეთი და სამხრეთი ნაწილები ამ მხრივ მკვეთრად განსხვვდება ერთმანეთისაგან კლიმატით, და ამ თვალსაზრისით არსებითი მნიშვნელობა აქვს მისი ზედაპირის მრავალგვარობას. მართლაც, დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან კავკასიას მთელ საზღვარზე ზღვების სივრცე აკრავს, მათგან ჩრდილოეთით და სამხრეთით განთავსებულია ფართო სტეპური სივცეები და მაღალი მშრალი ზეგნები. ზღვების სიახლოვე, ქვიშიანი და ქვიანი სტეპები და ზეგნები

---

[24] *Ляйстер А. Ф., Чурсин Г. Ф.* География Кавказа. С. 4.

მკვეთრად განსხვავდება თავისი კლიმატით და **ქმნის კლიმატური პირობების მკვეთრ დაპირისპირებას კავკასიის სხვადასხვა ნაწილში. ეს საპირისპირო მდგომარეობა უფრო ძლიერდება მთების მწკრივებით, რომლებიც კავკასიის ყელს კვეთენ სხვადასხვა მიმართულებით და განაპირობებს კლიმატის დამოუკიდებელი ფორმების არსებობას მათგან დაცულ და მაღლა განლაგებულ ადგილებში**[25].

ზღვის გავლენა მთელ კავკასიაზე არ ვრცელდება. შავი ზღვის გავლენა აქ სიღრმეში სუსტია, ვიდრე სანაპიროზე, ზოგან კი საერთოდ შეუმჩნეველია. ზღვის გავლენას ხელს უშლის აგრეთვე მთის ქედები და მათი განტოტებანი და მაღალი ზეგნები. სანაპირო ზოლში მოდის დიდი რაოდენობით ნალექი. ჰაერი ყოველთვის ტენიანია, ზამთარი თბილია, ტემპერატურის ცვლილება ძალიან შესამჩნევი არაა. აქ ქრის თბილი ჰაერის მასები, რაც იწვევს კლიმატის სირბილეს კავკასიის ამ ნაწილში. ისინი ამცირებენ ზამთრისა და ზაფხულის ტემპერატურათა სხვაობას, პირველი უფრო თბილი ხდება, მეორე უფრო გრილი. კასპიის ზღვა კი კლიმატზე ნაკლებ გავლენას ახდენს. ის ვერ არბილებს ჩრდილო-აღმოსავლეთისა და აღმოსავლეთის მატერიკულ ქარებს, ცხელ ზაფხულსა და ცივ ზამთარზე, რომლებიც შუა აზიის უდაბნოსა და კავკასიის ყელის მშრალი სტეპებიდან მოაქვთ. ამ ქარებს მოაქვთ კავკასიის ნაპირებზე უმნიშვნელო რაოდენობით ტენიც, რის შედეგადაც ზაფხული უფრო ცხელია და ზამთარი უფრო ცივი, ვიდრე შავი ზღვის ნაპირებზე.

სტეპებისა და ზეგნების გავლენა. სტეპებიდან და ზეგნებიდან მომდინარე ქარებს, რომლებიც მშრალია არა მხოლოდ არ მოაქვთ ტენი, არამედ იწოვენ ადგილობრივ ტენს, რაც გამოიყოფა მდინარეებიდან, ტბებიდან და ჭაობებიდან აორთქლების შედეგად და მიაქვთ ის შორს ზღვაში. **ამიტომ ნალექების**

---

[25]*Ляйстер А. Ф., Чурсин Г. Ф.* География Кавказа. С. 4.

რაოდენობა ასეთ ოლქებში უმნიშვნელოა და მრავალი თვე წვიმის გარეშე გადის. ასე რომ, კავკასიის იმ ნაწილებში, რომლებიც ესაზღვრება ვრცელ სტეპურ სივრცეებს (როგორც კავკასიისწინეთის დაბლობში), ანდა მშრალ ზეგნებთან (როგორც სამხრეთ კავკასიის დაბლობსა და ზეგანზე), საერთო პირობები ქმნის კონტინენტალური კლიმატის პირობებს, ე. ი. მშრალ კლიმატს ატმოსფერული ნალექების უმნიშვნელო რაოდენობით და ზამთრისა და ზაფხულის ტემპერატურათა დიდი სხვაობით.

მთის ქედების გავლენა. ფრიად მნიშვნელოვანია კავკასიის კლიმატის სხვადასხვა ნაწილზე მთიანი ქედების გავლენა, რომლებიც კავკასიის ყელს სხვადასხვა მიმართულებით კვეთენ. ისინი აკავებენ სიცივისა და სითბოს ტალღებს, აგრეთვე მშრალ და ტენიან ქარებს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კავკასიონის მთავარ ქედს. ჩრდილოეთ კავკასიაში ზამთარში ჩრდილო-აღმოსავლეთის ცივი ქარები ქრის; სამხრეთს დიდი ქედი ამ ქარებისაგან იცავს. კლიმატზე არანაკლებ გავლენას ახდენს საპირისპირო და მეორეხარისხოვანი ქედები, რომლებიც კავკასიონის მთავარ ქედზე არიან მიბჯენილნი: ჩრდილოეთში – კავკასიისწინეთის შემაღლება, და სამხრეთში – მესხეთის მთები და არსიანის ქედი. ისინი ყოფენ კავკასიის ყელს ორ ნაწილად – დასავლეთად და აღმოსავლეთად.

სიმაღლეების გავლენა. ვერტიკალური მიმართულებით კავკასია ზღვის დონიდან დაბლა 24 მეტრიდან 5600 მეტრამდე მდებარეობს. კავკასიის სხვადასხვა ადგილების ასეთი სხვადასხვაობა დიდ გავლენას ახდენს კლიმატზე.

ნალექების გადანაწილება კავკასიაში. კავკასიისათვის ატმოსფერული ტენის ძირითადი წყარო შავი ზღვაა. მაგრამ კავკასიის მთავარი ქედი და ჩრდილოეთში კავკასიისწინეთის შემაღლება, სამხრეთში კი მესხეთისა და არსიანის ქედები ხელს უშლიან შავი ზღვიდან მომდინარე ნალექების გავრცელებას

ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის მიმართულებით. ამიტომ ნალექების ძირითადი მასა კავკასიის დასავლეთ ნაწილში მოდის.

კლიმატის გავლენა კავკასიის მცენარეებზე. კლიმატი დიდ გავლენას ახდენს ნიადაგებსა და, განსაკუთრებით მცენარეებზე. ამიტომაცაა რომ მცენარეებს „კლიმატის სარკესაც“ უწოდებენ. კავკასიაში კლიმატის ორ ძირითად ჯგუფს გამოყოფენ: ა) კონტინენტური კლიმატები და ბ) მთის კლიმატები, რომლებიც ორ მეორეხარისხოვან კლასად იყოფა: ა) სტეპების კლიმატი და ბ) ტყის კლიმატი. მთის კლიმატების ჯგუფს კიდევ ემატება მესამე კლასი: გ) მუდმივი თოვლის კლიმატი.

კავკასიის სტეპური კონტინენტალური კლიმატები

კავკასიის სტეპურ კონტინენტურ კლიმატს ორ სხვადასხვა ნაწილად ყოფენ; ესენია: 1) კავკასიისწინეთის სტეპები და 2) აღმოსავლეთ სამხრეთ კავკასიის სტეპები. კავკასიისწინეთის სტეპებს უკავია კავკასიისწინეთის მთელი ვაკე სივრცე, რომელიც სამხრეთიდან უახლოვდება თვით კავკასიის მთავარ ქედს და კლიმატური თვალსაზრისით ორ ნახევრად იყოფა: ა) დასავლეთ კავკასიისწინათის სტეპები და ბ) აღმოსავლეთ კავკასიისწინეთის სტეპები. **დასავლეთ კავკასიისწინეთის სტეპებს** უკავია მდინარე ყუბანის აუზი. აქ იცის ცხელი ზაფხული (საშუალო ტემპერატურა ივლისში +22), ზამთარი კი ზომიერად ცივია (იანვრის საშუალო ტემპერატურა -4/5), რაც აიხსნება შავი ზღვის რბილი გავლენით. კავკასიის დაბლობის სტეპებიდან ყუბანის სტეპები ყველაზე მდიდარია ნალექით (450-700 მმ. ნალექი წელიწადში). მცენარეულობა აქ ყველგან სტეპურია და მხოლოდ მდინარეთა ხეობებში გვხვდება ვიწრო ზოლად ტყეები. მთავარი მცენარეებია მარცვლეული და სტეპების ბალახები. კლიმატური თვალსაზრისით დასავლეთ კავკასიისწინეთის სტეპებთან ახლოსაა ახალქალაქის ზეგანი და ლორეს სტეპი. **აღმოსავლეთ კავკასიისწინეთის სტეპები** მდებარეობს ყუბანის სტეპების აღმოსავლეთით და კლი-

მატით გვაგონებს უფრო მშრალ არალო-კასპიის სტეპებს (ყალმუხეთის, ყირგიზეთის, არალისპირეთის). ზაფხული აქ ცხელია (ივლისის საშულო ტემპრეატურა +24-ზე მეტია), ზამთარი ზომიერად ცივი (-4-6). ყუბანის სტეპებზე ბევრად ნაკლები ნალექი მოდის (200-450 მმ. წელიწადში). გვალვა აქ ძალიან ხანგრძლივია (6 თვემდე და 12 თვემდეც კი ჩრდილო-აღმოსავლეთით). ქრის მშრალი აღმოსავლეთის ქარები. მცენარეები, მშრალი ბალახები, აბზინდა და სხვ. სტავროპოლ-თერგის სტეპებში ხეშეშია. მხოლოდ გაზაფხულზე სტეპი ირთვება პატარა ყვავილოვანი მცენარეებით. მსგავსი კლიმატი დაახლოებით ისეთივე საშუალო წლიური ტემპერატურით, მაგრამ უფრო ცხელი ზაფხულით და უფრო ცივი ზამთრით და არაჩვეულებრივად მშრალი ჰაერით სამხრეთ კავკასიაში ერევნის ვაკეზეა, რომელიც ირგვლივ მთებითაა შემოსაზღვრული. **ერევნის ვაკე ძალიან წააგავს შუა აზიის კლიმატური უდაბნოებს არა მხოლოდ კლიმატით, არამედ მცენარეულითაც.** სტავროპოლ-თერგის სტეპების კლიმატის მსგავსია სამხრეთ კავკასიაში მდ. იორის სტეპური ზეგანი ალაზანსა და მტკვარს შორის. მაგრამ აქ ზღვის დონე უფრო მაღალია და ნალექები მეტი მოდის (300-500 მმ. წელიწადში) და ტემპერატურის ცვლილება არც თუ ისე დიდია, როგორც სტავროპოლ-თერგის სტეპებში, მით უმეტეს არარატის ვაკეზე.

აღმოსავლეთ სამხრეთ კავკასიის სტეპები. ესაა თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიის დიდი ნაწილი და მოიცავს მულანის, შირვანის და ყარაბაღის სტეპებს (საშუალო წლიური ტემპრეატურა +12-15), ზაფხული ცხელია და ზამთარი შედარებით რბილი (იანვრის საშუალო ტემპრეატურა +1). თოვლი მხოლოდ დროის მცირე მონაკვეთში მოდის. მთავარი კავკასიონის ქედი აღმოსავლეთ სამხრეთ კავკასიის სტეპებს იცავს სიცივისაგან. საშუალო წლიური ნალექები აქ ძალიან ცოტაა (185-300 მმ.), თანაც ძირითადად ის მოდის ზამთარსა და შემოდგომაზე, და მცირედ – ზაფხულში. გვალვა აქ საკმა-

ოდ ხანგრძლივია: 4–9 თვე. ამ სტეპების დიდ ნაწილს ახასიათებს უდაბნოს ღარიბი მცენარეები და ბალახი. უფრო მდიდარი მცენარეულობა გვხვდება მტკვრისა და არაქსის ნაპირებზე და მათ შენკადებზე, სადაც ვიწრო ტყის ზოლებიცაა. ზოგიერთ ადგილას ხელოვნურ რწყვასაც იყენებენ. აღმოსავლეთ სამხრეთ კავკასიის კლიმატს მცირე აზიის მშრალ სუბტროპიკულ კლიმატებს ადარებენ

კავკასიის სტეპური მთის კლიმატებს ორ ნაწილად ყოფენ: 1. სამხრეთ კავკასიის ზეგნის სტეპები და 2. კავკასიის ალპიური მდელოები. ***სამხრეთ კავკასიის ზეგნის სტეპებ***ის კლიმატი უფრო კონტინენტურია და ამასთანავე ცივი. სამხრეთ კავკასიის ზეგნის საშუალო წლიური ტემპერატურა სულ 2–7 გრადუსია. ზაფხული აქ შედარებით თბილია (ივლისის თვის საშუალო ტემპერატურა 16–19 გრადუსია), მაგრამ ზამთარი მკაცრია (იანვრის საშუალო ტემპერატურე 10–17 გრაგუსი ყინვაა). დეკემბრიდან მარტამდე ტემპერატურა იშვიათად ჩამოდის –30-ზე დაბლა, იანვარსა და თებერვალში კი -40 გრადუსიც ბევრჯერ ფიქსირდება. ტემპერატურის მერყეობა აქ ყველაზე დიდია მთელ კავკასიაში. მაგრამ ატმოსფერული ნალექების რაოდენობა, სამხრეთ კავკასიის ზეგნის მაღალი მდგომარეობის გამო, აქ საკმაოდ მნიშვნელოვანია (300-700 მმ.) წელიწადში, თანაც ჩრდილოეთ ნახევარში ის მეტია (500-700 მმ, რომლებიც მთებითაა შემორტყმული), მის სამხრეთ ნახევარში კი უფრო მშრალი (300-500 მმ.). ნალექების ყველაზე დიდი რაოდენობა მოდის გაზაფხულსა და ზაფხულში. **სამხრეთ კავკასიის ზეგანი განთქმულია თავისი ნაყოფიერებით მიიჩნევა სამხრეთ კავკასიის ბეღელად.** ზეგნის ჩრდილოეთის ბარაქიანი სარწყავი ნაწილი ზეაწეულ ვაკეებსა და ქვაბულებშია და გაზაფხულობით თოვლის დნობისა და ძლიერი წვიმებისას, ის იქცევა ერთიან ჭაობად და ტბად. ასეთებია კოლის (გელის) და არდაჰანის (არტაანის) ქვაბულები, ახალქალაქის ზეგანი და ლორეს სტეპი.

კავკასიის ალპიური მდელოები. ზღვის დონიდან მნიშვნელოვან სიმაღლეზე (2000-დან 3500 მეტრამდე), როგორც კავკასიის მთავარი ქედის ორივე მხარეზე, ასევე სამხრეთ კავკასიის მთის ქედების ფერდობებზე, აგრეთვე სამხრეთ კავკასიის ყველაზე მაღალ ზეგნებზე (მაგალითად, ყარაბაღის ზეგანზე) გაშლილია მაღალმთიანი საუცხოო (ე. წ. ალპიური) მდელოები, რომელიც შედგება მაღალი ბალახებისა და მარცვლეულისაგან. მხოლოდ ალპიური მდელოების ქვედა ზოლშია ტყის ზოლები კარლიკური ხეებით. ალპიური მდელოების ზემო საზღვარი ეხება მუდმივი თოვლის ზოლს. მთავარი კავკასიონის ქედის დასავლეთ მონაკვეთის სამხრეთ კავკასიაში ნალექები წელიწადში 800-1500 მმ-ია, ხოლო აღმოსავლეთ ნახევარში (მთა ბორბალოს აღმოსავლეთით) და მცირე კავკასიის ალპიურ ოლქებში შედარებით ნაკლები ნალექი მოდის (500-800 მმ. წელიწადში). გვალვა აქ ფაქტობრივად არაა. მხოლოდ ზამთარში შეიძლება დადგეს გვალვა. ჩვეულებრივ ზამთარში მოდის დიდი თოვლი, რომელიც ძალიან დიდხანს დევს – ზოგჯერ ივნისის შუა ხანამდე, რაც ნიადაგს ძალიან ატენიანებს.

კავკასიის ტყიანი კლიმატები. ტყის კლიმატი ძირითადად ახასიათებს შავი ზღვისა და ლენქორანის დაბლობებს, შემდეგ მთავარი კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთების ხეობებს (ალაზანის, მუხრანის, გორის), აგრეთვე მთავარი კავკასიონის ქედის საშუალო მთიანი ზოლის ვეებერთელა ფართობს (გვერდითი ქედები, კავკასიისწინეთის შემაღლება, სამხრეთი გვერდითი ქედები) და სამხრეთ კავკასიის მთიანი ქედებს, რომლებიც იწყება 300-450 მეტრზე ჩრდილოეთით და შემდეგ 600-900 მეტრიდან 1800-2000 მეტრამდე. ასე რომ, ტყიანი კლიმატი ბატონობს კავკასიის ვრცელ ფართობზე. შავიზღვისპირეთში და ლენქორანის დაბლობში მას აქვს თბილი სუბტროპიკული ხასიათი. მთავარი კავკასიონის ქედის და სამხრეთ კავკასიის ტყეების ზოლის კლიმატი დასავლეთ-ევროპული ზომი-

ერი-ცივი კლიმატის ანალოგიურია. ტენიანი სუბტროპიკული კლიმატია დასავლეთ სამხრეთ კავკასიის ზღვისპირეთში, დაახლოებით ტუაფსემდე – გურიაში, სამეგრელოში, ქვემო აჭარაში. აქაა რბილი ზამთარი (იანვარში 2/3–6 გრადუსი) და საკმაოდ ცხელი ზაფხულით (ივლისის საშუალო ტემპერატურა 23-25 გრადუსი). ამრიგად, ტემპერატურის ცვლილება აქ უმნიშვნელოა. საშუალო წლიური ტემპერატურაა 13-15 გრადუსი. შემოდგომა აქ ძალიან თბილია. ნალექების წლიური ჯამი 1200-2500 მმ.-ია. დასავლეთ სამხრეთ კავკასიის სუბტროპიკული კლიმატი გვაგონებს სამხრეთ იაპონიის, სამხრეთ ჩინეთის, განგის შუა წელის, ლუიზიანის და აზიისა და ამერიკის სხვა სუბტროპიკული ადგილების კლიმატებს. მცენარეულიც შესაბამისია. აქ მოყავთ ძვირფასი სუბტროპიკული კულტურები.[26]

ზმელთაშუაზღვისპირეთის სუბტროპიკული კლიმატი. დამახასიათებელია ტენიანი ზამთარი და ზაფხულში წვიმის სიღარიბე. ეს კლიმატი გვხვდება შავი ზღვის ჩრდილო-დასავლეთ მონაკვეთში (ტუაფსედან ნოვოროსიისკამდე), უფრო აღმოსავლეთით ზღვიდან მოშორებით შავი ზღვის დაბლობზე (იმერეთი), აგრეთვე მდინარე ჭოროხის შუა დინებაზე, ლენქორანის დაბლობში, აგრეთვე კასპიის ზღვის ვიწრო ზოლში კავკასიონის მთავარი ქედის აღმოსავლეთ დაბოლოებაზე. ტემპერატურული პირობებით ეს ადგილები მსგავსია ნალექიანი სუბტროპიკული კლიმატების ოლქებისა. საშუალო წლიური ტემპერატურა 12-დან 15 გრადუსამდე მერყეობს. ზაფხული ცხელია (ივლისის საშუალო ტემპერატურა +24), ზამთარი უფრო სამხრეთით (იმერეთი, ლენქორანი) რბილია, მაგარამ უფრო ჩრდილოეთ ნაწილებში (ნოვოროსიისკის მხარე) მნიშვნელოვნად მკაცრი, რადგან ეს ადგილები ჩრდილოეთის ცივი ქარებისათვის ღიაა. ატმოსფერული ნალექების რაოდენობა აქ

---

[26] *Ляйстер А. Ф., Чурсин Г. Ф.* География Кавказа. С. 4.

რანდენადმე ნაკლებია (700-1200 მმ. წელიწადში). ხმელთაშუაზღვის სუბტროპიკული კლიმატის არსებითი განსხვავება ტენიანი სუბტროპიკების კლიმატისაგან გვალვიანი წელიწადია. ყველაზე მკაფიოდ ეს ლენქორანისათვის არის დამახასიათებელი, სადაც გვალვა გრძელდება ზაფხულის სამივე თვის განმავლობაში. საერთოდ ხმელთაშუაზღვისპირეთის სუპტროპიკული კლიმატი მსგავსია ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს კლიმატისა (ბალკანეთის ნახევარკუნძული, სირია, ნაწილობრივ იტალია და ესპანეთი).

მაისის კლიმატი. ესაა სუბტროპიკული კლიმატის ე. წ. განსაკუთრბული ნაირსახეობა, რომელიც გავრცელებულია კავკასიაში ზღვიდან ყველაზე დაშორებით, აგრეთვე მთავარი კავკასიონის ქედის სამხრეთ ფერდობებზე (გორის, მუხრანის და ალაზნის ვაკეებზე) და იტალიის ალპების სამხრეთ ფერდობების კლიმატს გვაგონებს (პიემონტი, ლომბარდი). ხმელთაშუაზღვისპირეთის სუპტროპიკული კლიმატისაგან მაისის კლიმატი განსხვავდება იმით, რომ ნალექები აქ მოდის ძირითადად გაზაფხულზე, შემდეგ კი შემოდგომაზე. ზაფხული და ზამთარი აქ გვალვიანია. გამორჩეულია ალაზნის ველის კლიმატი – მისთვის დამახასიათებელია 1000 მმ. ნალექი წელიწადში, ნაყოფიერებით და ნაყოფის მაღალი ხარისხით.

დასავლეთ-ევროპული ტიპის ზომიერი ცივი კლიმატი განვითარებულია კავკასიაში ყველგან ტყეების ოლქებში, რომლებიც იზრდება მთავარი კავკასიონის ქედის ფერდობებზე და სამხრეთ კავკასიის ქედებზე. ესაა ზღვის დონიდან 300-600 მეტრი სიმაღლიდან 1800-2000 მეტრ სიმაღლემდე.

ცივი კლიმატი. საშუალო წლიური ტემპერატურა +3-+4 გრადუსია. ზამთარი მკაცრი და ხანგრძლივია, ზაფხული მოკლე. ამ კლიმატის ოლქს უჭირავს შედარებით ვიწრო ზოლი მთის ქედების ფერდობებზე 2000-2100 მეტრ სიმაღლეზე. სამხრეთ კავკასიაში და, განსაკუთრებით, მთავარი კავკასიონის ქედის აღმოსავლეთში ეს საზღვარი უფრო მაღლაა, ვიდრე

დასავლეთ ნაწილში. ასე მაგალითად, **ნათესები აქ ზღვის დონიდან 2100 მეტრზე მაღლაა, 2500 მეტრამდე. აქვე მდებარეობდა კავკასიაში ადამიანთა ყველაზე მაღალი დასახლება – დაღესტნის აული ყურუში (2492 მეტრზე).**

პოლარული კლიმატი. მთის ფერდობების უფრო მაღალი ზოლი (2000-2700) ალპიურ მდელოებს უკავია, რომელსაც ახასიათებს თავისებური მაღალმთიანი კლიმატი. უფრო მაღლა მთებში მუდმივი თოვლის ოლქი იწყება. ყველაზე მაღალია იალბუზი, მყინვარწვერი, არარატი და სხვ. აქ გაბატონებულია პოლარული კლიმატი ანუ მუდმივი თოვლის კლიმატი, რომელსაც ახასიათებს უკიდურესად დაბალი ტემპერატურა (ივლისის თვის საშუალო ტემპერატურე 0 გრადუსია). მინიმალური ტემპერატურა კავკასიის ყველაზე მთავარ მწვერვალებზე -29-დან -35-მდე აღწევს.

ამრიგად, კავკასიის მთავარი კლიმატი ორი ტიპისაა/ჯგუფისაა: **კონტინენტური კლიმატები და მთის კლიმატები.** თავის მხრივ ეს ჯგუფები რამდენიმე სხვადასხვა ქვეჯგუფს/კლასს აერთიანებს.

I ჯგუფი. კონტინენტალური კლიმატები: 1 კლასი. სტეპური კლიმატები: 1. *მცირეაზიის მშრალი სუბტროპიკული ტიპის კლიმატი:* კასპიისპირეთის სტეპები მტკვრისა და არაქსის დაბლობებში (ყარაბაღის, მუღანის, შირვანის სტეპები) და კასპიის მთელი ზღვისპირეთის ზოლი დარუბანდამდე. 2. *ვაკიწვერას სტეპების კლიმატი*: ყუბანის სტეპები და სტავროპოლ-თერგის სტეპების უფრო შემაღლებული სამხრეთი განაპირა ნაწილი; სამხრეთ კავკასიის ზეგნის ჩრდილო-აღმოსავლეთის და ჩრდილოეთი მდ. უფრო ტენიანი განაპირა (ახალქალაქის ზეგანი, ლორე). 3. *არალო-კასპიის ტიპის მშრალი კონტინენტური კლიმატი*: სტავროპოლ-თერგის სტეპების დაბლობის ნაწილი; ერევნის ვაკე; მტკვარსა და ალაზანს შორისი მდ. იორის სტეპური ზეგანი. 2 კლასი. ტყეების კლიმატები: 4. *ტენიანი სუბტროპიკული კლიმატი:* შავი ზღვის სანაპირო

მთელი სანაპირო ზოლი ტუაფსემდე; აღმოსავლეთით – შავი ზღვის დაბლობი ქუთაისამდე. 5. *ხმელთაშუაზღვისპირეთის სუბტროპიკული კლიმატი*: ლენქორანის დაბლობი, ტყიანი ზოლი კასპიის სანაპიროზე (კავკასიის მთავარი ქედის დასასრულთან); შავი ზღვის დაბლობი ქუთაისიდან აღმოსავლეთით და შავიზღვის სანაპიროს ჩრდილო-დასავლეთი ტუაფსედან ნოვოროსიისკამდე. 6. *მაისას კლიმატი*: შავი ზღვის დაბლობის ყველაზე ამაღლებული ნაწილი; მთავარი კავკასიონის ქედის სამხრეთ ფერდობების ხეობები (გორის, მუხრანის, ალაზანის); მტკვრის გაყოლებით – გორიდან თბილისამდე.

II ჯგუფი. მთის კლიმატები. 1 კლასი. სტეპური კლიმატები. 7. *ცენტრალურ-აზიური ტიპის კლიმატი*: სამხრეთ კავკასიის ზეგანი უფრო ტენიანი ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილის გამოკლებით, განსაკუთრებით ყარსისა და ალექსანდრეპოლის ზეგნები. 8. *მაღალმთიანი ალპიური ოლქების კლიმატი*: მთავარი კავკასიონის ქედის და სამხრეთ კავკასიის ქედების ალპური ოლქები: ყარაბაღის ზეგანი. 2 კლასი. ტყეების კლიმატები. 9. ზომიერად ცივი კლიმატი დასავლეთევროპული ტიპის: მთავარი კავკასიონის ქედისა და სამხრეთ კავკასიის ქედების ალპიური კლიმატი; ჩრდილოეთ კავკასიაში ეშვება გვერდითი ქედის განტოტება კავკასიისწინეთის შემაღლებამდე. 10. *ცივი კლიმატი*: ტყის მცენარეულის ზემო საზღვარი, რომელიც დამუშავებულია მცენარებით და ადამიანთა დასახლებით. 11. *პოლარული კლიმატი*: მთავარი კავკასიონის ქედისა და სამხრეთ კავკასიის ყველა თოვლიანი მხარე თოვლიანი მწვერვალით.[27]

ამას გარდა კავკასიაში გამოყოფენ ვერტიკალურ კლიმატურ ზონებს, რაც, თავის მხრივ, აყალიბებს მცენარეულ და ნიადაგურ ვერტიკალურ ზონებს.

---

[27] *Ляйстер А. Ф., Чурсин Г. Ф.* География Кавказа. С. 4.

კავკასიის დანაწილება ფიზიკურ-გეოგრაფიული ოლქებისა და რაიონების მიხედვით

კავკასიის კლიმატური, ბოტანიკურ-გეოგრაფიული და ზოოგეოგრაფიული ზონების გათვალისწინებით, 1915 წელს *ფიგუროვსკიმ* შეადგინა კავკასიის ფიზიკურ-გეოგრაფიულ ოლქებისა და რაიონების სქემა:

ა) ჩრდილოეთი კავკასია. I. ყუბანის სტეპები: 1. აზოვისპირეთის დაბლობის ზოლი, 2. ყუბანისპირეთის და ყუბანის მარცხენა მხარის სტეპები; **II. ჩრდილოეთ კავკასიის კასპიისპირა სტეპები:** 3.თერგ-ასტრახანის დაბლობი, 4. სტავროპოლ-თერგის სტეპები; **III. ჩრდილოეთ კავკასიის მთიანი ტყიანი ზოლი:** 5. ყუბანსაქეთა ტყიანი მთიანი რაიონი, 6. თერგისაქეთა ტყიანი მთიანი რაიონი; **IV. დაღესტანი:** 7. დაღესტან-ყუბის რაიონი, 8. მთიანი დაღესტანი.

ბ) დასავლეთ სამხრეთ კავკასია V. პონტოს ოლქი: 9. დასავლეთი სამხრეთ კავკასია, 10. ნოვოროსიისკის რაიონი, 11. შუა ჭოროხის რაიონი.

გ) აღმოსავლეთ სამხრეთ კავკასია. VI. 12. კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთი ფერდობი: 12. მთავარი ქედის სამხრეთი ფერდობი, 13. მთიანი ტყიანი ზოლი; **VII. მცირე კავკასიონი:** 14. მცირე კავკასიონის გვერდითი ქედები. **VIII. აღმოსავლეთ სამხრეთ კავკასიის სტეპები:** 15. სტეპური ზეგნები, 16. კასპიისპირეთის სტეპი; **IX. თალიში**: 17. თალიშის დაბლობი და თალიშის ქედის ფერდობები.

დ) სამხრეთ კავკასია. X. სამხრეთ კავკასიის სტეპები: 18. ერევნის ვაკე, 19. სამხრეთ კავკასიის ზეგანი და ლორეს სტეპი).

ე) მაღალმთიანი ოლქი. 20. კავკასიონის მთავარი ქედისა და მცირე კავკასიონის ალპიური მდელოები, 21. კავკა-

სიონის მთავარი ქედის და სამხრეთ კავკასიის ქედების მუდმივი თოვლიანი ადგილები[28].

დასკვნა: კავკასიის ნიადაგებს, კლიმატს და მცენარეულობას მჭიდრო ურთიერთდამოკიდებულება, და ურთიერთქმედება გააჩნიათ. ამასთანავე გასაგებია, რომ **გარკვეული კლიმატური და ნიადაგური პირობები ყოველ მოცემულ რაიონში მოქმედებს არა მხოლოდ ველურ მცენარეულობაზე, არამედ კულტურულ სასოფლო-სამეურნეო მცენარეებზე. ამიტომაც სრულიად ბუნებრივია, რომ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო რაიონები ემთხვევა მის მთავარ კლიმატურ, ნიადაგურ და ბოტანიკურ ოლქებს. ესა თუ ის სასოფლო-სამეურნეო კულტურა განაპირობებს სასოფლო-სამეურნეო რაიონის ფიზიონომიას. მრავალფეროვანია კავკასია სასოფლო-სამეურნეო კულტურებით. ამიტომაც აქ მრავალრიცხოვანი სასოფლო-სამეურნეო ოლქები და მასში შემავალი რაიონები გამოიყოფა, სადაც მეცნიერები ასეთ 10 ოლქსა და 21 რაიონს ითვლიან. თუ დავაკვირდებითკავკასიის ფიზიკურ-გეოგრაფიულ ოლქებს, აღმოვაჩენთ, რომ სამხრეთ კავკასია ბუნებრივ-გეოგრაფიული თვალსაზრისით უფრო მრავალფეროვანია, ვიდრე ჩრდილოეთი კავკასია – 10 ოლქიდან 6 სამხრეთშია და 21 რაიონიდან აქვეა – 14.**

---

[28]*Ляйстер А. Ф., Чурсин Г. Ф.* География Кавказа. С. 4.

კავკასიის ლანდშაფტისა და ისტორიისა და ეთნოლოგიის ურთიერთმიმართება

საჭიროა გეოგრაფიული ლანდშაფტის კავკასიის ისტორიასთან და ეთნოლოგიასთან შედარება. რა როლი აქვს გეოგრაფიულ გარემოს კავკასიაში ეთნოსების ჩამოყალიბებაში, განსახლებაში, თავდაცვაში, სად, კავკასიის რომელ ბუნებრივ-გეოგრაფიულ რეგიონებსა და კლიმატურ ზონებში უფრო ენაცვლებოდნენ ეთნოსები ერთმანეთს და სად უფრო ინახავდნენ თავს. დაწვრილებითაა შესასწავლი კავკასიური ლანდშატების შედარება იმ კულტურებთან, რომლებიც აქ გვხვდებოდა. კულტურაში მისი ყოველნაირი გამოვლინება იგულისხმება. უფრო მეტიც: ეთნოლოგთა მოვალეობაა კავკასიური ეთნოსების ხასიათების შესწავლა. მსგავსი თუ განსხვავებული ხასიათის მატარებელნი იყვნენ კავკასიის ხალხები. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ლანდშაფტი ორგანიზმზე მოქმედებს. ლ. გუმილიოვი აღნიშნავდა, რომ ტუნდრა, ტყე, სტეპი, უდაბნო, მთები, წყლიანი გარემო, კუნძულებზე ცხოვრება და ა. შ. – ყველაფერი ეს განსაკუთრებულ ანაბეჭდს/დაღს ასვამს ორგანიზმს. ეს მდგომარეობა ეთნოსებსაც შეეხება, რომლებიც უშუალოდ და მჭიდროდ დაკავშირებული არიან ბუნებასთან თავისი სამეურნეო საქმიანობით. ეთნოსი თავისი ჩამოყალიბების მომენტში ეგუება გარკვეულ ლანდშაფტს. შემდგომში გადასახლებისას ან განსახლებისას, ეთნოსი ეძებს ისეთი განსახლების არეალს, რომელიც მსგავსი იქნება იმ ლანდშაფტისა, რომელშიც ჩამოყალიბდა და განვითარდა. საამისოდ შორს რომ არ წავიდეთ, ქართველი მაჰმადიანების (მუჰაჯირების) მაგალითის დასახელებაც საკმარისია. მთიანი და ტყიანი ხეობებიდან გადასახლებულებს ოსმალეთის ხელისუფლებამ საცხოვრებლად შავი და მარმარილოს ზღვების სანაპიროები შეურჩია, მაგრამ მუჰაჯირები განსხვავებულ კლიმატსა და ლანდშაფტს ვერ შე-

ეგუვნენ და თავად მოძებნეს განსახლების ადგილები ზღვიდან შედარებით დაშორებულ მაღლობ და ტყიან ადგილებში[29].

ისტორიული გეოგრაფიის ცნობილი სპეციალისტი *ვ. კ. იაცუნსკი* წერდა, რომ ისტორიული გეოგრაფიის ამოცანა არის ისტორიული პროცესის გეოგრაფიული მხარეების შესწავლა და აღწერა[30]. ამასთან დაკავშირებით, მან მოხაზა კვლევის ოთხი მიმართულება: 1. მოცემული ეპოქის ბუნებრივი ლანდშაფტი, ე. ი. ისტორიული ფიზიკური გეოგრაფია; 2. მოსახლეობა ეთნიკურობის თვალთახედვით, მისი განლაგება და გადაადგილება ტერიტორიული თვალსაზრისით; 3. წარმოებისა და მეურნეობის გეოგრაფია, ე. ი. ისტორიულ-ეკონომიკური გეოგრაფია; 4. პოლიტიკური საზღვრების, აგრეთვე მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენების გეოგრაფია. ვ. იაცუნსკის ეს შეხედულებები ახლოსაა და პასუხობს ჩვენს მიზანს კავკასიიაში ისტორიულ პროცესებზე და ეთნიკურ კულტურაზე ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოს/ლანდშაფტის გავლენაზე. ისტორიულ პროცესებში კი უპირველეს ყოვლისა ეთნიკური ისტორიაა გამოსაყოფი. სხვათა შორის, დასახელებულ რუს მეცნიერზე ადრე ვახუშტი ბაგრატიონმა XVIII საუკუნის შუა ხანებში საქართველოს ისტორია სწორედ ამ პრინციპით დაწერა – ისტორიის გადმოცემას მან გეოგრაფია წაუმძღვარა. გეოგრაფიული ცოდნის გარეშე კი ისტორიკოსი ვერასდროს სრულყოფილ ნაშრომს ვერ დაწერს და, უფრო მეტი, ისტორიკოსს როდესაც თავისი თვალით აქვს ნანახი გეოგრაფიული გარემო, სადაც ესა თუ ის ისტორიული მოვლენა ხდებოდა, მის მიერ ამ მოვლენების გააზრება უფრო სრულყოფილად

---

[29] რ. თოფჩიშვილი. ისტორიულ-ეთნოგრაფიული სამხრეთი საქართველო და ქართველები თურქეთში, თბ., 2017.

[30] *Яцунский В. К.* Предмет и задачи исторической географии. – «Историк-марксист», 1941, №5. С 21.

ხდება. ვ. იაცუნსკი იმასაც დასძენდა, რომ ისტორიკოსები სუსტად იცნობენ გეოგრაფიას და პირიქით[31].

ჩვენს მიზანს შეადგენს: რა გავლენას ახდენდა ბუნებრივი პირობები ეთნიკურ ისტორიაზე (და საერთოდ ისტორიულ პროცესზე) და რა როლი აქვს ლანდშფტს ეთნიკური კულტურის ფორმირებაზე. ბუნებრივია, წინამდებარე ნაშრომი მხოლოდ კავკასიის გეოგრაფიული რეგიონით შემოიფარგლება.

ზემოთაც აღვნიშნეთ და კვლავ ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ ხალხი შეთვისებულია რა გარკვეულ ლანდშაფტთან, გადასახლებისას ისეთ ადგილს ეძებს, რომელიც შეესატყვისობაში იქნება მის სამეურნეო წეს-ჩვეულებებთან და კლიმატური თვალსაზრისითაც ადაპტაციის პრობლემა არ შეექმნება. ასე მაგალითად, უგრები განსახლდნენ ტყეებში, თურქები და მონღოლები – სტეპებში, რუსებმა აითვისეს ციმბირი და დასახლდნენ ტყესტეპურ ზოლში და მდინარეების ნაპირებზე; ინგლისელებმა ზომიერი კლიმატის მიწების კოლონიზაცია მოახდინეს, არაბებმა და ესპანელებმა – ცხელი კლიმატის.

ერთმანათს უნდა შეუდარდეს ყველა კავკასიური ეთნოსის ლანდშაფტი. პასუხი უნდა გაეცეს კითხვას: რატომ იყო ქართული ეთნოსი უფრო შეკრული ეთნოგრაფიული მრავალფეროვნების მიუხედავად? რატომ არ ჩამოყალიბდა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში მცხოვრები 12-ზე მეტი ადიღეური ტერიტორიული ერთეული მტკიცე ეთნიკურ ერთობად და რატომ ვერ შეძლეს მათ ქართველების ან სომხების ანალოგიური სოციალური სისტემის შექმნა და სახელმწიფოს ფორმირება? აქაც თავი და თავი ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოშია საძიებელი. საქართველოს ეთნოგრაფიულ მხარეთა განსხვავებული ლანდშაფტი, კლიმატი, ნიადაგები ამ ეთნოგრაფიულ მხარეებში მცხოვრებ ქართველებს აიძულებდა მჭიდრო სამეურნეო-ეკონომიკურ კავშირებში ყოფილიყვნენ ერთმანეთთან, რადგან

---

[31] *Яцунский В. К.* Предмет и задачи исторической... С 21.

ყოველი მათგანი ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოსან ზედმიწევ-ნით იყო ადაპტირებული და შესაბამისად მეურნეობის ისეთი დარგები ჰქონდა განვითარებული, რომელსაც გარემო მოითხო-ვდა. აქედან გამომდინარე სხვადასხვა ეთნოგრაფიული ჯგუფის ქართველებს ერთმანეთის გარეშე არსებობა არ შეეძლოთ[32].

საქართველოს თითოეული ეთნოგრაფიული რეგიონი ძი-რითადად ერთი სამეურნეო-ეკონომიკური ერთეული იყო. ზო-გიერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული (ისტორიულ-გეოგრაფი-ული) მხარე გამოკვეთილი ბარი იყო, ზოგი მთიანეთი, ზო-გიც კი ზეგანს (მთისწინეთს) წარმოადგენდა. ზოგიერთი მა-თგანი სამივე გეოგრაფიული ნიშნის შემცველი იყო. საქართ-ველოს მთელი ისტორია იმას ადასტურებს, რომ არა მარტო მთიანეთი და ბარის კუთხეები, არამედ ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე ერთმანეთთან იყო დაკავშირებული შესაბამისი გზებით, ბილიკებით და მათ შორის მიმოსვლა, კავშირი ხორციელდებოდა იმ დროისათვის არსებული სატ-რანსპორტო საშუალებით.

საქართველოს ერთი ეთნოგრაფიული ჯგუფის წარმომად-გენლებს თუ პურეული კულტურები ჰქონდათ მეტი რაოდე-ნობით, სხვებს – მევენახეობის პროდუქტები, ხილეული, მე-საქონლეობისა და მეცხვარეობის პროდუქტები. ასე რომ, სა-ქართველოს ეთნოგრაფიული ერთეულები დანაკლისს სოფ-ლის მეურნეობის პროდუქტებზე ერთმანეთთან სამეურნეო-ეკონომიკური კავშირებით ივსებდნენ. საერთოდ ,,საქართვე-ლოს მიწა-წყალი მთლიან ერთეულს წარმოადგენდა, რომე-ლიც ბუნებრივი ზღუდეებითაც (მთებითა და მდინარეებით) არის შემოფარგლული და თანაც, ვითარცა მტკვრისა, რიო-ნისა და ჭოროხის აუზების შემცველი გეოგრაფიულად და ეკონომიურად ურთიერთთან მჭიდროდ არის დაკავშირებუ-

[32] რ. თოფჩიშვილი. საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები, თბ., 2017, გვ. 454-484.

ლი[33]“. ივანე ჯავახიშვილმა ეს მიიჩნია ქართველთა განსახლების არეალის, ქვეყნის ერთიანობისა და მთლიანობის საფუძვლად და რომ პოლიტიკური ერთიანობა, სახელმწიფოებრიობა, პირველ ყოვლისა, ბუნებრივ-გეოგრაფიული, ლანდშაფტური და კლიმატური და აქედან გამომდინარე სამეურნეო მრავალფეროვნებით იყო განსაზღვრული.

ივანე ჯავახიშვილმა მოგვცა მეურნეობრივი სხვაობის მქონე საქართველოს სხვადასხვა ნაწილის აუცილებელი ისტორიული ურთიერთკავშირის იდეა: განსხვავებული სასოფლო-სამეურნეო და ბოტანიკური არეების წყალობით ყოველ თემს (ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეს) ყველაფერი, რაც მის მცხოვრებლებს სჭირდებათ, არც ჰქონდათ და არც შეიძლებოდა ჰქონოდათ. ივანე ჯავახიშვილის ზემოხსენებული სიტყვები ქართული წყაროებისა და ეთნოლოგიური მონაცემების ღრმა ცოდნას ეფუძნებოდა. ივანე ჯავახიშვილამდე საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეთა მჭიდრო სამეურნეო-ეკონომიკური და კულტურული კავშირების შესახებ *ვახუშტი ბაგრატიონმა* მიუთითა. *ივანე ჯავახიშვილის* მეცნიერულ მემკვიდრეობას აღნიშნული თვალსაზრისით სათანადო ყურადღება მიაქცია ეთნოლოგმა *მიხეილ გეგეშიძემ.* ძნელია მის სიტყვებს არ დაეთანხმო: „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ დიდი ორტომეული ... ფართო ტილოს წარმოადგენს მრავალი მეცნიერული ასპექტით, რომელთაგან მთავარია, ღერძეულია საქართველოს ბუნებრივ-სამეურნეო პირობების მრავალფეროვნება, სირთულე, დანაწევრება და ამით შეპირობებული საქართველოს სამეურნეო განვითარების თავისებურებანი. ბუნებრივ-სამეურნეო პირობების თავისებურებებთან მეურნეობის განვითარების დაკავშირება ივანე ჯავახიშვილისათვის ერთ-ერთი მთავარი საფუძველთაგანი იყო საერთოდ საქართველოს ისტორიის შესასწავლად. აშკარად

---

[33] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს საზღვრები ისტორიული და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, ტფ., 1919, გვ. 49.

ჩანს, რომ ჩვენი ქვეყნის ბუნება და ხალხის ისტორია ივანე ჯავახიშვილს მჭიდრო, განუყრელ კავშირში წარმოედგინა“[34].

„...ბარელს მთა სჭირდებოდა და მთიელს კიდევ ბარი. უერთმანეთოთ მათ არსებობა არ შეეძლოთ. ამ ბუნებრივი პირობების წყალობით საქართველოს შუა ნაწილი, ბარი ეკონომიკურად ჩრდილოეთისა და სამხრეთის ნაწილების თემებთან ისევე, როგორც წინაუკმოც მთა ბართან უმჭიდროესად იყო დაკავშირებული. გეოგრაფიული პირობების გამო საქართველოს მთა ადგილების მაღლობი თემების ყველა, მიმოსვლისა და აღებ-მიცემობის, გზებიც შუაში მდებარე ბარისაკენ მიიმართებოდა“[35]. სხვათა შორის, ივანე ჯავახიშვილმა საქართველოს საზღვრები ისტორიულ-ეკონომიკური მიმოხილვითაც განიხილა და დაასაბუთა.

საქართველოს მხარეების შინაგანი სამეურნეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობის შესახებ ივანე ჯავახიშვილის ანალოგიური შეხედულება იმავე პერიოდში (1918 წ.) აქვს გამოთქმული პავლე ინგოროყვას. განიხილავდა რა ქართველთა განსახლების არეალს და საქართველოს პოლიტიკურ საზღვრებს, ის წერდა: „საქართველოს საზღვრების ეს ბუნებრივი დამთავრება გეოგრაფიულ მიჯნაზე – წინასწარ განსაზღვრავს საქართველოს ეკონომიურ მთლიანობას. ამ ტოპოგრაფიულ ზღუდეებში მოქცეული მხარე არის ერთი ქვეყანა, ერთი ბუნებრივი, ორგანულად მთლიანი სამეურნეო-ეკონომიკური პროვინცია. თვითეული მხარე ამ ქვეყნისა მჭიდრო სამეურნეო ურთიოერთობით არის შეკავშირებული დანარჩენ მხარეებთან, და ამევე დროს მეზობელ ქვეყნებიდან მოწყვეტილი ბუნებრივი ზღუდეებით, და ამიტომაც არც ერთ კუთხეს საქართველოსას

---

[34] მ. გეგეშიძე. აკად. ივ. ჯავახიშვილი საქართველოს შინაგანი სამეურნეო-კულტურული კავშირურთიერთობის შესახებ. – მაცნე, ისტორიის... სერია, 2. 1973, გვ. 34.

[35] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, 1930, გვ. 317.

არ შეუძლია ეკონომიური არსებობა მთლიან საქართველოს გარეშე. ჩამოჭრა საქართველოდან რომელიმე კუთხისა, რომელიც — თითონ გეოგრაფიული პირობებისა გამო — ყველა არტერიებით გადაბმულია მრთელთან, — ეს იქნებოდა ერთი ორგანული სამეურნეო ეკონომიური სხეულის დასახიჩრება. და თავისთავად შემთხვევითი როდია ისტორიული გაერთიანება საქართველოსი ერთ კოლექტივად ზემოხსენებულ ბუნებრივ საზღვრებში: **ისტორიას აქ ჰქმნიდა გეოგრაფიის ლოღიკა; ისტორიას გენეტიური კავშირი ჰქონდა საქართველოს ორგანიულ ეკონომიურსა და ტერიტორიულ მთლიანობასთან“**[36].

პავლე ინგოროყვა უფრო შორსაც მიდის და იმასაც აღნიშნავს, რომ საქართველოს ისტორიული ტერიტორია, ქართველთა განსახლების არეალი ერთ ეთნოგრაფიულ ერთეულს წარმოადგენდა სამეურნეო-ეკონომიკური თვალსაზრისით: „საქართველოს ქვეყანა ეთნოგრაფიულადაც მთლიან ერთეულს წარმოადგენს. როდესაც ეთნოგრაფიაზე ვამბობთ, ჩვენ მხედველობაში გვაქვს რასაკვირველია არა ცალკე სოფლები, ან ცალკე რაიონები, რომლის გამოთიშვა შეუძლებელია მისი ბუნებრივი სამეურნეო-ეკონომიკური ჰინტერლანდისაგან; ეთნოგრაფიაზე მსჯელობის დროს, ცხადია, სახეში უნდა გვქონდეს მრთელის პერსპექტივა, ქვეყანა აღებული მის ბუნებრივს გეოგრაფიულსა და ეკონომიურ ფარგლებში, — და არა ცალკე ხელოვნური ჩამონაჭრები ორგანიულად მთლიანი ტერიტორიული სხეულისა. და **საქართველო, — ასე კლასიკურად დამთავრებული თავის საზღვრებში — თითონ ბუნებისაგან გამოკვეთილ მიჯნებზე; ჩამოქნილი ერთ ორგანიულ სხეულად — როგორც ბუნებრივი სამეურნეო-ეკონომიური მთლიანობით, ისე მრავალ-კულტურული პირობებით, — ეს ყვეყანა ეთნოგრაფიულადაც დიდ ერთფეროვნებას წარმოადგენს“**[37]

---

[36] პ. ინგოროყვა. საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ, თბ., 1998, გვ. 4.

[37] პ. ინგოროყვა. საქართველოს ტერიტორიის საზღვრების... გვ. 4-5.

პავლე ინგოროყვას კვლავ უნდა დავესესხოთ. 1918 წლის 7 თებერვალს პავლე ინგოროყვა მოხსენებით – „კავკასიის“ ქვეყნების ტერიტორიული გამიჯვნის გამო“ – გამოსულა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზგადოების სხდომაზე, რომელშიც ის აღნიშნავს: „ამ ერთი წლის წინად, როდესაც ჩვენს საისტორიო საზოგადოებაში პირველად წავიკითხე ნარკვევი: „რა ტერიტორიულ საზღვრებში უნდა განხორციელდეს თვით-მმართველობა საქართველოსი, სომხეთის, ადერბეჯანის და კავკასიის მთიულეთისა“, შემთხვევა მქონდა აღმენიშნა – არსებულ პოლიტიკურ სქემათა განხილვის დროს – ერთი უცხო მოვლენა, რომელიც ინტელექტუალური პატოლოგიის დარგს უნდა მიეკუთვნოს: – მოვლენა – რომლისთვის დღესაც ვერ მომინახავს სხვა სახელი თუ არა – სიტყვის ფეტიშიზმი. და სჩანს, მართლაც არსებობს ასეთი ინტელექტუალური სენი, თორემ სხვაგვარათ შეუძლებელია აიხსნას ის უცნაური ზეგავლენა, რომელიც ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაზე ჰქონდა სიტყვა-ფიქციებს: ამიერკავკასია, კავკასია. ამ სიტყვა-ფეტიშების ნიშნის ქვეშ მიდიოდა უკანასკნელი ათეული წლების ჩვენი პოლიტიკური აზროვნება; არ ყოფილა წარმოდგენილი არც ერთი სქემა ჩვენი და მეზობელი ქვეყნების მომავალი წყობილებისა, სადაც უკვე თავისთავად არ ყოფილიყვეს ნაგულისხმევი ამ ფიქტიური სახელების რეალობა: ბოლოს და ბოლოს აქ საუბარი იყო მარტოოდენ უნიტარულ, ან – თუნდა – ფედერატიულ ამიერკავკასიაზე (resp. კავკასიაზე).

მაგრამ **ნამდვილად ხომ ქვეყანა ამიერკავკასია, კავკასია, – არ არსებობს, თუ რაიმე არის ეს სახელები დაბოლოს, ეს მხოლოდ ადმინისტრაციული ტერმინოლოგია რუსეთის იმპერიისა, და საყურადღებოდ არავინ გულისხმაში არ ჩააგდო**

ჯერ მარტო ამ ტერმინების შინაარსის ცვალებამ წარსული საუკუნის მანძილზე“.

„ამ კონგლომერატს არაფერი აერთიანებდა დღემდე გარდა სამხედრო დიქტატურისა. ეგრეთ წოდებულ „კავკასიაში“ მხოლოდ ხმლის გზით არის შეერთებული სხვადასხვა ქვეყნები და ქვეყნების ჩამონაჭრები; აქ შემთხვევით არის თავშემოკრებილი ერთ ჭერქვეშ სხვადასხვა ერი, — რომლებიც არ არის გადაჭარბება ამისი თქმა, სხვადასხვა ისტორიულ ფორმაციას ეკუთვნის:

მართლაც რა აერთიანებს კულტურულად სომხობას, მაგალითად, და მთიულეთის ლეკ-ჩაჩნებს?

ან რა აკავშირებს კულტურულ-ისტორიულად და რასსიულად — თურქ ადერბეჯანალებსა და ინდო-გერმანელ სომხებსა და რასსიულად განმარტოებით მდგომარე ქართველებს?

ანა-და თუნდაც რა აქვს საერთო ჯერ მარტო ფიზიკო-გეოგრაფიულადაც-კი „ამიერკავკასიის“ ქვეყნებს: ადერბაჯენის ბარსა, სომხეთის პლატო-ზეგანს, და საქართველოს, ხეობათა ამ კლასიკურ ქვეყანას;

ანა-და რამდენად განსხვავებულია ურთიერთშორის ეს ქვეყნები როგორც სამეურნეო ერთეულები: თვითეული მათგანი წარმოადგენს სულ სხვ-და-სხვა ეკონომიურ-სამეურნეო პროვინციას, შემოფარგლულს ბუნებრივის საზღვრებით; და ამასთან — საქართველოს, მაგალითად, გაცილებით მეტი ეკონომიური მიზიდულობა აქვს ყუბანთან, უკრაინასთან, და დასავლეთ ევროპასთანაც, ვიდრე თუნდა მეზობელ სომხეთთან.

ცხადია, პოლიტიკური კავშირი ასეთი კონგლომერატის, ამ განსხვავებული ქვეყნებისა და ამავე დროს აქ მოსახლე კულტურულად ჰეტერონიმი ერებისა, შეუძლებელი იქნებოდა თავისთავად, თანაბრად მიუღებელი თვითეული ერთეულისათვის, განსაკუთრებით კი საზიანო კულტურულად დაწინაურებული ერისათვის.

და ამასთან კიდევ ერთი პირობაც: ეგრეთ-წოდებულ ამიერკავკასიაში ხომ შემოკრებილია არა მრთელი ქვეყნები, არამედ უმთავარესად ქვეყნების ჩამონაჭრები; ადერბეჯანის – და სომხეთისაც – ეროვნულ-ტერიტორიული მეტროპოლიები „ამიერკავკასიის“ გარეთ მდებარეობენ; და რაიმე მუდმივსა და მტკიცე პოლიტიკურ ერთიანობას ასეთი ერთეულებისას შეუძლებელს გახდიდა ჯერ მარტო ეს გარემოება, რადგან აქ თავს იჩენდა ბუნებრივი მიდრეკილება ჩამონაჭრებისა თავის დედა-ერთეულებისაკენ, აქ ადილი ექნებოდა მუდმივ რყევას – პოლიტიკური იდეალების წინააღმდეგობის მიზეზით, და პირველსავე ხელსაყრელ შემთხვევაში დაირღვევოდა ეს კონგლომერატი... ასეთი პოლიტიკური ორგანიზმი ემსგავსებოდა ორსულ არსებას, რომელსაც მეცხრე თვეზე დედობრივი ტკივილი მოუვა...

ერთობილი „ამიერკავკასიის“ შესახებ ესოდენ ითქვას, აქ კი ხაზი უნდა გაესვას ჩვენს პოლიტიკურ დილეტანტობას. ეს უცილებელი ფაქტი, რომ არ არსებობს ქვეყანა ამიერკავკასია (respeqt. კავკასია) თითქოს ნათელი უნდა ყოფილიყო თავისთავად, მაგრამ – სწორედ საოცარია – ეს ცხადლივი მოვლენა აღარ დარჩა ასე ადვილ დასანახი, და დავრწმუნდი, რომ ჩვენი პოლიტიკური აზრის ბევრმა პასუხისმგებელმა მესვეურმა დასახელებული მოხსენებიდან მოისმინა პირველად. სახელები კავკასია-ამიერკავკასია რომ ფიქცია არის, **ეგრეთ წოდებული კავკასია ნამდვილად რომ ოთხი სხვადასხვა კულტურულ-ისტორიული კოლექტივია, ოთხი ქვეყანაა: საქართველო, სომხეთი, ადერბეჯანი და კავკასიის მთიულეთი.** და საინტერესოა აქ ერთი დეტალი: მოხსენების დროს ერთმა მოკამათემ თვითონ ტერმინი ადერბეჯანიც-კი მაშინ პირველად ნახმარი ჩვენს პოლიტიკურ ლიტერატურაში („ამიერკავკასიის“ აღმოსავლეთ სექტორის შესახებ), გამოგონილად მიიჩნია...

მაგრამ ფაქტები უფრო დამაჯერებელია, ვიდრე იდეები...

საკმაო იყო რომ ცხოვრების განვითარებას ბუნებრივი სარბიელი მისცემოდა, რათა ასე მოკლე მანძილზე ნათელი გამხდარიყო, რომ „კავკასია“ მხოლოდ მექანიკურ შეერთებას წარმოადგენს სხვადასხვა ორგნიული ერთეულებისას“[38].

ამავე პრობლემის შესახებ დავით მუსხელიშვილიც წერდა: „...განსხვავებით ბევრი სხვა ქვეყნისაგან, ისტორიული საქართველოს სახელმწიფო ტერიტორია წარმოიქმნა არა მეზობელ ქვეყანათა მიწა-წყლის თანდათანობითი დაპყრობის გზით, ანუ პოლიტიკური ექსპანსიის შედეგად, არამედ – შინაგანი იმანენტური განვითარების საფუძველზე. ამგვარად, ისტორიული საქართველოს სახელმწიფო ტერიტორია, არის არა პოლიტიკური შემთხვევითობის გამოვლინება, არამედ ქართველი ხალხის ორგანული სოციალ-ეკონომიკური და ეთნიკურ-კულტურული ევოლუციის კანონზომიერი დაგვირგვინება. ... ამ დიდ პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმ გეოგრაფიული არეალის ფიზიკურ და ეკონომიკურ მახასიათებლებს, სადაც მიმდინარეობდა იგი საუკუნეთა მანძილზე და რომელთაც, საბოლოო ჯამში, განაპირობეს საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიის, როგორც ერთიანი სისტემის კონტურებიც და შინაგანი სტრუქტურაც“. „ისტორიული საქართველოს სახელმწიფო ტერიტორა ერთ ორგანულ ფიზიკურ-გეოგრაფიულ რეგიონს წარმოადგენდა, რომელიც მკვეთრად იყო გამოყოფილი მეზობელი ანალოგიური რეგიონებისაგან“[39]. აღნიშნულს დავამატებთ, რომ საქრთველოს გეოგრაფიულმა გარემომ შექმნა ქართველი ერის ეთნიკური სტრუქტურაც. ისტორიული საქართველოს ნებისმიერ ისტორიულ-გეოგრაფიულ არეალში შემთხვევით სხვა ეთნიკური ერთობა რომ ყოფილიყო განსახლებული, ის აუცილებლად ინტეგრირებული იქნებოდა ქართულ

---

[38] პ. ინგოროყვა. საქართველოს ტერიტორიის საზღვრების... გვ. 29-33.

[39] დ. მუსხელიშვილი. გეოგრაფიული ფაქტორი და საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული სტრუქტურა. – კრებული: „კავკასია აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის“, თბ., 2012, გვ. 79, 80.

ეთნიკურ სივრცეში და ჩვეულებრივ ქართულ ისტორიულ-ეთ-ნოგრაფიულ მხარედ გარდაიქმნებოდა. ამისაკენ უბიძგებდა გე-ოგრაფიული არეალის ფიზიკური და ეკონომიკური მახასიათე-ბლები. ისტორიული საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია (უფრო ადრე, ქართველთა განსახლების არეალი) მოიცავდა მტკვრის შუა და ზემო წელის აუზსა, ჭოროხის, რიონის და ენგურ-კოდორ-ბზიფის აუზებს მთლიანად. ჩრდილოეთიდან შე-მოისაზღვრებოდა კავკასიონის ქედით (ზოგიერთ ნაწილში ის წყალგამყოფი ქედის იქითაც გადადიოდა); სამხრეთიდან – მტ-კვარ-არაქსის და ჭოროხ-ევფრატის წყალგამყოფ ქედთა სის-ტემით, დასავლეთიდან – შავი ზღვით. ჯერ ეთნიკური ინტეგ-რაციისაკენ, შემდეგ კი ერთიან სახელმწიფოში ცხოვრებისაკენ საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეებს შიდა სამე-ურნეო-ეკონომიკურმა კავშირები უბიძგებდა, რასაც თავის მხ-რივ, გეოგრაფიული ფაქტორები განაპირობებდა. აქედან გამომ-დინარე ფრიად აღმაშფოთებელია მეზობელი ქვეყნის მეცნიერ-თა პრეტენზიები ტაო-კლარჯეთისა და ჯავახეთის მიმართ, რომ თითქოს ქართველთა ეს უძველესი განსახლების არეალი ისტორიულად სომხების საცხოვრისი იყო და მხოლოდ IX საუკუნიდან იქცა ის ქართველთა საკუთრებად.

ზოგადად კავკასიის შესახებ, შეიძლება ითქვას, რომ შედა-რებით ნაკლები იწერებოდა. მხოლოდ ერთადერთი შემთვევა გვქონდა 1924 წელს კავკასიის გეოგრაფიის სახელმძღვანე-ლოს დაწერისა. ეთნოლოგიის დარგში კი ამ მხრივ, აღსანიშ-ნავია «Народы Кавказа»-ს ორტომეულის დასტამბვა საბჭოთა პერიოდში. ნახევარ საუკუნეზე წინ დაწერილი ეს ორტომე-ული დღესაც საუკეთესო გამოცემას წარმოადგენს, მაგრამ, სიმართლე რომ ვთქვათ, ის მარქსისტული პოზიციებითაა და-წერილი და ბევრი რამ გადასახედი და ხელახლა დასაწერია, რადგან კავკასიათმცოდნეობით ეთნოლოგიაში არაერთი სიახ-ლე ვიხილეთ. კავკასიის ეთნოლოგიის საუნივერსიტეტო სახე-ლმძღვანელოს შექმნის მხოლოდ ერთი მცდელობა შეიძლება

გავიხსენოთ. ესაა პეტერბურგელი მეცნიერის *ა. გადლოს* წიგნი, რომლის პირველი ნაკლი ისაა, რომ კავკასიელი ხალხების ეთნიკური კულტურა შუა აზიის ხალხების ეთნიკურ კულტურასთან ერთადაა წარმოდგენილი და მეორე ის, რომ ფაქტობრივად წარმოადგენს ზემოხსენებული «Народы Кавказа»-ს კონსპექტურ ვარიანტს.

თითოეული კავკასიელისათვის ალბათ შეურაცხმყოფელია, როდესაც რუსულ მედიაში ხშირად წერენ და გაისმის ,,კავკასიური ნაციონალობის პირების" შესახებ. ამ სიტყვების მთქმელისათვის ყველა კავკასიელი ერთია, ეს იმ დროს, როდესაც კავკასიაში 50-მდე ხალხი მკვიდრობს, რომელთაგანაც ყველამ ორიგინალური კულტურა შექმნა და აქვს მისთვის დამახასიათებელი ენა. კავკასია ხომ ჯერ კიდევ ანტიკურ პერიოდში ბევრი სხვადასხვა ხალხით იყო დასახლებული. მიუხედავად იმისა, რომ კავკასიაში არაერთი ენა და ეთნოსი გაქრა, დღესაც ის მრავალეთნიკური ოლქია. აქ ცხოვრობენ სხვადასხვა ენათა ოჯახის ენებზე მოლაპარაკე ხალხები. კავკასიური ენების ოჯახს (ადრე მას იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახს უწოდებდნენ) მიეკუთვნებიან: ადიღეელები, ჩერქეზები, ყაბარდოელები, აბაზები, აფხაზები, ინგუშები, ჩაჩნები, დაღესტნის 30-მდე სხვადასხვა ხალხი, უდიები, აზერბაიჯანის შაჰდაღის მთებში მკვიდრი ჰინალუღები, კრიწები და ბუდუხები. თურქულ ენათა ჯგუფს მიეკუთვნებიან ბალყარები, ყარაჩაელები, ნოღაელები, ყუმუხები, აზერბაიჯნელები. თავიანთი წარმომავლობით ინდოევროპელები არიან სომხები. ინდოევროპულ ენათა ოჯახის ირანულ ჯგუფს მიეკუთვნება ოსების, თათების, თალიშების მეტყველება. ქართველებს კი, როგორც ირკვევა, ახლო მონათესავე ენობრივ-ეთნიკური ჯგუფი არ ჰყავს. თანამედროვე კავკასიაში არაავტოქტონი, ე. ი. სხვადასხვა დროს მოსული ეთნოსებიც მკვიდრობენ. ესენი არიან: რუსები, უკრაინელები, ქურთები, ასირიელები, ებრაელები, ბერძნები, თათრები... იმის გამო, რომ ყველა მათგანს თავისი სამშობლო

აქვს და კავკასიაში დროის სხვადასხვა მონაკვეთში არის მოსული და დამკვიდრებული, მათ კავკასიელებად ვერ განვიხილავთ.

ისტორიულად კავკასია სხვადასხვა იმპერიებს შორის ერთგვარი ბუფერული ზონა იყო. XIX საუკუნემდე ის მთლიანად რომელიმე ცალკე იმპერიის შემადგენელი ნაწილი არ ყოფილა. მის ცალკეულ ნაწილებს ეუფლებოდნენ სპარსელები და რომაელები, არაბები და ბიზანტიელები, ირანელები და თურქები. მხოლოდ XIX საუკუნის დასაწყისიდან, თითქმის 200 წლის განმავლობაში, ის რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდა. სამხრეთ კავკასია რუსეთის იმპერიამ 200 წლის შემდეგ, XX საუკუნის უკანასკნელი ათწლეულის დასაწყისში დაკარგა. სამხრეთ კავკასიის ეთნოსებმა – ქართველებმა, სომხებმა და აზერბაიჯანელებმა დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრიობა მოიპოვეს.

რაც შეეხება ადიღეური მოდგმის ეთნიკურ ერთეულებს, ისინი მეტ-ნაკლებად ერთგვაროვან ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოში ცხოვრობდნენ. მეურნების ის ფორმა, რაც გააჩნდათ, მათ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებდა და ერთმანეთთან სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები ფაქტობრივად არ გააჩნდათ. ამიტომ ისინი კარჩაკეტილ ცხოვრებას მისდევდნენ. ზღვისა და სტეპების სიახლოვეს ცხოვრებამ ადიღეელებს ამ თვალსაზრისით დათვური სამსახურიც გაუწია. ისინი არ მისდევდნენ ისეთ ბინადარ ცხოვრებას, როგორც ქართველები და ქართველთაგან განსხვავებით, არც ექსტენსიური და ინტენსიური მიწათმოქმედების მიმდევარნი გახლდნენ – ნახევრადმომთაბარენი და ნახევრადბინდარნი პრიმიტიული მიწათმოქმედების მიმდევარნი იყვნენ. რა იყო ამის მიზეზი? პირდაპირ ვიტყვით, ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო. ისინი ახლოს ცხოვრობდნენ სტეპებთან, სადაც ნომადები მოძრაობდნენ და ნომადების მეზობლობაც ხელს უშლიდა სრულყოფილ ბინადარ ცხოვრებაზე რომ გადასულიყვნენ – ესა თუ ის ადიღეური ტომი ერთ სა-

უკუნეში თუ ერთ ხეობაში იყო ლოკალიზებული, მეორე საუკუნეში – მეორე ხეობაში. სოფლებიც პრიმიტიული მიწთმოქმედების გამო ხშირად იცვლიდნენ ადგილს. ადიღეელი იმიტომაც ვერ გადავიდა მიწათმოქმედების სრულყოფილ ფორმაზე და იმიტომ შეინარჩუნა წინაპრებისაგან გადმოცემული ბუნებასთან ურთიერთობის ფორმა, რომ არსებობის ძირითად საშუალებას, როგორც აღვნიშნეთ ზღვა აძლევდა, თუმცა არა საზღვაო რეწვა, არამედ ზღვიდან შემოსული უცხოელი, რომელიც ტყვეებს ყიდულობდა მათგან და თარეშების გაფართოვების სტიმულს აძლევდა. ამიტომაც იყო, რომ მათ ე. წ. ზედაფენას მოთარეშეთა ლიდერები შეადგენდნენ, რომლებსაც გარკვეული ქონება არა მიწაზე კერძო საკუთრებით ჰქონდა დაგროვილი, არამედ მეზობლებისა თუ სხვა ეთნოსების ძარცვაგლეჯით. ამრიგად, ადიღეელთა ეთნიკური განვითარების მთავარი დამაბრკოლებელი და პროგრესის ხელის შემშლელი ის ბიოსფერა იყო, რომელშიც ისინი ცხოვრობდნენ, და რომელიც გარს ერტყათ.

ქართველთა ხეობებად ცხოვრება, მთის, მთისწინეთისა და ბარის არსებობა, დასავლეთი, აღმოსავლეთი და სამხრეთი პროვინციების სრულიად განსხვავებული ლანდშაფტი, განსხვავებული კლიმატური ზონები იყო ქართველი ხალხის არა მხოლოდ შეკავშირების, არამედ გადარჩენის ძირითადი მიზეზი. რატომ ვერ გადარჩნენ ქართველთა აღმოსავლელი მეზობლები ალბანელები, რომლებმაც იმავე დროს მიიღეს ქრისტიანობა, როდესაც ქართველებმა და რომლებიც V საუკუნიდან დამწერლობის მატარებელნიც იყვნენ? ამის მიზეზი ძირითადად ის ერთფეროვანი და მონოტონური ლანდშაფტია, რომელიც თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზეა. ალბანურმა ეთნოსმა სტეპურ პირობებში, ერთფროვან ლანდშაფტში განსახლებულმა თავი ვერ დაიცვა მომთაბარე და ნახევრადმომთაბარე თურქულენოვანი დამპყრობლებისაგან. თურქ ნახევრადმომთაბარე ტომებს ალბანეთის (თანამედროვე აზერბაიჯანის) ლანდშაფტი

უფრო იზიდავდა და აინტერესებდა, ვიდრე სამხრეთ კავკასიის ტყიანი ხეობები. ასე რომ, ერთფეროვანმა ლანდშაფტმა ხელი შეუწყო ერთი ეთნოსის მეორე ეთნოსით ჩანაცვლებას და კულტურულად და სამეურნეო თვალსაზრისით უფრო დაწინაურებული ადგილობრივი ეთნოსი მოსულმა ჩაყლაპა.

ანალოგიურად შეიძლება ერთმანეთს საქართველოსა და კავკასიაში მდებარე სომხეთის ლანშაფტებიც შევადაროთ. ცნობილია, რომ სომხები ფართოდ იყვნენ მოდებული მსოფლიოს, უკვე შუა საუკუნეებში. მათ კოლონიები ჰქონდათ შექმნილი არა მხოლოდ მახლობელ აღმოსავლეთსა და მეზობელ საქართველოში, არამედ ევროპაშიც. რა იყო სომეხთა ასეთი მიგრაციის მიზეზი? ის, რომ სომხებს ნოსტალგიის გრძნობა არ ჰქონდათ და მიგრაციისადმი მიდრეკილება ახასიათებდათ? რა თქმა უნდა, არა. სომეხთა მიგრაციისადმი მიდრეკილებას ის ლანდშაფტი განსაზღვრავდა, რომელშიც ისინი ცხოვრობდნენ. ზემოთ დახასიათებული გვაქვს სომხეთის ზეგანი, რომელიც ძირითადად არის ზღვის დონიდან 1700-2000 მეტრზე დაცემული ველები, სადაც არაა ისეთი მცენარეული საფარი როგორიცაა ტყე. ერთფეროვან ლანშაფტს ემატება კლიმატი, რომელიც ზაფხულში ძალიან ცხელი და ზამთარში ძალიან ცივია. კავკასიაში შემოსული დამპყრობი პირველ ყოვლისა სომხეთს მიადგებოდა ხოლმე. სომეხს კი ფაქტობრივად თავშესაფარი არსად ჰქონდა და ასეთ ვითარებაში ის გარბოდა თავის ცოლ-შვილთან ერთად და სხვა ქვეყნებს აფარებდა თავს. ამიტომ იყო, რომ აღმოსავლეთ სომხეთის დიდი ნაწილი დაცლილი იყო მოსახლეობისაგან და XIX საუკუნის ბოლოს ერევნის მაზრაში უფრო მეტი თურქულენოვანი მოსახლეობა ცხოვრობდა, ვიდრე სომეხი (1886 წელს შესაბამისად 52 ათასი და 36 ათასი). ასეთივე მდგომარეობა იყო სომხეთის სხვა პროვინციებში. გაქცეული სომხური მოსახლეობის ადგილს თურქული მოსახლეობა იკავებდა. თურქებს კი ახალ დასასახლებელ ადგილას ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების გამო

კი ადაპტაცია არ უჭირდათ. ნახევრადმომთაბარეებისათვის სომხეთის ზეგანი პირდაპირ მისწრება იყო. საძოვრების სიუხვე მათ ტრადიციული მეურნეობის – მესაქონლეობის ფართოდ განვითარების საშუალებას აძლევდა. თურქული ტომების წინაშე ახალ ლანდშაფტთან არც ადაპტაციის პრობლემა იდგა. ასე რომ, სომხეთის ზეგანზე ეთნიკური ვითარების შეცვლას ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო განაპირობებდა.

კიდევ ერთი ფაქტი გვინდა აღვნიშნოთ, რაც ასევე ეთნიკური სომხების თავიანთი მიწა-წყლიდან აყრა-გადასახლებას იწვევდა. სომხეთი, ცნობილია, რომ სამხრეთ კავკასიის სეისმურ რეგიონს წარმოადგენს. ასევე იყო ისტორიულად – არარატი უმთავარესი სეისმური ცენტრია. ყველას გვახსოვს სპიტაკის დამანგრეველი მიწისძვრა 1991 წელს. საისტორიო წყაროებს კი არაერთი ასეთი დამანგრეველი მიწისძვრა აქვთ დაფიქსირებული. 341 წელს, ისტორიკოს ეფრემის მოწმობით, სომხეთში მოხდა ძლიერი მიწისძვრა. 736 წელს კატასტროფული მიწისძვრა მოხდა დარალაგეზის ქედზე. სომეხი ისტორიკოსი *კირაკოს განძაკეცი* გადმოგვცემს, რომ ის 40 დღე გრძელდებოდა უკუნი სიბნელის პირობებში, რომ მთელი ადგილმდებარეობა იყო ამოთხრილი ძირ-ფესვიანად და ამ დროს დაიქცა ქალაქი *მოზი*, რომლის ნანგრევებიის ქვეშ მოყვა 10 ათასი ადამიანი. IX საუკუნის ბოლოს იგივე ხვედრი გაიზიარა ქალაქმა *დვინმა* – სომხეთის იმდროინდელმა დედაქალაქმა, რომელიც მდინარე არაქსის მარცხენა მხარეზე მდებარეობდა ერევნის სამხრეთით. მოკლე დროში დვინმა სამი მიწისძვრა გადაიტანა. პირველ ორ მიწისძვრას გადარჩენილი მოსახლეობა ქალაქის სრულ დაშლას შეესწრო. 893 წელს მოხდა უკანასკნელი, ყველაზე საშინელი მიწისძვრა; ქალაქი მესამედ დაინდგრა და 70 ათასი ადამიანი ქვეშ მოიყოლა. 1319 წელს ასეთივე საშინელი მიწისძვრა მოხდა სომხეთის სახელმწიფოს ბოლო დედაქალაქში *ანისში,* რამაც დაანგრია მისი მრავალრიცხოვანი სასახლეები, ტაძრები, ხიდები და ცი-

ხე-სიმაგრის კედლები და ნანგრევების ქვეშ მოყვა ათასობით ადამიანი. გადარჩენილმა მოსახლეობამ სამუდამოდ დატოვა ეს ქალაქი. 1679 წელს მოხდა მიწისძვრა *ერევანსა* და მის შემოგარენში; ამ დროს დაინგრა ბევრი მონასტერი, ეკლესია და სხვა ნაგებობანი და დაიღუპა 8 ათასი ადამიანი. 1827 წელს ძლიერი მიწისძვრის შედეგად დაინგრა ძველი სომხური ტაძრის გუმბათი დარაჩიჩაგში და რამდენიმე ეკლესია, რომლებიც სევანის ტბის ირგვლივ მდებარეობდა. 1840 წელს მოხდა ასევე დიდი მიწისძვრა, რომლის ცენტრიც იყო არარატი და რომლის რყევები იგრძნობოდა შორს ჩრდილოეთით, აღმოსავლეთით, სამხრეთით და მიაღწია თბილისს, ლენქორანს, თავრიზს და ბაიაზეთს. ამ მიწისძვრის დროს წმიდა იაკობის ხეობის სათავეში არარატზე გაჩნდა ნაპრალი, რომლიდანაც გამოიტყორცნებოდა ორთქლისა და გაზის მასები, რომელმაც მისი მწვერვალი დაფარა. ქვის ვეებერთელა ლოდებისა და ჭუჭყის ნაკადები ქვემოთ წამოვიდა, რამაც სოფელ ახურში დაფარა წმიდა იაკობის მონასტერი 2 ათასი მცხოვრებით, მისი ბაღები და მინდვრები და მთელი დაბლობი, რომელიც არარატის მასივის ქვემოთ იყო. 1900 წელს ყარსის მიწისძვრამ 9 ბალს მიაღწია.

ამრიგად, სომხეთიდან მოსახლეობის მიგრაციის და ეთნოდემოგრაფიული ვითარების შეცვლის მიზეზი, საგარეო ფაქტორთან ერთად, ისეთი ბუნებრივი მოვლენაც იყო, როგორიცაა მიწისძვრები.

სომეხთა ცხოვრებაზე სომხეთის ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო, კლიმატი სხვა მხრივაც იწვევდა ზემოქმედებას. ისევ საქართველოსთან მიმართებაში შეიძლება განვიხილოთ ეს საკითხი. ბუნებრივია, ქართველი მეურნეც და სომეხი მეურნეც თავიდანვე მიწათმოქმედნი იყვნენ და მიწათმოქმედება როგორც ერთ, ისე მეორე ეთნოსში მეცხოველეობასთან სიმბიოზურად იყო წარმოდგენილი. ქართველ გლეხს ბუნებასთან ურთიერთობის ეს ფორმა აკმაყოფილებდა. ერთ ისტორიულ-ეთნოგრაფი-

ულ მხარეში თუ რომელიმე სასოფლო პროდუქტის ნაკლებობა იყო, ის დანაკლისს სხვა მხარესთან სამეურნეო-ეკონომიკური კავშირებით ივსებდა. ასე რომ, საქართველოს ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო, ლანშაფტი მის ყველა მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა. ხელოსნობაც სათანადო დონეზე იყო როგორც სოფლად, ისე ქალქად განვითარებული. დამატებით შემოსავალზე ფიქრი ქართველ მეურნეს ფაქტობრივად არ ჭირდებოდა. სომხეთი კი ბუნებრივი მრავალფეროვნებით განებივრებული არ იყო. მხოლოდ მარცვლეული და მეცხოველეობის პროდუქტები ვერ აკმაყოფილებდა მათ მოთხოვნილებას (აქ არარატის ველი და ზოგიერთი სხვა მიკრორეგიონი არ იგულისხმება, სადაც მევენახეობა და მებაღეობაც იყო განვითარებული). ამიტომ სომეხს დამატებითი შემოსავალი ჭირდებოდა, არსებობისათვის საჭირო შემოსავლის ძიება. ამან კი ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარებას და შესაბამისად საქალაქო ცხოვრების განვითარებას უბიძგა. სხვა ქვეყნებში განსახლებული სომხები კი, ბუნებრივია, უკვე ამ ტრადიციულ დარგებს ავითარებდნენ და ხშირ შემთხვევაში ხალხებს შორის სავაჭრო ურთიერთობის შუამავლებადაც იქცეოდნენ და საერთაშორისო ვაჭრობაში ხშირად ებრაელ ვაჭართა გვერდითაც ეკავათ ადგილი. სომხური ეთნოსი უცხო ეთნიკურ გარემოში ფაქტობრივად ქალაქებში დასახლებამ და ვაჭრობაში ჩაბმამ გადაარჩინა. სოფელ ადგილებში სხვა ეთნოსებში განსახლება და მიწათმოქმედებაში ჩაბმა უმეტეს შემთხვევაში მათ ასიმილაციას გამოიწვევდა. მიწათმოქმედ ხალხში ხომ ვაჭრობისადმი ერთგვარად ნეგატიური დამოკიდებულება არსებობდა. თუმცა ამ თვალსაზრისით შეუძლებელია სომხური მონოფიზიტობის როლის უარყოფა.

სამხრეთ კავკასიის მთიანეთის შესახებ ლევ გუმილიოვის ერთ მოსაზრებას უნდა შევეხოთ. ის სამართლიანად შენიშნავდა, რომ მახლობელ აღმოსავლეთში, სადაც ზღვების, მთების, სტეპების, მთის ტყეების, უდაბნოების და მდინარეთა ხეობების

ერთობლიობაა, აქ ახალი ეთნიკური ერთეულების წარმოქმნა ხშირად ხდებოდა, ხოლო მისგან გამოთიშავდა სამხრეთ კავკასიის მთიანეთს, სადაც ბუნებრივი პირობები იზოლატი ეთნოსების წარმოქმნას იწვევდა: «Ближний Восток – сочетание мория, гор, степей, горных лесов, пустынь и речных долын. Там новые этнические комбинации возникали часто, за исключением нагорий Закавказья, где природные условия скорее подходят для возникновения изолятов»[40]. მართლაც, მახლობელ აღმოსავლეთში ეთნოსების ხშირი ცვლა ხდებოდა, მიგრირებულ ეთნოსების ადგილობრივ ხალხებთან შერევის შედეგად ახალი ეთნოსები წარმოიქნებოდა. სამხრეთ კავკასიის მთიანეთი ასეთ პროცესებს კი ხელს არ უწყობდა. სამხრეთ კავკასიის მთიანეთი ისტორიული და თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაა. გეოგრაფიულმა ფაქტორმა – მთამ, ხეობებმა, ხშირმა ტყემ – ქართველი ხალხი გადაარჩინა, რადგან მოსული ხალხები მისი მთელი ტერიტორიის დაპყრობას და ქართველებთან შერევას ვერ ახერხებდნენ. შედეგად ახალი ეთნოსების წარმოქმნა არ ხდებოდა[41]. მაგრამ ლევ გუმილიოვი ცდება იმაში, რომ აქაური ლანდშაფტი იზოლატი ეთნოსების წარმოქმნას განაპირობებდა. ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე სამხრეთ კავკასიის მთიანეთში (საქართველოში) ქართული ეთნოსი მუდმივად მკვიდრობდა. ჯგუფურად მოსული ეთნიკური ერთეულები კი თავისთავადობას უფრო მეტად ინარჩუნებდნენ (მაგალითად, ოსები). აგრეთვე: ქართველები იზოლატ ეთნოსს არასდროს არ წარმოადგენდნენ, რადგან მის თითქმის ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში უცხო ეთნიკურ ერთეულთა ინდივიდუალური

---

[40] Л.Н. Гумилев. Этносфера: история людей и история природы. – СПб., 2002. с.108.

[41] ქართველთა გადარჩენის მიზეზების შესახებ იხ.: რ. თოფჩიშვილი. ქართველთა ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის პრობლემები, თბ., 2008, გვ. 106-127.

შემოსახლება მუდმივად ხდებოდა. ასე რომ, ქართულ ეთნიკურ ერთობაში სხვა ეთნოსთა შერევა უცხო არ იყო და ქართველების იზოლატ ეთნოსებად გამოცხადება შეცდომაა. იგივე შეიძლება ითქვას სომხების შესახებ. თუმცა, სომხეთის ლანშაფტის ძირითადი ნაწილი ვერ იცავდა მათ შემოსული ეთნოსებისაგან, რისი შედეგი იყო სომეხთა ხშირი ჯგუფური მიგრაცია მათი განსახლების არეალიდან და ადგილობრივი სომხური ეთნოსის თურქულენოვანი ეთნიკური ერთობებით ჩანაცვლება. ეს პროცესი უფრო თვალსაჩინოდ ისტორიული ალბანეთის ტერიტორიაზე განხორციელდა, სადაც ადგილობრივი ალბანური და ირანული ეთნიკური ერთობების ასიმილაცია მოსულმა თურქულენოვანმა ეთნიკურმა ერთობებმა მოახდინეს. ისევ სომხებს თუ დავუბრუნდებით, უნდა აუცილებლად აღინიშნოს ის ფაქტი, რომ აქ სომხები ავტოქტონები არ ყოფილან და ურარტუს პერიოდში აქ მოსულმა პროტოსომხებმა ადგილობრივი ეთნიკური ერთობების ასიმილაცია მოახდინეს. სომხებს ადგილობრივი კავკასიური ელემენტიც შეუერთდა, რასაც სომხური ენის ფონეტიკური ფაქტიც ადასტურებს – სომხურ ენას გააჩნია ის თანხმოვნები, რომელიც ინდოევროპული ენებისათვის უცნობია და მხოლოდ კავკასიური ენებისათვის არის დამახასიათებელი. აღნიშნული ეთნიკური ერთობა სამხრეთ კავკასიისა და მის სამხრეთი ტერიტორიის ოდინდელი მკვიდრი და ქართველთა თავდაპირველი მეზობლი რომ არ იყო, ამას ქარლის/საქართველოს და ქართველთა სომხური სახელწოდებაც – „ვირქ“ ადასტურებს, რაც პართული და საშუალო სპარსულიდანაა ნასესხები. პართული „ვარშან“, „ვარუჩან“ (მგლის ქვეყანა“)[42], სომხურში „ვირქ“ ფორმით გადავიდა. სომხები (თუგინდ პროტოსომხები) თავიდანვე რომ ქარ-

[42] ი. გაგოშიძე. რატომ უწოდებდნენ ძველი ირანელები საქართველოს მგლის ქვეყანას. – გელათის მეცნიერებათა აკადემიის შრომები, III, თბ., 2017, გვ. 77-86.

თველთა მეზობლები ყოფილიყვნენ, მათ ქართველთა აღმნიშვნელი საკუთარი და არა ნასესხები ეთნონიმი ექნებოდათ.

ახლა სამხრეთ კავკასიიდან ჩრდილოეთ კავკასიაში უნდა გადავინაცვლოთ. აქ მცხოვრები ეთნოსებისთვის დამახასიათებელი იყო თარეშები – მთებსა და მთისწინებში მცხოვრები ხალხები მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში ჯგუფების სახით თავს ესხმოდნენ ერთმანეთს და საქართველოს. იტაცებდნენ ყველაფერს, რაც ხელთ მოხვდებოდათ – უძრავ და მოძრავ ქონებას, ტყვედ მიყავდათ ადამიანები და თავდაპირველად ვენეციელებსა და გენუელებზე და შემდეგ ყირიმელ თათრებსა და თურქებზე ყიდდნენ. რა მოვლენა იყო თარეშები? რა ფაქტორებით იყო განპირობებული? თუ ღრმად ჩავუკვირდებით, ვნახავთ, რომ მისი მიზეზი გეოგრაფიული გარემო იყო. სამხრეთ კავკასიის მთის ნამატი მოსახლეობა მთისწინეთსა და ბარში გადადიოდა საცხოვრებლად, მაგრამ ჩრდილოეთ კავკასიის მთიელები ანალოგიურად ვერ მოქმედებდნენ, რადგან ჩრდილოეთ კავკასიის გეოგრაფიული გარემო განსხვავდებოდა სამხრეთ კავკასიისაგან. პირველში მთებს პირდაპირ მოებმოდა დაბლობი. და ეს დაბლობი სტეპებს წარმოადგენდა. სტეპები კი ტრადიციულად მომთაბარე ხალხების, ხან ირანული და ხან თურქული ტომების სამომთაბარეო არეალი იყო. ყველას თავისი ეთნოსფერა ჰქონდა დაკავებული. ცალკეული ინდივიდუალური გადასახლებები საქმეს ვერ შველოდა. გამრავლებულ ეთნოსებს კი არსებობა უნდოდათ. გამოსავალი იმით მოიძებნა, რომ ჩრდილოეთკავკასიელებმა ერთმანეთზე თარეში დაიწყეს. სტაცებდნენ ერთმანეთს ქონებასა და ადამიანიებს და ტყვეებს ყიდნნენ. მყიდველი კი ირგვლივ ბევრი იყო. ზემო თქმულის თვალსაზისით, მნიშვნელოვანია XVIII საუკუნის იტალიური წყაროს მონაცემები. *ქსავერიო გლავანის* კითხვაზე: „რატომ აწყობთ თარეშებს?“ ჩერქეზებს უპასუხიათ: ჩვენს ქვეყანაში არც ფულია, არც ბაზრები; სად ვიშოვოთ ჩვენი ახალგაზრდებისათვის ტანსაცმლის შესაძენად ფული? ჩვენ არ ვამზადებთ

არანაირ ქსოვილს, მაგრამ თარეშების შემდეგ აქ საქონლით დატვირთული ვაჭრები მოდიან. ისინი გვამარაგებენ ყველა აუ-ცილებელი და საჭირო ნივთით. ვისაც ყოველწლიურად სამ ბავშვს ვტაცებთ, ამით ისინი სულაც არ ღარიბდებიან. ისინი ყოველწლიურად აჩენენ ბავშვებს და ამით დანაკარგს ინაზღა-ურებენ. თარეშებით კი ჩვენს ახალგაზრდობას კარგად ჩაცმის საშუალება ეძლევა. თუ ჩვენიანებს მოვტაცებთ ბავშვებს, ისი-ნი სხვა მხარეში მოიტაცებენ. ეს სხვადასხვა მხარეებს შორის უბრალო გაცვლაა. ამით ჩვენს ახალგაზრდობაში საბრძოლო სულს ვავითარებთ". ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს დაშლის შემდეგ, ჩრდილოეთ კავკასიელთა თარეშებმა სამხრე-თით – საქართველოშიც გადმოინაცვლა. და ეს ლაშქრობა მხოლოდ ლეკიანობის სახით არ იყო; ის საქართველოს მთელ ჩრდილოეთ პერიმეტრზე მიმდინარეობდა და აფხაზეთში მოსა-ხლეობის ცვლა – ძველი აფხაზების ახალი აფხაზებით შეცვ-ლა ადიღეელებისა და უბიხების თარეშების შედეგი იყო. თარ-ეშები იმდენად დიდი მასშტაბის იყო, რომ მას ზოგიერთმა მე-ცნიერმა „თარეშების ინდუსტრიაც" კი უწოდა. იმდენად დიდ შემოსავალს აძლევდა თარეშები ხუნძებს, რომ მათმა დიდმა ნაწილმა გვიან შუა საუკუნეებში, ფაქტობრივად, უარი თქვა მიწათმოქმედებაზე და მათი მთავრი საქმიანობა თარეშები და მესაქონლეობა იყო. იმის გამო, რომ ლეკები ფაქტობრივად მი-წათმოქმედებაზე აღარ იყვნენ დამოკიდებული და მნიშვნელო-ვან შემოსავალს იღებდნენ თარეშებიდან, სხვაგან გადასახლება გარკვეული ხნით ფაქტობრივად შეწყდა, რამაც, თავის მხრივ, მთისათვის უჩვეულო დიდი სოფლები წარმოქმნა (მაგალითად, 1886 წლის მონაცემებით ავარიის/ხუნეთის „ოკრუგის" სოფ-ლებში ტანუსში 140 კომლი მკვიდრობდა, ხუნძახში – 387 კომლი, ბალახანში – 259 კომლი, ანდიის სოფელ გაგატლში – 336 კომლი, მეხელთაში – 508 კომლი, დარგუელთა სო-ფელ მუღში – 547 კომლი და ა. შ.). თავის მხეივ, ამავე ფა-

ქტთან იყო დაკავშირებული დაღესტანში ხელოსნობის საკმაოდ მაღალი დონე.

რა იყო თარეშების მიზეზი? – ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო. მთის პირობებში შეზღუდულმა მეურნეობამ ჩრდილოეთ კავკასიელ მთიელებს თარეშებისაკენ უბიძგა. არასტაბილური ეთნიკური სიტუაცია ჩრდილოეთ კავკასიის მთისწინა ზოლში მათ ნორმალური ეთნიკური ურთიერთობების საშუალებას არ აძლევდა.

გეოგრაფიული გარემო გახლდათ ის ძირითადი მიზეზი, რაც ჩრდილოეთ კავკასიელებს სამხრეთ კავკასიელთა საზოგადოებრივი განვითარებითაც განასხვავებდა. ლევ გუმილიოვი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ხალხთა პოლიტიკური სისტემები მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქვეყნებში დასახლებული ხალხების მეურნეობის სისტემებთან[43]. სამეურნეო სისტემები კი, თავის მხრივ, ბუნებრივ-გეოგრაფიული და კლიმატური ფაქტორებით იყო განპირობებული. კავკასიის ხალხები ამ თვალსაზრისითაც (პოლიტიკური სისტემებითაც) განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. რატომ? – აქაც ყველაფერი ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოებით აიხსნება. ჩრდილოეთ კავკასიას ჩრდილოეთიდან ევრაზიის სამომთაბარეო არეალი ესაზღვრება. ძვ. წ. IX საუკუნიდან ამ სამომთაბარეო არეალში ნომადური ტომები ენაცვლებოდნენ ერთმანეთს. ეს გარემოება აქ არც მდგრადი ეთნიკური ვითარებისა და მდგრადი პოლიტიკური სიტუაციის შექმნას უწყობდა ხელს. თვით ჩრდილოეთ კავკასიის მთისწინა ზოლშიც სტეპური გარემო არსებობდა და ეს ლანდშაფტი და კლიმატი აქ მოსულ მომთაბარე ეთნოსებს მხოლოდ ნახევრადმომთაბარეებად აქცევდა. ახლად მოსული ნომადების გამოისობით, არ იქმნებოდა სტაბილური ეთნიკური და პოლიტიკური სიტუაცია. ნახევრადმომთაბარეების ინტერესებში, ფაქტობრივად, არ შედიოდა მდგრადი პოლიტიკური

---

[43] *Гумилев Л. Н.* Этногенез и биосфера Земли. – М., С.179.

ვითარების შექმნა, რადგან მათში სოციალური დიფერენციაცია ან არ იყო, ან უმნიშვნელოდ იყო. რაც შეეხება მთას, ის ფრიად კონსერვატული გახლდათ. მთის ლანდშაფტი არ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ აქ სოციალური დიფერენციაცია მომხდარიყო. ბუნებრივია არც ქონებრივი განსხვავება არსებობდა. ყველაფერი თემობრიობასთან იყო დაქვემდებარებული. მიწა ყველას თანაბრად ჰქონდა დანაწილებული და მიწაზე კერძო საკუთრებაც არ არსებობდა. ასე რომ, ჩრდილოეთ კავკასიის მთაში ფეოდალური ურთიერთობა არ არსებობდა, რასაც სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები უნდა შეექმნა. სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის შემქმნელი ფენა არ არსებობდა, რიგითი მეთემეების წინაშე კი ეს საკითხი არასდროს დგებოდა. ჩრდილოეთ კავკასიის მთაში სახვნელი მიწის ნაკლების გამო შეუძლებელი იყო ფეოდალური ურთიერთობების წარმოქმნა. აქ მეთემეს თავად არ ყოფნიდა მოწეული მიწის მოსავალი და, ბუნებრივია, სხვისთვის გადასახდელიც არც არასდროს ჰქოდა და არც არავის არ აძლევდნენ თემზე მაღლა დადგომის საშუალებას. ერთგვარი ზედაფენა აქაც არსებობდა, მაგრამ ეს ზედაფენა გაჩენილი იყო არა მიწაზე კერძო საკუთრების შედეგად, არამედ ესენი იყვნენ თარეშების ლიდერები, წინამძღოლები, რომლებსაც ქონება ძარცვა-გლეჯის გზით ჰქონდათ შექმნილი. ეს ვითარება საუკუნეების განმავლობაში, კავკასიაში რუსეთის იმპერიის შემოსვლამდე არსებობდა.

ჩრდილოეთ კავკასიის დაბლობსა და სტეპების ზოლში საუკუნეების განმავლობაში ეთნიკური ვითარება მუდმივად იცვლებოდა, მაგრამ მდგრადი ეთნიკური ვითარება გვქონდა მთიან ნაწილში. ასეთ რეგიონებად კი შეიძლება დავასახელოთ დაღესტანი და ჩაჩნეთ-ინგუშეთი. დაღესტნური ეთნოსები ნამდვილად იზოლატები იყვნენ, რასაც ვერ ვიტყვით ჩაჩნებსა და ინგუშებზე, რადგან, როგორც ეთნოგრაფიული მონაცემებით ირკვევა, მათსა და ქართველ მთიელებს შორის მუდმივად ხდებოდა მოსახლეობის გაცვლა-გამოცვლა. ისტორიულად ხე-

ლმისაწვდომი პერიოდისათვის ეთნიკური შეხვედრები ხდებოდა ცენტრალური კავკასიის მთიან ნაწილში. აქ ადგილობრივ კავკასიურ ეთნოსებს მოსული ირანულენოვანი და თურქულენოვანი ეთნოსები ჩაენაცვლნენ (ოსები, ბალყარელ-ყარაჩაელები). ამ უკანასკნელებმა ეპიდემიებისაგან შეთხელებული ადგილობრივი მოსახლეობის ასიმილირება მოახდინეს.

რუსულ მეცნიერებაში კავკასიას არა მხოლოდ გეოგრაფიული ოლქად, არამედ ისტორიულ-კულტურულ რეგიონად, ისტორიულ-ეთნოგრაფიულ პროვინციადაც განიხილავენ. მაგრამ მთავარი კავკასიონის ქედის მძლავრი მთათა სისტემა კავკასიას ორ, არამსგავს, ერთმანეთისაგან განსხვავებულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ რეგიონად ყოფს: ჩრდილოეთ კავკასიად და სამხრეთ კავკასიად. ჩრდილოეთ კავკასია და სამხრეთ კავკასია თავისი განსხვავებული ბუნებრივი და კულტურულ-ისტორიული თავისებურებებით ხასიათდება. ხშირად ცალკე გამოყოფენ ხოლმე ჩრდილოეთ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილსაც – დაღესტანს. მრავალფეროვანია კავკასიის ლანდშაფტიც. კავკასიის ეკოლოგიურმა მრავალფეროვნებამ კი განაპირობა აქ სრულიად განსხვავებული სამეურნეო-კულტურული ტიპების წარმოქმნა: სამიწათმოქმედო-მესაქონლეობითი კომპლექსური მეურნეობა, საქონლის როგორც ჰორიზონტალური, ისე ვერტიკალური გადარეკვით, სახვნელი და მთის მიწათმოქმედება. ჩრდილოეთ კავკასიისათვის ნიშანდობლივი იყო აგრეთვე მომთაბარე/ნომადური მესაქონლეობა. შესაბამისად, სოციალ-ეკონომიკური და კულტურული განვითარებით ჩრდილოეთ კავკასიამ და სამხრეთ კავკასიამ განვითარების სხვადასხვა გზა განვლეს. სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიის მხოლოდ მაღალმთიან ერთმანეთის მოსაზღვრე ტერიტორიებზე მკვიდრებს გაჩნდათ მსგავსი სამეურნეო და მატერიალური კულტურის რეალიები. რთული ლანდშაფტით იყო განპირობებული კავკასიის ეთნოლინგვისტური სიჭრელეც, რადგან სხვადასხვა სამეტყველ-

ლო კოდების შერევა, რთული და განსხვავებული ლანდშაფ-ტის გამო, ფაქტობრივად არ ხდებოდა.

ზოგიერთ მკვლევარს კავკასიისა და მისი მკვიდრი ეთნო-სების ერთიან ისტორიულ-კულტურულ ოლქში მოქცევის მი-ზეზს ძირითადად საერთო ანთროპოლოგიური ტიპი, მატერია-ლური კულტურის, სამეურნეო ყოფის ზოგიერთი ელემენტის მსგავსება აძლევს. იყო ერთობა მთიელთა სოციალური ურთი-ერთობებისა და სულიერი კულტურის სფეროში, ეტიკეტში, მენტალიტეტში. კულტურის ზოგიერთ საერთო ელემენტთან ერთად, კავკასიის თითოეულ ეთნოსს მხოლოდ მისთვის მახა-სიათებელი ყოფა-ცხოვრება, ტრადიციები, მენტალობა ჰქონდა. ბუნებრივია, ეს სხვაობა ქართველი ხალხისა, სომხებთან და ალბანელებთან ერთად, კავკასიის სხვა ხალხებთან შედარებით, უფრო დიდი და სიღრმისეული იყო, რადგან სამხრეთ კავკასი-ელებმა საკუთარი სახელმწიფოებრიობა, მაღალი კულტურა და ცივილიზაცია შექმნეს, რომლის ყველაზე დიდი გამოხატუ-ლებაც ეროვნული დამწერლობა და მრავალფეროვანი მწე-რლობაა. სამხრეთ კავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის სხვა-დასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ პროვინციებად ჩამოყალიბე-ბას ხელი არა მხოლოდ კავკასიონის მთავარი ქედით გამიჯვ-ნამ შეუწყო, არამედ მეზობლურმა გარემოცვამაც – ჩრდილო-ეთ კავკასიის ხალხებს საუკუნეების განმავლობაში ჩრდილო-ეთიდან თუ სხვადასხვა მომთაბარე ეთნოსები ესაზღვრებოდ-ნენ, სამხრეთ კავკასიელებს დასავლეთ აზიის/მახლობელი აღ-მოსავლეთის სხვადასხვა ცივილიზაციებთან ჰქონდათ ურთიერ-თობა. ძველი აღმოსავლური, ირანული, არაბული, ბიზანტიური ცივილიზაციები, ხელს უწყობდა სამხრეთ კავკასიელთა ეკო-ნომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებას, რასაც ჩრდილოეთ კავკასიელები მოკლებულნი იყვნენ. კავკასიელთა კულტურულ არაერთგვაროვნებას რელიგიური ფაქტორიც გა-ნაპირობებდა.

ცნობილია, რომ კავკასია არა მხოლოდ ეთნიკური თვალსაზრისითაა მრავალფეროვანი, არამედ აქ მცხოვრები ეთნოსების დიდი ნაწილი (გარდა ყველაზე მცირერიცხოვანი ეთნიკური ერთობებისა) იყოფა ლოკალურ/ტერიტორიულ ერთეულებად, რომელსაც ჩვენ უფრო ხშირად ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებად მოვიხსენიებთ. ეს ეთნოგრაფიული ჯგუფები კი, მიუხედავად საერთო სალიტერატურო ენის არსებობისა ლაპარაკობდნენ და დღესაც ლაპარაკობენ დიალექტებსა და კილო-კავებზე. მაგალითად, დაღესტნის ყველაზე დიდი ეთნიკური ერთობა – ხუნძები (ავარიელები) მრავალი ლოკალურ-ტერიტორიული ერთეულისაგან შედგება. შესაბამისად ხუნძურ ენაში ბევრია დიალექტიც. უფრო მეტი, თითქმის ყველა სოფელს თავისი თქმა გააჩნია. მეზობელი სოფლების მეტყველებაც კი ხშირად ძალიან განსხვავებულია. სომხურ ენაში ლინგვისტები 50-მდე დიალექტს ითვლიდნენ და ზოგიერთ მათგანზე მოლაპარაკეთ ერთმანეთის გაგება უჭირდა. განსაკუთრებით ცალკე იდგა ზოკების ეთნოგრაფიული ჯგუფის მეტყველება. საქართველოც ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების ერთობლიობას წარმოადგენდა. შესაბამისად ქართულ ენას ბევრი დიალექტი თუ მეტყველება გააჩნდა. რა იწვევდა ასეთ შედარებით მცირერიცხოვან ეთნოსებსა და პატარა ტერიტორიებზე ეთნოგრაფიული თავისებურებების მქონე ჯგუფების წარმოქმნას? – ბუნებრივია, ამ კითხვაზე პასუხი ადვილია, – ესაა ბუნებრივ-გეოგრაფიული ფაქტორი. ლოკალურ/ტერიტორიულ ერთეულთა წარმოქმნა ერთი ეთნოსის წარმომადგენელთა განსხვავებულ რელიეფსა და ლანდშაფტში ცხოვრებამ განაპირობა. დაღესტანში ამას ენდოგამიური ქორწინებაც ემატებოდა. სამართლიანადაა შენიშნული, რომ მიუხედავად ასეთი, ერთი შეხედვით, დიფერენცირებისა, სომხებიც და ქართველებიც კრიტიკულ მომენტში ავლენდნენ და ავლენენ გასაოცარ ერთობას. ეთნიკური კოჰეზიის (ერთმანეთისადმი მიზიდულობის) ფაქტების კვლევას ეთნოლოგიური მეცნიერების მნიშვნელოვან

პრობლემად მიიჩნევენ[44]. საქართველოში ეთნოგრაფიული ჯგუფების ასეთ მიზიდულობას შიდა სამეურნეო-ეკონომიკური ურთიერთობები განაპირობებდა[45].

ამრიგად, კავკასიელთა მრავალფეროვან ეთნიკურ კულტურას გეოგრაფიული არაერთგვაროვნება განაპირობებდა. ზოგადად ამის შესახებ საუბრობდა თავის გამოკვლევებში ლევ გუმილიოვი: «Связ этнической культуры с геграфией несомненна»[46].

---

[44] С. А. Арутюнов. Силуеты этничности на цивилизационном фоне. М., 2012, С. 87.

[45] რ. თოფჩიშვილი. საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები. – თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება: შოთა მესხია – 100, თბ., 2016, გვ. 392-420.

[46] Л. Гумилев. Этногенез и биосфера Земли, М., 2004, С. 35ю

ეთნიკური ვითარება ისტორიულ და თანამედროვე კავკასიაში

რა გავლენას ახდენდა ლანდშაფტი ეთნიკურ სიტუაციაზე? რადგანაც კავკასია ბუნებრივ-გეოგრაფიული და კლიმატური თვალსაზრისით უაღრესად ჭრელი იყო, ამის გამო, აქ ერთგვაროვანი სიტუაციაც არ გვქონია. ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, თუ როგორ შეიცვალა ეთნიკური სიტუაცია შუა საუკუნეებში სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთში ანუ დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, როგორ მცირდებოდა სომეხთა უძველესი განსახლების არეალში სომხური ეთნოსი და როგორ იკავებდა მას სხვა მოსული – თურქულენოვანი ეთნოსი. ცვალებადი იყო ეთნიკური სიტუაცია ჩრდილოეთ კავკასიის დაბლობის ნაწილში – სტეპებში, რომელიც უშუალოდ ჩრდილოეთიდან ევრაზიის სივრცეს ემეზობლებოდა და სადაც საუკუნეების განმავლობაში ათეულობით მომთაბარე ეთნოსმა გადაიარა; ისინი ჩრდილოეთ კავკასიის ვაკეებზეც სახლდებოდნენ და ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. ესენი იყვნენ სკვითები, სარმატები, ალანები, ხაზარები, ავარები, ბოლგარელები, სავირები, პაჭანიკები, ყივჩაღები. მნიშვნელოვნად შეცვალეს ეთნიკური ვითარება მონღოლებმა.

კავკასია მსოფლიოს ერთ-ერთი პოლიეთნიკური რეგიონია. აქ ტერიტორიის მცირე ერთეულებზე ერთმანეთს სხვადასხვა ეთნოსები ემეზობლებოდნენ და ემეზობლებიან. ეს ეთნოსები სხვადასხვა წარმოშობისანი არიან – უმეტესობა კავკასიის უძველესი მკვიდრია, ზოგიერთი კი აქ ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთშია მოსული. კავკასიის მრავალეთნიკურობას მისი გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები და იმპერიების მიერ მისი ხელში ჩაგდების სურვილი განსაზღვრავდა და განსაზღვრავს. კავკასიის თანამედროვე ეთნიკურ რუკას თუ თვალს გადავავლებთ, კარგად დავინახავთ, რომ მსოფლიოს ამ უმნიშვნელოვანეს გზაჯვარედინზე ერთმა-

ნეთის გვერდით მკვიდრობენ კავკასიური წარმომავლობის, თურქული, ირანული, სლავური მოდგმის ეთნოსები. საბჭოთა იმპერიის დანგრევამ და მსოფლიოში მიმდინარე სხვა მოვლენებმა კავკასიაში კვლავ გამოიწვია სხადასხვა ეთნოსების ამოძრავება.

სხვათა შორის, კავკასიის ეთნიკური ისტორიის შესახებ ბოლო დროს ბევრი მითოლოგემა შეიქმნა. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობენ იმ ეთნოსთა წარმომადგენლები, რომლებიც კავკასიელებად შედარებით გვიან იქცნენ. ხდება კავკასიაში მცხოვრები გამქრალი ეთნოსების კულტურული მემკვიდრეობის, სხვათა ისტორიისა და მიღწევების მითვისება.

კავკასიაში დღეისათვის ორმოცდაათამდე ხალხი მკვიდრობს, რომელთაგანაც ყველამ ორიგინალური კულტურა შექმნა და აქვს მისთვის დამახასიაებელი ენა. ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი რეგიონი ჯერ კიდევ ანტიკურ პერიოდში ბევრი სხვადასხვა ხალხით იყო დასახლებული. მარტო ბერძენი გეოგრაფის *სტრაბონის* (ძვ. წ.-ის 64/63-ახ. წ.-ის 23/24) სიტყვები რად ღირს, რომ შავიზღვისპირეთში – *დიოსკურიაში* (თანამედროვე სოხუმი) სავაჭროდ თავს იყრიდა კავკასიის მთებიდან ჩამოსული სამოცდაათამდე ხალხის წარმომადგენელი. სტრაბონი იმასაც აღნიშნავდა, რომ შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრები ჯიქები აქ მოსვლამდე სარმატიის ველებზე იმყოფებოდნენ. სხვათა შორის, სტრაბონის ამ ცნობასთან სრულიად თანხვედრაშია ქართველი მემატიანის – *ჯუანშერის* ცნობა, რომ „... მაშინ მუნ იყო პაჭანიკეთი მოსაზღვრედ ოვსეთისა, მდინარესა მას ოვსეთისასა წიაღ, და ჯიქეთი მუნვე იყო. შემდგომად ჟამთა მრავალთა იოტნეს პაჭანიკნი და ჯიქნი თურქთაგან; და წარვიდეს პაჭანიკნი დასავლით-კერძო, ხოლო ჯიქნი დაემკვიდრეს ბოლოსა აფხაზეთისასა“. ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ არაბი გეოგრაფის *იბნ ალ-ფაკიჰ ალ-ჰამადანის* სიტყვები, რომელიც IX საუკუნის შუა ხანებში წერდა, რომ კავკასიის მთებში 72 ხალხი ცხოვრობს და ყოველ მათ-

განს ერთმანეთის ლაპარაკი არ ესმის. არაბი ავტორები კავკასიას „ენათა მთასაც“ უწოდებდნენ. ეს ეთნიკური სიჭრელე კავკასიას დღესაც ახასიათებს, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის დროთა განმავლობაში გარკვეულ ცვლილებებს არ განიცდიდა. მსოფლიოში და განსაკუთრებით ევრაზიის სივრცესა და მახლობელ აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესები, კატაკლიზმები, მიგრაციული პროცესები კავკასიაზეც მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა. ხალხთა შერევები ახალ ეთნოსებს წარმოშობდა, ბევრი ძველი ეთნოსი კი მხოლოდ ისტორიის კუთვნილება ხდებოდა.

მანამ, სანამ ზოგადად შევეხებით ისტორიულად მიმდინარე ეთნიკურ ცვლილებებს, უპრიანია თანამედროვე სამხრეთი და ჩრდილოეთი კავკასიის ეთნიკური სიტუაცია მიმოვიხილოთ. კავკასიურ ენათა ოჯახს, რომელსაც ადრე იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახს უწოდებდნენ, მიეკუთვნებიან: ადიღეელები, ჩერქეზები, ყაბარდოელები, აბაზები და აფხაზები; ჩაჩნები და ინგუშები, დაღესტნური ეთნოსები: ხუნძები, ანდიელები, ახვახები, ბაგულალები, ბოთლიხელები, ღოდობერიელები, კარატაელები, ტინდიელები, ჭამალალები, დიდოელები, კაპუჭელები, ხვარშიელები, ჰინუხელები, ჰუნზიბელები, არჩიბელები, დარგუელები, ხაიდაყელები, ყუბაჩელები, ლაკები, ლეზგები, აღულები, რუთულები, თაბასარანელები, წახურები, აზერბაიჯანის შაჰდაღის მთებში მცხოვრები ჰინალუღები, კრიწები, ბჟედუხები, აზერბაიჯანშივე და საქართველოში მცხოვრები უდიები და, რაც მთავარია, კავკასიური მოდგმის ერთადერთი ხალხი — ქართველები, რომლებსაც ორიგინალური დამწერლობა აქვთ შექმნილი. კავკასიის ირანულენოვანი ხალხებიდან კი უნდა დავასახელოთ ოსები, რომელთა წინაპარი ალანები ისტორიის ხელშესახებ პერიოდში არიან კავკასიაში დასახლებული; რაც შეეხება ირანულენოვან თათებსა და თალიშებს, ისინი სამხრეთ კავკასიის ერთ-ერთი ძველი მკვიდრნი არიან. კავკასიის ჩრდილოეთსა და სამხრეთში თურქულენოვანი ხალხები დრო-

ის სხვადასხვა მონაკვეთში არან დამკვიდრებულნი. აზერბაიჯანელები თუ სამხრეთ კავკასიის მკვიდრნი არიან, ყუმუხები, ნოღაელები, ბალყარელები და ყარაჩაელები ჩრდილოეთ კავკასიაში ცხოვრობენ. თავიანთი წარმომავლობით ინდოევროპელები არიან სომხები. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ეთნოსის სამშობლო კავკასიაა. კავკასიაში სხვადასხვა ხალხებიც ცხოვრობენ, რომლებსაც სამშობლო სხვაგანა აქვთ. ესენი არიან: რუსები, უკრაინელები, ქურთები, ასირიელები, ბერძნები, თათრები, ებრაელები და სხვები. რამდენად გასაოცარიც არ უნდა იყოს, თანამედროვე კავკასიის ყველაზე დიდ ეთნოსს რუსები წარმოადგენენ, რომელთა რაოდენობა 12 მილიონზე მეტია. ისინი აქ ძირითადად ჩრდილოეთ კავკასიაში მკვიდრობენ, სადაც 1989 წლისათვის მათი რაოდენობა 11 მილიონ 233 ათასს 700 კაცს შეადგენდა. ეს იყო ჩრდილოეთ კავკასიის მთელი მოსახლეობის 2/3-ზე მეტი. აღნიშნული ეთნოდემოგრაფიული სურათი კავკასიაში კი უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაშია შექმნილი.

დავიწყოთ თავიდან. ზემოთ ახალი და ძველი წელთაღრიცხვების მიჯნაზე კავკასიაში, უფრო სწორედ მის შავი ზღვის მონაკვეთში ადიღეური ეთნოსის – ჯიქების დასახლკარების შესახებ აღვნიშნეთ, რომლებიც აქ „სარმატიის ველებიდან“ მოსულან. ამ პერიოდში, როგორც ჩანს, ჩრდილოეთ კავკასიაში სხვა ენოსებიც ამოძრავებულან. მათი მოძრაობა კი მაშინაც და შემდეგაც ძირითადად ევრაზიის სივრცეში მომთაბარე ირანულენოვანი ტომების – სკვითების, სარმატების და ალანების სამომთაბარეო არეების შეცვლითა და თარეშებით იყო განპირობებული.

კავკასიის ეთნოდემოგრაფიულ სიტუაციაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია IV საუკუნის 70-იან წლებში თურქულენოვანი ჰუნების შემოსევებმა. თანამედროვე მონღოლეთის ტერიტორიიდან წამოსული ეს თურქულენოვანი და სხვა ეთნოსებთან შეუღლებული კონგლომერატი ევრაზიის სივრცეში გადაადგი-

ლდებოდა და დასავლეთისაკენ მიისწრაფოდა. ვოლგასა და აზოვის ზღვის მონაკვეთში ისინი ირანულენოვანი ალანების დიდ წინააღმდეგობას წააწყდნენ. მიუხედავად ამისა, ალანებს მათ ევრაზიის სივრცეში სამომთაბარეო არეალი მოუსპეს. ალანთა გადარჩენილმა ჯგუფებმა კავკასიის ბარში ჩამოიწია და ბინადარ ცხოვრებას მიჰყო ხელი. ასე იქცნენ ოსთა წინაპარი ალანები პირველად კავკასიელებად. თავის მხრივ, ალანებმა კავკასიის ბარში მოსახლე ეთნოსები შეავიწროვეს: ნახურ-დაღესტნური ეთნიკური ჯგუფები მხოლოდ კავკასიის მთების მკვიდრებად იქცნენ. კავკასიელთა გარკვეული ნაწილი ამ დროს ალანური ეთნოსის შემადგენლობაშიც შევიდა. აღნიშნული დროიდან ალანებთან ერთად, კავკასიაში დამკვიდრებას იწყებენ თურქული მოდგმის ჰუნებიც – მაშინ შემოვიდნენ კავკასიის მთებში, თანამედროვე ბალყარეთის ტერიტორიაზე – სავირები. მაშინვე ჩაეყარა საფუძველი დაღესტნის ბარში ყუმუხების ეთნოსს. ხაზარებიც აღმოსავლეთ კავკასიის მთისწინეთში დასახლებული ჰუნების შთამომავლებად ითვლებიან. ხაზარების სახელმწიფო კი, როგორც ცნობილია, ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა და მისი ჩრდილოეთი საზღვარი კასპიის ზღვის ჩრდილოეთით იყო, ხოლო დასავლეთით ისინი ყირიმის ნახევარკუნძულის ნახევარს ფლობდნენ. მთელი ადრე შუა საუკუნეების განმავლობაში ჩრდილოეთ კავკასიის ველებში სწორედ ზემოხსენებული ალანები და ხაზარები დომინირებდნენ. თურქულენოვანთა დარად, ირანულენოვანი ალანებიც აღმოსავლეთიდან – შუა აზიიდან და ყაზახეთის ტერიტორიიდან იყვნენ მოსული. ხაზარეთის სახელმწიფომ, რომელიც ალანებს ჩრდილოეთიდან ესაზღვრებოდა, შედარებით მალე შეწყვიტა არსებობა; ის X საუკუნის სამოციან წლებში კიევის რუსეთმა გაანადგურა. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ველებში თურქულმა ეთნოსმაც შეწყვიტა არსებობა. ერთი რამ კი ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ კიევის რუსეთის მიერ ხაზართა სახელმწიფოს განადგურებას შედეგად მო-

ჰყვა აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით სხვადასხვა ტომების, განსაკუთრებით თურქული მოდგმის ტომების, მოძრაობა, რადგან ხაზარებს, ფაქტობრივად, გარკვეული ხნით ჩაკეტილი ჰქონდათ აზიიდან ევროპაში შემოსასვლელი დერეფანი. ამრიგად, როგორც სამართლიანადაა შენიშნული, XI საუკუნის მწერლებისათვის ხაზარები, ისევე როგორც ჰუნები შორეული წარსულის ხალხები იყვნენ.

ჰუნებმა და შემდეგ ხაზარებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს სამხრეთ კავკასიაზეც. 392-396 წლებში მოხდა ჰუნების დიდი მასების შემოჭრა სამხრეთ კავკასიასა და წინა აზიაში. ზოგიერთი მეცნიერი თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე თურქულენოვანი მოსახლეობის დასახლებას იმდროინდელ მოვლენად მიიჩნევს, მაგრამ დაბეჯითებით უნდა ითქვას, რომ ალბანეთის ტერიტორიაზე დარჩენილი მცირერიცხოვანი როგორც ჰუნები, ისე შედარებით გვიან, VII საუკუნეში მოსული ხაზარები ეთნიკურ სიტუაციას ვერ ცვლიდნენ, მალევე ასიმილირდებოდნენ.

ალანები კვლავ აგრძელებდნენ ცხოვრებას ჩრდილოეთ კავკასიის ველებში თავიანთი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნით, რომელთანაც საქართველოს სახელმწიფოს XI-XII საუკუნეებში ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდა. ჯუანშერის ისტორიიდან კარგად ჩანს, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში მთავარი პოლიტიკური ძალა *ვახტანგ გორგასლის* დროს ალან-ოსები იყვნენ, რომლებიც პრობლემებს არა მხოლოდ სამხრეთ კავკასიაში ქართველებს უქმნიდნენ, არამედ ჩრდილოეთ კავკასიის მთებში მოსახლე სხვადასხვა ეთნოსებსაც. ქართული წყარო ოსთა იმდროინდელ მოკავშირეებად ხაზარებსაც ასახელებს, რომლებშიც უდავოდ არა ხაზარები, არამედ ჩრდილოეთ კავკასიის ჰუნთა ერთ-ერთი სატომო გაერთიანება იგულისხმება. როგორც ალანები, ისე ჰუნები და ხაზარები ჩრდილოეთ კავკასიის ბარის მფლობელნი იყვნენ. ისინი არიან მოქცეული ადრე შუა საუკუნეების მწერალთა მხედველობის არეში. მთებში

მკვიდრ ეთნოსებს კი იშვიათად ასახელებენ მაშინდელი წყაროები. ამავე დროს, ხშირად ალანების ეთნონიმის ქვეშ მთისწინეთსა და მთაში მცხოვრები ადგილობრივი ტომებიც იგულისხმებიან. ადრე შუა საუკუნეების ჩრდილოეთ კავკასიის მთაში მკვიდრი ეთნოსებიდან, რა თქმა უნდა, დღეს მოსახლე ნახურ-დაღესტნური და აფხაზურ-ადიღეური ხალხები იგულისხმებიან, რომელთა ერთმანეთში შერევა არცთუ იშვიათი მოვლენა იყო. აქ უდავოდ ჩვენთვის უცნობი სხვა ეთნოსებიც ცხოვრობდნენ, რომლებიც შედარებით გვიან შემოსახლებული ალან-ოსებისა და თურქულენოვანი ყივჩაყების მიერ ასიმილირდნენ. VI საუკუნის ავტორის *პროკოფი კესარიელის* მოწმობით, სავირები კავკასიის მთების მახლობლად ცხოვრობდნენ. მაგრამ, როგორც ირკვევა, მათი სამკვიდრებელი მთებიც იყო, კერძოდ, თანამედროვე ბალყარეთისა და დასავლეთ ოსეთის (დიგორიის) ტერიტორია, რასაც ადასტურებს ეთნოგრაფიული მონაცემები: ა. დასავლეთ საქართველოს მთიელები – სვანები ბალყარელებს (და ზოგჯერ ოსებსაც) „სავიარებს“ უწოდებენ და ბ. სავირების ნაკვალევი დიგორიის ტოპონიმიაში აშკარაა. დიგორის ხეობას ოსები, უწინარეს ყოვლისა, საფარი-კომს უწოდებენ, რაც პირდაპირ სავირთა ხეობას აღნიშნავს. ზემოხსენებული პროკოფი VI საუკუნის მეორე ნახევარში აბაზგებსა და ალანებს შორის „ბრუხებს“ ასახელებს. ვინ იყვნენ ბრუხები? ძნელია ამ კითხვაზე დამაჯერებელი პასუხის გაცემა, თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსი მეცნიერი *ა. გენკო* ბრუხებს უბიხებთან აიგივებდა, რადგან მისი მონაცემებით უბიხების ენდოეთნონიმი „პიოხ“ („ბიოხ“) იყოო. თუ *ა. გენკოს* მოსაზრება სიმართლეს შეესაბამება, მაშინ ერთმნიშვნელოვნად შეიძლება დავასკვნათ, რომ უბიხებს VI საუკუნის შემდეგ განსახლების არეალი შეუცვლიათ; მემატიანე ნამდვილად მათ მთაში ასახელებს – აბაზგებსა და ალანებს შორის. გვიანდელი უბიხები კი ზღვისპირეთის მცხოვრებნი იყვნენ. შუა საუკუნეების მანძილზე რომ ჩრდილოეთ კავკასიაში ხშირი იყო არა მხოლოდ

ეთნოსთა ცვლა, არამედ ამ ეთნოსთა განსახლების არეალის შეცვლაც (როგორც გაფართოვება, ისე შემცირება), კარგად ჩანს, იმავე *პროკოფის* ნაშრომიდან. მისი მოწმობით დარიალის გასავლელი VI საუკუნეში არ შედიოდა ალანების პოლიტიკური (მითუმეტეს, ეთნიკური) ბატონობის არეალში. ასეთი ეთნიკური და პოლიტიკური სიტუაცია X საუკუნეშიც უცვლელად იყო შენარჩუნებული. ***X საუკუნის არაბი ავტორის იბნ-რუსტეს მიხედვით დარიალიდან ალანთა სამფლობელოს საზღვრამდე ათი დღის ფეხით სავალი იყო.*** X საუკუნისავე არაბი ავტორის *ალ-მასუდის* ცნობით დარიალის სიმაგრეს ფლობს არა ალანების, არამედ ქართველების მეფე. **VI საუკუნის მეორე ნახევრის სირიული ქრონიკის თანახმად, ჩრდილოეთ კავკასიის ბარში ცამეტი სხვადასვა ხალხი მკვიდრობდა, რომლებიც კარვებში ცხოვრობდნენ და საქონლის ხორცითა და თევზით და აგრეთვე გარეული მხეცებითა და იარაღის გამოყენებით იკვებებოდნენ. წყარო აღნიშნული რეალურად ცამეტი ხალხის ცხოვრების წესზეც მიუთითებს — ისინი მომთაბარენი და ნახევრადმომთაბარენი/ნახევრადბინადარნი იყვნენ.** ამ ცამეტ ხალხს შორის აღნიშნული წყარო ალანებსაც ასახელებს. კავკასიაში, ალანების პერიოდში, დაღესტნის ტერიტორიაზე *სარირის/სერირის* სამეფოც არსებობდა, რომლის ძირითადი მკვიდრნი ხუნძები გახლდნენ, თუმცა, მის შემადგენლობაში დაღესტნის სხვა მთიელი ეთნოსებიც შედიოდნენ.

ახალი ეტაპი კავკასიის ხალხთა ეთნიკურ ისტორიაში მონღოლთა შემოსევების შემდეგ იწყება. მონღოლებმა ევრაზიის სივრცეში მცხოვრები სხვადასხვა თურქულენოვანი და ირანულენოვანი ეთნოსები აამოძრავეს. მოსპეს ალან-ოსებისა და ყივჩაყების პოლიტიკური გაერთიანებები. „სტეპნიაკი“ ალან-ოსები საბოლოოდ მთიელებად იქცნენ და ცენტრალური კავკასიის მთებში შევიდნენ საცხოვრებლად, ხოლო ყივჩაყების მცირე ნაწილმა თავი დასავლეთ კავკასიის მთებს შეაფარა. ყივჩაყების საფუძველზე, ადგილობრივ მოსახლეობასთან შერევის შე-

დეგად, თანამედროვე ბალყარელები და ყარაჩაელები ჩამოყალიბდნენ. მონღოლთა ბატონობის დასრულების შემდეგ, ალანების საცხოვრებელის სამხრეთი ნაწილი ყაბარდოელებმა დაიკავეს და კავკასიაში რუსების შემოსვლამდე სიტუაციის ფაქტობრივი წარმმართველნი ისინი იყვნენ. ალანეთის პოლიტიკური გაერთიანების ტერიტორიის მფლობელნი ჩრდილოეთში კი თურქულენოვანი ნოღაელები გახდნენ, რომლებიც ანტროპოლოგიურად ევროპეიდთა და მონღოლოიდთა ნაჯვარნი არიან. ალან-ოსების მთიელებად გადაქცევამ სამხრეთ კავკასიაში, უფრო სწორედ საქართველოშიც შეცვალა ეთნიკური სურათი. გამრავლებულ ოსებს ჩრდილოეთ კავკასიის ველებში – წინაპართა საცხოვრისში დაბრუნების საშუალებას ყაბარდოელები არ აძლევდნენ. სამაგიეროდ, გამოსავალი მათ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში – დვალეთსა და შიდა ქართლის მთიანეთში მონახეს. ყველანაირი საისტორიო წყაროთი დადგენილია, რომ ***ოსების დვალეთში მიგრაცია XVI საუკუნეში მოხდა, ხოლო შიდა ქართლის მთაში – XVII საუკუნის შუა ხანების შემდეგ.***

მონღოლთა შემოსევებმა ეთნიკური სურათი სამხრეთ კავკასიაშიც შეცვალა. თუმცა აქ ასეთი ცვლილებები უფრო ადრეც ხდებოდა. ასეთი ცვლილება განსაკუთრებით სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში განხორციელდა: თანამედროვე აზერბაიჯანის, ანუ ისტორიული ალბანეთის ტერიტორიაზე. ადრე შუა საუკუნეების პერიოდის ქრისტიანი და დამწერლობის მქონე ალბანური ეთნოსი გაქრა. მათი ეთნიკური მემკვიდრეები მხოლოდ უდიები არიან. ალბანელები ფიზიკურად არ გადაშენებულან; დროთა განმავლობაში ეთნიკური ცნობიერება შეიცვალეს და ისინი თურქულენოვან ხალხად, თანამედროვე აზერბაიჯანელებად იქცნენ. თურქულენოვანი ეთნოსების, კერძოდ, ხაზარების შემოსვლა ალბანეთში VII-VIII საუკუნეებში მოხდა. შემოსულთა რაოდენობას 12 ათასს კაცს ანგარიშობენ. 1025 წელს ისტორიული ალბანეთის ტერიტორიაზე ოღუზთა

40 ათასი ოჯახი ჩამოსახლდა. თურქ-სელჯუკები აქ 1070 წელსაც, *ალფარსლანის* შემოსევის დროსაც დასახლებულან. საერთოდ, მეცნიერთა დასკვნით, დღევანდელ აზერბაიჯანელებში უფრო მეტნი არიან ძველ ალბანელთა ფიზიკური მემკვიდრეები, ვიდრე თურქული წარმოშობისანი. ალბანეთის ტერიტორიაზე ეთნოტრანსფორმაციული პროცესი უფრო ადრეც მოხდა. ადრე შუა საუკუნეებში სამხრეთ ალბანელები გასომხდნენ, თუმცა ის განპირობებული იყო არა სომეხთა მიგრაციით, არამედ იმით, რომ ალბანეთის ეკლესია სომხების იდეური გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. VIII საუკუნის დასაწყისში ალბანეთის ეკლესიამ ავტოკეფალია დაკარგა და სომხური ეკლესიის შემადგენლობაში შევიდა (ფორმალუარად ალბანეთის კათალიკოსატმა, რომლის რეზიდენციაც მთიან ყარაბაღში – განძასარში იყო XIX საუკუნის შუა ხანებამდე იარსება). ალბანეთის ტერიტორიაზე არა მარტო ალბანელები, არამედ სხვა დაღესტნურენოვანი და ირანულენოვანი ხალხებიც გათურქდნენ.

ეთნიკური თვალსაზრისით დიდი ცვლილებები მოხდა კავკასიაში რუსების შემოსვლის შემდეგ. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ საბჭოთა პერიოდის ბოლო აღწერით რუსების რაოდენობა კავკასიაში 12 მილიონი იყო. არადა სულ ორი საუკუნის წინ ამ ეთნოსის წარმომადგენლები კავკასიაში თითქმის არ მკვიდრობდნენ. რუსეთის იმპერიის ხანგრძლივ ბრძოლას უკვალოდ არ ჩაუვლია. დამარცხებული კავკასიელი მთიელების მნიშვნელოვანმა ნაწილმა სამშობლო დატოვა და ოსმალეთის იმპერიაში გადასახლდა. ადიღეური მოდგმის ხალხები, რომლებიც რუსების მოსვლამდე კავკასიაში ყველაზე მეტნი იყვნენ (700-750 ათასი) უმცირესობაში აღმოჩნდნენ. განსახლების არეალი დატოვეს სხვა ჩრდილოეთკავკასიურმა ეთნოსებმაც. მუჰაჯირთა შორის აღმოჩნდნენ აფხაზები და ქართველი მუსლიმებიც. ეთნიკური განსახლების არეალი გაიფართოვეს ოსებმა და სომხებმა, რომლებიც რუსების მიმართ კეთილგანწყობილნი და ლო-

იალურნი იყვნენ. ოსებს მიეცათ საშუალება ჩრდილოეთ კავკასიის ბარში გადასახლებისა. XIX საუკუნეში შიდა ქართლის მთიანეთში მცხოვრები ოსები მთისწინეთსა და ბარშიც ჩასახლდნენ. სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიაში XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში ფართოდ განსახლდნენ სომხები. ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიიდან ანუ ისტორიული დასავლეთ სომხეთიდან ცარიზმმა ისინი არა მარტო აღმოსავლეთ სომხეთში, არამედ საქართველოსა და აზერბაიჯანის მიწებზეც დაასახლა. რუსეთის იმპერიამ საქართველოში სხვა ეთნოსებსაც მიუჩინა ბინა. ერთ-ერთ მაგალითად კი ოსმალეთიდან ბერძნების გადმოსახლება უნდა დავასახელოთ, რომლებიც ძირითადად საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში — თრიალეთში დასახლდნენ. რუსეთმა ეთნიკური სიტუაცია მიზანმიმართულად შეცვალა როგორც ჩრდილოეთ, ისე სამხრეთ კავკასიაში. ჩრდილოეთ კავკასიის მთაში გადარჩენილი და ადგილზე დარჩენილი ადიღეური მოდგმის ხალხები ბარში გადაასახლა და მათი თითოეული სოფლის ირგვლივ მრავალრიცხოვანი რუსული დასახლებები შექმნა. რუსები იმპერიულ პოლიტიკას საბჭოთა წლებშიც აგრძელებდნენ. ამის მაგალითად გამოდგება ჩრდილოეთ კავკასიელების — ჩაჩნების, ინგუშების, ბალყარელების, ყარაჩაელების — სამშობლოდან აყრა და შუა აზიასა და ყაზახეთში გადასახლება. ასეთივე ბედი გაიზიარეს ქართველმა მაჰმადიანებმა, რომლებიც ახლა „თურქი-მესხების“ ეთნონიმით არიან მსოფლიოში ცნობილი, ბათუმის მიდამოებში მცხოვრებმა ჰემშილებმა და სხვებმა. სამაგიეროდ რუსეთის იმპერია ჩრდილოეთ კავკასიასა და სამხრეთ კავკასიაში ხელს უწყობდა და ახალისებდა სხვადასხვა არაკავკასიური ეთნოსების დასახლკარებას, პირველ რიგში კი — რუსებისას. საყურადღებოა, რომ საბჭოთა პერიოდში ჩრდილოეთ კავკასიის ავტონომიურ წარმონაქმნებში მოსახლეობის სრულ უმრავლესობას მოსული რუსები წარმოადგენდნენ. მოკლედ უნდა ითქვას, რომ რუსების კავკასიაში შემოსვ-

ლამ რადიკალურად შეცვალა ჩრდილოეთ კავკასიის (აგრეთვე სამხრეთ კავკასიის) ეთნიკური რუკა. აქ სლავებისა და რუსეთის სხვა ქვეშევრდომთა დასახლებას არავითარი წინაღმდეგობა არ ხვდებოდა, აგრეთვე ახალისებდნენ ემიგრანტ სომხებს, გერმანელებს, ბერძნებს და სხვებს. ჩრდილოეთ კავკასიის კოლონიზაციამ შეცვალა მომთაბარე ხალხების – ნოღაელების, თურქმენების და ყალმუხების განსახლების გეოგრაფიაც. რუსეთის იმპერია განსაკუთრებულ ყურადღებას შავიზღვისპირეთს აქცევდა. ამ თვალსაზრისით აფხაზეთის დასახელებაც საკმარისია, რომლის ეთნიკური აჭრელება, უფრო სწორედ რუსებით დასახლება, იმპერიის უპირველესი მიზანი იყო. თუმცა ამ მიზნის განხორციელებაში ცარიზმს ხელს კლიმატური ადაპტაციის ფაქტორი უშლიდა. გადმოსახლების მასობრიობის ფონზე დიდი იყო სიკვდილიანობაც. ასე, მაგალითად, 1809-1811 წლებში ჩრდილოეთ კავკასიის შავიზღვისპირეთში 7315 კაცი მომკვდარა, ხოლო 1818 წლის ეპიდემიის დროს მიგრირებული მოსახლეობა განახევრებულა. ამის გამოც იყო, რომ შავი ზღვის სანაპირო ზოლში 1870-1890-იან წლებში ხელს უწყობდნენ სომხების მასობრივ გადმოსახლებას აფხაზეთის შავიზღვისპირეთში, ტუაფსეს, სოჭის, ადლერის, ანაპის, ნოვოროსიისკისა და მაიკოპის რაიონებში. დიდი რაოდენობით დასახლდნენ სომხები ამ ადგილებში 1915-1916 წლებშიც.

ჩვენ არაფერი ვთქვით ეთნიკური ვითარების დინამიკაზე კავკასიის სამხრეთით მდებარე დიდი სახელმწიფოების როლზე. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო არაბთა შემოსევები, რომლებმაც განსაკუთრებული გავლენა აღმოსავლეთ კავკასიაზე მოახდინეს (დაღესტანი, ალბანეთი). ისლამის გავრცელებამ აქ ეთნოტრანსფორმაციული პროცესები დააჩქარა. ოსმალეთის იმპერიამ შეცვალა ეთნიკური სიტუაცია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. 1595 წელს შედგენილი გურჯისტანის ვილაეიეთის დავთარში, რომელშიც აღწერილია სამცხე, ჯავახეთი, კოლა, არტაანი, ერუშეთი და ტაოს ოლთისის მხა-

რე (მასში შავშეთი, კლარჯეთი და ტაოს დიდი ნაწილი არაა შეტანილი) რამდენიმე ასეული ნასოფლარია შეტანილი. მარტო ჯავახეთში 102 ნასოფლარი იყო. ოსმალებმა გააპარტახეს თორი (თანამედროვე ბორჯომის რაიონი). ისლამის მიღებამ ქართველთა დეეთნიზაცია, გათურქება გამოიწვია. ასევე შეიცვალა ეთნიკური სიტუაცია აღმოსავლეთ სომხეთში, რომელიც ერევნის სახანოს სახით, ირანის შემადგენლობაში შედიოდა. XIX საუკუნის 80-იან წლებში ერევნის გუბერნიაში სომხების რაოდენობა 56% იყო.

უარყოფითი იყო ირანის როლი მთელი გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში. ირანის ხელისუფლება მიზანმიმართულად ცდილობდა საქართველოში ეთნიკური სიტუაციის შეცვლას – ქართველების მამა-პაპათა საცხოვრისიდან აყრასა და თურქმანული ტომების ჩამოსახლებას. ამ თვალსაზრისით საგანგაშო მდგომარეობა შეიქმნა აღმოსავლეთ საქართველოს მთელ რიგ მხარეებში; თითქმის მოსახლეობისაგან დაიცალა აღმოსავლეთი კახეთი (თანამედროვე საინგილო), კახეთის გაღმა მხარი და შიდა კახეთი, ერწო-თიანეთი, დემოგრაფიულად კატასტროფიული სიტუაცია შეიქმნა ქართლშიც, თრიალეთშიც. რაც შეეხება კახეთსა და ქვემო ქართლში მოსახლე თურქმანებს, ისინი ძირითადად შაჰ-აბასის დროსა და შემდეგ პერიოდში არიან მიგრირებულნი. საქართველოს ეთნიკურ სიტუაციაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა ჩრდილოეთ კავკასიელთა თარეშები და ტყვის სყიდვა, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოში *ლეკიანობის* სახელითაა ცნობილი. ქართველთა აყრა-გადასახლება გამოიწვია ოსთა თარეშებმა ცენტრალურ საქართველოში და უბიხებისა და ადიღეური ტომების თავდასხმებმა აფხაზეთში.

კავკასიის ეთნიკურ და დემოგრაფიულ სიტუაციას საბჭოთა იმპერიის დაშლამაც მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნია. რუსეთის მიერ გაჩაღებულმა ე. წ. ეთნიკურმა კონფლიტებმა დიდი მსხვერპლი და მოსახლეობის მნიშვნელოვანი გადაადგილე-

ბა გამოიწვია. საკმარისია გავიხსებოთ რამდენი მსხვერპლი ახლდა ჩაჩნეთის, ყარაბაღის, აფხაზეთისა და შიდა ქართლის ომებს. დიდია გადასახლებული ჩაჩნების, სომხების (აზერბაიჯანიდან), აზერბაიჯანელების (სომხეთიდან) და ქართველების რაოდენობა. ქართველები საკუთარ სამშობლოში დევნილებად იქცნენ. რუსეთის პოლიტიკურ და სახელმწიფო წრეებში წუხილს გამოთქვამენ, რომ ეთნიკური რუსების რაოდენობა კავკასიაში მცირდება. ბევრმა რუსმა (და არა მხოლოდ რუსმა) დატოვა სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოები. საქართველოს წალკის რაიონიდან ფაქტობრივად წავიდნენ ეთნიკური ბერძნები. უფრო უარესი: ქართველი ერის მნიშვნელოვანი ნაწილიც, განსაკუთრებით ახალგაზრდები, საქართველოს სტოვებს. დასავლეთის ქვეყნებში ქართველთა მიგრაცია ქვეყნის ეკონომიკური სიდუხჭირით არის განპირობებული. რაც შეეხება ჩრდილოეთ კავკასიას, აქ 1917 წლიდან მოყოლებული 1959 წლამდე რუსული მოსახლეობის ხვედრითი წილი თუ განუსაზღვრელად მატულობდა (1917 წელს ჩრდილოეთ კავკასიაში რუსების რაოდენობა 44,3% იყო, 1926 წელს – 46,9%, 1939 წელს – 52,5%, 1959 წელს – 54,7%), შემდეგ ამ რაოდენობამ შემცირება დაიწყო და 1989 წლისათვის 50,8%-მდე დავიდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც რუსული ეთნოსის შემცირების დინამიკა ჩრდილოეთ კავკასიაში კვლავ შემცირებით ხასიათდება.

ამრიგად, ძველი დროიდან დღემდე კავკასია ეთნოდემოგრაფიული თვალსაზრისით მუდმივ ცვლილებას განიცდიდა. ევრაზიის სივრცეში მომხდარი ყველა მოვლენა მუდმივ გავლენას ახდენდა ამ რეგიონის ეთნიკურ დინამიკაზე. დროთა განმავლობაში კავკასიაში არაერთი ეთნოსი გაქრა, ბევრიც ახალი დასახლდა. ქართველთა ეთნიკურ განვითარებას შედარებითი სიმშვიდე XIX-XX საუკუნეებში დაუდგა, თუმცა ამ პერიოდში ქართული ეთნოსის განსახლების არეალი შემცირდა; მათი ისტორიული განსახლების არეალები სხვა ეთნოსებმა დაიკავეს.

სამართლიანად წერდა XIX საუკუნის 60-ან წლებში რუსი ავტორი *ევგენი კოვალევსკი*, რომ ევრაზიის სივრცეში აღმოსავლეთ და შუა აზიიდან კასპიისა და შავი ზღვების ჩრდილოეთი სანაპიროებით დასავლეთით მიგრირებული ხალხთა მასები სახლდებოდნენ. ვოლგის, დონისა და დნეპრის ფართო სამომთაბარეო სივრცეებში შემდეგში ახალი მოსულების მიერ შევიწროვებულთა ნაწილი დროებით ან სამუდამო თავშესაფარს ჰპოვებდა კავკასიის მიუვალ მთებში[47]. აღარას ვამბობთ კავკასიის მთისწინა დაბლობსა და სტეპებზე – ის ნომადებისათვის ვოლგის, დონისა და დნეპრის ანალოგიურ სივრცეს წარმოადგენდა.

შედარებით მდგრადი ეთნიკური ვითარება გვქონდა ჩრდილოეთ კავკასიის მთებში, განსაკუთრებით დაღესტანსა და ჩაჩნეთ-ინგუშეთის ტერიტორიაზე, შედარებით არამდგრადი ეთნიკური ვითარება ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში. მართალია ყუბანის მარცხენა მხარეზე ახ. წ. დასაწყისიდან ადიღეური ტომები მკვიდრობდნენ, მაგრამ მათი მკვიდრობა მუდმივ ბინადრობას არ გულისხმობდა. ადიღეური მოდგმის დანაყოფები აღნიშნული რეგიონის ხან ერთ ხეობაში იყვნენ დადასტურებული, ხან მეორეში. ცხოვრების ასეთი წესი ფაქტობრივად მათ კონსოლიდაციას ხელს უშლიდა. სოფლებიც ხშირად იცვლიდნენ ადგილს. ყოველივე მიზეზთა კომპლექსით იყო განპირობებული და უპირველესი მიზეზი სტეპურ სამყაროსთან სიახლოვე და ნომადებთან მეზობლობა იყო. ამავე დროს ყუბანის მარცხენა სანაპიროზე პროტოადიღეელები უფრო ჩრდილოეთიდან – აზოვისა და შავიზღვისპირეთიდან მოვიდნენ; მათი განსახლების თავდაპირველი არეალი კი ნახევრადმომთაბარეთა არეალი იყო[48].

---

[47] Е. Ковалевский. Очерки этнографии Кавказа. – Кавказ: Черкезия. – Нальчик, 2014. Вып. 17, С.103.

[48] რ. თოფჩიშვილი. აფხაზურ-ადიღეური ეთნიკური ერთობების ეთნოგენეზის შესახებ, თბ., 2015.

სხვა ნაშრომებში აღნიშნული გვაქვს ქართული ეთნოსის განვითარების საქმეში ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოს როლის შესახებ, რაც ხელს უწყობდა მჭიდრო სამეურნეო-ეკომიკური კავშირების განვითარებას და აქედან გამომდინარე ეთნიკურ შეკავშირებულობას. საამისოდ ერთი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ სამხრეთ საქართველოდან. შავშეთს, კლარჯეთს და მაჭახელს ერთგვარად მიჯნავდა კარჩხლის მთა. მაგრამ სინამდვილეში *კარჩხლის მთა* არა გამთიშველი, არამედ შემაკავშირებელი იყო. საქართველოს აღნიშნულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში არსებობდა მესაქონლეობის თავისებური ფორმა. სოფლებთან ახლოს მხოლოდ სახვნელი მიწები და სათიბები არსებობდა. საძოვრები კი შორს მთებში ჰქონდათ. მაისიდან სექტემბრამდე შავშელებს, კლარჯელებს, მაჭახლელებს საქონელი კარჩხლის მთის იაილებზე მიყავდათ. იაილები ფაქტობრივად საზაფხულო სოფლებს წარმოადგენდა. მართალია კარჩხილის მთაზე ყველა ტერიტორიულ ერთეულს თავისი საძოვრების ზონა ჰქონდა, მაგრამ ისინი რამდენიმე თვის განმავლობაში ერთმანეთის ახლოს ცხოვრობდნენ, ურთიერთობდნენ, აქ ახალგაზრდები ერთმანეთს ეცნობოდნენ და ქორწინდებოდნენ ერთმანეთზე, ე. ი. ერთმანეთთს უნათესავდებოდნენ, რაც ინტეგრაციის გარკვეული წინაპირობა იყო. დანათესავებულებს შემდგომში მისვლა-მოსვლა ჰქონდათ ერთმანეთთან. ასე რომ, ერთი შეხედვით მთას რომ გამთიშველი ფუნქცია უნდა ჰქონოდა, სინამდვილეში ის მაინტეგრირებელი იყო თავისი სამეურნეო დანიშნულებიდან გამომდინარე. ზოგიერთ შემთვევაში საქართველოს სხვადასხვა ხეობების დამაკავშირებელი მთები სხვა ფუნქციის იყო. მაგალითად როგორ ურთიერთობდნენ ერთმანეთთან თეთრი არაგვისა (მთიულეთის) და ქსნის ხეობის (ისტორიული ცხრაძმა) მოსახლეობა. ამ ორ ხეობას ერთმანეთისაგან ლომისის ქედი ჰყოფდა. მაგრამ ეს ქედი მთიულებსა და ქსნელებს ერთმანეთთან აკავშირებდა. ამ მთაზე ლომისის სალოცავი არსებობდა, რომელსაც ორივე ხე-

ობა ეყმობოდა. ამიტომ გამყოფი ქედი არა გამთიშველი, არამედ დამაკავშირებელი იყო. ასეთი სამეურნეო-ეკონომიკური ერთეულების ერთობლიობას წარმოადგენდა საქართველო.

ცნობილია, რომ ყველა ეთნოსს მისთვის დამახასიათებელი ეთნიკური სტრუქტურა გააჩნია. ორიგინალური ეთნიკური სტრუქტურის მატარებელი იყო ქართული ეთნოსიც — საკუთრივ ქართულ სალიტერატურო ენაზე მოლაპარაკე ტერიტორიულ ერთეულებს გარდა, მასში მეგრულად და სვანურად მეტყველი ტერიტორიულ-ლოკალური ერთეულებიც შედიოდნენ. ქართული ეთნოსის ამ სტრუქტურის შექმნაც გეოგრაფიულმა ფაქტორმა განაპირობა. სამეგრელოსა და სვანეთის მოსახლეობას ადგილობრივი ლანდშაფტი აიძულებდა მჭიდრო სამეურნეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობა ჰქონოდა საქართველოს დანარჩენ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებთან. ამ განაპირა მხარეების მოსახლეობა მუდმივად მიისწრაფოდა საქართველოს ცენტრალური მხარისაკენ — ქართლისაკენ. ქართლისაკენ (აგრეთვე კახეთისაკენ) სწრაფვაში საქართველოს სხვა ტერიტორიულ ერთეულებს ბუნებრივ-გეოგრაფიული ფაქტორები უბიძგებდა. აქ სახვნელი მიწისა და საძოვარ-სათიბების დიდი რაოდენობა იყო. ამავე დროს, ქართლი საქართველოს ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარისათვის გეოგრაფიულად ცენტრიც იყო. ამიტომაც მიისწრაფოდნენ განაპირა მხრეების წარმომადგენლები ქართლისაკენ, მის გარშემო გაერთიანებისაკენ, ამიტომაც იქცა ქართლური დიალექტი ყველა ქართველის სალიტერატურო ენად. ქართლის ტერიტორია მეგრულად და სვანურად მეტყველთა განსახლების არეალი რომ ყოფილიყო, ქართული ეთნოსის სალიტერატურო, სახელმწიფო და საღვთისმეტყველო ენა ან მეგრული იქნებოდა ან სვანური. ასე რომ, ქართველთა ეთნიკური სტრუქტურა გეოგრაფიული გარემოს შექმნილია — მის სტრუქტურულ ერთეულებს ერთმანეთის გარეშე არსებობა არ შეეძლოთ, გეოგრაფია მათ ეკო-

ნომიკურ მიზიდულებას განაპირობებდა. ეს კი ეთნიკური კონსოლიდაციის საფუძველი იყო.

ისევ საქართველოში ვიტრიალოთ. ამჯერად შეიძლება ქართველი ხალხის გადარჩენის მიზეზებს შევეხოთ. სხვა ნაშრომებში აღნიშნული გვქონდა, რომ ქართველი ხალხი გაქრობისაგან საქართველოს ლანდშაფტმა იხსნა. დასავლეთ საქართველოში მტერი იშვიათად შედიოდა, აღმოსავლეთში კი პირიქით. ამ უკანასკნელში მოსახლეობა ხშირად წყდებოდა, სოფლები ნასოფლარებად იქცეოდა და ნასოფლარებს ხშირად სწორედ დასავლეთ საქართველოს ნამატი მოსახლეობა ავსებდა. ამ თვალსაზრისით მთის როლიც განუსაზღვრელი იყო. თითქმის კახეთში XVII საუკუნეში ადგილობრივი მკვიდრი ფაქტობრივად აღარ დარჩა და ალბანეთსავით კახეთსაც გათურქება ელოდა, მაგრამ საქართველოს ეს უმნიშვნელოვანესი მხარე გათურქებისაგან ქართველმა მთიელებმა იხსნეს; იხსნა იმ სამეურნეო-ეკონომიკურმა კავშირებმა, რომელიც კახეთსა და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთს შორის არსებობდა. ბახტრიონის ბრძოლაში მთავარნი მთიელები იყვნენ. რატომ? იმიტომ, რომ კახეთში თურქმანების ჩამოსახლებით ისინი საზმთრო საძოვრებს კარგავდნენ. სამეურნეო-ეკონომიკური კავშირების ეს ფორმა კი საუკუნეების წინ იყო ჩამოყალიბებული და მეურნეობის, კავშირების ამ ფორმამ განსზღვრა საქართველოს სახელმწიფოს ჩამოყალიბება და მტკიცე ქართული ეთნოსის ფორმირება, ერთ ნაციად ქცევა. ასეთი სამეურნეო ყოფა კი საქართველოს ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებით იყო ნაკარნახევი.

საქართველოს მეზობელი ალბანეთის მოსახლეობამ, სადაც საქართველოსაგან თითქმის აბსოლიტურად განსხვავებული ლანდშაფტი იყო, დეეთნიზაცია განიცადა. ალბანელთა დეეთნიზაციას კი ბუნებრივმა-გეოგრაფიულმა გარემომ შეუწყო ხელი. ალბანელებს არ ჰქონდათ თავის შესაფარებელი ისეთი ხეობები და ტყით დაფარული გორაკ-ბორცვები როგორიც სა-

ქართველოშია. ამავე დროს ალბანეთის ლანდშაფტი პასუხობ-და დამპყროელი თურქული ტომების სამეურნეო ინტერესებს; ისტორიული ალბანეთის ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო დი-დად არ განსხვავდებოდა შუა აზიის ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოსაგან. ამიტომაც სამხრეთ კავკასიაში მოსული თურქუ-ლი ტომები სწორედ აქ დასახლებას უფრო ესწრაფვოდნენ. შედეგად ალბანელთა დეეთნიზაცია მოხდა. თუმცა ეს ასიმი-ლაციური პროცესი უცებ არ განხორციელებულა — ის თან-დათანობით მიმდინარეობდა.

თურქული ტომები შუა საუკუნეებში სამხრეთ კავკასიის სხვა დიდ ტერიტორიაზეც ფართოდ სახლდებოდნენ. სომხეთის ზეგანი ამ თვალსაზრისითაც სასურველი იყო თურქმანებისათ-ვის — მესაქონლეობის განვითარების საქმეში მათ ნოვაციების დანერგვა სრულიადაც არ სჭირდებოდათ. მიგრანტებს ისტო-რიული სომხეთის ათვისების საქმეში სომეხთა ემიგრაციაც უწყობდა ხელს. მიგრაციისადმი მიდრეკილება წინაპართაგან მემკვიდრეობით მიღებული რამ სომეხების მიერ არ ყოფილა. გადასახლებას მტრების შემოსვლის დროს ლანდშაფტი განა-პირობებდა; თავშესაფარებელი ბუნებრივი არეების არ არსე-ბობა და გადარჩენის ინსტიქტი სხვა ქვეყნებში გადასახლები-საკენ უბიძგებდა. ასე თუ ისე სომხეთის ზეგანზე სომხური მოსახლეობა მაინც შემორჩა — ისინი უმეტეს შემთხვევაში ეთნიკურ გადაგვარებას მტკიცე ეთნიკურმა შეკავშირებულობამ და ქრისტიანობისადმი ერთგულებამ, მაღალმა კულტურამაც იხსნა; არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა დამპყრობლებთან შემ-გუებლობის თვისებასაც. სომეხს ამ შემთხვევაშიც გარკვეული ფუნქცია გააჩნდა და ეს ფუნქცია ვაჭრობა და ხელოსნობის მაღალი დონე იყო, რადგან მოსულთათვის სავაჭრო საქმიანო-ბა მთლად უცნობი იყო.

სად აღმოჩნდა გამარჯვებული თურქული მოდგმის ერთო-ბა ჩრდილოეთ კავკასიაში? — სტეპებში. მთაში მცხოვრებმა ეთნოსებმა თავისთავადობა ძირითადად შეინარჩუნეს, თუმცა

დაბლობში თავის დროზე მათი ჯგუფებიც მკვიდრობდნენ. ეს სამკვიდრებელი კი დამპყრობლებმა დააკარგვინეს. ჩრდილოეთ კავკასიის დაბლობის თურქულენოვანი ეთნოსებიდან ყუმუხები და ნოღაელები არიან ცნობილი. მონღოლთა შემოსევების შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიის ველებში განსახლებული ალან-ოსების საცხოვრისის გარკვეული ნაწილი კი დასავლეთიდან გადმონაცვლებულმა ადიღეელებმა/ყაბარდოელებმა დაიკავეს. მთებშიც მოახერხეს თურქული მოდგმის ყივჩაღებმა შეღწევა. მხედველობაში გვყავს ბალყარელები და ყარაჩაელები. ამაში მათ დახმარება სხვა გარემოებამ გაუწია — ადგილობრივი მოსახლეობა ჟამიანობამ ფრიად შეამცირა.

გეოგრაფიული ფაქტორის გამო მოხდა ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოს მთებში ოსების მიგრაცია. ცნობილია, რომ ოსები მთიელებად ძირითადად მონღოლების შემოსევების შემდეგ იქცნენ. ველებში მცხოვრებმა ოსებმა მთებში გარკვეული ადაპტაცია განიცადეს — სტეპნიაკები მთიელებად იქცნენ. მთებში ჩაკეტილებმა დამატებით თავის რჩენის ადგილობრივ კავკასიურ ხერხს — თარეშებს მიმართეს. მაგრამ გარკვეული პირობების გამო ამ საქმიანობამ აქ ისეთი მასშტაბები ვერ მიიღო როგორც დაღესტანში. თავის რჩენა და შიმშილი ოსებს ახალი ტერიტორიების ათვისებისაკენ უბიძგებდა. ამის საშუალება კი მათ შიდა ქართლის მთაში არსებულმა ნასოფლარებმა მისცა.

კავკასიის გეოგრაფია და კავკასიელთა ეთნიკური კულტურა

კავკასიელთა განსხვავებული და საერთო კლტურის ელემენტებსაც უნდა შევეხოთ. ცნობილია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მნიშვნელოვან ტერიტორიაზე (ქართლი, თრიალეთი, გარე კახეთი, სამცხე) გავრცელებული იყო ერდოიან-გვირგვინიანი დარბაზული საცხოვრებელი სახლი (8- და 12-კუთხოვანი საფეხუროვანი გვირგვინით, ორიგინალური ბოძ-ბალავარით, მდიდრულად მოჩუქურთმებული დედაბოძითა და ბალიშით). საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში ასეთი ტიპის საცხოვრებელი სახლები არ გვხვდებოდა. სამაგიეროდ ანალოგიური საცხოვრებლები სომხეთისა და აზერბაიჯანის მოსაზღვრე ტერიტორიებზეც იყო გავრცელებული. სომხებში მას „გლახატუნს“ უწოდებდნენ, აზერბაიჯანში – „ყარდამს“. ჩვენი ინტერესის სფეროში არ შედის გავარკვიოთ, თუ სად წარმოიქმნა ასეთი საცხოვრებელი სახლი თავდაპირველად. ფაქტია, რომ სომხეთისა და აზერბაიჯანის უფრო დიდ ტერიტორიებზე ისინი არ გვხვდება არსად. რატომ არ იქცა ხალხური არქიტექტურის შესანიშნავი ნიმუში სართო სამხრეთ კავკასიურ მოვლენად, ან საერთო ქართულ, საერთო აზერბაიჯანულ და საერთო სომხურ საცხოვრებელ სახლად? კავკასიის ბუნებრივ-გეოგრაფიული, კლიმატური მრავალფეროვნება, ფლორა ამაში გარკვევის საშუალებასაც გვაძლევს. დარბაზული საცხოვრებელი ძირითადად ზომიერ და შედარებით ცივ არეალებში იყო გავრცელებული. მისი შედარებით რბილი კლიმატის ზონაში (დასავლეთ საქართველოში) გავრცელებულება არ მოხდა, სადაც მხოლოდ ხის ნაგებობები და მოწნული საცხოვრებლები იყო. ამასთანავე, სამშენებლო მასალად დარბაზული ტიპის საცხოვრებლებში ძირითადად გამოყენებული იყო ქვა და ხე. გადახურვა ძირითადად მორებით ხდებოდა. ცხადია, რომ მორებს დარბაზი დიდი რაოდენობით მოითხოვდა. უტყეო და უქვო ადგილებ-

ში კი ასეთი კონსტრუქციის ნაგებობებს ვერავინ ააგებდა. ასეთივე ვითარება გვქონდა სომხეთის ზეგანზეც, სადაც ტყეები ასევე საერთოდ არ არსებობდა. იგივე შეიძლება ითქვას აზერბაიჯანის სტეპურ ლანდშაფტზეც. დასავლეთ საქართველო მართალია მდიდარი იყო და არის ტყეებითა და ქვის სამშენებლო მასალით, მაგრამ აქაური ჰავა, კლიმატი დარბაზულ საცხოვრებელში ცხოვრებას არ მოითხოვდა; ნესტიანი და თბილი კლიმატის პირობებში მცხოვრები ადამიანების ჯანმრთელობისათვის ხის სახლებში ცხოვრება უკეთესი იყო. დასავლეთ საქართველოში ხის საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების აშენებას აქ არსებული ტყეების დიდი რაოდენობაც განაპირობებდა. აქაურ მკვიდრს სხვანაირად არც შეეძლო, რადგან ნესტიანი ჰავა სწორედ ასეთი ნაგებობის აშენებას მოითხოვდა. უფრო მეტიც, ხის შენობები აუცილებლად ხიმინჯებზე იყო შემდგარი. განსხვავებული იყო აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დასახლების ფორმაც, პირველ მათგანში თუ შეჯგუფული დასახლების ფორმა არსებობდა, მეორე მათგანში – გაშლილ-გაფანტული.

ერთგვარი განსხვავება იყო აღმოსავლეთ საქართველოსა და სამხრეთ საქართველოში გავრცელებულ დარბაზებს შორის. ყოფაში დამოწმებულია ორნაირი დარბაზული სახლი: ერთთვალიანი (დიდი ზომის, წინ დერეფნით) – გავრცელებული იყო ქართლ-კახეთში და კომპლექსური, „მოდარბაზული". ეს უკანასკნელი სამცხე-ჯავახეთისა და თრიალეთისათვის იყო დამახასიათებელი, სადაც ყველა საცხოვრებელი და სამეურნეო სათავსი (დარბაზი, ოდა, ბოსელი, საბძელი, სათონე, ბეღელი, მარანი და სხვ.) ჰორიზონტალურად იყო განლაგებული ერთ ჭერქვეშ.

შეიძლება აზერბაიჯანში მცხოვრებ თალიშებსაც შევეხოთ. თალიშებს დაბლობში საცხოვრებელი სახლების გარდა აშენებული ჰქონდათ დროებითი საზაფხულო საცხოვრებლები – *ლემ.* ლემებს ეზოებში აგებდნენ და გათვალსწინებული იყო სინესტისა და კოღოებისაგან თავდასაცავად. ზაფხულის სიცხეე-

ბის დროს, ოჯახის ყველა წევრი სახლს ტოვებდა და ლემში სახლდებოდა, რადგან ის უფრო ზევით იდგა, ვიდრე სახლი. ლემებს, ჩვეულებრივ, ორსართულიანებს აშენებდნენ კედლების გარეშე. ცხოვრობდნენ მხოლოდ მეორე სართულზე.

ახლა ამ თვალსაზრისით მთა და ბარი შევადაროთ. დარბაზული ნაგებობა ჰორიზონტალურ განფენილობაში იყო წარმოდგენილი. საცხოვრებლის სიახლოვეს, გვერდზე სამეურნეო ნაგებობები იყო მოთავსებული, ე. ი. ის ისეთ ადგილებში იგებოდა, სადაც მიწის დეფიციტი არ იყო. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთა და ჩრდილოეთ კავკასიის მთაც მდიდარი იყო იმ სამშენებლო მასალებით, რომლებსაც დარბაზის მშენებლობაში იყენებდნენ, აქაც და იქაც ის ვერ გავრცელდა, რადგან მთაში მიწის სიმცირე იყო და მის ყოველ მტკაველს მთიელი ძალიან უფრთხილდებოდა. ამით იყო განპირობებული კავკასიის მთაში ვერტიკალურ ჭრილში, ერთ კომპლექსში მოცემული საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი. ამიტომ ჰქონდა საერთო ამ თვალსაზრისით ჩრდილოეთ კავკასიის და საქართველოს მთიანეთის საცხოვრებელ კომპლესებს და არა იმიტომ რომ ქართველებსა და ჩრდილოეთ კავკასიელ მთიელებს საერთო წარმომავლობა აქვთ. ადამიანის სამეურნეო ქმედებას, მატერიალური კულტურის შექმნას ლანდშაფტი კარნახობდა და ამით ის ბუნებასთან გარკვეულ ჰარმონიაში იყო.

საყოველთაოდ ცნობილია ქართული თონის პური. ესა ე. წ. ვერტიკალურ საცხობში გამომცხვარი პური. ვერტიკალური საცხობი არა მხოლოდ ქართული მოვლენაა. ის მახლობელი აზიის სხვა ხალხებისათვისაც იყო დამახასიათებელი. ასეთ საცხობში აცხობდნენ პურს სომხეთის ზოგიერთ მხარეში, ირანსა და ავღანეთშიც. ქართული თორნე ირანული კულტურის ელემენტია. ამავე დროს, იმასაც უნდა გავუსვათ ხაზი, რომ ვერტიკალური საცხობი საქართველოს ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში არ იყო გავრცელებული. დასავლეთ საქართველოში თორნეში პურს მხოლოდ ზემო იმერეთში აცხობდნენ.

რატომ? ამ შემთხვევაშიც განმსაზღვრელი ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო და კლიმატური პირობებია. ვერტიკალურ საცხობში გამოცხობისას ცომს აუცილებლად წებოვნება უნდა ჰქონდეს. წებოვნების გარეშე ცომი თონის კედლებს ვერ მიეკვრება. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თურქეთიდან შემოტანილი ფქვილით შეუძლებელი იყო პურის გამოცხობა თორნეში. საქართველოში მოყვანილი მარცვლეული მაღალი ხარისხის იყო და წებოვნებით გამოირჩეოდა. ამას ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები და კლიმატი განაპირობებდა. ჩრდილოეთ კავკასიელებისათვის ვერტიკალური საცხობი უცხო იყო იმიტომაც, რომ მთაში ხორბლეული კულტურა საერთოდ არ მოყავდათ – აქ ხორბლეული დამწიფებას ვერ ასწრებდა. რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, განსაკუთრებით კოლხეთის დაბლობს, აქაც ტენიანი კლიმატის გამო ვერ მოყავდათ პური. ამიტომ კოლხეთში მთავარი კულტურა ფეტვი და ფეტვისნაირები იყო, რისგანაც უბრალოდ მჭადს აცხობდნენ, ან ღომს ხარშავდნენ. ასე რომ, ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების გამო, კულტურის ისითი ელემენტი როგორიცაა ვერტიკალური საცხობი კავკასიაში ყველგან არ იყო გავრცელებული.

მრავალფეროვანი იყო კავკასიის ხალხთა არა მხოლოდ საცხოვრებელი სახლები, არამედ დასახლების ფორმებიც. ამ მხრივაც ეთნიკურ კულტურათა შორის დიდი სხვაობა გახლდათ. საქართველოს სხვადასხვა მხარეთა შორისაც ერთგვაროვანი დასახლებები არ გვქონია, რასაც ის ლანდშფტი განპირობებდა, რომელშიც ქართველი ხალხი მკვიდრობდა. მით უმეტეს, ძალიან დიდი სხვაობა იყო ამ თვალსაზრისით სხვა ხალხებთან, როგორც ჩრდილოეთ კავკასიელებთან, ისე სამხრეთ კავკასიელებთან. შეუძლებელია სტეპებში, ზომიერ კლიმატურ პირობებში, მაღალმთაში, სუბტროპიკულ ზოლში, ნახევრადუდაბნოში მცხოვრებ ეთნოსებს მსგავსი დასახლების ტიპი ჰქონოდა. ქართლსა და კახეთში შეჯგუფული დასახლება გვქონდა, ადი-

ღელებში – გაფანტული. ქართლისა და კახეთის რელიეფი/ლანდშაფტი პირდაპირ კარნახობდა ადამიანებს, რომ შეჯგუფულად ეცხოვრათ. დასახლების ამ ფორმას საგარეო ფაქტორიც განაპირობებდა. ადიღეელს რომ ძალიან დიდი სურვილიც ჰქონოდა, ამას ვერ შეძლებდა, რადგან მთიანი და მთისწინა ტყიანი ლანდშაფტი ამის საშუალებას არ მისცემდა.

მნიშვნელოვანი სხვაობა გვქონდა კავკასიის ხალხების სამეურნეო საქმიანობაში. ცნობილია, რომ საქართველო და სამხრეთ კავკასია მიწათმოქმედების ერთ-ერთი კერაა. საქართველოს ტერიტორიაზე პურეულის 11 სახეობა მოყავდათ. თუმცა ამ თვალსაზრისით საქართველოშიც არ გვქონია ერთგვაროვანი ვითრება. დასავლეთ საქართველოში ზღვასთან ახლოს, ჰავისა და კლიმატის გამო, უპირატესობა არა პურეულ კულტურებს, არამედ ფეტვსა და ფეტვისნაირებს ჰქონდა. მთაში ხორბალი დამწიფებას ვერ ასწრებდა, ამიტომ აქ მარცვლეული კულტურებიდან უპირატესობა ქერს ჰქონდა მინიჭებული. ასე თუ ისე, მეურნეობის წამყვანი დარგი ქართველებისათვის მიწათმოქმედბა/მემინდვრეობა იყო. მემინდვრეობასთან ერთად საქართველოში საუკუნეების განმავლობაში განვითრების მაღალ დონეს მიაღწია მევენახეობა-მეღვინეობამ. თავისებური იყო სომეხთა მეურნეობის ფორმებიც. აქაც, ერთ-ერთი წამყვანი მიწათმოქმედება გახლდათ. როგორც საქართველოში, ისე სომხეთში მიწათმოქმედება მესაქონლეობასთან იყო შერწყმული. მესაქონლეობის გარეშე შეუძლებელიც იყო მიწათმოქმედების ფართოდ განვითარება. გამწევი ძალის გარეშე შეუძლებელი იყო მემინდვრეობის მაღალი და დიდი მასშტაბების მიღწევა. მესაქონლეობას საქართველოში ლანდშაფტი გარკვეულ ჩარჩოებში აქცევდა, განსაზღვრავდა მის მასშტაბს. თუმცა, ქართველმა მთიელებმა მეცხოველეობას გარკვეული მასშტაბები მისცეს, რაც შინაგანი სამეურნეო-ეკონომიკური კავშირებით იყო გამოწვეული, რასაც ბარში საზამთრო საძოვრების არსებობა განაპირობებდა.

რა ვითარება გვქონდა ჩრდილოეთ კავკასიაში? ჩრდილოეთი კავკასია სამეურნრო თვალსაზრისით ერთიანი სამეურნეო ერთეული არ ყოფილა. აქაც განსხვავებული სამეურნეო სტრუქტურები იყო შექმნილი. ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, ჩრდილოეთ კავკასიელთათვის წამყვანი არა მიწათმოქმედება, არამედ მეცხოველეობა იყო. მთაში სახვნელად ვარგისი მიწის რაოდენობა მიწათმოქმედების ფართოდ განვითარების საშუალებას არ იძლეოდა და მარცვლეული კულტურებიდან წამყვანი არა პური, არამედ ქერი (დასავლეთ ნაწილში, ფეტვი) იყო. და ისინი არა პურით, არამედ ფაფით იკვებებოდნენ. ჩრდილოეთ კავკასიაში მთა არ იძლეოდა მევენახეობის განვითარების საშუალებას. მთა აქ უცბად გადადიოდა სტეპებში და სტეპებში არსებული პოლიტიკური ვითარება თითქმის არასდროს იძლეოდა დამჯდარი ცხოვრებისა და მდგრადი სამიწათმოქმედო მეურნეობის განვითარების საშუალებას. ჩრდილო-დასავლეთ კავკასიელებმა მიწის განოყიერებაც კი არ იცოდნენ და მიწის გამოფიტვის გამო საცხოვრებელ ტერიტორიას ხშირად იცვლიდნენ. ასეთ შემთხვევაში მევენახეობისა და მით უმეტეს მეღვინეობის განვითარებაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტი იყო.

ორიოდე სიტყვით მატერიალური კულტურის ისეთ ელემენტსაც უნდა შევეხოთ, როგორიცაა სახვნელი იარაღი. გიორგი ჩიტაიას დადგენილი აქვს თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე სახვნელის თვრამეტი სახეობა. თითქმის ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეს სახვნელის თავისი ტიპი გააჩნდა; ესენია: *დიდი გუთანი, ჯილლა, აჯილლა, არონა, კავი, ცხენის სახვნელი, სვანური, აფხაზური, მუხრანული, ორხელა, რაჭული, მეგრული, კავწერა, ფშაური, ხევსურული, ჩუთი, აჩაჩი, კახური, მოხეური*[49]. ამასთანავე, მეცნიერები ამ მრავალფეროვან სახვნელებს სამ ჯგუფში ათავსებენ. პირველი ტიპი მთის ზოლისათვისაა დამახასიათებელი (ე. წ. მთის გუთანი),

[49] გ. ჩიტაია. შრომები ხუთ ტომად, ტომი I, თბ., 1997, 9-24, 56-126, ტაბულა 7, 8.

მეორე მთისწინეთისათვის (ორხელა) და მესამე – ბარისათვის (ბარული ანუ დიდი გუთანი). საქართველოს ხეობების უმეტესობაში სამივე ტიპის სახვნელი იყო გავრცელებული, რასაც ლანდშაფტი განსაზღვრავდა. გიორგი ჩიტაიას საამისოდ ქსნის ხეობის სახვნელი იარაღები აქვს აღწერილი. აქ მან მთის გუთანიც დაადასტურა, მთის ძირისათვის დამახასიათებელი (ორხელა, რომელიც ქსნური მთის გუთნის ქვესახეობას წარმოადგენდა) და ბარული გუთანი. ამ მხრივ რა ვითარება გვქონდა მეზობელ სომხეთსა და აზერბაიჯანში? სომხეთში ორი ტიპის სახვნელი არსებობდა: 1. გუთანი და 2. სახვნელი, რომელიც ჩვენს კავს/აჩაჩას/ოქოქას წააგავდა[50]. ანალოგიური ვითარება გვქონდა აზერბაიჯანში[51]. აზერბაიჯანელებს გააჩნდათ სახვნელი იარღის ნაირსახეობა, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული ბარის ყარაბაღსა და გუბათლი-ზანგილანის ზონაში. ეს იარაღი განსხვავდებოდა იმით, რომ მას იყენებდნენ ბრინჯის მოსაყვანი ჭაობიანი მინდვრების მოსახნავად. ამ სახვნელს უკან ჰქონდა მასიური „ყურები“, რომელიც ნიადაგს აფხვიერებდა. დასკვნა ერთმნიშვნელოვანი შეიძლება გაკეთდეს: სომხეთისა და აზერბაიჯანის ლანდშაფტი მეტნაკლებად ერთფეროვანი იყო, ხოლო საქართველოსი კი – მრავალფეროვანი. გლეხი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქმნიდა სახვნელის ამა თუ იმ სახეობას, ითვალისწინებდა სახვნელი მიწის დახრილობას, ნიადაგის ხარისხს, ტენიანობას.

[გეოგრაფიისა და ეთნიკური კულტურის ურთიერთმიმართების თვალსაზრისით სომხეთის თითქმის ერთფეროვანი რელიეფის პირობებში ფრიად გასაოცარია იმის აღნიშვნა, რომ თითქოს სომხეთში 500 ვაზის ჯიში იყო გავრცელებული. ამის შესახებ წერენ 2012 წელს მოსკოვში გამოცემულ შემაჯამებელ წიგნში – «Армяне»: «Благоприятные природно-климатические условия Армении и наличие дикорастущего

[50] Армяне. М., 2012, С. 107-108.

[51] Азербайджанцы. Историко-этнографический очерк, Баку, С.66.

винограда обусловили значительное развитие этой культуры, в результате чего в различных поясах страны появилось около 500 аборегенных сортов, что позволяет считать Армению родиной винограда»[52]. ცნობილია, რომ ივანე ჯავახიშვილმა ფუნდამენტალურ ნაშრომში, რომელიც საქართველოს ეკონომიურ ისტორიას მიუძღვნა, 500 ვაზის ჯიში დააფიქსირა. უნდა აღინიშნოს, რომ აქამდე დაბეჭდილ არცერთ გამოცემაში სომხეთში არსებული ვაზის ჯიშების შესახებ საუბარი არ ყოფილა. ცნობილია, რომ არაქსის ველზე ზამთარში ვაზს მიწაში მარხავდნენ, რაც უდავოდ მევენახეობის მაღალი კულტურის მაჩვენებელია. როდესაც სომხეთის როგორც მევენახეობის სამშობლოზე საუბრობენ, ამის დამადასტურებელ ფაქტად გარეული ვაზის არსებობასაც მიუთითებენ, საინტერესოა ეს გარეული ვაზი ზამთარში არ ხმებოდა? მას დამარხვა არ სჭირდებოდა?]

საყოველთაოდ ცნობილია, რომ **მეურნეობის ფორმები სხვადასხვა სამყაროს ფორმირებას იწვევდა. მიწათმოქმედისა და მეცხოველის კულტურული სამყარო სხვადასხვა იყო.**[53] კვებითი სისტემა კი ადამიანებსა და ადამიანთა ჯგუფებს სხვადასხვა ფსიქიკას უყალიბებდა. დასავლეთ ევროპა გეოლოგიური და გეოგრაფიული სტრუქტურებიდან გამომდინარე გლეხთა მიწას წარმოადგენდა: მწყემსი-მომთაბარე აქ თითქმის არ არსებობდა და თვით მესაქონლეობა სოფლის მეურნეობის მხოლოდ ერთი ელემენტი იყო – მნიშვნელოვანი, მაგრამ ბინადარი.[54] ბინადარ ცხოვრებასთან იყო დაკავშირებული ევროპაში არსებული სეზონური გადარეკვითი მესაქონლეობაც. მწყემსებს ჰქონდათ თავიანთი წეს-ჩვეულებები და საკუთარი მენტალიტეტი, მაგრამ მათი ფარები და ისიც, რასაც მისგან იღებდნენ, ეკუთვნოდა სოფელსა და არა სტეპებსა და უდაბნოებს. სამეურნეო თვალ-

[52] Армяне. М., 2012, С. 124.
[53] *Фоссье Робер*. Люди средневековья. С. 154.
[54] *Фоссье Робер*. Люди средневековья. С. 164.

საზრისით ანალოგიური მდგომარეობა გვქონდა საქართველოში. საქართველოს ამ თვალსაზრისით უფრო მეტი საერთო დასავლეთ ევროპასთან ჰქონდა, მაგალითად, საფრანგეთთან. ევროპასთან და საფრანგეთთან საქართველოს მსგავსებას მევენახეობის მაღალი დონეც განაპირობებდა. ევროპაში თუ ადამიანს თავისი ვენახი ჰქონდა და თავის მიერ დაყენებულ ღვინოს სვამდა, ეს მაღალი სოციალური მდგომარეობის გამოხატულებად მიიჩნეოდა. ღვინო იყო სიხარულის, ურთიერთობის, აგრეთვე ჯანმრთელობის სიმბოლო. შემდეგ კი ქრისტიანულმა რიტუალმა მას სხვა ღირსებებიც მიანიჭა. მას თან ახლდა საკრალური ცეკვები, სადღესასწაულო ნადიმები. ღვინო იყო ქორწილებისა და დაკრძალვების ატრიბუტი.[55] ანალოგიური ვითარება გვქონდა საქართველოშიც. **მიწათმოქმედებისა და მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებით ქვეყანა ევროპულ ცივილიზაციასთან უფრო ახლოს იდგა, ვიდრე ჩრდილოეთ კავკასიასთან.** ასეთი მდგომარეობა ლანდშაფტით იყო განპირობებული. ის კი არა და ამ თვალსაზრისით ერთიან ქართულ კულტურულ სივრცეში იყვნენ ჩართული მთაში მცხოვრები ქართველი მთიელებიც, რომლებსაც ვენახები ბარში ჰქონდათ, ანდა ბარში იძენდნენ ღვინოს იმ სამეურნეო-ეკონომიკური ურთიერთობისას, რომელიც ტრადიციული იყო.

თვალს თუ შევავლებთ კავკასიელთა მატერიალურ კულტურას, დავინახავთ, რომ ის ფრიად მრავალფეროვანი იყო. ამ სფეროში სალომე ბახია-ოქრუაშვილის მონოგრაფია გაგვაჩნია[56]. აქ მხოლოდ მისი კვლევის ძირითად შედეგებს შევეხებით, რომელიც არსებულ მრავალრიცხოვან ნაშრომებს ეფუძნება. ხშირად კავკასიის და კავკასიელთა სიმბოლოდ კოშკებსა და ციხე-სახლებს მიიჩნევენ. კავკასიის ყველა ხალხი იცნობდა მატერიალური კულტურის ამ ელემენტს? პასუხი ერთმნიშვნე-

---

[55] *Фоссье Робер*. Люди средневековья. С. 164.

[56] ს. ბახია-ოქრუაშვილი. ქართველთა და ჩრდილოკავკასიელთა ეთნიკური მატერიალური კულტურა, თბ., 2017.

ლოვანია – არა, არ იცნობდა! კავკასიის თითოეულ ხალხსა თუ ეთნოგრაფიულ ჯგუფს/ტერიტორიულ-ლოკალურ ერთეულს კოშკებისა და ციხე-სახლების შექმნას ლანდშაფტი კარნახობდა; ასეთი ნაგებობები ძირითადად კავკასიის მთიან ნაწილში შენდებოდა (როგორც ჩრდილოეთში, ისე სამხრეთში) და ასეთი ნაგებობის ფუნქციას ძირითადად თავდაცვა წარმოადგენდა. მატერიალური კულტურის აღნიშნული ელემენტი კი ადიღეელებისათვის (ჩერქეზებისათვის) უცნობი იყო, რასაც ბუნებრივ-გეოგრაფიულ ფაქტორთან ერთად (მთასა და მთისწინა ადგილებში მათი დამცავი საშუალება ტყე იყო), შედარებით რბილი კლიმატი განაპირობებდა. ადიღეური ეთნიკური ერთობები სამშენებლო მასალად საერთოდ არ იყენებდნენ ქვითკირს – ისინი მოწნულ სახლებში ცხოვრობდნენ.

განსხვავებული იყო ყარაჩაელთა და ბალყარელთა ტრადიციული საცხოვრებელი, რომელიც მსხვილი მორებისაგან კეთდებოდა. სამშენებლოდ ხის გამოყენება, ბუნებრივია, ტყეების სიუხვით იყო განპირობებული. ბალყარეთში კოშკებიც არსებობდა. გადმოცემით, კოშკებს ქართველი მთიელები – სვანები და ბერძენი ოტატები აშენებდნენ[57]. ხშირად კოშკებზე ჯვრები იყო გამოსახული, რაც გადმოცემას ამყარებს. ბალყარეთსა და ყარაჩაიში კოშკების სხვათა მიერ აგება იმითაც უნდა ყოფილიყო განპირობებული, რომ მათი წინაპარი ყივჩაღები ჩრდილოეთ კავკასიის მთებში შემოსვლამდე ველის (სტეპების) მცხოვრებნი იყვნენ. შესაბამისად, მთაში დასახლებულნი დასახელებულ მატარიალურ კულტურას არ იცნობდნენ. ხოლო მთაში დასახლებამ მთური ლანდშაფტისათვის დამახასიათებელი საცხოვრებლების და თავდასაცავი ნაგებობების შექმნისაკენ უბიძგა. მკვლევარებს შენიშნული აქვთ, რომ ჩრდილოეთ და სამხრეთ ცენტრალური კავკასიონის საცხოვრებელი ნაგებობები და კოშკური კულტურა ტიპოლოგიურად მსგავსია, რასაც კავკასიის

---

[57] ს. ბახია-ოქრუაშვილი. ქართველთა და... გვ. 98.

ბუნებრივ პირობებს, კავკასიაში მცხოვრები მოსახლეობის კულტურულ ურთიერთობებს უკავშირებენ, მაგრამ ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ სამხრეთისა (საქართველოს) და ჩრდილოეთ კავკასიის კოშკურ კულტურას თავისებურებანი ახასიათებს. ხაზგასმულია, რომ „საქართველოს მოსახლეობის საცხოვრებელი ნაგებობანი და კოშკური კულტურა, სწორედ საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების უფრო მაღალ სტადიაზე მიანიშნებს“[58].

საცხოვრებელი სახლების კიდევ ერთი თავისებურებაც უნდა აღვნიშნოთ. პირველი ჩაჩნური დასახლებები დაბლობში XIV საუკუნის ბოლოს გაჩენილა. 1587 წელს პირველ რუსულ ელჩობას მდ. სუნჯისა და მდ. თერგის ირგვლივ აღნიშნული აქვთ მნიშვნელოვანი რაოდენობის ჩაჩნური დასახლებები. საერთოდ XVII საუკუნის შუა ხანებში ჩაჩნების დაბლობში მიგრაციამ ინტენსიური ხასიათი მიიღო[59]. დაბლობში მცხოვრები ჩაჩნები დიდ აულებში ცხოვრობდნენ; მათი საცხოვრებელი სახლებიც ისეთივე იყო, როგორც დონსა და ყუბანში – მიწაში ჩასმულ ბოძებს შორის ადგილი წნელით ჰქონდათ მოქსოვილი და აყალო მიწით შელესილი. ფანჯრებს ჩარჩოები არ გააჩნდა, მაგრამ ჰქონდა დარაბები სიცივისა და ჩრდილოეთის ქარებისაგან დასაცავად. ამიტომაც სახლს კარები ჩვეულებრივ სამხრეთისაკენ ან აღმოსავლეთისაკენ უკეთდებოდა და არა ჩრდილოეთისაკენ[60].

გეოგრაფიული ფაქტორი განაპირობებდა კავკასიის მთიელთა კვებით კულტურასაც. შეზღუდული მეურნეობა მათ ხელგაშლილობის საშუალებას არ აძლევდა, ჭამდნენ ზომიერად, შეგუებული იყვნენ ყოველგვარ ხელმოკლეობასა და გაჭირვებას.

---

[58] ს. ბახია-ოქრუაშვილი. ქართველთა და... გვ. 102.

[59] რ. თოფჩიშვილი. კავკასიის ეთნოლოგია, თბ., 2012, გვ. 95.

[60] Ад. Берже. Горные племена Кавказа. – Кавказ: история, народы, обычай, Нальчик, 2010, Вып. II, С. 192-193.

განსაკუთრებით ცოტას და იშვიათად ჭამდნენ ლაშქობისა და გადაადგილების დროს. ამიტომაც ისინი დამატებით შემოსავალს, ნადავლს მშობლიური მთების გარეთ მტაცებლობითა და თარეშებით მოიპოვებდნენ. მთიელთა რუსებულ იმპერიასთან გაფთრებული წინააღმდეგობის, ბრძოლის მიზეზიც ეს იყო — ისინი კარგავდნენ საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ტრადიციულ ნორმებს (მაგალითად, ვეღარ განახორციელებდნენ კავკასიის დაბლობსა და სტეპებში დასახლებული კაზაკებისა და სხვათა ძარცვა-გლეჯასა და ტყვედ წაყვანას). ეს კი მათთვის აქამდე კავკასიაში მოსულ არცერთ იმპერიას არ წაურთმევია.

ბუნებრივ-გეოგრაფიული და კლიმატური პირობები განსაზღვრავდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო კულტურას. აღმოსავლეთ საქართველოში ძირითადი სამიწათმოქმედო კულტურა ხორბალი იყო, დასავლეთ საქართველოში — ფეტვი, ხოლო სამხრეთ საქართველოში ორივე მათგანი ძირითადად თანაბრად იყო წარმოდგენილი. იგივე მიზეზი განსაზღვრავდა მთაში ქერის პრიორიტეტს. სამხრეთ საქართველოს მესაქონლეობისათვის დამახასიათებელი იყო საზაფხულო საძოვრებზე ხანგრძლივად ყოფნა — მაისის შუა ხანებიდან სექტემბრის შუა ხანებამდე. სოფელი თავისი საქონელს მთებში — „იაილებზე“ მიერეკებოდა. იაილებზეც თითქმის ისეთივე საცხოვრებლელი სახლები ჰქონდათ აგებული, როგორც სოფელში, რადგან აქ საქონელთან ერთად თითოეული ოჯახის თითქმის ნახევარი მიემგზავრებოდა. რით იყო განპირობებული მესაქონლეობის ასეთი ფორმა? — ლანდშაფტური ფაქტორებით. მთიან ხეობებში გაშენებულ სოფლებს ახლო-მახლო საძოვრები თითქმის სულ არ გააჩნდა. არსებულ მიწის ფონდს ძირითადად სამიწათმოქმედო მიზნით იყენებდნენ.

კავკასიის განსხვავებულმა და მრავალფეროვანმა ლანდშაფტმა დაკრძალვის ტრადიციების ჩამოყალიბებაზედაც მოახდინა გავლენა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჩრდილოეთ კავკასიის

ცენტრალური ნაწილის მთიანეთში მცხოვრები ჩაჩნები, ინგუშები, ოსები, ბალყარელები და ყარაჩაელები არა მიწაში, არამედ აკლდამებში იკრძალებოდნენ, ძირითადად კი მიწისზედა აკლდამებში. თავიდანვე ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ საკითხს, რომ მიწისზედა დასაკრძალავი ნაგებობა სამი სხვადასხვა ეთნოლინგვისტური ერთობის წარმომადგენლებს შორის იყო გავრცელებული: ადგილობრივ კავკასიელ ჩაჩნებსა და ინგუშებში, თურქულენოვან ყარაჩაელებსა და ბალყარელებში და ირანულენოვან ოსებში. ასე რომ, აღნიშნული ტრადიცია დაკავშირებულია არა ეთნოსთა საერთო წარმომავლობასთან, არამედ ბუნებრივ-გეოგრაფიულ, ლანდშაფტურ გარემოსთან და კლიმატთან, რომელიც კავკასიის მაღალმთიანეთისათვის იყო დამახასიათებელი. დასახელებულ ეთნოსთაგან ადგილობრივი მკვიდრნი მხოლოდ ჩაჩნები და ინგუშები არიან, ოსთა და ყარაჩაელ-ბალყარელთა წინაპრები კი მოსულნი, რომლებიც, თავის დროზე, სტეპებში ცხოვრობდნენ. მოსულმა ირანულენოვანმა და თურქულენოვანმა ეთნიკურმა ერთობებმა ადგილობრივი კავკასიური დაკრძალვის წესი გაითავისეს, რადგან ამას ლანდშაფტი კარნახობდა. ეს კი ვარგისი მიწის უაღრესად სიმცირე გახლდათ[61]. სხვათა შორის, შემორჩენილი გადმოცემებით, ოსებს მიწისზედა აკლდამები მზამზარეულად დახვდათ, შემდეგ კი ამ ნაგებობებს ინგუშებს აშენებინებდნენ. საქართველოს უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილშიც ყოფილა ტრადიცია აკლდამაში (ნახევრად მიწისზედა აკლდამაში) დაკრძალვის (თუშეთის წოვათის თემში. პირიქითა ხევსურეთში), მაგრამ აქ ეს ტრადიცია გაწყვეტილა, როგორც ჩანს, ქრისტიანობის ზემოქმედებით.

მიწის სიმცირემ აიძულა კავკასიის მთიან ხეობებში მცხოვრები მოსახლეობა ტერასული მეურნეობა შეექმნა. განსაკუთრებით ბევრი ტერასები იყო სამხრეთ საქართველოში (სამცხე-

---

[61] რ. თოფჩიშვილი. ცენტრალური კავკასიის ეთნიკური ისტორიისათვის. – ანალები, №2, 2001, გვ. 16-20; რ. თოფჩიშვილი. ეთნოისტორიული ეტიუდები, თბ., 2005, გვ. 179-189.

ში, შავშეთში, კლარჯეთში, ტაოში). ტერასები მიწის მცირე ნაკვეთებისა და მთის ფერდობების ინტენსიურად გამოყების მიზნით იყო შექმნილი. ტერასები არსებობდა მთიან დაღესტანშიც. სამეცნიერო ლიტერატურაში განსაკუთრებით აღნიშნავენ ბოთლიხელთა მრავალიარუსიანი ტერასების შესახებ. ისინი დიდი ამფითეატრების შთაბეჭდილებას სტოვებდნენ. აქ ბაღი, ბოსტანი და სახვნელი ერთ მთლიანობას წარმოადგენდა.

კავკასიაში ფართოდ იყო გავრცელებული მევენახეობა, მაგრამ ამ გეოგრაფიულ ერთეულში მეურნეობის ამ სფეროს სხვადასხვა ტრადიცია გააჩნდა. ცნობილია, რომ საქართველოში მევენახეობის მაღალი კულტურა არსებობდა. აღმოსავლეთ საქართველოში, იმერეთსა და რაჭა-ლეჩხუმში დაბლარი მევენახეობა იყო გავრცელებული, ხოლო კოლხეთის დაბლობზე (სამეგრელოსა და გურიაში) – მაღლარი მევენახეობა. შეიძლება საქმეში ჩაუხედავმა ადამიანმა კითხვა დასვას: რატომ იყო ერთ ხალხში მევენახეობის სხვადასხვა ფორმა? რომელი მათგანი იყო უკეთესი? ვინც საქართველოს განსხვავებულ ბუნებრივ-გეოგრაფიულ და კლიმატურ გარემოს იცნობს, ასეთი კითხვები არ დაებადება. კოლხეთის დაბლობზე წარმოუდგენელი იყო დაბლარი მევენახეობა, რადგან ნესტიანი ჰავა ყურძენს არ დაამწიფებდა. აქ ხეზე ვაზი რაც უფრო მაღლა იყო აშვებული, მით უკეთესი იყო, ჰაერი უფრო კარგად უვლიდა ყურძნის მტევანს და მზეც უფრო კარგად დახედავდა. მევენახეობა სომხეთშიც – არაქსის ვაკეზეც იყო განვითარებული. მაგრამ ის აქ სხვაგვარი იყო. კერძოდ, დიდი ყინვები მევენახეობის განვითარების საშუალებას არ იძლეოდა, ამიტომ სომეხი მევენახე ზამთარში ვაზს მიწაში მარხვდა. ამით ის მოყინვისაგან დაცული იყო. გვალვიან წელს ხშირად მევენახე პრობლემის წინაშე დგებოდა. ამიტომ ვაზის რიგებს შორის აშენებდა დაბალ მცენარეებს, რითაც ტენს ვენახის ნიადაგში ხანგრძლივად ინარჩუნებდა. ამავე მიზეზით ქართველი მევენახე ვენახის ირგვლივ ხეხილს აშენებდა. სამეგრელოში ამავე მიზნით ფეტვს თესავდნენ,

აღმოსავლეთ საქართველოში – ლობიოსა და გოგრას. ამავე მიზნით იყო განპირობებული აღმოსავლეთ საქართველოში დახურული და დასავლეთ საქართველოში ღია მარანი. ვაზთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა აღინიშნოს შემდეგიც – ქართველი მევენახე ცდილობდა ვენახი სამხრეთით დაქანებულ ფერდობზე გაეშენებინა, რადგან ასეთ რელიეფზე მოწეული ყურძენი უფრო მაღალი შაქრის შემცველი იყო და, შესაბამისად, ღვინოც უკეთესი გამოდიოდა.

გეოგრაფიულმა ფაქტორმა განაპირობა ტრადიციული სატრანსპორტო საშუალებებიც. საქმეში ჩაუხედავმა ადამიანმა შეიძლება იკითხოს: საქართველოში რატომ იყო გავრცელებული ორბორბლიანი ხალხური სატრანსპორტო საშუალება (ურემი)? რატომ არ აკეთებდნენ ქართველები ოთხთვალა ტრანსპორტს? ამ კითხვას პასუხი შეიძლება ეთნოლოგ მიხეილ გეგეშიძის ერთი მთხრობელის სიტყვებით გავცეთ: „ორთვლიანი ურემი ალაგობრივ შეგიძლიან მოატრიალო, ოთხთვლიანს კი დიდი ადგილი უნდა. ჩვენ ვიწრო და გვერდა ადგილებში ის არ გამოდგება. მოსახვევში, თუ სულის საქცევი არ არი, წინა თვლებს კი მოაბრუნებ და ააცდენ რამეს, მაგრამ უკანებს ვერას უშველი, უთუოდ გამოედება“ (ჩაწერილია 1947 წელს ქსნის ხეობაში, სოფ. ოძისი)“[62].

გეოგრაფიული გარემო მხოლოდ ხალხთა და მისი ტერიტორიულ-ლოკალური ერთეულების მატერიალურ კულტურასა და მეურნეობის ფორმებზე როდი ახდენდა გავლენას – ის სოციალური ურთიერთობების ერთგვარი ინდიკატორიც იყო. საამისოდ ჩვენი მთიელების – ხევსურებისა და ფშაველების – გვიანდელი ქორწინებები შეიძლება გავიხსენოთ. ცნობილია, რომ მთას გეოგრაფიული პირობებიდან გამიმდინარე, შეეძლო მოსახლეობის მხოლოდ გარკვეული რაოდენობა გამოეკვება. მთიელი ამის გამო მის წინაშე არსებულ დემოგრაფიულ პრობ-

---

[62] მ. გეგეშიძე. ქართული ხალხური ტრანსპორტი, I, სახმელეთო საზიდი საშუალებანი, თბ., 1956, გვ. 35.

ლემას თავად აკონტროლებდა. ამიტომაც მთაში ფეხმოკიდებული იყო გვიანდელი ქორწინება. გვიანდელი ქორწინებით ამცირებდნენ რეპროდუქციულ პერიოდს. ამით იყო გამოწვეული, რომ მთიელები შედარებით ნაკლებ ბავშვებს აჩენდნენ, ვიდრე ბარელები. ეს იყო მიზეზი იმისაც, რომ მთაში, როგორც ხევსურეთში, ისე ფშავში, არ არსებობდა დიდი ოჯახები. ასე რომ, მთიელი არეგულირებდა დემოგრაფიულ ვითარებას, რაც გვიანდელი ქორწინებებით ხდებოდა. XIX საუკუნის შუა ხანებისათვის ხევსურეთსა და ფშავში მამაკაცების საქორწინო ასაკი ძირითადად 25-35 წლით განისაზღვრებოდა, ქალისა კი – 20-30 წლით. ვინც 25 წლიდან თხოვდებოდა, მას მოწონებაც მეტი ჰქონდა: „დიდხანს მამის სახლში ნამყოფი ქალიაო“. ამავე მიზეზით იყო წარმოქმნილი ფშავსა და ხევსურეთში წაწლობისა და სწორფრობის ჩვეულება. გვიანდელი ქორწინებების გამო, მთის საზოგადოებამ (ტერიტორიულმა თემმა) სქესობრივად მომწიფებულ ადამიანებს შეზღუდული ეროტიული ურთიერთობის ნება დართო, რომელსაც ტრადიციული საზოგადოება მკაცრად არეგულირებდა, რომ ურთიერთობები დაშვებულ ფარგლებს არ გასცდენოდა[63]. ამრიგად, მთის ბუნებრივ-გეოგრაფიულმა გარემომ განაპირობა სოციალური ურთიერთობის სფეროში განსხვავებული ტრადიციების წარმოქმნა: მიწათმოქმედების პროდუქტების ნაკლებობა – გვიანდელი ქორწინებები – შვილიერების შეზღუდვა – დიდი ოჯახების არარსებობა – შეზღუდული ეროტიული ურთიერთობები (წაწლობა და სწორფრობა).

სამხრეთ კავკასიისაგან განსხვავებით, სადაც მთასა და ბარს შორის გარდამავალი მთისწინა, ზეგნის ზოლი არსებობდა, ჩრდილოეთ კავკასიაში მთა პირდაპირ დაბლობსა და სტეპურ ზონაში გადადიოდა, როგორც აღნიშნავდნენ აქ უსასრულო და თვალუწვდენელი დაბლობი მთებისაგან თითქოს სატე-

---

[63] რ. თოფჩიშვილი. ხევსურული სწორფრობა და ფშაური წაწლობა. – წიგნში: საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია, რ. თოფჩიშვილის საერთო რედაქციით, თბ., 2010, გვ. 348-355.

ვარით იყო მოჭრილი ყუბანისა და თერგის კალაპოტებით. აქ სტეპური ზონა მუდმივად ნომადების სამფლობელო იყო. მაგრამ სტეპი მუდმივად ერთი და იმავე ეთნოსის აქ ყოფნას ხელს უშლიდა. ბოლო დროს, მანამ, სანამ ის რუსი კაზაკების საცხოვრებელი გახდებოდა, აქ ნოღაელები და ყარანოღაელები იყვნენ გაბატონებული. კაზაკებისაგან ცხვრის ფარების, ცხენის რემათა, ხარის ფარების გატაცება მთიელთა, განსაკუთრებით ბჟედუხებისა და ჩაჩნების, ერთადერთი სარეწი საშუალება, ერთადერთი სამეურნეო საქმიანობა იყო. კითხვა ისმის: ოდითგანვე ასე იყო? კავკასიელი მთიელებისათვის თავიდანვე დამახასიათებელი იყო თარეშები? ისინი მხოლოდ სხვებისაგან წართმეული საქონლით ცხოვრობდნენ? ამ კითხვებს, რა თქმა უნდა, უარყოფითი პასუხი უნდა გავცეთ. ჩრდილოეთ კავკასიელ მთიელებს თავდაპირველად კავკასიის დაბლობიც ეკავათ, რომლებიც ევრაზიის სტეპებში მოსული ურიცხვი ნომადების მიერ მთებში იქნენ შერეკილი. საბოლოდ ეს მონღოლებმა მოახდინეს. მთებში ჩაკეტილები, ბუნებრივია, მისდევდნენ მიწათმოქმედებასაც და მესაქონლეობასაც, მაგრამ დადგა მომენტი და ისინი მოთარეშეებად იქცნენ. მთაში ჩაკეტილებსა და გამრავლებულებს, მთური რელიეფი საკვებით ვეღარ უზრუნველჰყოფდა. განსხვავებული ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოს გამო ქართველ მთიელებში ცხოვრების ანალოგიური წესი არ დაინერგა. მას ყოველთვის ჰქონდა იმის საშუალება, რომ მთისწინთსა და ბარში გადასახლებულიყო. ცხოვრების ასეთი წესის ქართველ მთიელთა შორის გავრცელებას ხელს ის შიდა სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები უშლიდა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში არსებობობდა საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებს შორის[64]. ამიტომაც იყო, რომ ჩრდილოეთ კავკასიის მთებში ყველა სოფელი განცალკევებულად ცხოვრობდა, რომლებიც ერთმანეთისაგან მაღალი მთებით იყვნენ და-

[64] რ. თოფჩიშვილი. საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები, თბ., 2017, გვ. 454-484.

შორებული. დაღესტანში ამას ემატებოდა ენდოგამიური ქორწინების წესიც. საბოლოო შედეგი კი იყო საზოგადოებრივი განვითარების დამუხრუჭება. დაღესტნის გამოკლებით, თითქმის ყველგან თავის რჩენის ერთადერთი საშუალება მხოლოდ მესაქონლეობა, ყაჩაღობა და თარეშები იყო[65]. ხსენებული დაღესტნის საზოგადოებრივი განვითარების თვალსაზრისით წინ წასვლა კი ხელოსნობის სხვადასხვა დარგის პროფესიონალიზაცია იყო, ისინი ხელოსნობის ნაწარმს მხოლოდ საკუთარი სასოფლო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად არ აწარმოებდნენ. თუმცა ლეკებისათვის ამას თარეშების დიდი მასშტაბებისათვის ხელი არ შეუშლია. კიდევ ერთი მიზეზ-შედეგობრივი კავშირის შესახებ: მამაკაცმა იცოდა მხოლოდ ნადირობა, ცხენების საბალახოდ გარეკვა, თარეშები და ბრძოლა. ყველანაირი საოჯახო საქმიანობა და მიწის სამუშაოები ქალს უნდა ეკეთებინა.

კავკასია მდიდარი იყო ტყეებით, მაგრამ უტყეო რეგიონებიც ბევრი არსებობდა. ტყით საქართველო მდიდარი იყო. ტყე და უტყეობა განაპირობებდა მთელ რიგ ეთნოგრაფიულ თავისებურებებს: საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობებში ხე-ტყე ფართოდ იყო გამოყენებული როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში, ხე-ტყე იყო ძირითადი საწვავი საშუალება. ტყით მდიდარ რაიონებში ტრადიციული იყო ხის იარაღჭურჭელი. ხოლო სომხეთის ზეგანზე ტყის არარსებობა, ბუნებრივია, ასეთ ეთნოგრაფიულ რეალიებს გამორიცხავდა. ასე მაგალითად, სომხეთში ძირითადი საწვავი საშუალება წივა იყო. წივას გამოიყენებდნენ აგრეთვე საქართველოს ისეთ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში, როგორიცაა უტყეო ჯავახეთი, კოლა და არტაანი. სამშენებლო მასალად სომხები იყენებდნენ ალვის ხეს. სხვათა შორის, ბევრი ადამიანის სიმდიდრეს არაქსის შუა დინებაზე აფასებდნენ მისი კუთვნილი ალვის ხეების

[65] Кавказ: история, народы, обычай, Нальчик, 2010, Вып. II, С. 58.

რაოდენობით[66]. ხშირად საქმრო საცოლის ოჯახს ყალიმს/ურ-ვადს ამ ხის მორებით უხდიდა. არარატის ველზე საწვავად იყენებდნენ გარგლის ხეს, რომელიც, ჩვეულებრივ, თხუთმეტი წლის შემდეგ ბერდებოდა. მისგან ნახშირსაც ამზადებდნენ. უტ-ყეო გახლდათ ხევი, მაგრამ მოხევეებს ხე-ტყის მასალა მეზო-ბელი მთიულეთიდან შეჰქონდათ.

სომხეთი მდიდარია შუა საუკუნეების არქიტექტურით, გა-ნსაკუთრებით მხედველობაში გვაქვს საეკლესიო არქიტექტურა. ყველა ამ ნაგებობაში სამშენებლო მასალად გამოყენებულია ქვა, თითქმის არსად არ გვხვდება აგურით ნაშენი. ამ შემთხვევაშიც განმსაზღვრელი ბუნებრივ-გეოგრაფიული ფაქტორია. სომხეთი კლდიანი ქვეყანაა. შესაბამისად, სამშენებლო მასალად ქვა გა-მოიყენებოდა, ქვეყნის მკვიდრნი კი ქვის თლის ცნობილი ოს-ტატები იყვნენ. ამიტომაა სომხეთი მოფენილი ქვა-ჯვარებით („ხაჩკარებით“), საფლავის ქვებით.

[66]А. Ерицов. Армяне. – Кавказ: история, народы, обычай, Нальчик, 2010, Вып. II, С. 373.

ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ეთნიკური ერთობათა სოციალური და კულტურული განვითარების შეფერხების მიზეზების შესახებ

კავკასია ევროპისა და აზიის მიჯნაზე მდებარე საკმაოდ დიდი რეგიონია, რომლის ფართობი დღეს მიღებული ხელოვნური განსაზღვრით 467.964 კვადრატული კილომეტრია, ხოლო რეალურად – უფრო მეტი. აღნიშნულ ფართობს თუ დავუმატებთ თანამედროვე თურქეთისა და ირანის ფარგლებში მოქცეულ რეალური გეოგრაფიული კავკასიის ფართობს (თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი ვილაიეთები და ირანის ჩრდილო-დასავლეთი ორი ოსთანის უკიდურესი ჩრდილოეთი მხარეები), მისი ფართობი 580.000 კვადრატულ კილომეტრს აჭარბებს[67]. კავკასიას ერთი ფრიად მნიშვნელოვანი რამ ახასიათებს: ის მთელი ისტორიის მანძილზე და დღესაც ეთნიკურად და კულტურულად იყო და არის უაღრესად ჭრელი. კავკასია იყო სხვადასხვა კულტურებისა და ეთნოსების თანაარსებობის, შეხვედრის გეოგრაფიული არეალი.

სხვადასხვა ბუნებრივ-გეოგრაფიულ და კლიმატურ პირობებში მცხოვრებ მრავალრიცხოვან და სხვადასხვა იდეოლოგიის მატარებელ ხალხებს ჰქონდათ თუ არა საერთო, მსგავსი კულტურა? აშკარაა, რომ სამხრეთ კავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებმა, მთაში და ბარში მცხოვრებმა ეთნოსებმა კულტურული და სოციალური განვითარების სხვადასხვა გზა გაიარეს.

სამხრეთ კავკასიაში არსებობდა სოციალურად დიფერენცირებული საზოგადოება და სახელმწიფო ორგანიზაცია, რასაც ჩრდილოეთ კავკასიაზე ვერ ვიტყვით.

---

67 Топчишвили Р. А. Какую территорию охватывает Кавказ? // Этнографическое Обозрение. 2013. #5, с..61-66.

სამხრეთ კავკასიაში გვქონდა მარცვლეული კულტურების მოყვანაზე აქცენტირებული სამიწათმოქმედო და მოშინაურებული საქონლის გამოყენების კულტურა. ჩრდილო-დასავლეთ და ცენტრალურ კავკასიაში კი პრიმატი მეცხოველეობას ეკუთვნოდა და მიწათმოქმედება იყო პრიმიტიული. ხოლო სამხრეთ კავკასიის მიწათმოქმედება ექსტენსიური გახლდათ, ზოგიერთ შემთხვევაში – ინტენსიური (ეს განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოს მევენახეობაზე ითქმის). საყოველთაოდ ცნობილია, რომ მიწათმოქმედების ოთხი ფორმა არსებობდა: *პრიმიტიული, ექსტენსიური, გარდამავალი* და *ინტენსიური.* მიწათმოქმედების პრიმიტიული სისტემის მიმდევრები იძულებული იყვნენ რამდენიმე ხნის შემდეგ მიეტოვებინათ მიწა და ახალი დასამუშავებელი მიწა ეძებნათ. „ასეთი სისტემები შეესაბამებოდა პრიმიტიულ საზოგადოებრივ ფორმაციებს, როცა დასამუშავებელი მიწის ფართობი დიდი იყო, ხოლო ნიადაგის ნაყოფიერების გადიდების ხელოვნურ საშუალებებს ადამიანი არ იცნობდა. მომდევნო, უფრო განვითარებულ საზოგადოებრივ ფორმაციებში საწარმოო ძალების განვითარებამ, მოსახლეობის სიმჭიდროვის ზრდამ და მიწების ნაკლებობამ გამოიწვია პრიმიტიული მიწათმოქმედების სისტემის შეცვლა ექსტენსიური სისტემებით, მათ შორის ფართოდ გავრცელდა ანეულის სისტემა, რომლის დროსაც ნიადაგს 1-2 წლით ასვენებდნენ და თან ამუშავებდნენ, ზოგჯერ კი ანოყიერებდნენ ორგანული სასუქით (ნაკელით). ანეული ხელს უწყობდა სარეველებისაგან მინდვრის გაწმენდას და ნიადაგში წყლისა და საკვები ნივთიერებების დაგროვებას. ანეულის სისტემაში სათესი ფართობი შეადგენდა სახნავის ნახევარს ან 2/3-ს, ხოლო დანარჩენი ანეულს ეკავა. ვითარდებოდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მორიგეობის თეორია და ინერგებოდა სწორი თესლბრუნვა“[68]. პრიმიტიული მიწათმოქმედება ძირითადად ნახევრადმობინადრე/ნახევრადმომთაბარე ხა-

[68] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი VII, 1984.

ლხებისათვის იყო დამახასიათებელი. ევროპის ადრე შუა საუკუნეების ხალხებიდან პრიმიტიული მიწათმოქმედების მიმდევარი იყვნენ გერმანული ტომები, რაც, სხვათა შორის, მათი თითქმის მთელ ევროპაში მიგრაციის ერთ-ერთი მიზეზი იყო.

სამხრეთ კავკასიაში განვითარებული იყო საქალაქო ცხოვრება. საქალაქო ცენტრებში შესაბამისად არსებობდა ქალაქური ტიპის არქიტექტურა. განსხვავებული იყო ჩრდილოეთ კავკასიური და სამხრეთ კავკასიური სასოფლო დასახლებებიც.

სამხრეთ კავკასიის ხალხებმა (ქართველებმა, სომხებმა, ალბანელებმა) შექმნეს ორიგინალური დამწერლობა. ანალოგიური რამ ჩრდილოეთ კავკასიის არცერთ ეთნოსს არ შეუქმნია.

სამხრეთ კავკასიაში ახალი ერის დასაწყისიდანვე გავრცელდა და ფართოდ დაინერგა მონოთეისტური რელიგია – ქრისტიანობა. მიუხედავად ბიზანტიისა და საქართველოს დიდი მცდელობისა, ჩრდილოეთ კავკასიაში ქრისტიანობა ფართოდ არ დაინერგა; ის მხოლოდ ზედაპირულად შევიდა და ბოლოს ამ გეოგრაფიულ რეგიონში ისლამმა გაიმარჯვა. ასე რომ, რელიგიურ-იდეოლოგიური თვალსაზრისით, სამხრეთ კავკასია და ჩრდილოეთ კავკასია ერთმანეთისაგან გაუცხოვებული დარჩნენ.

კავკასიის გეოგრაფიული რეგიონის, მისი სამხრეთი და ჩრდილოეთი ნაწილების სხვადასხვაგვარი განვითარების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში ხაზგასმულია და შენიშნულია: *„კავკასიის შუაგულში მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი წყალგამყოფის – კავკასიონის მთავარი მთავრეხილის არსებობა უფრო აშორებდა, ვიდრე აახლოებდა ერთმანეთთან ამიერკავკასიასა და იმიერკავკასიას, ისევე როგორც მათ გადაღმა მდებარე ახლო აღმოსავლეთისა და ცენტრალური ევრაზიის შორეულ სივრცეებს ... პლინიუს უფროსი შენიშნავდა, რომ კავკასიის კარი სამყაროს ორ ნაწილად ყოფდა. სამყაროს ორ ნაწილში, ჩვეულებრივ, ოიკუმენეს, „კეთილგონიერი ადამიანების“ მხარესა*

და ტერა ინკოგნიტას – „ბარბაროსების სამფლობელოს“ გულისხმობდნენ“[69].

ჩრდილოეთ კავკასიის სტეპები წარმოადგენდა რა ევრაზიის ვრცელი სტეპების შემადგენელ ნაწილს, აქ მომთაბარე სხვადასხვა წარმომავლობის ნომადები (ჯერ ირანული და შემდეგ თურქული მოდგმის ხალხები, ბოლოს მონღოლები) მუდმივ საფრთხეს წარმოადგენდნენ ცივილიზებული დასავლეთისა და მახლობელი აღმოსავლეთისათვის. სამართლიანადაა შენიშნული, რომ სამხრეთ კავკასიაში ანტიკურ ხანაში სახელმწიფოების წარმოქმით დიდად იყო დაინტერესებული მაშინდელი ცივილიზებული სამყარო, რადგან ამ სახელმწიფოების ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია კავკასიის გადმოსასვლელების ჩაკეტვა იყო, რათა ისინი დაცული ყოფილიყვნენ ჩრდილოეთ ევრაზიის სივრციდან შემოჭრილი ნომადების თარეშებისაგან[70].

ჩრდილოეთ კავკასიის დაბლობ ნაწილში ფაქტობრივად ვერ შეიქმნა სახელმწიფოები (მთიან მხარეებზე საერთოდ საუბარი არცაა). ასეთები წარმოქმნისთანავე მალევე ნადგურდებოდნენ (ხაზარები, ალანები, ყივჩაღები). აქ ეთნოსებიც კი ძალიან ხშირად ენაცვლებოდნენ ერთმანეთს. ასე რომ, მუდმივი არამდგრადი ეთნიკური ვითარება გვქონდა. ე. წ. ეთნიკურ ქაოსს კი გარკვეული მიზეზები განაპირობებდა. ამ შემთხვევაში ისევ და ისევ მთა არა გვაქვს მხედველობაში. თუმცა, ეთნიკური ვითარების ცვლილებას მთიანი რეგიონებიც ვერ გადაურჩა. მხედველობაში გვაქვს ჩრდილო-დასავლეთი და ცენტრალური კავკასიის მთიანი და მთისწინეთი რეგიონი, სადაც ადგილობრივ ეთნიკურ ერთობებს, გვიან პერიოდში ირანული და თურქული ეთნოსები შეენაცვლნენ, კერძოდ, ალან-ოსები, და თურქულენოვანი ყარაჩაელ-ბალყარელები.

---

[69] გ. ქავთარაძე. საქართველო, კავკასიონი და გეოპოლიტიკა – წარსული და თანამედროვეობა. – მარი ბროსე-210, თბ., 2012, გვ.41.

[70] გ. ქავთარაძე. საქართველო, კავკასიონი და გეოპოლიტიკა, გვ.44-45.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ჩრდილოეთ კავკავკასიაც განვითარების თვალსაზრისით ერთგვაროვანი არ ყოფილა. სხვაგვარი ვითარება გვქონდა მის აღმოსავლეთ, ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილებში. კერძოდ, ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში (ყუბანის მარცხენა მხარეს) ეთნოსები მუდმივად ბინადარნი არ ყოფილან. თავიანთი განსახლების არეალში/ეთნოსფერაში ადიღეური მოდგმის ტომები მუდმივად მოძრაობდნენ, სოფლები ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადადიოდნენ.

ზოგიერთი ავტორის მცდელობა, რომ ჩრდილოეთ კავკასიელები და სამხრეთ კავკასიელები ერთი კულტურის მქონე, უფრო მეტიც, ერთი ცივილიზაციის ნაწილებად წარმოიდგინონ, მხოლოდ და მხოლოდ ახირებაა. თურმე რეგიონალურ ტერიტორიის ერთიანი მასივი, მასზე ერთი და იგივე ტომებისა და ხალხების ყოფნა, საერთო ისტორია, ერთი რასა, ფსიქოლოგია, ერთნაირი წეს-ჩვეულებები და ტრადიციები, დამწერლობა... ამას ადასტურებს[71]. თურმე ვაინახებს და ქართველებს ერთნაირი წეს-ჩვეულებები და ტრადიციები, ტანსაცმელი და საკვები აქვთ. ვინ დაადასტურა, რომ ქართველებსა და ჩაჩან-ინგუშებს ერთნაირი წეს-ჩვეულებები და ტრადიციები ჰქონდათ? მეზობელ ქართველ მთიელებთან შეიძლება ვაინახებს ზოგიერთი მსგავსი ტრადიცია გააჩნდათ, მაგრამ რა ვუყოთ დანარჩენ საქართველოს? ერთი რასობრივი ტიპი თუ ცივილიზაციის ნიშანია, მაშინ ყველა ევროპეიდი ან მონგოლოიდი ევროპეიდული და მონგოლოიდური ცივილიზაციების წარმომადგენლები ყოფილან. ვინ ადასტურებს, რომ ჩრდილოეთ კავკასიელებსა და ქართველებს საერთო ისტორია ჰქონდათ? საინტერესოა, ამ საერთო ისტორიაში პოლიტიკური ისტორია იგულისხმება, სოციალური, ეკონომიკური თუ ეთნიკური? ერთი სიტყვით, ქართველებსა და ვაინახებს საერთო არც კვებითი კულტურა და არც სამოსი ჰქონიათ. მეზობელი ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფის –

[71] http://.www.ia-maxsimum.ru/press283.htm

ხევსურებისაგანაც კი (რომლებიც ერთიან ქართულ სახელწიფოებრივ სისტემაში ავტონომიურად ფუნქციონირებდნენ), ამ მხრივ განსხვავებული კულტურის ელემენტები გააჩნდათ. საერთოდ, ვაინახებსა და ქართველ მთიელებს მხოლოდ კულტურის ზოგიერთი ელემენტი ჰქონდათ საერთო. კულტურის ზოგიერთი ელემენტის საერთოობა კი სხვადასხვა ეთნოსებს ერთ საერთო ცივილიზაციაში არ აქცევს. როგორ შეიძლება სხვადასხვა რელიგიების, ამ შემთხვევაში ისლამისა და მართლმადიდებლობის მიმდევარნი ერთი ცივილიზაციის ნაწილნი იყვნენ? ყველაზე გასაოცარი ისაა, რომ ცივილიზაციის საერთო ნიშნად დასახელებული ავტორი დამწერლობასაც ასახელებს. დამწერლობა კავკასიაში ხომ მხოლოდ ქართველებსა და სომხებს ჰქონდათ. ქართული დამწერლობა ჩაჩნებისა და ინგუშებისა, ადიღეელებისა და ყაბარდოელებისაც იყო? ისტორიაში ასეთი არცერთი ფაქტი არაა დადასტურებული.

თურმე ჩრდილოეთ კავკასიელებსა და ქართველებს სულიერი კულტურის ბევრი ნიშნის თანხვედრა ჰქონიათ. ამ თანხვედრის დამადასტურებელი ყოფილა „ნართების“ ეპოსისა და შოთა რუსთაველის სტრიქონების მსგავსება. სწორედ ნართების ეპოსისა და „ვეფხისტყაოსანის“ ურთიერთშედარება ადასტურებს იმას, თუ რაოდენ დიდი არა მხოლოდ ზღვარი, არამედ უფსკრული იყო ნართების ეპოსის მატარებელ ხალხებსა და ქართველებს შორის. ერთი ნიშანდობლივი ფაქტი: ნართები მოხუცებს კლავდნენ. და ბოლო დრომდე ადიღეელები კარგი თვალით არ უყურებდნენ იმ ადამიანებს, რომლებიც ღრმა მოხუცებულობამდე მიაღწევდნენ. საერთოდ, მეცნიერებასთან საერთო არაფერი აქვს ხალხური ეპოსისა და პოემის შედარებას. პოეზიის სიმშვენიერით ცნობილმა „ვეფხისტყაოსანმა“ ხომ ქართულ კულტურულ სამყაროში ქალის კულტი დაამკვიდრა და მას „გმირობითა და რაინდობით მხოლოდ ევროპულ ლიტერა-

ტურაში თუ მოეპოვება ანალოგი“[72]. საქართველოში ქალს არ ყიდდნენ, ათხოვებდნენ, იმ დროს როდესაც ჩრდილოეთ კავკასიის ყველა ხალხში პირიქით იყო – ის მამისა ან ძმების საკუთრებას წარმოადგენდა და მამაკაცს ოჯახის შესაქმნელად ის აუცილებლად უნდა ეყიდა. უფრო მეტიც, დაქვრივების შემთხვევაშიც კი არ ეძლეოდა თავისუფლება, ის ქმრის ოჯახის საკუთრებას წარმოადგენდა (რადგან მასში საქონლის საკმაოდ დიდი რაოდენობა იყო გადახდილი) და ჩერქეზებში მალევე მაზლის (ახლა უკვე ყოფილის) ცოლად იქცეოდა.

ზოგიერთი ავტორის აზრით, მართალია, წარსულისათვის დამახასიათებელი იყო შეხლა-შემოხლა და თარეშები, მაგრამ კავკასიელებმა ერთმანეთს შორის ხანგრძლივი სრულმასშტაბიანი ომები არ იცოდნენ. კავკასიელები ერთმა-ნეთს შორის სრულმასშტაბიან ომებს ვერც აწარმოებდნენ. ვინც თარეშებსა და ძარცვა-გლეჯაზე იყო ორიენტირებული, ის დიდ ომებს არ აწარმოებდა; მათ ამის საშუალება არც გააჩნდათ. ანდა ვინ დაასაბუთებს, რომ მიწათმოქმედი ქართველებიც თარეშობდნენ და სხვა ხალხებს სარჩო-საბადებელსა და ტყვეებს ტაცებდნენ? საქართველოს ლანდშაფტი ქართველებს თარეშებისაკენ არ უბიძგებდა. ქართველ გლეხს მის მიერ მოწეული მოსავალი ყოფნიდა მთელი წლის განმავლობაში და ამიტომ მას სხვათა ძარცვა-გლეჯაზე თვალი არ ეჭირა.

ზოგიერთ კავკასიურ ეთნოსს მეურნეობის მსგავსი ფორმები თუ გააჩნია, სხვათა მეურნეობის ფორმები ფრიად განსხვავდება ერთმანეთისაგან; რამდენიმე კავკასიურ ეთნოსს თუ საერთო და მსგავსი მითოლოგია გააჩნია (მაგალითად, „ნართების“ ეპოსი), ძირითადი ეთნოსებისათვის ის დამახასიათებელი არაა;

---

[72] მ. წერეთელი. კავკასიური რასისა და კულტურის პრობლემები. გერმანულიდან თარგმნა ნანა ბერიძემ. კომენტარები დაურთო და გამოსაცემად მოამზადა გიორგი ჟუჟუნაშვილმა, თბ., 2014, გვ. 42.

ჩრდილოეთ კავკასიელთა მენტალიტეტს თუ საერთოობა გააჩნია, ამას ვერ ვიტყვით ჩრდილოეთ კავკასიელთა და სამხრეთ კავკასიელთა მენტალიტეტზე. სამხრეთ კავკასიელთა, კერძოდ, სომეხთა და კავკასიელთა მენტალიტეტიც კი მიუხედავად ქრისტიანული სარწმუნოების მრავალსაუკუნოვანი რწმენისა, ფრიად განსხვავებულია, რაშიც, სხვა ფაქტორებთან ერთად, სომეხთა მონოფიზიტობისა და ქართველთა დიოფიზიტობის ურთიერთდაპირისპირებამ ითამაშა მნიშვნელოვანი როლი. ფეოდალური ურთიერთობანი კი კლასიკური ფორმით სამხრეთ კავკასიელებისათვის იყო დამახასიათებელი. ჩრდილოეთკავკასიელთა უმეტესობა კი ფეოდალურ ფორმაციას საერთოდ არ იცნობდა ან მხოლოდ მისი ჩანასახები გააჩნდათ; არც სულიერი კულტურა ჰქონიათ კავკასიის ხალხებს საერთო, განსაკუთერებით დიამეტრალურად განსხვავებული იყო ერთმანეთისაგან ჩრდილოეთ კავკასიელთა და სამხრეთ კავკასიელთა სულიერი კულტურა. ქართველთა და სომეხთა სულიერი კულტურა ქრისტიანობით იყო ნასაზრდოები, სხვებისა კი — არა.

მანამ სანამ სათანადო არგუმენტებს წარმოვადგენთ, აუცილებელია ზუსტად გავერკვეთ გეოგრაფიული კავკასიისა და მისი ბუნებრივ-გეოგრაფიულ და კლიმატურ მრავალფეროვნებაში, ეთნიკურ სიჭრელეში. როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, კავკასია საკმაოდ დიდი გეოგრაფიული ერთეულია, რომლის სამხრეთი საზღვარი არა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის საზღვარზე გადის თურქეთთან და ირანთან, არამედ უფრო სამხრეთით; კავკასია მოიცავს თურქეთისა და ირანის იმ მხარეებს, რომლებიც ჭოროხის, მტკვრისა და არაქსის აუზებში მდებარეობენ. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის, რომ კავკასია მაღალი წყალგამყოფი კავკასიონის ქედით ორ ნაწილად იყოფა — კავკასიონის წყალგამყოფი ქედის ჩრდილოეთ მხარეზე ჩრდილოეთ კავკასია მდებარეობს, სამხრეთით — სამხრეთ კავკასია. წელიწადის დიდი ხნის განმავლობაში მთელი ისტორიის მანძილზე კავკასიონის ქედი გაუვალი იყო. ადვილი არ

იყო მისი გადალახვა. მიუხედავად ამისა, ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიელებს, განსაკუთრებით მთაში მკვიდრებს, ერთმანეთთან ურთიერთობა მუდმივად ჰქონდათ, არც მიგრაციული პროცესები იყო იშიათი მოვლენა. სამხრეთ კავკასიის ხალხებს ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში ურთიერთობა ჰქონდათ როგორც დასავლური/ქრისტიანული, ისე აღმოსავლური/მაზდიანური/მუსლიმური ცივილიზაციისა და კულტურის მქონე ხალხებთან. სამხრეთ კავკასიელი ხალხების კულტურებზე ირანული კულტურის ძლიერი გავლენების შესახებ მეცნიერები ჯერ კიდევ ადრე მიუთითებდნენ, პირველ რიგში კი, მათ მხედველობაში ჰქონდათ მაზდიანობის გავრცელება როგორც სომხებს, ისე ალბანელებსა და იბერიელებს შორის[73]. საქართველოში ამ გავლენების შესახებ ზოგიერთი ტერმინის შესახებაც მიუთითებენ, მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოს მთაში ხატის მსახურის აღმნიშვნელი სიტყვა – „დასტური“ (ევალებოდა ლუდის ხარშვა და დეკანოზის/ხევისბრის დახმარება საკლავის დაკვლის დროს) მოჰყავთ.

უბედურებასთან ერთად სამხრეთ კავკასიელი ხალხებისათვის გეოგრაფიულ მდებარეობას სხვადასხვა ცივილზაციების არეალში ყოფნა და გავლენაც მოჰქონდა თან. მეცნიერები სამართლიანად მიიჩნევენ, რომ კაცობრიობის კულტურის ელემენტები არა დამოუკიდებელი აღმოჩენის, არამედ გარედან სესხების შედეგეგადაა წარმოქმნილი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ცივილიზაციები დედამიწაზე გარკვეული კერებიდან „გაცოცდა“. ევროპისათვის თუ ასეთი „კულტურული მასწავლებლის“ როლს ხმელთაშუაზღვისპირეთი ასრულებდა, საქართველოსათვის ამ როლის შემსრულებელი ახლო აღმოსავლეთი და ბერძნულ-ბიზანტიური სამყარო იყო. რაც შეეხება კავკასიონის ჩრდილოეთით მდებარე ჩრდილოეთ კავკასიას, ის ევრაზიის ნომადურ ზონას ემეზობლებოდა, სადაც საუკუნეების განმავლობა-

[73] М. М. Ковалевский. Закон и обычай на Кавказе. – Кавказ: Закон и обичай, Нальчик, 2011, Вып. VII, С. 62-88.

ში აღმოსავლეთიდან შემოჭრილი სხვადასხვა მომთაბარე ეთნოსები (სკვითები, სარმატები, ალანები, ჰუნები, ავარები, პაჭანიკები, ყივჩაღები, მონღოლები...) ენაცვლებოდნენ ერთმანეთს (ჩრდილოეთ კავკასიელებისათვის ჩრდილოეთი მეზობლებიდან მხოლოდ რუსები იყვნენ პირველი ბინადარნი და სახელმწიფოებრიობის მატარებელი ხალხი). როგორც სამართლიანადაა შენიშნული, მომთაბარეთა მიერ თითქმის 2.500 წლის განმავლობაში ჩრდილოეთ კავკასიის ვეებერთელა კორიდორის კონტროლი მუდმივად იწვევდა ადგილობრივი მოსახლეობის საგარეო-პოლიტიკურ პრესინგს[74]. თქმული არსებითად განასხვავებდა ერთმანეთისაგან ჩრდილოეთ კავკასიასა და სამხრეთ კავკასიაში მცხოვრებ ხალხებს.

მრავალფეროვანია კავკასია რელიეფით და ბუნებით. შედარებით მცირე სივრცეზე თავმოყრილია სხვადასხვა წარმოშობისა და აღნაგობის ზედაპირის ფორმები – დაბლობები, ვაკეები, ზეგნები, მთიანი ქედები, ვულკანური მწვერვალები. **კავკასიაში 21 ფიზიკურ-გეოგრაფიული ოლქი და რაიონი გამოიყოფა[75]**. ჩრდილოეთ კავკასიას სამხრეთ კავკასიასთან შედარებით ლადშაფტური თავისებურებაც ახასიათებს; ესაა ბარიდან მთიან ადგილებში მკვეთრი გადასვლა. კავკასიის სხვადასხვა ნაწილში სხვადასხვა კლიმატია – კავკასიის მაღალმთიანეთის პოლარული კლიმატიდან დასავლეთ კავკასიის დაბლობის ტენიანი სუბტროპიკულ კლიმატამდე, აღმოსავლეთ კავკასიისწინეთის სტეპების მშრალი კონტინენტური კლიმატიდან აღმოსავლეთ სამხრეთ კავკასიის მშრალ სუბტროპიკულ კლიმატამდე. ასევე მრავალფეროვანია კავკასიის მცენარეული სამყარო: სუბტროპიკულ

---

74 *Панеш Э. Х.* Этническая психология и межнациональные отношения. Взаимодействие и особенности эволюции (На примере западного кавказа). СПб.: Европейский Дом, 1996, с. 225.

75 *Ляйстер А. Ф., Чурсин Г. Ф.* География Кавказа: природа и население. Тифлис, 1924.

ტყეებსა და ზომიერი კლიმატის ტყეებს აქ, ერთი მხრივ, ალპური მდელოები და, მეორე მხრივ, აღმოსავლეთ კავკასისწინეთისა და სამხრეთ კავკასიის დაბლობი სივრცეების ნახევრად უდაბნოს მშრალი მცენარეულობა ენაცვლება. დასავლეთ კავკასიისწინეთში შავმიწიანი სტეპების სტეპური ფლორა გვხვდება.

უნდა გავიხსენოთ, რომ კავკასია მულტიეთნიკური რეგიონია. აქ 50-მდე ხალხი მკვიდრობს, რომელთაგანაც ყველამ ორიგინალური კულტურა შექმნა და აქვს მისთვის დამახასიათებელი ენა. კავკასია ხომ ჯერ კიდევ ანტიკურ პერიოდში მრავალი ხალხით იყო დასახლებული. მიუხედავად იმისა, რომ კავკასიაში არაერთი ენა და ეთნოსი გაქრა, დღესაც ის მრავალეთნიკური ოლქია. კავკასიის ეთნიკური სიჭრელე განაპირობა რამდენიმე გარემოებამ: ევროპისა და აზიის მიჯნაზე მდებარეობამ და ჩრდილოეთი და სამხრეთი გზებიდან ხალხთა მოძრაობამ; რეგიონის მთიანმა ხასიათმა და ადგილობრივი ბუნების მრავალფეროვნებამ. ჩამოთვლილთაგან ზოგიერთი ეთნოსი უაღრესად მცირერიცხოვანია და მათი განსახლების არეალი ერთ ან ორ-სამ სოფელს არ სცდება. ქართველების, სომხების, აზერბაიჯანელების და სხვა ორი-სამი ეთნოსის გარდა, ზემოთ ჩამოთვლილი ხალხები ძირითადად მთის მკვიდრნი იყვნენ.

ქვემოთ მოგვიხდება კავკასიელი ხალხების დახასიათება, განსაკუთრებით ცივილიზაციის ნიშნებთან მიმართებაში. ცივილიზაციის არსებითი და ძირითადი ნიშანი სახელმწიფოებრიობაა. სამხრეთ კავკასიის ხალხთაგან სახელმწიფოებრიობის მატარებელნი ქართველები, სომხები და ალბანელები იყვნენ. ალბანელების საფუძველზე წარმოქმნილ აზერბაიჯანელებს კი პატარ-პატარა ფეოდალური სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები გააჩნდათ. ჩრდილოეთ კავკასიური ეთნოსებიდან სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები ხუნძებს ჰქონდათ (სერირის სამეფო), რომელიც XIII საუკუნიდან წვრილ ერთეულებად დაიშალა და ქვეყანამ ფაქტობრივი დეფეოდალიზაცია განიცადა. წვრილ ერთეულებად დაიშალა აგრეთვე ტაბასარანი, ლაკზი, გუმიკი.

ჩრდილიეთ კავკასიელთაგან სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი გააჩნდათ ოსებსაც, ოღონდ არა მთებში, სადაც ისინი ბოლო დროს, გვიან შუა საუკუნეებში ცხოვრობდნენ, არამედ ჩრდილეთ კავკასიის ველებში. XIII საუკუნეში, საგარეო ფაქტორის გამო, ამ სახელმწიფომაც კრახი განიცადა. საერთოდ, გეოგრაფიული მდგომარეობა და არაერთი მომთაბარე ტომის მოძრაობა და მიგრაცია ჩრდილოეთ კავკასიაში მყარი ეთნიკური სიტუაციისა და სახელმწიფოების ანდა სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების არსებობას ხელს არ უწყობდა. არსებული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები მონღოლთა შემოსევებმა საბოლოოდ მოსპო და იმ დროს წარმოქმნილი ეთნიკური და პოლიტიკური სიტუაცია, ფაქტობრივად, რუსეთის იმპერიის მიერ კავკასიის დაპყრობამდე აღარ შეცლილა. დანარჩენ ჩრდილოეთ კავკასიელებს, უფრო სწორედ, მთიელებს, ფაქტობრივად, სახელმწიფოებრიობა არ ჰქონიათ. სახელმწიფო სტრუქტურის შექმნის აუცილებლობა კავკასიის ხალხებმა ძალიან გვიან – რუსეთის იმპერიის ექსპანსიის თითქმის დამამთავრებელ ეტაპზე – იგრძნეს. ადიღეელებს შორის ამაზე ფიქრი 1850-იან წლებში *მუჰამედ-ამინმა* დაიწყო და სახელმწიფოებრივი სტრუქტურების ფორმირება მისი სიკვდილის შემდეგ – 1860-1864 წლებში მოახდინეს. მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო: იმპერიამ ფორმირების პროცესში შექმნილი სახელმწიფო სტრუქტურა და ადიღეელთა ეთნოსფერა ერთდროულად გაანადგურა[76]. ასე რომ, ცივილიზაციის ამ ნიშანს (სახელმწიფოებრიობა) კავკასიელთაგან მხოლოდ ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები, ადრეულ ეტაპზე ნაწილობრივ ოსები აკმაყოფილებენ. ნომადურ სამყაროსთან მეზობლობა და სიახლოვე ჩრდილოეთ კავკასიის ეთნოსებში სახელმწიფოებრიობის მხრივ კეთილისმყოფელ გავლენას ვერ

---

[76] *Гудаков В.* Северо-Западный Кавказ в системе межетнических отношений с древнейших времен до 60-х годов XIX века, С-П., 2007, с. 542-543.

ახდენდა. მთა კავკასიელ ავტოქტონებს სახელმწიფოების შექმნის საშუალებას ნაკლებად აძლევდა. ბარში გასვლის საშუალებას კი მათ ხან მომთაბარე ირანული მოდგმის და ხან თურქული მოდგმის ხალხები (მონღოლების წასვლის შემდეგ – ყაბარდოელები) უშლიდნენ; ბარში შექმნილი ეთნიკური სიცარიელის შევსებას ისინი ვერ ასწრებდნენ. ამ მიზეზით იყო განპირობებული ჩრდილოეთ კავკასიელი მთიელების (ლეკების, ოსების, ადიღეელების) საქართველოში „ჩამოწოლაც“.

ცივილიზაციის შემდეგი ნიშანი სოციალურად დიფერენცირებული საზოგადოება და კლასების არსებობაა. სოციალურად დიფერენცირებული იყო ქართული, სომხური, ალბანური, შემდეგ აზერბაიჯანული სახელმწიფოები და სახელმწიფოებრივი ერთეულები (სამთავროები, სახანოები). რა მდგომარეობა იყო ამ მხრივ ჩრდილოეთ კავკასიაში? ზემოთ დაღესტნის სერირის სამეფო ვახსენეთ. ბუნებრივია, სამეფოში სოციალური დიფერენციაცია და კლასები იქნებოდა. საერთოდ, დაღესტანში სოციალ-ეკონომიკური ურთიერთობები უფრო ვითარდებოდა, მაგრამ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, XIII საუკუნიდან აქ დეფეოდალიზაცია მოხდა და სახეზე მხოლოდ ნახევრადფეოდალური ურთიერთობები არსებობდა. ჩრდილოეთ კავკასიის სტეპებში არსებული ოსთა სახელმწიფო მონღოლთა შემოსევების შედეგად განადგურდა და მთაში შეხვეწილ ოსებს აღარც სახელმწიფო და ფაქტობრივად აღარც სოციალური დიფერენციაცია ჰქონიათ და არც კლასები ჰყოლიათ. ზოგიერთ ოსურ საზოგადოებაში ზედაფენა მხოლოდ ფორმალურად არსებობდა. მონღოლთა შემოსევების შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიის ველები ყაბარდოელებმა დაიკავეს. მაგრამ ყაბარდოული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი განსხვავდებოდა კლასიკური ფეოდალური სახელმწოფოებისაგან – ყაბარდოს უმაღლესი თანამდებობის პირის („უალია“) თანამდებობა არჩევითი იყო; მას თავადების საბჭო ირჩევდა. შემორჩენილი იყო საჯარო ხელისუფლების არქაული ფორმები: სახალხო კრება, მამაკაცთა ფარული კავშირები. ყაბა-

რდოში პატრიარქალური მონობა გვაროვნული წყობილების ძლიერ გადმონაშთებთან იყო შეთანაწყობილი. დასავლეთ ადიღეელების „დემოკრატიულ“ საზოგადოებებში გაჩენილი იყო სოციალური ფენა, რომელსაც „უორკი“ ეწოდებოდა. თავისუფალი მეთემეების დიდი მასის ფონზე, „უორკის“ გვართა რიცხვი დიდი არ იყო. ამ უკანასკნელთა ფორმირება მოხდა არა მიწის საკუთრების ბაზაზე, არამედ ძირითადად სამხედრო ექსპანსიის შედეგად მოპოვებული ნადავლის, ალაფის საფუძველზე. საერთოდ, არ ყოფილა სოციალურად დიფერენცირებული და კლასები ჩაჩნეთში და ინგუშეთში. იგივე მდგომარეობა გვქონდა ყარაჩაისა და ბალყარეთში. ისინი ერთი მთლიანი ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეულის სახით არ ცხოვრობდნენ. საზოგადოების ძირითად ნაწილს თავისუფალი მეთემეები წარმოადგენდნენ. ამრიგად, ამ კომპონენტითაც ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასია არსებითად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან და ცივილიზაციის ეს ნიშანი მხოლოდ სამხრეთ კავკასიაში იყო.

ცივილიზაციის მესამე ნიშანი მიწის მემკვიდრეობით გადაცემაა. თავისი კლასიკური ფორმით ეს ნიშანიც მხოლოდ სამხრეთ კავკასიის ხალხებისათვის იყო დამახასიათებელი. რა მდგომარეობა გვქონდა ჩრდილოეთ კავკასიაში? ამ მოთხოვნილებას დაღესტანი ნაწილობრივ აკმაყოფილებს. სხვაგან ძირითადად მიწაზე სათემო საკუთრება არსებობდა. იქ, სადაც სახვნელ მიწაზე კერძო საკუთრება არსებობდა, პატრონს არ შეეძლო მისი გასხვისება სხვაზე, გარეშეზე, მემკვიდრეობა არ გადადიოდა ქალიშვილზე, ოჯახში ვაჟის არ ყოლის შემთხვევაში მიწა გვარის, თემის საკუთრებაში გადადიოდა. როგორც ვხედავთ, ამ კომპონენტითაც საერთო ჩრდილოეთ კავკასიელებსა და სამხრეთ კავკასიელებს არაფერი ჰქონდათ. კიდევ ერთი გარემოების შესახებ: სამხრეთ კავკასიელთაგან მიწაზე მიმაგრებულნი იყვნენ ქართველები და სომხები. ისინი ბინადარ ცხოვრებას მისდევდნენ. ასეთივე ცხოვრების წესი ჰქონდა აზერბაიჯანელების უმეტესობას. რა მდგომარეობა გვქონდა ყაბარდოე-

ლთა სახელმწიფოებრივ წარმონაქმნში? ყაბარდოელები და ადიღეელებიც ხშირად იცვლიდნენ საცხოვრებელ ადგილს. ისინი ფაქტობრივად ნახევრადმომთაბარეები იყვნენ. ცნობილია, რომ ყაბარდოული დასახლება („კაბაკი“) ხშირად იცვლიდა ადგილმდებარეობას. მათთან მიწა სათემო იყო. მიწის გადანაწილება ერთი დასახლებული პუნქტის ფარგლებში ყოველწლიურად ხდებოდა[77].

ახლა სავაჭრო ურთიერთობათა შესახებ. საქართველოში, სომხეთსა და ალბანეთშიც სახელმწიფოებრიობის ჩასახვიდან სავაჭრო ურთიერთობანი ფართოდ იყო განვითარებული, მხედველობაში გვაქვს, როგორც ქვეყნის შიგნით სავაჭრო ურთიერთობები, ისე საგარეო ვაჭრობა. არქეოლოგიური მასალა სწორედ სამხრეთ კავკასიელთა აღმოსავლურ და რომაულ, შემდეგ ბიზანტიურ სამყაროსთან ფართო სავაჭრო ურთიერთობებს ადასტურებს. ანტიკური პერიოდის კავკასიაში აღმოჩენილი ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით არათანაბარი და დიდად განსხვავებული ვითარება იყო. *„კოლხეთი სამონეტო ცივილიზაციის ერთ-ერთი უძველესი კერაა. აქ, ალბათ, ძვ. წ. VI ს-ის დასასრულიდან (უკიდურეს შემთხვევაში ძვ. წ. V ს-ის დასაწყისიდან) იჭრება ე. წ. კოლხური თეთრი, რომელიც ძვ. წ. V–IV სს-ში ყველაზე უფრო გავრცელებული მონეტაა დასავლეთ საქართველოს როგორც შიდა რეგიონებში, ასევე – სანაპირო ზოლში“*[78]. აღნიშნულ პერიოდში კოლხეთში, იბერიაში, სომხეთსა და ალბანეთში უცხოური მონეტების დიდი მიმოქცევა იყო, ხოლო ჩრდილოეთ კავკასიაში დიამეტრალურად სხვაგვარი ვითარება გვქონდა: *„ანტიკურ ხანაში, სამონეტო მიმოქცევის თვალსაზრისით, ჩრდილო კავკასია გაცილებით დაბალ საფეხურზე დგას, ვიდრე ამიერკავკასიის რეგიონი. გარდა ამისა, აქ ნაპოვნი*

---

[77] *Ковалевский М.М.* Закон и обычай на кавказе: В 2 т. – Нальчик, 2011. – Вып. VII.

[78] *დუნდუა გ., დუნდუა თ.* ანტიკური პერიოდის კავკასიის ნუმიზმატიკის საკითხები (ზოგადი მიმოხილვა), თბ., 2009, გვ. 3.

მონეტები ყოველთვის არ ასრულებდა ფულადი ერთეულის როლს“ [79]. იჭედებოდა და ფართო მიმოქცევაში იყო ქართული მონეტები ფეოდალიზმის პერიოდშიც. ჩრდილოეთ კავკასიელებს მონეტა არ ჰქონიათ. ეს ბუნებრივიცაა, რადგან მონეტებს სახელმწიფოები ჭრიდნენ და უშვებდნენ მიმოქცევაში. ჩრდილოეთ კავკასიაში უცხოური მონეტები მართალია აღწევდნენ, მაგრამ მონეტებს ვაჭრობში კი არ გამოიყენებდნენ, არამედ ქალის სამოსის სამკაულად[80]. ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებში მხოლოდ გაცვლითი ურთიერთობები არსებობდა. ის კი არა, შუა საუკუნეებშიც ჩერქეზები/ადიღეელები მოსულ უცხოელებთანაც (გენუელები, ყირიმელები, თურქები) მხოლოდ ნატურალური ურთიერთობით გამოირჩეოდნენ. ჩრდილოეთ კავკასის სავაჭრო საქმიანობაში ძირითადად სომხები იყვნენ ჩართულნი. რა ჰქონდათ გასაყიდი ან გასაცვლელი ჩრდილოეთ კავკასიელებს პროდუქტებიდან ან ხელოსნური ნაწარმიდან – თითქმის არაფერი (აქ დაღესტნის ზოგიეთი ხალხი არ იგულისხმება)? მათი მთავარი სავაჭრო საგანი ტყვეები იყვნენ, რომლებსაც თარეშების შედეგად შოულობდნენ. სხვათა შორის, ადიღეელებში სოციალური დიფერენციაციის ჩანასახები სწორედ თარეშების შედეგად იყო გაჩენილი. აქ „უორკების“ ფენის ფორმირება მოხდა არა მიწის საკუთრების ბაზაზე, არამედ ძირითადად სამხედრო ექსპანსიის შედეგად მოპოვებული ნადავლის, ალაფის საფუძველზე, ე. ი. „სამხედრო დემოკრატიის“ („ჩიფდომის“) პირობების გამო. სამხრეთ კავკასიის სამივე ძირითადი ეთნოსის ტერიტორიულ ერთეულებს/ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებს შორის დამახასიათებელი იყო არა მხოლოდ სავაჭრო ურთიერთობები, არამედ მჭიდრო სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები. ასეთი სავაჭრო, სამეურნეო და ეკონომიკური ურთიერთობები ჩრდი-

---

79 *დუნდუა გ., დუნდუა თ.* ანტიკური პერიოდის კავკასიის... გვ. 31.

80 *История* народов Северного кавказа с древнейших времен до конца XVIII в. М., 1988, с.282.

ლოეთ კავკასიის ხალხების ეთნოგრაფიულ მხარეებს შორის XIX საუკუნემდე შენიშნული არ არის.

კავკასია არა მხოლოდ ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოთი და ეთნიკური თვალსაზრისითაა მოზაიკური, არამედ რელიგიური თვალსაზრისითაც და მისგან გამომდინარე წეს-ჩვეულებებით, მსოფლშეგრძნებით, ქცევის სტერეოტიპებით. არსად სხვადასხვა რელიგიებისა და კონფესიების მიმდევარი ხალხები ერთი, საერთო კულტურის წარმომადგენლები არ არიან.

რუსეთის ჩრდილოეთ კავკასიაში შემოსვლის მომენტსათვის არცერთი ქალაქი არ არსებობდა. მონღოლთა შემოსევებმა აქ ხანგრძლივად შეწყვიტა საქალაქო ცხოვრება[81]. აღნიშნული დროისათვის დაბლობი ძირითადად ყაბარდოელებსა და ნოღაელებს ჰქონდათ დაკავებული. არც დიდ ყაბარდოში და არც პატარა ყაბარდოში ქალაქები, თუნდაც პატარა, არ ყოფილა. ნოღაელები კი მომთაბარეობდნენ და ნომადებს მუდმივი დასახლებული პუნქტები საერთოდ არ გააჩნდათ. ყაბარდოელები კი ნახევრად მომთაბარენი იყვნენ. მთებში კი ქალაქები არ იყო. თუმცა, საისტორიო საბუთებით, მონღოლთა შემოსევებამდე ჩრდილოეთ კავკასიის სტეპების ზონაში რამდენიმე ქალაქი არსებობდა. არქეოლოგების მიერ შესწავლილია ალანთა ნაქალაქარი *ქვემო არხიზი* მდ. *დიდი ზელენჩუკის* ხეობაში (თანამედროვე ყაბარდო-ბალყარეთის ტერიტორია). ის იყო ადმინისტრაციული და რელიგიური ცენტრი, ბიზანტიური გავლენის ფორფოსტი X–XII საუკუნეებში. XII საუკუნეში ქვემო არხიზში ცხოვრება ჩაკვდა. როგორც მიუთითებენ, XI საუკუნის ბოლოსა და XII საუკუნის დასაწყისში ალანიაში სწრაფად მიმდინარეობდა ადრე ჩამოყალიბებული საქალაქო ცენტრების დეურბანიზაციის პროცესი, მოსახლეობის ძირითადი ნაწილის მეურნეობისა და ყო-

---

81 Анчабадзе Ю. Д., Волкова Н. Г. Этническая история Северного Кавказа (XIII-XVIII вв.), М., 1993, с. 92.

ფის ყველა სფეროს ნომადიზაცია. ჩრდილოეთ კავკასიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქი იყო *მაჯარიც*, რომელიც XIII საუკუნის მეორე ნახევარში მდ. *ყუმის* ნაპირებზე წარმოიქმნა (თანამედროვე ქ. ბუდიონოვკა, სტავროპოლის მხარეში). მის მოსახლეობას ძირითადად ალანები და ყივჩაღები წარმოადგენდნენ. აქვე ბევრ ვაჭარს უცხოვრია ევროპიდან და აზიიდან. დიდი ნაქალაქარებია აგრეთვე ცენტრალურ კავკასიაში *ქვემო ჯულატი* (თანამედროვე ყაბარდო-ბალყარეთის ქ. მაიკოპის ახლოს) და ზემო ჯულატი (ჩრდილოეთ ოსეთში სოფელ ელხონტოვოს მახლობლად). ეს იყო და ეს. მთებში შესახლების შემდეგ, ოსებს ქალაქები აღარ ჰქონიათ. მთებში, სადაც თანამედროვე ჩრდილოეთ კავკასიური ეთნოსების განსახლების არეალი იყო, არსად ქალაქები არც საისტორიო წყაროებით და არც არქეოლოგიურად დადასტურებული არ არის. მთიელთა საზოგადოებრივ-ეკონომიური განვითარების დონე მას არ საჭიროებდა.

თითქოსდა საქალაქო ცხოვრება უნდა გამოეცოცხლებინა და განევითარებინა ვენეციელთა და გენუელთა კოლონიებსა და სავაჭრო ფაქტორიებს, რომლებიც ცოტა არ იყო ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის შავიზღვისპირეთში. XIII-XIV საუკუნეების მიჯნაზე, იტალიური რუკების თანახმად, აქ 30-ზე მეტი კოლონია და ფაქტორია იყო, სადაც 1260 წლიდან საბოლოოდ გენუელები გაბატონდნენ. მაგრამ, **იტალიელებმა ვაჭრობის ისეთი სახე წაახალისეს, რომელიც საზოგადოების განვითარებას ხელს არ უწყობდა, პირიქით – ამუხრუჭებდა; ესაა ტყვეებით ვაჭრობა.** ვაჭრობა ფულის ნიშნებით კი არ ხდებოდა, არამედ გაცვლით. ის ორმხრივ სარგებლიანი არ იყო. ადგილობრივ კავკასიელებს ტყვეებში უცვლიდნენ ქსოვილებს, ვენეციურ სარკეს, საპონს, საკმეველს, მარილს, ბრინჯს, მდოგვს და ზოგიერთ სხვა სანელებელს... ცნობილია, რომ თვით გენუელებიც არ ერიდებოდნენ ტყვეების გატაცებას. მოგვიანებით გენუელთა ანალოგიური საქმიანობა კავკასიაში ყირიმელებმა და თურქებმა

გააგრძელეს. ამრიგად, ქალაქებთან მიმართებაშიც სამხრეთ კავკასიასა და ჩრდილოეთ კავკასიაში რადიკალურად განსხვავებული ვითარება არსებობდა. ამ კომპონენტითაც ზედმეტია საუბარი საერთო კავკასიური ცივილიზაციის არსებობაზე.

კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით არცერთი მონუმენტური ნაგებობა არაა დადასტურებული, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე ქართულ ქრისტიანულ ტაძარსა და დაღესტნის, ინგუშეთისა და ჩაჩნეთის თავდასაცავ ნაგებობებს. ადიღეური მოდგმის ხალხებს საერთოდ კოშკური კულტურაც კი არ გააჩნდათ. მათთვის უცნობი იყო ქვის ნაგებობები. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია შენიშნული, ადიღეურ ეთნოსფერაში დასახლების თავისებური ტიპი ჰქონდათ შემუშავებული. მათი თავისებურება „სიმსუბუქე“ და „მოძრაობითობა“ გახლდათ. როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ ადიღეელები მსუბუქი ტიპის ნაგებობებს უპირატესობას იმიტომ ანიჭებდნენ, რომ სტეპების მკვიდრთა თარეშების გამო იძულებული იყვნენ ხშირად ეცვალათ ადგილსაცხოვრისი[82]. ჩრდილოეთ-დასავლეთ კავკასიაში შემორჩენილი რამდენიმე არქიტექტურული ძეგლი – *ზელენჩუკის, შოანის, სენტინის* ტაძრები, რომლებიც X–XI საუკუნეებიდან არსებობდა, ბიზანტიური და ქართული კულტურის ძეგლები იყო. ქართული კულტურის ძეგლი გახლდათ IX საუკუნეში აგებული *ტყობა-ერდის* ტაძარი ინგუშეთის ასას ხეობაში. იგივე შეიძლება ითქვას *თარგიმისა* და *ალი-ერდის* ტაძრებზე და „დათუნას“ ბაზილიკაზე დეღესტანში. ამ კომპონენტითაც ვერ ვიტყვით, რომ არსებობდა საერთი კავკასიური ცივილიზაცია; ამ მხრივაც სამხრეთ კავკასია და ჩრდილოეთ კავკასია სხვადასხვა სამყარო იყო.

---

82 *Гудаков В. В.* Северо-Западный Кавказ в системе межетнических отношений... с.195.

საქართველოში XI–XII საუკუნეებში არსებობდა მეცნიერებისა და განათლების ცენტრები (გელათისა და იყალთოს აკადემიები). უძველესი ქართული მხატვრული ნაწარმოები V საუკუნით თარიღდება. მთელი ისტორიის მანძილზე საქართველოში არ შეწყვეტილა მხატვრული ლიტერატურის შექმნა. XII საუკუნეში შეიქმნა ქართული ლიტერატურის შედევრი *შოთა რუსთაველის* „ვეფხისტყაოსანი". X საუკუნის ნაწარმოები „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება" არა მხოლოდ მხატვრული ნაწარმოები, არამედ საისტორიო თხზულებაცაა. პირველი ქართული წიგნის დაბეჭდის თარიღია 1629 წელი. მდიდარია ქართული საისტორიო მწერლობაც. საქართველოში ფილოსოფიური მეცნიერებაც სათანადოდ ვითარდებოდა (*ეფრემ მცირე, იოანე პეტრიწი*). ქართული არქიტექტურის ძეგლებზე ზემოთ ვილაპარაკეთ. მდიდარია ქართული სახვითი ხელოვნებაც. მაღალი დონის იყო ჭედური ხელოვნება. ქართველები შესანიშნავ მინიატურებსაც და რელიეფურ სკულპტურებსაც ქმნიდნენ. საყოფელთაოდ ცნობილია ქართული მოზაიკა და ფრესკული ხელოვნება. მაღალი დონის ფრესკებით დამშვენებულია საქართველოს მთაში (სვანეთი) ორიგინალური და მრავალრიცხოვანი ბაზილიკები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართული მუსიკალური კულტურა. ბევრი შედევრი აქვს ქართველ ხალხს შექმნილი სიმღერების სფეროში (ორი-, სამი- და ოთხხმიანი გუნდური სიმღერები). მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია აქვს ქართულ ხალხურ მრავალფეროვან ქორეოგრაფიას. მისი განვითარების პროცესში შეიქმნა თეატრალიზებული ქართული ცეკვებიც. მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის სფეროში ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს სომეხთა და ქართველთა მსგავსი არაფერი აქვთ შექმნილი. ამ ნიშნითაც არ დასტურდება საერთო კავკასიური ცივილიზაციის არსებობა.

განსხვავებული ვითარება გვქონდა სამართლის სფეროშიც. ქართველებსა და სომხებს დაწერილი სახელმწიფო (ფეოდალური) სამართალი გააჩნდათ. საამისოდ *ბაგრატ კურაპალატის,*

ბექა-აღბულასი და *ვახტანგ VI-ის* სამართლის ძეგლები შეიძ-ლება დავასახელოთ. სომხებს *მხითარ გოშის* სამართალი ჰქონ-დათ. ჩრდილოეთ კავკასიის თითქმის ყველა ხალხში მხოლოდ ჩვეულებითი, ადათობრივი სამართალი მოქმედებდა. გვიან შუა საუკუნეებიდან ჩრდილოეთ კავკასიის მთელ რიგ ხალხებში ადათს მუსლიმური სამართალი – შარიათი ჩაენაცვლა. სახელმ-წიფო სამართლის მქონე და ადათისა და შარიათის მატარებე-ლი ხალხების ერთი კულტურული წრისადმი მიკუთვნება წარ-მოუდგენელია. აქაც დიდ სხვადასვაობასთან გვაქვს საქმე.

ზოგადად კავკასიის ხალხების ეთნიკურ კულტურასაც, ეთნოგრაფიულ ყოფასაც უნდა შევეხოთ. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ კავკასია ფრიად მრავალფეროვანი რეგიონი იყო, როგორც ბუნებრივ-გეოგრაფიული, კლიმატური, ისე ეთნიკური თვალსაზ-რისით.

მიწათმოქმედებას კავკასიის ყველა ხალხი მისდევდა, გარ-და მომთაბარე ნოღაელებისა. კავკასიაში მოსული ირანული და თურქული მოდგმის ხალხებიც მეურნეობის ამ სფეროს აქ და-სახლკარებისთანავე ეზიარნენ. სამხრეთ კავკასიაში მიწათმოქმე-დება ირიგაციას ეფუძნებოდა, მათ შორის, დიდ სარწყავ სის-ტემებს, რომელთა მოწყობა დიდ კოლექტიურ შრომასა და სა-ხელმწიფო ღონისძიებების, ფინანსური დახმარების გარეშე წა-რმოუდგენელი იყო. ჩრდილოეთ კავკასიის მთისწინა თუ სტეპე-ბის ზოლში არქეოლოგებს ანალოგიური სარწყავი სისტემები დაფიქსირებული არა აქვთ. მიწათმოქმედების მაღალი კულტუ-რის მაჩვენებელია სამხრეთ საქართველოში ტერასული მიწათ-მოქმედების მაღალი დონე. მართალია ტერასები ჩრდილოეთ კა-ვკასიაშიც არსებობდა, მაგრამ მასშტაბებში დიდი სხვაობაა. სა-მხრეთ საქართველოში 25-დან 40-მდე საფეხურიანი ტერასები იყო, საქართველოში – მაღალი დონის მევენახეობა-მეღვინეობა. აქ 500-ზე მეტი ვაზის ჯიში ჰქონდათ გამოყვანილი, რაც ქართველი გლეხების საუკუნეობრივი შემოქმედების შედეგი იყო. ღვინო თითქმის ყოველდღიური მოხმარების პროდუქტი

იყო; მას რიტუალური დანიშნულებაც ჰქონდა. სომხეთში, მიუხედავად არარატის ველის მკაცრი კლიმატური პირობებისა, მევენახეობა მაინც სათანადოდ იყო განვითარებული – ზამთარში ვაზს მიწაში მარხავდნენ. ჩრდილოეთ კავკასიისათვის ანალოგიური რამ დამახასიათებელი არ ყოფილა.

ჩრდილოეთ კავკასიის მთიანი ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო მიწათმოქმედების ფართოდ განვითარების საშუალებას არ იძლეოდა. ამიტომ მეურნეობის სფეროში პრიმატი მეცხოველეობას ჰქონდა. ყაბარდოში წამყვანი დარგი მეცხენეობა გახლდათ. გვიან შუა საუკუნეებში ჩრდილოეთ კავკასიის ზოგიერთმა ხალხმა საერთოდ უარი თქვა მიწათმოქმედებაზე, რადგან ძირითად შემოსავალს თარეშები აძლევდა, მაგალითად შეიძლება ხუნძები დავასახელოთ. XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის პირველი ნახევრის ჩერქეზების შესახებ ერთ-ერთი ისტორიკოსი წერდა: *„ჩერქეზებს არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მიწათმოქმედი ხალხი ვუწოდოთ. ისინი ხელებს ომისათვის უფრთხილდებიან“. ნ. დუბროვინი* მათ მთავარ სიმდიდრედ ცხენების ძალიან დიდ ჯოგებსა და ცხვრის ფარებს მიიჩნევდა. იტალიელი *კ. გლავანი* კი ხაზს უსვამდა, რომ დასავლეთ ადიღეელები *„საჭმელად ბევრ ხორცს და ცოტა პურს გამოიყენებენ, რომელსაც ფეტვის ფქვილისაგან აცხობენ“*[83]. 1821 წელს ჩრდილოეთ კავკასიაში იმყოფებოდა შოტლანდიელი მოგზაური *რობერტ ლაიელა*, რომელიც აღნიშნავდა, რომ *„კავკასიის მთიელ ტომებს ძალიან ბევრი საერთო აქვთ და ცდილობენ გააგრძელონ ცხოვრების ის გზა, რომელსაც მათი წინაპრები მისდევდნენ. მიწათმოქმედებას მისდევენ მცირედ. მათი ძირითადი საქმიანობა ნადირობა, მესაქონლეობა და ძარცვაა“*. ყაბარდოელებში მიწათმოქმედებას ინტესიური ხასიათი არ ჰქონია. ყაბარდოული კაბაკების ხშირი ადგილმონაცვლეობის მიზეზი მიწების გამოფიტვაც იყო. ევლია ჩელების სიტყვებით, და-

---

[83] Ксаварио Главани. Описание Черкесии. - Кавказ: европейские дневники XIII-XVIII веков. – Нальчик: 2010. Вып. III. С. 113.

სავლეთ ადიღეელები ხშირად გადადიოდნენ ერთი ადგილიდან მეორეზე და *„ამის გამო ჩერქეზთა ამ ქვეყანაში არაა არც ბაღები, არც ვენახები და არც მუდმივი საცხოვრებლები“.* მოყვანილი საისტორიო და ეთნოგრაფიული მასალა ცხადყოფს, თუ რაოდენ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან სამხრეთ კავკასიური და ჩრდილოეთ კავკასიური მეურნეობის ფორმები.

სამხრეთ კავკასიელებისათვის თუ ძირითად საკვებს პური წარმოადგენდა, ჩრდილოეთ კავკასიელებისათვის – არა. ყაბარდოელებმა/ადიღეელებმა პურის კულტურა არ იცოდნენ. ამის შესახებ მიუთითებდა კათოლიკე მისიონერი *ემიდიო დორტელი დ‘ ასკოლი*, რომელსაც 1622-1633 წლებში კაფასა და ყირიმის პრეფექტის თანამდებობა ეკავა: „ჩერქეზეთში ხორბლის პური არ გამოიყენება, თუმცა კი ითესება; პურის ნაცვლად ჭამენ ქვაბში სქლად მოხარშულ, და მას „პასტას“ უწოდებენ. ის ნაწილდება ნაჭრებად, რომლებიც ტრაპეზზე მიაქვთ“. «В Чиркасии зерновой хлеб не употребляется, хотя зерно и сеется; но взамен хлеба едят густо сваренное в котле просо, а называют его «паста». Оно делится на куски, которые подаются к трапезе»[84]. ცნობილია, რომ პური ჩერქეზებმა რუსებისაგან შეითვისეს. ეთნოგრაფიულად ხელმისაწვდომი პერიოდისთვისაც მათი ძირითადი საჭმელი იყო „პასტა“ – ფეტვის ბურღულის უმარილო სქელი ფაფა. სქელ გაციებულ ფაფას ნაჭრებად შეექცეოდნენ. ცნობილია, რომ საკვები, და, რა თქმა უნდა, სასმელიც წარმოადგენს ეთნიკური სტერეოტიპის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს და მკაცრადაა დაკავშირებული ეთნოსის მეურნეობასა და შესაბამისად მისი ბინადრობის გარემოსთან. კულტურის ამ სფეროშიც განსხვავება აშკარაა.

როგორც სამხრეთ, ისე ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებისათვის ტრადიციული იყო დიდ და პატარა ოჯახებად ცხოვრება.

---

[84] Эмиддио Дортелли д Асколи. Описание Черного моря и Татарии. - Кавказ: европейские дневники XIII-XVIII веков. – Нальчик: 2010. Вып. III. С. 47.

ამ სფეროში მსგავსება დიდი იყო, მაგრამ საქორწინო ურთიერთობებზე ამას ვერ ვიტყვით. დაღესტნელები მეზობელი სოფლების მკვიდრებზეც კი არ ქორწინდებოდნენ[85]. განსხვავება იმაშიცაა, რომ ქრისტიანი ხალხებისათვის ქორწინება კანონიერად ითვლებოდა საეკლესიო ჯვრიწერის შემდეგ, ხოლო ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებში ქორწინების კანონიერების დამდგენი საქორწილო რიტუალი იყო. სამხრეთ კავკასიის ხალხებში დაქორწინებული წყვილი – ნეფე და დედოფალი – ქორწილის მთავარი პერსონაჟები იყვნენ, ხოლო ჩრდილოეთ კავკასიის უმეტეს ხალხებში ქორწილს ნეფე-დედოფალი საერთოდ არ ესწრებოდა, მაგალითად, ჩაჩნეთში. (ასევე იყო აფხაზებშიც). აქ ნეფე მეგობრის ან ნათესავის სახლში იმალებოდა, ანდა ზოგჯერ ტყეში მიდიოდა. ქორწილის შემდეგ, პირველ ხანებში, ქმარი გარეშეთ, თავის მშობლებსაც კი თავს არიდებდა, ცოლს კი საიდუმლოდ – მხოლოდ ღამით ხვდებოდა.

რელიგიიდან გამომდინარე ჩრდილოეთ კავკასიელ მუსლიმებსა და სამხრეთ კავკასიელ აზერბაიჯანელებში ვაჟი ქალს ურვადის (გადასახადის) გარეშე ვერ შეირთავდა, ქრისტიანი ქართველებისა და სომხებისათვის ანალოგიური რამ უცნობი იყო. ქორწინება ხდებოდა ან ქალისა და ვაჟის ურთიერთმოწონებით, ან გარიგებით. ლეზგებს შორის გაცვლითი ქორწინება არსებობდა, რომლის დროსაც მხარეები ერთმანეთში გოგონებს (ქალიშვილებს, დებს) ცვლიდნენ[86]. მუსლიმური სამყაროსათვის ლევირატი და სოროორატი იყო დამახასიათებელი. ასეთი ჩვეულება სამხრეთ კავკასიის ქრისტიანი ხალხებისათვის უცნობი იყო. მატერიალური და სულიერი მიღწევების ერთობლიობა კავკასიის სამხრეთით და ჩრდილოეთით მცხოვრებ ხალხებს არ ჰქონიათ. განსხვავებული იყო ქალის უფლებრივი მდგომარეობაც. შუა საუკუნეების ქართული აზროვნება ქალსა და მამაკაცს თანაბარ დონეზე განიხილავდა. საკმარისია შოთა რუს-

---

[85] რ. თოფჩიშვილი. კავკასიის ეთნოლოგია. თბ., 2012, გვ. 170.
[86] რ. თოფჩიშვილი. კავკასიის ეთნოლოგია. თბ., 2012, გვ. 177.

თაველის აფორიზმი გავიხსენოთ: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდაც ხვადია“. ქართველი ქალისადმი კლდემამოსილება, მოწიწება ჩანს ხალხური ცეკვის მწვერვალში „ქართული“, რომელიც რაინდულ-რომანტიკული სულისკვეთებით აღსავსე ცეკვაა. ამ თვალსაზრისით ხევსურული სწორფრობისა და ფშაური წაწლობის წეს-ჩვეულების დავიწყებაც არ შეიძლება. ქართული ოჯახი თუ მტკიცე იყო, ამას ვერ ვიტყვით ჩაჩნური ოჯახის შესახებ. ქმარს შეეძლო ცოლი ყოველგვარი არგუმენტების გარეშე სახლიდან დაეთხოვა. ასეთ შემთხვევაში ბავშვები მამასთან რჩებოდნენ და დედას საერთოდ ვეღარც ნახულობდნენ. ასე რომ, კაცი შეიძლება სამ-ოთხჯერ დაქორწინებულიყო და ქალიც ხელახლა გათხოვილიყო. ოჯახების დაშლა და ხელახლა დაქორწინება ხშირად ხდებოდა[87].

დაღესტნის ხალხები ფაქტობრივად იზოლატი ეთნოსები იყვნენ. ამას მათი ენდოგამური ქორწინებაც განაპირობებდა. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ერთ ენობრივ-ეთნიკურ ერთეულს საერთო ეთნიკური თვითშეგნება არ ჰქონდა; არ ჰქონდათ საერთო ეთნონიმი და ისინი სოფლის სახელწოდებით იწოდებოდნენ. იგივე შეიძლება ითქვას ბალყარელების შესახებ, რომელთა ეთნონიმებს ხეობათა სახელები წარმოადგენდა.

ორიოდე სიტყვით დაკრძალვის წეს-ჩვეულებების შესახებაც. ქართველები მიცვალებულს მართლმადიდებლური წესის მიხედვით მესამე დღეს კრძალავდნენ, ჩრდილოეთ კავკასიელი მუსლიმები – იმავე დღეს, მზის ჩასვლამდე. ჩრდილოეთ კავკასიელი ჩაჩნები, ინგუშები, ოსები, ყარაჩაელები, ბალყარელები მიცვალებულს არა მიწაში, არამედ მიწისზედა აკლდამაში კრძალავდნენ.

ქართული გუნდური და მრავალხმიანი მუსიკალური ფოლკლორი ჟანრობრივად მდიდარია. ის მოიცავს შრომით, საყოფაცხოვრებო, საწესჩვეულებო, საქორწილო, ისტორიულ, საგ-

---

[87] ა. შავხელიშვილი. ჩეჩნური ოჯახი და საოჯახოყოფა, თბ.. 2002.

მირო, სასიყვარულო, სახუმარო, საფერხულო სიმღერებს, შაირებს, მოთქმა-ტირილს. ჩრდილოეთ კავკასიელი ადიღეელებისა და დაღესტნელთა ზეპირ-პოეტურ შემოქმედებაში კი მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა სიმღერებს თარეშების შესახებ. ასეთი სახის სიმღერებში პროპაგანდა ეწევა თარეშებს, რომელიც მიმართული იყო სხვათა საძარცვავად და ტყვეების ხელში ჩასაგდებად, ხოტბას ასხამდნენ თარეშების ორგანიზატორებს, რომელიც თანამეინახეებთან ერთად კლავდა და ატყვევებდა სხვა რჯულის ადამიანს. ქალები ასეთ ქმრებზე ოცნებობდნენ და ზეპირსიტყვიერებასაც ქმნიდნენ, აღტაცების ობიექტები იყვნენ. ხუნძთა სიმღერებში დაწვრილებითაა გადმოცემული თარეშებისათვის მზადება, აღწერენ იმ იარაღს, რომელიც ლაშქრობისას თან მიჰქონდათ. ერთ-ერთი სიმღერის ტექსტი კი ასე ჟღერს: *„სადაც ჩვენი ხელი შეეხო, იქ ტირილი გაისმა, სადაც მივიდა ფეხი ჩვენი, იქ ალი აგიზგიზდა. ტყვედ ჩაგდებულ იქნენ ხელებლამაზი და თალლამაზი ქალიშვილები; შევიპყარით ჯანმრთელი ბიჭები...“* როგორც წესი, თარეშების შესახებ შექმნილი სიმღერები ასეთი სურვილით მთავრდება: *„დაე, დაებადოს ყველა დედმამას მსგავსი შვილები“.* ჩრდილოეთ კავკასიაში ადამიანთა მოტაცება და მონებად გაყიდვა დანაშაულად არ მიიჩნეოდა, ე. ი. მათ სამხრეთ კავკასიელთაგან განსხვავებული სტერეოტიპები და ეთნოფსიქოლოგიური განწყობა გააჩნდათ. ქართველები რამდენიმე საუკუნის განმავლობაში თვითონ განიცდიდნენ თარეშების უარყოფით შედეგებს, რასაც საბოლოოდ ქვეყნის ჩრდილოეთი საზღვრის თითქმის მთელ მონაკვეთზე ეთნიკური სიტუაციის შეცვლა და ჩრდილოეთ კავკასიელ მთიელთა ჩამოწოლა მოჰყვა.

ხალხური კულტურის არაერთი სხვა მაგალითი შეიძლება კიდევ მოვიყვანოთ. კავკასიის ხალხებს კულტურის ბევრი ელემენტი საერთო ჰქონდათ: სტუმართმოყვარეობის ტრადიციები, მსგავსი ადათობრივი სამართალი, სისხლის აღების წეს-ჩვეულება, სამოსის თითქმის ერთგვაროვნება (ჩოხა გვიან გახდა სა-

ერთოკავკასიური. მამაკაცის ამ სამოსს ჩრდილოეთ კავკასიაშიც და ქართველებშიც ძირითადად დაწინაურებული ფენა ატარებდა, ხოლო გლეხობაში ის სადღესასწაულო სამოსი იყო – დიდ სოფლებში ისინი ჩოხას ძირითადად ქორწილში იცვამდნენ), გაძიძავება, კოშკური კულტურა (ადიღეური მოდგმის ხალხებისათვის კოშკური კულტურა დამახასიათებელი არ იყო), დასახლების შეჯგუფული ფორმა და სხვა. ეთნიკური კულტურის ზოგიერთი მსგავსი ელემენტი არავითარ საფუძველს არ იძლევა იმისათვის, რომ საერთო კავკასიურ კულტურაზე ვილაპარაკოთ. კავკასიის ხალხებს უფრო მეტი განმასხვავებელი რამ ჰქონდათ, ვიდრე საერთო, განსაკუთრებით ეს სამხრეთ კავკასიელებისა და ჩრდილოეთ კავკასიელების კულტურაზე შეიძლება ითქვას.

კავკასია მხოლოდ გეოგრაფიულადაა „ერთიანი მოცემულობა“. მას არასდროს ჰქონია ეკონომიკური ერთობა. კავკასია არც ერთიანი კულტურული სივრცის მომცველი იყო და არც „მსგავსი ისტორიული წარსულის“ მქონე. არ არსებობს საერთო ჩრდილოკავკასიური კულტურაც; დაღესტნის ხალხებისა და ადიღეელთა კულტურის კომპონენტები სრულიად განსხვავებულია და ერთ საერთო ჩარჩოში არ თავსდება.

ფრიად საყურადღებოა, ევროპელთა დამოკიდებულება კავკასიის მიმართ ისტორიის სხვადასხვა ეპოქაში. ამ თვალსაზრისით მხოლოდ ციტატებს დავჯერდები კომენტარის გარეშე: ძველი საბერძნეთისა და რომის ეპოქაში ***„გამოიკვეთება საქართველოს ადგილი, როგორც ევროპული კულტურული ლანდშაფტის ნაწილისა, რომელიც მეტწილად წარმოადგენს რომის მოკავშირეს ირანის წინააღმდეგ და თანაც დამცველს ევროპული საზღვრისა, სადაც არ შედიოდა მაშინდელი ჩრდილოეთ კავკასია.*** *დარიალის კარების დაცვით საქართველო იცავდა ანტიკურ სივრცეს. იგი ადრე შუა საუკუნეებშიც ასრულებდა თავის პოლიტიკურ ფუნქციას – დაეცვა რომაული (ქრისტიანული) სივრცე ბარბაროსებისაგან.* ***ადრე შუა საუკუნეებში საქართ-***

ველო ჩრდილოეთ კავკასიის გარეშე წარმოიდგენდა თავს ერთიან ევროპულ სივრცეში“. *„XI-XII საუკუნეებში „ღვთივ კურთხეული“ სამეფო გვირგვინის მატარებელი საქართველო თავის სივრცეში მოიაზრებს მთელს კავკასიას, სადაც ქართული ენა ასრულებს ქრისტიანული კულტურის გამავრცელებლის ფუნქციას. საქართველოს მეშვეობით ხდება ქრისტიანობის გავრცელება ჩრდილოეთ კავკასიაში და, ამდენად, კავკასიური სივრცე მოიაზრება ევროპულ კულტურულ ლანდშაფტში. მაგრამ, მალევე, მონღოლთა გამოჩენისთანავე, საქართველო კარგავს კავკასიის გამაერთიანებლის ფუნქციას და ერთიანი კავკასია ნაკლებად არის წარმოდგენილი საისტორიო წყაროებში. პირიქით, კვლავ* ***ადრე შუა საუკუნეების მსგავსად, კავკასიის მთების გადალმა მცხოვრებნი ქრისტიანული სამყაროსათვის უცხო ელემენტებად აღიქმება,*** *რისი დასტურიცაა ამ ეპოქის ევროპულ მოგზაურთა და ფრანცისკანული და დომინიკანური სასულიერო ორდენის წევრთა ნაწერებში დაცული ცნობები, რომლებიც კავკასიის მთებს გადალმა მოიხსენიებენ გოგისა და მაგოგის ადგილსამყოფელს“*[88].

რეალურად ჩვენ საქმე გვაქვს ორ, სრულიად სხვადასხვა, სამყაროსთან, რომელიც გაყოფილია კავკასიის დიდი წყალგამყოფი ქედით. ქედის ჩრდილოეთით მთებში მცხოვრები ეთნოსების საკონტაქტო ზოლი ევრაზიის სამომთაბარეო სივრცე იყო, ხოლო სამხრეთ კავკასიელებს ურთიერთობა ჰქონდათ ირანულ, ანტიკურ, არაბულ, მართლმადიდებლურ-ბიზანტიურ ცივილიზაციებთან. სხვათა შორის, *მიხაკო წერეთელი* უფრო ისტორიის სიღრმიდან იწყებდა ქართველთა მახლობელი აღმოსავლეთის სამყაროსთან კონტაქტებს; ის აღნიშნავდა: „ქართველურმა ჯგუფებმა შექმნეს თავისებური კულტურული სამყარო, რომელიც ასურულ-ბაბილონურ კულტურულ წრეს უკავშირდებოდა

---

[88] ჯავახია ბ. კავკასია შუა საუკუნეების ევროპის კულტურულ ლანდშაფტში. – კავკასიოლოგთა პირველი საერთაშორისო კონგრესის მასალები, თბ., 2007, გვ. 233, 234.

და ერთდროულად მისი მეტოქეც იყო და თანამოზიარეც“[89]. იგივე ავტორი ქრისტიანობის მიღების შემდეგ ქართული და სომხური კულტურის სპარსული კულტურული წრიდან ბერძნულ-აღმოსავლურ კულტურულ არეალში გადასვლაზეც საუბრობდა, შემდეგ კი ქართული და სომხური კულტურების სხვადასხვა მიმართულებით განვითარებაზე ამახვილებდა ყურადღებას: „შემდეგ იწყება კულტურის ნაციონალიზაციის პროცესი და ქართული, სომხური და სხვა კულტურები სხვადასხვა მიმართულებით ვითარდებიან. ქართული სახელმწიფოებრიობა უკვე ჩამოყალიბებულია, ერის სოციალური სტრუქტურა დასრულებულია. ამასთანავე მაღალგანვითარებულ სპარსულ კულტურას ჯერ კიდევ დიდი გავლენა აქვს საქართველოზე, ხოლო საბერძნეთიდან ახალი იდეები შემოდის. ბერძნული გავლენის საფუძველზე საქართველოში ჩნდება ნეოპლატონიზმი, რომლის უდიდესი წარმომადგენელი XI საუკუნეში იოანე პეტრიწი იყო, პროკლეს თეოლოგიის ნაწყვეტების ცნობილი მთარგმნელი და კომენტატორი“[90]. ამასთანავე, ქართველები ბერძნული კულტურის ბრმად გადმომღებნი როდი იყვნენ, ისინი შემოქმედებითად ამუშავებდნენ მას. აქ საამისოდ მხოლოდ ერთი მაგალითი შეიძლება მოვიხმოთ – ესაა ორიგინალური ქართული მრავალხმიანი საეკლესიო მუსიკა, ნაცვლად ბერძნულ-ბიზანტიური ერთხმიანი გალობისა. ქართველს სხვანაირად არც შეეძლო, ის საუკუნეების განმავლობაში მრავალხმიან ხალხურ სიმღერებს ჰქმნიდა, ბერძნებს კი მხოლოდ ერთხმიანი ხალხური სიმღერები გააჩნდათ. ჩრდილოეთ კავკასიელებთან მიმართებაში კი, ვფიქრობ, პარალელის გავლება არცაა საჭირო.

ზემოთქმულს თუ გავითვალისწინებთ, აშკარაა, რომ სამხრეთ კავკასიელთა საერთო კულტურაზედაც ვერ ვისაუბრებთ. ამ ხალხებში ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ ცივილიზა-

---

[89] მ. წერეთელი. კავკასიური რასისა და კულტურის პრობლემები, გვ. 36.
[90] მ. წერეთელი. კავკასიური რასისა და კულტურის პრობლემები... გვ. 41.

ციის ვექტორი სხვა მხარეზე გადაიხარა. ცალ-ცალკე განვითარდა ქართული და სომხური ცივილიზაცია. საერთო ქრისტიანული რელიგიის მიუხედავად, სომხებმა და ქართველებმაც თავისთავადი ეთნიკური კულტურები შექმნეს. სომხებს XI საუკუნიდან სახელმწიფოებრიობა მოეშალათ და მათ ძირითად საქმიანობად, განსაკუთრებით სხვა ქვეყნებში გადასახლებულთათვის, ვაჭრობა და ხელოსნობა იქცა, ხოლი ქართველთათვის ვაჭრობა საყოველთაო მოვლენა არ ყოფილა; ისინი მიწას იშვიათად წყდებოდნენ. დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან ქართული და სომხური ხასიათიც.

ამრიგად, **კავკასიელებს (სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიელებს) არ ჰქონიათ კულტურული ფენომენების, სოციალ-ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტრუქტურების საერთო კომპლექსები და რელიგიური ერთობა.** საერთო კავკასიური კულტურული ერთობის წარმოქმნას ხელი შეუშალა რეგიონის ბუნებრივ-გეოგრაფიულმა და კლიმატურმა მრავალფეროვნებამ, ევროპისა და აზიის დამაკავშირებელმა გზებმა და ამ გზებზე სხვადასხვა დამპყრობლის მიგრაციამ და აქ დამკვიდრების სურვილმა. განვითარებული შუა საუკუნეების პერიოდში ბიზანტიელთა და ქართველთა ცდა ჩრდილოეთ კავკასიელების ქრისტიანული იდეოლოგიის ქვეშ გაერთიანებისა წარუმატებელი აღმოჩნდა. კავკასიის სამხრეთმა და ჩრდილოეთმა ნაწილებმა განვითარების სხვადასხვა გზა გაიარეს.

ხალხები კულტურის დონით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. ეთნოლოგიის კვლევის ერთ-ერთი ძირითადი სფერო კულტურის, უფრო სწორედ, ეთნიკური კულტურის შესწავლაა. ეთნიკური კულტურაა ხალხების ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანი. **უკულტურო ხალხი არ არსებობს. ზოგიერთმა ხალხმა კულტურის მაღალ საფეხურებს მიაღწია, ზოგიერთმა კი ვერა. განსხვავება იყო კულტურის დონის მიხედვით კავკასიის ხალხებს შორისაც. კავკასიის ხალხებს არ ჰქონიათ საერთო და ერთი დონის კულტურა.** ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებში დო-

კუმენტის ძალა ხშირად ლექსსა და სიმღერას ჰქონდა. ანალოგიური სიტუაცია საქართველოს მაღალმთიანეთის მხოლოდ ერთ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში – ხევსურეთში – არსებობდა. სვანეთში შექმნილი ჩვენამდე მოღწეული პირველი სამართლებრივი დოკუმენტები კი XIII საუკუნით თარიღდება.

ქართული *დარბაზული* საცხოვრებელი სახლი, სომხური *გლახტუნი* და აზერბაიჯანული *ყარდამი* განსხვავდებოდა ადიღეელთა მოწნული საცხოვრებლისაგან, რომლის დაშლაც 15 წუთში შეიძლებოდა. ქართველები, სომხები და აზერბაიჯანელებიც, ჩრდილოეთ კავკასიელებისაგან განსხვავებით, უფრო მაღალი კულტურის შემქმნელნი იყვნენ, რაც იმას სრულიადაც არ ნიშნავს, რომ პირველნი ჩრდილოეთ კავკასიელებისგან გენეტიკურად განსხვავებულნი და მათზე მაღლა მდგომნი, უფრო ნიჭიერნი იყვნენ. არა! მიზეზი სხვა რამ გახლავთ. ქართველებისა და სომხების ეთნიკური ნიშა ჩრდილოეთ კავკასიის ლანდშაფტი რომ ყოფილიყო და, პირიქით, ჩრდილოეთ კავკასიელების ეთნიკური ნიშა – სამხრეთ კავკასია, როლები გაიცვლებოდა და ისინი ქართველებსა და სომხებზე კულტურულად მეტად განვითარებულნი იქნებოდნენ. არ უნდა დავივიწყოთ მეზობლური გარემოცვაც. ჩრდილოეთ კავკასიელთა საკონტაქტო ეთნოსები საუკუნეების განმავლობაში ნომადები იყვნენ, სამხრეთ კავკასიელები კი მახლობელი აღმოსავლეთის ცივილიზაციების გავლენის სფეროში იყვნენ მოქცეულნი. სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს „კულტურული მასწავლებლის“ ცნება. ევროპისათვის ასეთი „კულტურული მასწავლებლის“ როლს ყოველთვის ხმელთაშუაზღვისპირეთი ასრულებდა[91]. საქართველოსათვის ასეთი „კულტურული მასწავლებელი“ მახლობელი აღმოსავლეთი და ბერძნულ-რომაული, შემდეგ ბიზანტიური სამყარო იყო. ჩრდილოეთ კავკასიელებამდე ეს „კულტურული მასწავლებელი“, ფაქტობრივად, ვერ აღწევდა. ერთ-ერთი მნიშვნე-

---

[91] *Коломийцев И.* Тайны великой Скифии. – М. 2005: 81.

ლოვანი ფაქტორი რელიგიაც იყო. ჩრდილოეთ კავკასიის ეთნოსების უმეტესობამ მონოთეისტური რელიგია – ისლამი გვიან მიიღო. ისინი ძირითადად წარმართული რწმენა-წარმოდგენების მიმდევარნი იყვნენ. სამხრეთ კავკასიაში კი IV საუკუნის დასაწყისიდან გავრცელდა ქრისტიანობა. რელიგია კი განსხვავებულ კულტურებს ქმნიდა.

მონღოლთა დაპყრობებმა მნიშვნელოვნად შეცვალა კავკასიის ეთნიკური რუკა[92], და არა მხოლოდ კავკასიისა. თავიანთი ეთნიკური ნიშა დაკარგეს ალან-ოსებმა, განსახლების არეალი დაკარგეს ყივჩაღებმაც, რომლებიც სხვადასხვა მიმართულებით გაიფანტნენ. ამის შედეგი იყო დასავლეთ კავკასიის მთიანეთში თურქულენოვანი ყარაჩაელებისა და ბალყარელების გაჩენა, ჩრდილოეთ კავკასიის სტეპებში ნოღაელების გაბატონება. ეთნიკური ურთიერთობები შუა საუკუნეებში დაუნდობელი იყო: თუ არ ჩაყლაპავდი შენ, დროთა განმავლობაში სხვა ჩაგყლაპავდა. ასე დაემართათ მონღოლებსაც; ისინი მათ მიერ დაპყრობილ და სხვადასხვა მიმართულებით გაფანტულ თურქულენოვან და სლავურენოვან მოსახლეობაში გაითქვიფნენ. კავკასიაში იმ დროს გადარჩენილი ეთნოსები კი გადარჩენას ორ ფაქტორს უნდა უმადლოდნენ: 1. მონღოლებს არ ჰქონდათ გამოკვეთილი რელიგია, თუნდაც რომელიმე მონოთეისტური რელიგია და ძალით არავის ახვევდნენ თავს თავიანთ იდეოლოგიას და – 2. ლანდშაფტს. მთებმა დაიცვა კავკასიის ხალხები. ოსები გადარჩენას მთებს უნდა უმადლოდნენ, სადაც მათ, თავის მხრივ, სხვათა ეთნიკური ნიშა დაიკავეს. მართალია ჩრდილოეთ კავკასიის მთებში შეხიზვნით ოსურმა ეთნოსმა თავი გადაირჩინა,

---

[92] R. Topchishvili. The etnic situation in the Caucasus: past and present. - The Caucasus and Globaization, 2011, #5 (1-2); Р. Топчишвили. Этническая обстановка на историческом и современном Кавказе. – Кавказ и Глобализация. Журнал социально-политических и экономических исследований, том 5, выпуск 1-2, 2011.

მაგრამ სოციალური განვითარების თვალსაზრისით მათ არა მხოლოდ სტაგნაცია განიცადეს, არამედ უკანაც დაიხიეს. მხედველობაში გვაქვს ეთნოსში არსებული ფეოდალური ჩანასახები. მთაში ჩაკეტილი აღმოჩნდნენ აგრეთვე ინგუშები და ჩაჩნები, ბალყარელები და ყარაჩაელები. ამ ეთნოსებს მთისწინა ზოლში გასვლის საშუალებას ყაბარდოელები არ აძლევდნენ, რომლებმაც მონღოლების შემდეგ ალან-ოსების განსახლების არეალი დაიკავეს. ასე რომ, ადიღე-ჩერქეზებისა და ყაბარდოელებისათვის თუ საკონტაქტო ეთნოსები მათ ჩრდილოეთით მოძრავი ნომადური სამყარო იყო, მთებში ჩაკეტილი ზემოხსენებული ეთნიკური ერთობების საკონტაქტო ეთნოსი კი ნახევრადმომთაბარე და ნახევრადმობინადრე ყაბარდოელები იყვნენ, რომლებიც ასევე ერთგვარი შემაფერხებლები იყვნენ მთაში მცხოვრები როგორც ვაინახური, ისე თურქული ეთნოსებისა.

გვაროვნული წყობილება მათ დიდი ხნის წინ ჰქონდათ გავლილი და უმრავლესობა ადრეკლასობრივ საფეხურზე იმყოფებოდა. ამავე დროს ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები განვითარების ერთ დონეზე არ ყოფილან. სხვადასხვაგვარი იყო ჩაჩანინგუშების, ადიღეელების, ყაბარდოელების, დაღესტნელი მთიელებისა და ყუმუხების საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარება. მთის ლანდშაფტი აქ ფეოდალური ურთიერთობების ჩამოყალიბების საშუალებას არ იძლეოდა. ფეოდალიზმის უმთავარესი ნიშანი ხომ მიწაზე კერძო საკუთრებაა. ჩრდილოეთ კავკასიის მთის საზოგადოებებში მიწა საერთო საკუთრებას წარმოადგენდა. დაწინაურებულ ფენას კერძო საკუთრებაში მიწის ნაკვეთები არ ჰქონია და მასზე ყმა-გლეხები არ ჰყოლია მიმაგრებული. ამ, ე. წ. წარჩინებულთა „აღზევება“ კი ძირითადად თარეშების შედეგად დაგროვილი ქონების საფუძველზე ხდებოდა. ეს წარჩინებულები თავისი ცხოვრების ნირით არაფრით განსხვავდებოდნენ ჩვეულებრივი მეთემეებისაგან. ბუნებრივია, დაყმევებისა თუ დაქვემდებარების ტენდეციები ჩრდილოეთ კავკასიის მთაშიც იყო, მაგრამ ამ ტენდენციებს თემი, საზოგადოება

ძირშივე აღკვეთდა. სადაც დაქვემდებარებაში მყოფი მწარმოებელი მოსახლეობა იყო, მათი რაოდენობა უმნიშვნელო იყო და მოსახლეობის ძირითადად ფენას თავისუფლები შეადგენდნენ. ჩრდილოეთ კავკასიელთა საზოგადოებრივი განვითარების შესახებ საყურადღებო მოსაზრებები აქვს გამოთქმული გიორგი მელიქიშვილს, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ:

1. „საბჭოთა ეთნოგრაფიულ და, საერთოდ, საისტორიო მეცნიერებაში, 30-იანი წლებიდან მაინც, გაბატონდა მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება კავკასიის მთიელთა შორის ახლო წარსულში გვაროვნული წყობილების არსებობის თეზისის მიმართ. დღესაც ბევრი ჩვენი მეცნიერი, მათ შორის არაერთი ქართველი მეცნიერი, თავის მოვალეობად თვლის ენერგიულად გაკიცხოს ეს თეორია და მის წინააღმდეგ გაილაშქროს, თუმცა დღეისათვის თითქმის არავინ ჩანს, ვინც ამ თვალსაზრისს იცავდეს. ამასობაში კი, ვფიქრობთ, **უფრო რეალურად გვესახება მეორე გვარი საფრთხე – კავკასიელ მთიელთა სოციალური განვითარების დონის გაზვიადებულად, გადაჭარბებულად მაღალი შეფასება, რომელმაც ფართოდ მოიკიდა ფეხი ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში“**[93].

2. „ჩვენს დროში ამგვარ **გაზვიადებას საფუძვლად უდევს ძირითადად, ხშირად ალბათ ქვეცნობიერადაც, ყალბად გაგებულ ეროვნულ პრესტიჟზე ზრუნვა, ამ მიზნით ისტორიული წარსულის შელამაზება, უფრო განვითარებული მოდელის მიყენება ისტორიისათვის“**[94].

3. „ყველაზე უფრო განვითარებულ ყაბარდოშიც კი „სოფლის მფლობელნი“ მონაწილეობდნენ სახნავი მიწის ყოველწ-

---

[93] *გ. მელიქიშვილი.* უძველეს კლასობრივ საზოგადოებათა სოციალურ-ეკონომიკური წყობის პრობლემა, თბ., 2003: 50. პირველად დაიბეჭდა კრებულში: „ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული“, თბ., 1976: 145-171.

[94] *გ. მელიქიშვილი.* უძველეს კლასობრივ საზოგადოებათა სოციალურ-ეკონომიკური წყობის პრობლემა, თბ., 2003: 51.

ლიურ გადანაწილებაში და თავისთვის ერთ-ერთ ნაკვეთს ირჩევდნენ, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ეს „მფლობელნი“ ეკონომიურად ჯერ კიდევ მთლიანად არ იყვნენ გამოცალკევებულნი თემისაგან“[95].

4. რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შესვლამ **აქაური „ფეოდალები“ უსაქმოდ, უფუნქციოდ დატოვა, რამდენადაც ისინი წარმოადგენდნენ უმეტესწილად არა მიწისა და ადამიანების მესაკუთრეებს, არამედ ძირითადად ახორციელებდნენ სამხედრო (თავდაცვა და თავდასხმა-აბრაგობა) და მმართველობით ფუნქციებს“[96].**

5. **„თეზისი წინაფეოდალური (პროტოფეოდალური) სიტუაციის შესახებ, ჩვენი აზრით, სავსებით შეიძლება გავრცელდეს გვიანი შუასაუკუნეების მანძილზე არსებულ კავკასიის მთიელთა ადრეკლასობრივ საზოგადოებებზე, რომელთა სოციალურ-ეკონომიურ წყობილებას მკვლევარნი ე. წ. „მთურ ფეოდალიზმს“ მიაკუთვნებენ. სამეცნიერო ლიტერატურაში ამჟამად საყოველთაოდ გაბატონებული მოსაზრება შუასაუკუნეების მთის საზოგადოებათა „ადრეფეოდალურობის“ შესახებ, ჩვენი აზრით, სადავოა.** ეს უკანასკნელი განვითარების უფრო მაღალ სიტუაციას გამოხატავს – განვითარებულ ფეოდალიზმში გადაზრდის ძლიერ ტენდენციას იმჩნევს. ასეთი რამ კი მთის ადრეკლასობრივი საზოგადოებებისათვის დამახასიათებელი არ ჩანს“[97].

6. **«В отношении «горского феодализма» нам кажется более приемлемым использование терминов «дофеодальный», «протофеодальный», чем термина «раннефеодальный».** Конечно, каждое из горских раннеклассовых об-

---

[95] *გ. მელიქიშვილი.* უძველეს კლასობრივ საზოგადოებათა სოციალურ-ეკონომიკური წყობის პრობლემა, თბ., 2003: 50.

[96] *გ. მელიქიშვილი.* უძველეს კლასობრივ საზოგადოებათა სოციალურ-ეკონომიკური წყობის პრობლემა, თბ., 2003: 50.

[97] *გ. მელიქიშვილი.* უძველეს კლასობრივ საზოგადოებათა სოციალურ-ეკონომიკური წყობის პრობლემა, თბ., 2003: 50.

ществ требует отдельного рассмотрения _ пути развития этих обществ вовсе не всегда были одинаковыми, различия между ними порой были довольно существенными»[98]. ვფიქრობთ, საკმარისია ჩრდილოეთ კავკასიის მთის საზოგადოებების შესახებ *გ. მელიქიშვილის* ნაშრომების ციტირება. აქ მხოლოდ ერთს შევნიშნავ, ტერმინი „მთური ფეოდალიზმი“ ჩრდილოეთ კავკასიის მთის საზოგადოებების მიმართ *ზ. ანჩაბაძესა* და *ალ. რობაქიძეს* არ შეუქმნიათ/შემოუთავაზებიათ. მისი ავტორი XIX საუკუნის მეცნიერი *მაქსიმ კოვალევსკი* გახლავთ[99], რომელსაც XX საუკუნის მკვლევარნი მკაცრად აკრიტიკებდნენ და „ბრალს სდებდნენ „ჯოხის გადახრაში“ გვაროვნულობის სასარგებლოდ, რაც წყალს ასხამდა კავკასიის მთიელთა შორის მუდმივი გვაროვნული წყობილების არსებობის თეზისის წისქვილზე. თვით კოვალევსკის არასდროს უმტკიცებია ასეთი რამ. პირიქით, იგი ხაზს უსვამდა, მთიელთა საზოგადოებებს შორის არსებულ დიდ განსხვავებას სოციალური განვითარების დონეში“[100].

უნდა აღვნიშნოთ: ა) კავკასია მხოლოდ გეოგრაფიულადაა „ერთიანი მოცემულობა“. მას არასდროს ჰქონია ეკონომიკური ერთობა (თუმცა სასურველი კი იყო; შუა საუკუნეებში ნატურალური მეურნეობის პირობებში ამის საჭიროება არც იყო); ბ) კავკასია არც ერთიანი კულტურული სივრცის მომცველი იყო და არც „მსგავსი ისტორიული წარსულის“ მქონე.

ფრიად საყურადღებოა ევროპელთა დამოკიდებულება კავკასიის მიმართ ისტორიის სხვადასხვა პერიოდში. ამ თვალსაზრისით მხოლოდ ციტატებს დავჯერდები კომენტარის გარეშე:

---

[98] *გ. მელიქიშვილი.* უძველეს კლასობრივ საზოგადოებათა სოციალურ-ეკონომიკური წყობის პრობლემა, თბ., 2003: 50.

[99] *Ковалевский М.М.* Закон и обычай на кавказе: В 2 т. – Нальчик, 2011. – Вып. VII. стр. 179.

[100] *გ. მელიქიშვილი.* უძველეს კლასობრივ საზოგადოებათა სოციალურ-ეკონომიკური წყობის პრობლემა, თბ., 2003: 50.

ძველი საბერძნეთისა და რომის ეპოქაში ***„გამოიკვეთება საქართველოს ადგილი, როგორც ევროპული კულტურული ლანდშაფტის ნაწილისა, რომელიც მეტწილად წარმოადგენს რომის მოკავშირეს ირანის წინააღმდეგ და თანაც დამცველს ევროპული საზღვრისა, სადაც არ შედიოდა მაშინდელი ჩრდილოეთ კავკასია.*** დარიალის კარების დაცვით საქართველო იცავდა ანტიკურ სივრცეს. იგი ადრე შუა საუკუნეებშიც ასრულებდა თავის პოლიტიკურ ფუნქციას – დაეცვა რომაული (ქრისტიანული) სივრცე ბარბაროსებისაგან. ***ადრე შუა საუკუნეებში საქართველო ჩრდილოეთ კავკასიის გარეშე წარმოიდგენდა თავს ერთიან ევროპულ სივრცეში“.*** „XI-XII საუკუნეებში „ღვთივ კურთხეული“ სამეფო გვირგვინის მატარებელი საქართველო თავის სივრცეში მოიაზრებს მთელს კავკასიას, სადაც ქართული ენა ასრულებს ქრისტიანული კულტურის გამავრცელებლის ფუნქციას. საქართველოს მეშვეობით ხდება ქრისტიანობის გავრცელება ჩრდილოეთ კავკასიაში და, ამდენად, კავკასიური სივრცე მოიაზრება ევროპულ კულტურულ ლანდშაფტში. მაგრამ, მალევე, მონღოლთა გამოჩენისთანავე, საქართველო კარგავს კავკასიის გამაერთიანებლის ფუნქციას და ერთიანი კავკასია ნაკლებად არის წარმოდგენილი საისტორიო წყაროებში. პირიქით, კვლავ ***ადრე შუა საუკუნეების მსგავსად, კავკასიის მთების გადაღმა მცხოვრებნი ქრისტიანული სამყაროსათვის უცხო ელემენტებად აღიქმება,*** რისი დასტურიცაა ამ ეპოქის ევროპელ მოგზაურთა და ფრანცისკანული და დომინიკანური სასულიერო ორდენის წევრთა ნაწერებში დაცული ცნობები, რომლებიც კავკასიის მთებს გადაღმა მოიხსენიებენ გოგისა და მაგოგის ადგილსამყოფელს“[101]. ევროპელთა დამოკიდებულება კავკასიისადმი არც XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე შეცვლილა. გერმანელი *გოტფრიდ მერცბახერი* წერდა: «Главный Кавказский хребет составляет как в географическом, ботаническом и климати-

---

[101] *ჯავახია ბ.* კავკასია შუა საუკუნეების ევროპის კულტურულ ლანდშაფტში, 233, 234.

ческом, так и в этническом отношении преграду между двумя половинами Кавказского перешейка. К югу от этого громадного возвышения земли в настоящее время встречаем главным образом народы картвельского племени, к северу же их или совсем нет или только в исключительных случаях. Там же живут народы весьма разнообразного и частью загадочного присхождения. **Высокий горный кряж представлял непреоборимые препятствия к их смешению, так что с древнейших времен существовало различие между народностями, населявшими Предкавказье и Закавказье»**[102]. იტალიელი *ადრიან ბარბი* ხაზს უსვამდა, რომ კავკასიონის მთავარ ქედს მიდიელები, სპარსელები და რომაელები განათლებული სამყაროს დამცავ სიმაგრედ მიიჩნევდნენ[103]. ამრიგად, ევროპული წყაროებით სამხრეთი და ჩრდილოეთი კავკასია ორ სრულიად სხვადასხვა სამყაროდ აღიქმებოდა.

სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ „უნიკალურ ყაბარდოული ცხენის ჯიშის“ შესახებ. მეცხენეობის სფეროში ყაბარდოელებს წარმატება რომ ჰქონდათ მიღწეული, ამაში საოცარი არაფერია, რადგან ბოლო დრომდე, ისინი ნახევრადმომთაბარე ცხოვრებას მისდევდნენ – ყაბარდოული კაბაკები რამდენიმე წელიწადში ერთხელ საცხოვრებელ ადგილს იცვლიდნენ; მიწის გამოფიტვის გამო, ხშირი იყო შემთხვევა დასახლებული პუნქტის ასი კილომეტრის იქით გადატანისა[104]. საყოველთაოდ ცნობილია ქართველი ხალხის ექსტენსიური სამიწათმოქმედო სისტემის შესახებ, რაც სახვნელი (და არასახვნელი) მიწის განოყიერებითაც იყო განპირობებული. ზემოთ ყაბარდოელების ნახევრადმომთაბარეობის შესახებ მივუთითეთ; ასეთივე

---

102 *Г. Мерцбахер*. К этнографии обитателей Кавказских Альп. В кн.: Кавказ**:** племена, нравы, язык. – Нальчик, 2011. Вып. VIII, стр. 246).

103 Адриан Бальби. О языках страны Кавказской. - Кавказ: племена, нравы, язык. – Нальчик, 2011. Вып. VIII, стр. 20.

104 Анчабадзе Ю. Д., Волкова Н. Г. Этническая история Северного Кавказа (XIII-XVIII вв.), М., 1993, с. 29-32.

ცხოვრების წესი ჰქონდათ მათ მოძმე ადიღეელებსაც, რომლებისთვისაც მეურნეობის ექსტენსიური სისტემა უცნობი იყო. XIX საუკუნის შუა ხანებში ადიღეელთა მიწათმოქმედების შესახებ წერდნენ: 1. «Когда в селении у горцев накапливается много навоза, то они, для избежания нечистоты, не вывозят его в поля для земледелия, как у нас, а переходят с одного места на другое»[105]; 2. «Переселения аулов с места на место очень часты; аул, истощив кругом себя землю, переходит на другое место. Земли им для земледелия нужно немного»[106]. **მეცნიერებაში მიწათმოქმედების ასეთ სისტემას, როცა დასამუშავებელი ნიადაგის ნაყოფიერების გადიდების ხელოვნურ საშუალებებს არ იცნობდნენ, პრიმიტიულს უწოდებენ.** ასე რომ, სამიწათმოქმედო კულტურის სფეროში ჩრდილოეთ კავკასიელები (ამჯერად საუბარია ადიღეელებსა და ყაბარდოელებზე) და სამხრეთ კავკასიელები სხვადასხვა დონეზე იდგნენ.

1899 წელს ცნობილმა ნორვეგიელმა მწერალმა *კნუტ ჰამსუნმა* რუსეთის გავლით კავკასიაში იმოგზაურა. ვლადიკავკაზიდან თბილისამდე ეტლით იმგზავრა, რომელშიც ოთხი ცხენი იყო შებმული. ღამე ხევის ოსურ სოფელ *კობში* გაათენა. მეეტლეს ოთხი ცხენიდან ერთი მოუკვდა. კობის მკვიდრმა ოსებმა კი მკვდარი ცხენის ერთი ნაჭერიც არ დატოვეს შეუჭმელი. „ეტყობათ, ეს საქმე დიდ სიამოვნებას ჰგვრით, ხელით სინჯავენ ხორცს, ხელებს ითბობენ, იცინიან – აგზნებული, ყრუ სიცილით. ნუთუ მათში წარმართულმა ინსტიქტმა იფეთქა?“[107]. ამ ფაქტით ჩრდილოეთ კავკასიური და ქართული სამყარო ერ-

---

[105] *Н. Данилевский*. Кавказ и его горские жители в нынешнем их положении. В кн.: Кавказ: племена, нравы, язык. – Нальчик, 2011. Вып. VIII, стр. 68.

[106] *К. Сталь*. Этнографический очерк черкесского народа. В кн.: Кавказ: племена, нравы, язык. – Нальчик, 2011. Вып. VIII, стр. 121.

[107] *ჰამსუნი კ.* განცდილი და ნაფიქრი კავკასიაში. – თბ., 2006: 72-79.

თი კულტურის ნაწილები არ არიან. ცხენის ჭამის ტრადიცია კავკასიაში მოსულ ოსებს ხომ მომთაბარეობიდან მოსდგამდათ.

ამრიგად, ზემოთ მიმოხილული მონაცემებით, აშკარაა, კავკასიის ხალხების არათანაბარი კულტურული და სოციალური განვითარება. თუმცა ეს მხოლოდ სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს არ ეხება. თვით ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, განსაკუთრებით ეს შეიძლება ითქვას ადიღეური მოდგმის ეთნოსების შესახებ, რომლებიც ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ბინადრობდნენ და, რომლებმაც მონღოლების შემდეგ ბინადრობის ადგილი ცენტრალური კავკასიის მთისწინეთსა და ველებშიც გაიფართოვეს (ყაბარდოელები). ჩვენ აქ არ ვეხებით ყუბანის მარჯვენა ნაპირიდან თითქმის კასპიის ზღვამდე განფენილ ნოღაელებს, რომლებიც ტიპური ნომადური ცხოვრებით გამიორჩეოდნენ. ადიღეური ეთნოსები (აგრეთვე აბაზები) ფაქტობრივად, ერთ ადგილას არ ცხოვრობდნენ; ისინი მუდმივად მოძრაობდნენ. არც ერთ ადიღეურ ტომს მუდმივი საცხოვრებელი არეალი არ ჰქონია. ისინი ხშირად იცვლიდნენ ამ საცხოვრებელ ადგილს, დადასტურებულია მათი ყოფნა ხან ერთ და ხან მეორე ხეობაში. მაგრამ დიდ მანძილზე გადაადგილების გარდა, ისინი მოძრაობდნენ ახლო მანძილებზედაც – სოფელს აქ მუდმივი განსახლების ადგილი არ ჰქონდა[108]. ერთ-ერთი დასავლურ ადიღეური ლოკალური ჯგუფის – აბაძეხების შესახებ ი. ანჩაბაძე და ნ. ვოლკოვა კონკრეტულად წერდნენ: «Абадзехи, как впрочем и другие группы адыгов, отличались большой подвижносьтю. После уборки урожая они оставляли свои жилища по Белой и Курджипсу и уходили на зиму выше в горные леса, откуда весной вновь выходили на более откры-

---

108 Анчабадзе Ю. Д., Волкова Н. Г. Этническая история Северного Кавказа (XIII-XVIII вв.), М., 1993, с. 17-37.

тые места»[109]. ზემოთ აღინიშნა, რომ ისინი პრიმიტიული მიწათმოქმედების მომდევარნი იყვნენ. ერთ ადგილას დასახლებული პუნქტის მოწყობის შემდეგ, ის სხვაგან გადაჰქონდათ. ამის მიზეზი კი მიწის გამოფიტვა იყო. ერთ-ერთი უცხოელი ავტორი „სოფლის“ სხვაგან გადატანას იმას უკავშირებს, რომ საქონლის პატივის სუნის გამო, არ შეწუხებულიყვნენ. ამრიგად, ადიღეელმა ტომებმა, ისევე როგორც მათგან გამოყოფილმა ყაბარდოელებმა მიწის განოყიერება საქონლის ნაკელით არ იცოდნენ. ბუნებრივია, მათ შორის არც მიწის მორწყვის ტრადიცია არსებობდა, არც თესლბრუნვა და მიწის დასვენება, რაც საშუალებას მისცემდა ერთ ადგილზე ჰქონოდათ სოფელი და მიწათმოქმედებისათვის ექსტენსიური ხასიათი მიეცათ. ეს იყო ნახევრადმომთაბარე და ნახევრადბინადარი ცხოვრების წესი. დასავლეთ ადიღეელების, ყაბარდოელების და აბაზების მოძრაობითობას სამეზობლო გარემო, ნომადებთან მეზობლობაც განაპირობებდა. ამის შესახებ ი. ანჩაბაძე და ნ. ვოლკოვაც წერდნენ: «Столь же губительны для Кабарды были постоянные походы крымцев, ногайцев, калмыков, во многом менявшие картину расселения кабардинцев»[110]. ამ წესიდან გამომდინარე მათთვის უცხო იყო მევენახეობა და მებაღეობაც. ადიღეელებისათვის ფაქტობრივად, უცნობი იყო ხორბლეული კულტურების მოყვანა. ძირითადად მოყავდათ ფეტვი, რისგანაც სქელ ფაფას – *პასტას* ხარშავდნენ და გაციებულსა და ნაჭრებად დაჭრილს შეექცეოდნენ.

ჩრდილო-დასალეთ კავკასიაში მოსახლე ადიღეელებისათვის მთავარ სამეურნეო საქმიანობას მეცხოველეობა შეადგენდა, უფრო რომ დავაზუსტოდ, მეცხვარეობა და მეცხენეობა. ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს გავიხსენოთ, რომ მეცხოვე-

---

109 Анчабадзе Ю. Д., Волкова Н. Г. Этническая история Северного Кавказа (XIII-XVIII вв.), М., 1993, с. 24.

110 Анчабадзе Ю. Д., Волкова Н. Г. Этническая история Северного Кавказа (XIII-XVIII вв.), М., 1993, с. 17-37.

ლეობის ეს ფორმა ნომადებისათვის იყო დამახასიათებელი (მეცხენეობა და მეცხვარეობა).

ახლა მატერიალური კულტურის ისეთ ფორმასაც შევეხოთ, როგორიცაა საცხოვრებელი ნაგებობები. საყოველთაოდ ცნობილია ცენტრალური და აღმოსავლეთ კავკასიელებისათვის დამახასიეთებელი ქვის საცხოვრებელი სახლები, კოშკური კულტურა. ანალოგიური რამ ადიღეელებისათვის დამახასიათებელი არ ყოფილა. ჩვეულებრივ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიელებისათვის დამახასიეთებელი იყო მოწნული საცხოვრებლები, რომელთა დაშლა და სხვაგან გადატანა მცირე დროში შეიძლებოდა. ამის შესახებ მიუთითებდა *ჯორჯო ინტერიანო* (XV-XVI საუკუნეები): « все они живут в лачугах из тростника и соломы, и во всей стране нет ни одной, даже самой маленькой крепости»[111]. დასახლების ამ ტიპს და საცხოვრებელის ასეთ ფორმას, ბუნებრივია, მათი ნახევრადმომთაბარე და ნახევრადმობინადრე ცხოვრების წესი განაპირობებდა. ადიღეური მოდგმის ეთნიკური ერთობების ნომადური სამყაროდან წარმომავლობას ისიც ადასტურებს, რომ მათ სოფლის აღმნიშვნელი განსაკუთრებული ტერმინი არ გააჩნდათ; ისინი სოფელსაც *სახლს* უწოდებდნენ[112].

ადიღეელებისა და ყაბარდოელებისათვის (და სხვა ჩრდილოეთ კავკასიელებისთვისაც) დამახასიათებელი იყო ერთგვარი მეომრული ხასიათიც. შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო მათთვის თარეშები იყო. ისინი მეზობლებს, სხვა ტომის ხალხს და ერთმანეთსაც ახალგაზრდებს სტაცებდნენ და მათ მონებად ყიდ-

---

[111] Джорджо Интериано. О быте и обычаях Черкесов. – Кавказ: европейские дневники XIII-XVIII веков. – Нальчик: 2010. Вып. III. С. 29.

[112] Ф. Дюбуа де Монпере. Путешествие вокруг Кавказа, у черкезов и абхазов, в Колхиде, Грузии, Армении и Крыму, в кн.: Адыги, балкарцы и карачаевцы в известиях европейских авторов XIII-XIX вв., Налчик, 1974, с. 438.

დნენ. როგორც წყაროებით ირკვევა, ცხოვრების ეს წესი – ადამიანების მოტაცება და ტყვეებად გაყიდვა – მათთვის მუდმივად დამახასიათებელი მოვლენა იყო. ბუნებრივია, ასეთი ქმედების საშუალებას ადიღეელებს გასაღების ბაზარი აძლევდა. და ეს გასაღების ბაზარი მათთვის სრულიადაც არ ყოფილა ნომადური სამყარო, რომელსაც ემეზობლებოდნენ. ტყვეებს მხოლოდ ჯერ ევროპელები და შემდეგ თურქები იძენდნენ. ცხოვრების აღნიშნული წესი (ნახევრადმობინადრეობა და ნახევრადმომთაბარეობა) სწორედ ნომადებთან ურთიერთობის შედეგი იყო, აგრეთვე იმისა, რომ მათი წინაპრებიც მომთაბარენი იყვნენ და უფრო ჩრდილოეთიდან, ევრაზიის სამომთაბარეო არეალიდან იყვნენ სამხრეთით, ყუბანის მარცხენა ნაპირზე გადმონაცვლებულნი.

ცნობილია, რომ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიელების საკონტაქტო ზონა, სტეპებს გარდა, შავი ზღვაც იყო. ჯერ კიდევ მეოტებს/პროტოადიღებს ჰქონდათ ამ თვალსაზრისით ძველ ბერძნებთან ურთიერთობა. ვინც კი შავ ზღვაში შემოდიოდა და ვისაც ადიღეურ ტომებთან ჰქონდათ ურთიერთობა, ვაჭრობის მთავარ საგანს ტყვეების სყიდვა წარმოადგენდა. ასე რომ, ცივილიზებული ევროპის გავლენა ამ თვალსაზრისით პოზიტიური სულაც არ ყოფილა. პირიქით, ისინი ადგილობრივთა კულტურულ და სოციალურ განვითარებას ამუხრუჭებდნენ. მიგვაჩნია, რომ პრიმიტიული მიწათმოქმედებიდან ექსტენსიურ მიწათმოქმედებაზე გადასვლას ამუხრუჭებდა არა მხოლოდ ნომადებთან კონტაქტი, არამედ შავი ზღვით შემოსული ვაჭრებიც. შემორჩენილია 1281-1290 წლიებით დათარიღებული გენუელთა მიერ კაფადან გაყვანილი ჩერქეზი და ზიხი (ჯიქი) ტყვეების ნუსხა წლოვანებისა და ფასების ჩვენებით. XIII-XIV საუკუნეებში იტალიელებს დაპყრობილი ჰქონდათ მონათა ვაჭრობის სფერო. ის სტიმულირებული იყო იტალიის ოფიციალური ხელისუფლების მიერ. მონათა ვაჭრობას ძალიან ფართო მასშტაბები ჰქონდა მიღებული. თითქმის ყოველი იტალიელი კოლონისტი

მონებით ვაჭრობას მისდევედა; მაგალითად, მონებით ვაჭრობდნენ ნოტარიუსები, ვაჭრები, ხაბაზები, თერძები, მეხორცეები და ა. შ. ძირითადად ყმაწვილებსა და ახალგაზრდებს ყიდდნენ. მონათვაჭრობის მსხვილი ცენტრი იყო *კაფა* (თანამედროვე *ფეოდოსია*), საიდანაც მონები გაყავდათ *კონსტანტინეპოლში*, რომლის მიმდებარე ქალაქი *პერა* ტყვეთავაჭრობის დიდი ცენტრი იყო. ზემოთ აღნიშნულ დოკუმენტში გასაყიდ ტყვე-მონების ასაკი 6 წლიდან 14-15 წლამდე მერყეობდა[113]. შეიძლება რამდენიმე მაგალითის მოყვანა: «№143. Пера, 7 октября 1281 года г. Банкир Мануель, грек, продает рабыню-зихику по имени Ахина за 20 золотых иперперов»; «№205. Каффа, 6 июня 1289 г. Лавочник Антонио продает раба-черкеса по прозвищу Джарказ, 12 лет, за 430 аспров барикатов»: «№254. Каффа, 17 июня 1289 г. Руффино де Рубаско продает раба-черкеса по имени Джарказ, 14 лет, за 750 аспров барикатов»; »: «№271. Каффа, 29 июня 1289 г. Закройщик Джованни продает рабыню-черкешенку, рыжую, 12 лет, за 345 аспров барикатов»[114]. არსებობს მოგვიანო პერიოდის ანალოგიური დოკუმენტებიც, მაგალითად, ანონიმი ავტორის ფრანგულენოვან დაუთარიღებელ თხზულებაში ვკითხულობთ: «У них есть общественный рынок, где юные черкешенки выставляются на продажу в наиболее привлекательном для покупателей виде, и здесь они переходят из рук родителей в руки армян, которые перепродают их в серали. Юная и красивая черкешенка, особенно рыжая, приносит своему продавцу до 7 тыс. писатров в турецкой монете (около 17 тыс. франков). Родительская любовь не может устоять против названной суммы, особенно в стране, где

---

[113] Генуезские нотариальные акты из перы и кафы – Кавказ: европейские дневники XIII-XVIII веков. – Нальчик: 2010. Вып. III. С. 8.
[114] Генуезские нотариальные акты из перы и кафы, С. 8-9.

существует обычай покупать тех, кого выдают замуж»[115]. «Черкезы не живут в городах, но большими деревнями. … Жилище свое переменяют они часто, и старые деревни переносят на новое место, оставляя прежние селения пустыми»[116].

ტყვეებით ვაჭრობა კი ადიღეური ტომების განსაკუთრებული სტერეოტიპის შემქმნელი იყო. ისინი ადამიანების მოტაცებას არ განსჯიდნენ, პირიქით, ასეთი ქმედების ჩამდენს გმირობის შარავანდედით მოსავდნენ; ის ჩვეულებრივ სამეურნეო საქმიანობად მიაჩნდათ, რითაც, ფაქტობრივად, ოჯახს ინახავდნენ, ბავშვებს მოსავდნენ. წყაროები იმის შესახებაც მიუთითებენ, რომ თავად მშობლები ყიდდნენ თავიანთ შვილებს. ამ თვალსაზრისით შეიძლება დავიმოწმოთ XV საუკუნის ავტორი *ი. დე გალონიფონტიბუსი*. ის იმასაც აღნიშნავს, რომ ერთი სოფელი მეორეს თავს ესხმის ღიად და ერთმანეთს სტაცებენ ბავშვებსა და მამაკაცებს, რომლებსაც შემდეგ ზღვის ნაპირას მონათმოვაჭრებზე ყიდიან[117]. იგივეს წერდა XIV საუკუნის ბოლოს ჩერქეზეთში ნამყოფი *იოჰან შილტბერგერი*: «Затем земля черкезов. … они злые людей, продающие язычникам собственных своих детей и тех, которых они крадут у других; они также занимаются разбоями и говорят особенным языком»[118]. ეს ტრადიცია XIX საუკუნეშიც გრძელდებოდა, რაც *ნიკოლაი კა-*

---

[115] Аноним. нравы и обычаи кабардинцев, или черкесов. – Кавказ: европейские дневники XIII-XVIII веков. – Нальчик: 2010. Вып. III. С. 83.

[116] Ионан Готлиб Георги. Описание всех обитающих в российском государстве народов. - Кавказ: европейские дневники XIII-XVIII веков. – Нальчик: 2010. Вып. III. С. 174.

[117] И. де Галонифонтибус. Сведения о народах Кавказа – Кавказ: европейские дневники XIII-XVIII веков. – Нальчик: 2010. Вып. III. С. 13, 15.

[118] Путешествие Иоганна Шильтбергера по Европе, Азии и Африке с 1394-го по 1427 год. – Кавказ: европейские дневники XIII-XVIII веков. – Нальчик: 2010. Вып. III. С. 16.

რლვოფს აქვს ხაზგასმული: «Продажа отцами собственных малолетних детей обоего пола в Турцию составляет у черкесов явление весьма обыкновенное»[119].

იგივეს წერდა ჩერქეზების შესახებ ვენეციელი ვაჭარი *იოსაფატ ბარბარო*, რომელიც *ტანაში* 1436 წლიდან 1473 წლამდე იმყოფებოდა: « По этому поводу расскажу, что однажды случалось при мне, когда я был в Тане. Стоял я как-то на площади. Пришли в город татары и сообщили, что в роще, мили за 3 отсюда, спрятались черкесы-всадники, которые задумали совершить набег под самый город, как это было у них в обычае»[120]. გენუელი *ჯორჯო ინტერიანო* (XV-XVI საუკუნეები) კი ხაზს უსვამდა, რომ ჩერქეზები ყაჩაღობით ცხოვრობენ და ამის გამო, 60 წლის ასაკამდე ეკლესიაში არ შედიანო[121]. იგივეს მოგვითხრობს ის ჯიქების შესახებ: «И хотя, как было сказано, грабеж в этой стране – такое обычное дело, что на нем, казалось бы, и не грех заработать, однако кунакам своим они остаются верны и дома и вне дома»[122]. აღნიშნულს ადასტურებს 1629 წელს ჩერქეზეთში ნამყოფი *ჯოვანი და ლუკა*, რომელიც აღნიშნავდა, რომ ჩერქეზები ტყეებში ცხოვრობდნენ, რათა ამით მიუწვდომელი ყოფილიყვნენ თათრებისაგან. მიუხედავად ამისა, თათრებისა და ნოღაელების თარეშები ხშირი იყო, რომელთა მიზანი ლამაზი ჩერქეზი ქალების დატყვევება იყო. ამიტომაც ჩერქეზები მათთან ბრძოლაში საუკეთესო მხედრებად ჩამოყალიბდნენ. ამასთანავე ჩერქეზები ერთ-

---

[119] Николай Карлгоф. О политическом устройстве черкесских племен. - **Кавказ:** племена, нравы, язык. – Нальчик, 2011. Вып. VIII, стр. 221.

[120] Иосафат Барбаро. Путешествие в Тану. – Кавказ: европейские дневники XIII-XVIII веков. – Нальчик: 2010. Вып. III. С. 21.

[121] Джорджо Интериано. О быте и обычаях Черкесов. – Кавказ: европейские дневники XIII-XVIII веков. – Нальчик: 2010. Вып. III. С. 25.

[122] Джорджо Интериано. О быте и обычаях Черкесов, С. 28.

მანეთის ძარცვას სირცხვილად არ მიიჩნევდნენ და ქურდობა აქ ჩვეულებრივი საქმიანობა იყო, პირიქით ქურდები პატივისცემით სარგებლობდნენ[123].

შუა საუკუნების არცერთი ავტორი ჩერქეზებზე როგორც მიწათმოქმედებზე არ საუბრობს, პირიქით, ისინი მათ ძირითად სამეურნეო საქმიანობად მეცხოველეობას მიიჩნევენ. მაგალითად შეიძლება XVII საუკუნის ავტორი *ჟან ბატისტ ტავერნიე* დავასახელოთ: «Главное их богатство заключается в стадах, особенно в прекрасных лошадях… Кроме того, они имеют большое количество овец и коз… Что касается быков и коров, то они неважные, и не этот вид животных обогащает черкесов»; «Этот народ не сеет ни пшеницы, ни овса, но только ячмень для лощадей и просо для выпечки хлеба; они никогда не засевают дважды один и тот участок земли, меняя места посева каждый год. … У них хорошее мясо, хорошие куры и дичи больше, чем они могут потребить»[124]. იგივე ავტორი აღნიშნავდა, რომ ეს ხალხი ქურდები არიან, ერთი სოფელი მეორეს ჰპარავს ყველაფერს რასაც მოახერხებენ, იტაცებენ როგორც ადამიანებს, ისე საქონელს. XVII საუკუნის ბოლოს ჰოლანდიელი *ნიკოლას ვიტსენიც* იგივეს წერდა და იმაზეც მიუთითებდა, რომ «По образу жизни черкесы очень похожи на ногаев, живущих около Астрахани, только черкесы живут в лесах и на возвышенностях, а ногаи – в открытых местах»[125]. «Мужчины находятся большей частью в полях со скотом, ко-

---

[123] Джованни да Лукка. – Описание перекопских и ногайских татар, черкесов, мингоелов и грузин. - Кавказ: европейские дневники XIII-XVIII веков. – Нальчик: 2010. Вып. III. С. 38, 42.

[124] Жан Батист Тавернье. Шесть путешествий в Турцию, Персию и Индию. – Кавказ: европейские дневники XIII-XVIII веков. – Нальчик: 2010. Вып. III. С. 58.

[125] Никодас Витсен. Северная и восточная Татария. – Кавказ: европейские дневники XIII-XVIII веков. – Нальчик: 2010. Вып. III. С. 66, 67.

торий составляет главное занятие». «Приветствие у черкесов обычно сопровождается вопросом о здоровье скота»[126].

ადიღეელებსა და ყაბარდოელებს ისეთივე ცხოვრების ყაიდა ჰქონდათ XVIII საუკუნეში. ფრანგი *შარლ დე პეისონელი* (1727-1790) შემდეგს წერდა: «Черкесы живут приблизительно как и ногайцы: у них нет ни городов, ни постоянных жилищ; они кочуют, не выходя, однако, из пределов своего кабиле, лето они проводят в равнинах и удаляются зимой в горы; у них нет определенных земель, и возделывают то один район, то другой. Их дома представляют собой ямы, вырытые в земле и покрытые листьями и соломой»[127].

ზემოთ მოყვანილი ციტატების ავტორები ძირითადად სხვადასხვა დროის მოგზაურები არიან. ახლა ცნობილი მეცნიერის – სოციოლოგის, ისტორიკოსის, იურისტის *მაქსიმ კოვალევსკის* (1851-1916), ზოგიერთ დასკვნას შემოგთავაზებთ, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ეთნოლოგიური კავკასიათმცოდნეობის განვითარებაში. წინასწარ ისიც აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მისი ნაშრომი „კანონი და წეს-ჩვეულება კავკასიაში“ მდიდარ ეთნოგრაფიულ მასალასა წერილობით წყაროებს ეფუძნება. მ. კოვალევსკი პირველი გახლდათ, რომელმაც ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს, რომლებიც წყალგამყოფი ქედის ჩრდილოეთით და ტანაისის ანუ დონის სამხრეთითა და აღმოსავლეთით ცხოვრობდნენ, ნახევრადმობინადრენი და ნახევრადმომთაბარენი უწოდა. ის საამისოდ XIII საუკუნის ავტორებს *რუბრუკვისა* და *კონტარინის* ემყარებოდა. დასახელებული ავტორები კი საუბრობდნენ ალანებისა და ყივჩაღების შესახებ, რომლებიც აქ მოსული მომთაბარეების მიერ მთებში იქნენ შერეკილი. ახალმა

---

[126] Николас Витсен. Северная и восточная Татария, С. 71.

[127] Шарл де Пеиссоннель. Трактат о торговле ра Черном море. – Кавказ: европейские дневники XIII-XVIII веков. – Нальчик: 2010. Вып. III. С.137.

მთურმა გეოგრაფიულმა გარემომ ისინი ბინადრებად და მიწათ-მოქმედებად აქცია. ასეთი ცხოვრების წესის შესახებ მათ XIX საუკუნეშიც ჰქონდათ მახსოვრობა. შემდეგ როდესაც ჩრდილო-ეთ კავკასიის მთისწინა ადგილები, სადაც ადრე ალანები და ყივჩაღები ცხოვრობდნენ, ყაბარდოელებმა დაიკავეს, ადგილსა-მყოფელის ფიზიკურმა პირობებმა მათ შესაძლებლობა მისცა გაეგრძელებინათ ადრინდელი მომთაბარული ცხოვრების ტრადი-ციები. არა უგვიანეს XVIII საუკუნის ბოლოს *პოტოცკი* და *პა-ლასი* ყაბარდოელების შესახებ აღნიშავავდნენ, რომ ყაბარდოე-ლებისათვის დამახასიათებელია იმ ხალხის თავისებურებები, რომლებიც სულ ახლახან გამოვიდნენ მომთაბარული ცხოვრებ-ის პირობებიდან: ახასიათებდათ თავიანთი აულების რამდენიმე წლის შემდეგ ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანისადმი მიდ-რეკილება. იგივეს წერს მ. კოვალევსკი ჩერქეზების შესახებ: «Черкесы и вообще и кабардинцы в частности … живут в се-лах, которые они покидают через несколько лет, потому что их гонит оттуда нечистота, или же потому, что не считают себя более достаточно защищенными против врагов. Каждый раз, когда следует такое переселение, жители увозят с собой вместе с домашней мебелью и лучшие бревна, все остальные предается сожжению»[128]. ყაბარდოელებმა ასე თუ ისე თავი მუდმივად დაიმკვიდრეს ალან-ოსთა (რომლებსაც ასევე ეს ტე-რიტორია ოდესღაც მოპოვებული ჰქონდათ) ადრინდელი განსა-ხლების არეალში. აქ მოსვლამდე კი მათ სხვაგანაც უცდიათ დამკვიდრება. XIX საუკუნეში ჩაწერილი ჩერქეზული გადმო-ცემებით, ადიღეელთა ყაბარდოულ ჯგუფს საკმაოდ უმოგზაუ-რია. ჰიჯრით VI საუკუნეში მათ ყუბანზე დაუტოვებით უწინ-დელი ადგილსაცხოვრისი და გადასახლებულან ჩრდილოეთით დონისაკენ, საიდანაც არც თუ დიდი ხნის შემდეგ ყირიმში გა-დასულან. 1497 წელს შედგენილ რუკაზე თანამედროვე ტაგან-

[128] М. М. Ковалевский. Закон и обычай на Кавказе. – Кавказ: За-кон и обичай, Нальчик, 2011, Вып. VII, С. 43.

როგის ოდნავ დასავლეთით გამოკვეთილად იკითხება „ყაბარდა“. ყირიმში მცირე ხნით ცხოვრების შემდეგ ჰიჯრით VII საუკუნეში ისინი კვლავ კავკასიას დაუბრუნდნენ[129]. მ. კოვალევსკი სრულიად სამართლიანად ასკვნის, რომ ადიღეურმა ტომებმა შემოინახეს ოდესღაც მათთვის დამახასიათებელი ნომადური ყოფის ნაკვალევი[130]. სრულიად სამართლიანად ეს ავტორი ჩერქეზებს ადარებს *ტაციტის* დროინდელ გერმანელებს, რომლებიც არც თუ ისე დიდი ხნის გადასული იყვნენ მომთაბარე ყოფიდან ბინადარ ყოფაზე. „ნომადური ნაკვალევიდან“ კონკრეტულად რამდენიმე ეთნოგრაფიული ფაქტი შეიძლება დავასახელოთ: მეცხენეობის მაღალი დონე, ყაბარდოელების იურთის მსგავსი სამზარეულო, ჩერქეზი ქალის სამოსზე ნაქარგი აღმოსავლური ორნამენტი, როგორც მამაკაცის, ისე ქალის თავსაბურავი – ქალის მაღალი და მამაკაცის ძაბრისებური ქუდები [საილუსტრაციო მასალა იხ.[131]].

დასკვნა ერთმნიშნელოვანი შეიძლება გავაკეთოთ: ადიღეური მოდგმის ეთნიკური ერთობანი (აფხაზებიც) წარმომავლობით კავკასიელები არ არიან. როგორც ჩვენ სხვა ნაშრომში გვქონდა გარკვეული მათ ეთნოგენეზი მოხდა არა ჩრდილოეთ კავკასიაში, არამედ მის ჩრდილოეთით, ევრაზიის სივრცეში. თუმცა, ისინი – ადიღელები და აფხაზები – კავკასიელებად იქცნენ საკმაოდ ადრე, ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნზე[132]. ამ დასკვნის საშუალებას ეთნოგრაფიული მასალა იძლევა. ადიღეური ტომები მომთაბარეობიდან და ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლისას გარდამავალ ეტაპზე დარჩნენ, რაც ფაქტორთა ერთობლიობამ განაპირობა. იგივე შეიძლება ითქვას ოსებისა და

---

[129] М. М. Ковалевский. Закон и обычай на Кавказе, С. 167.

[130] М. М. Ковалевский. Закон и обычай на Кавказе, С. 44.

[131] П. И. Ковалевский. Народы Кавказа, в кн.: Кавказ: Народы. История завоевания, вып. Нальчик, 2012, с. 41, 49, 58, 95.

[132] რ. თოფჩიშვილი. აფხაზურ-ადიღეური ეთნიკური ერთობების ეთნოგენეზის შესახებ, თბ., 2015.

ყარაჩაელ-ბალყარელების შესახებ, რომლებიც ასევე ძირძველი კავკასიელები არ არიან და ოდინდელი მომთაბარე ალანებისა და ყივჩაღების შთამომავლებს წარმოადგენენ. ალან-ოსების ჩრდილოური და ნომადური სამყაროსადმი მიკუთვნების შესახებ პირველად ენათმეცნიერმა *ვსევოლოდ მილერმა* მიუთითა. ამ დასკვნის ამოსავალი მისთვის იყო მეცხოველეობასთან დაკავშირებული ოსური ლექსიკა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ირანულია, ხოლო სამიწათმოქმედო კულტურასთან დაკავშირებული სიტყვები – მთლიანად არაოსური[133]. ასე რომ, ევრაზიის ნომადური სამყარო ჩრდილოეთ კავკასიის ეთნიკურ შემადგენლობაზე გარკვეულ გავლენას ახდენდა – ბევრი მომთაბარისათვის ის საბოლოო დასასახლებელ არეალს წარმოადგენდა.

XV საუკუნიდან ევროპელთა ანალოგიური ქმედება ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ოსმალებმა გააგრძელეს. მხოლოდ ბინადარი რუსების აგრესიის შედეგად შეწყდა ეს ქმედება. სამაგიეროდ, რუსებმა მათ განსახლების არეალი მოუსპეს. რუსები თავიანთ აგრესიას კავკასიაში სწორედ ამ მოტივითაც ამართლებდნენ, რომ ცივილიზაცია უნდა შეეტანათ ადგილობრივ ხალხებში. ადიღეელთა გააფთრებული წინააღმდეგობის ერთ-ერთი მიზეზი ის ფაქტორიც იყო, რომ მათ რუსები ცხოვრების წესს უსპობდნენ. ცნობილია, რომ ქცევის ეთნიკური სტერეოტიპი სამი ძირითადი ფაქტორისაგან ყალიბდება. პირველზე უკვე გვქონდა საუბარი; ესაა ეთნიკური გარემოცვა, ურთიერთობა მეზობლებთან, რაც ისტორიულად ყალიბდება. მეორე ეს გახლავთ გეოგრაფიული გარემო (ჩვეული ლანდშაფტი და სამეურნეო სისტემა). მესამე ფაქტორი კულტურული ტრადიციებია (ადამიანთა ხელოვნური საქმიანობის ფორმების ერთობლიობა). თუ დავაკვირდებით, ჩამოთვლილ სამ ფაქტორთაგან მთავარი და ძირითადი მაინც გეოგრაფიული ფაქტორი, ლანდშაფტია. ადიღეელთა სამეურნეო საქმიანობაზე სწორედ ბუნებრივი

---

[133] В. В. Миллер. Осетинские этюлы, Ч. 3, С. 11-15.

ფაქტორები ახდენდა გავლენას. ჩრდილოეთით ჩვენთვის საინტერესო გეოგრაფიული რეგიონის საკონტაქტო ზონა იყო სტეპები (დიდი ევრაზიული სტეპების დასავლეთი კიდე), სამხრეთით – მთები (კავკასიონი) და ზღვა (ხმელთაშუაზღვის აუზის ჩრდილო-აღმოსავლეთი კიდე, რომელიც შავი და აზოვის ზღვებით იყო წარმოდგენილი). ასე რომ, ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მკვიდრთ სამ სხვადასხვა ბუნებრივ-გეოგრაფიულ არესთან და შესაბამისად სამ სხვადასვა კულტურულ არეალთან ჰქონდათ კონტაქტი. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოების შესახებაც უნდა ითქვას: ადიღეელებმა ყაბარდოელებმა და აბაზებმა ცხოვრების ძველი ნახევრადმომთაბარული და ნახევრადმობინადრე ცხოვრების წესი ვერ შეიცვალეს და ვერ გადავიდნენ პრიმიტიული მიწათმოქმედების სისტემიდან ექსტენსიურ მიწათმოქმედებაზე და ბინადარ ცხოვრებაზე, იმიტომ, რომ მათში მოსახლეობის სიმჭიდროვის ზრდა არ ხდებოდა და აქედან გამომდინარე არც სამიწათმოქმედო მიწების ნაკლებობა იყო. რატომ არ ხდებოდა მოსახლეობის ზრდა? ვფიქრობ, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელი არ უნდა იყოს – შეფერხების უმთავარესი მიზეზი დემოგრაფიული ფაქტორი ანუ ისევ და ისევ ტყვეთა სყიდვა, ახალგაზრდების გასაყიდად გაყვანა იყო.

სტეპები ნომადური სამყარო იყო, სადაც ეს ურთიერთობები ჯერ ირანული მოდგმის მომთაბარეებთან უხდებოდათ (რომლებთანაც ეთნიკური კონტაქტების შედეგადაც წარმოიქმნენ) და შემდეგ თურქული მოდგმის მომთაბარეებთან. აქედან პროგრესული იდეები არ მოდიოდა. ნომადები მხოლოდ მუდმივ საშიშროებას უქმნიდნენ ყუბანის მარცხენა ნაპირზე მობინადრე ადიღეელებს. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ადიღეელები, ყაბარდოელები და აბაზები მუდმივად მოძრაობდნენ და ეს მოძრაობითობა ნომადების შიშის ფაქტორითაც იყო გამოწვეული – ისინი ხშირად მათი განსახლების არეალში იჭრებოდნენ და არამდგრად ვითარებას ქმნიდნენ. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ცნობა აქვს დაცული XV-XVI საუკუნეების მიჯნის გენუელ ავტორს

ჯორჯო ინტერიანოს, რომელიც ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ჩერქეზებს ყოველდღიურად ბრძოლა უხდებათ თათრებთან, რომლებისგანაც ყოველმხრივ არიან გარშემორტყმული. თავის მხრივ არც ჩერქეზები ისხდნენ გულხელდაკრეფილი – ისინი ლაშქრობდნენ: «Каждый день они бьются с татарами, которыми окружены почти со всех сторон. Ходят через Босфор до Херсонеса Таврического, где находится колония Каффа, основанная в древности генуезцами. Охотнее всего совершают походы в зимнее время, когда море замерзает, чтобы грабить скифов, то есть татар, причем несколько человек черксов гонят перед собой большую татарскую толпу, потому что черкесы проворнее и лучше вооружены, храбрее, да и лошади у них лучше»[134]. თუმცა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ადიღეელი ტომების წინაპრები თვითონ იყვნენ ნომადები და მხოლოდ ყუბანის მარცხენა მხარის ლანდშაფტში მათმა გადანაცვლებამ აიძულა ისინი მომთაბარეობაზე ხელი აეღოთ.

ერთი შეხედვით ადიღეელებზე და მათ ცხოვრების წესზე კეთილისმყოფელი გავლენა უნდა მოეხდინა საზღვაო ცივილიზაციებთან კონტაქტს. მაგრამ ეს ცივილიზაციები ჩრდილო-დასავლეთ კავკასიელებზე კეთილისმყოფელ გავლენას ვერ ახდენდა. თუმცა ბიზანტია და საქართველო ცდილობდნენ მათ შორის ქრისტიანობის გავრცელებას, მაგრამ ის მხოლოდ ზედაპირულად გავრცელდა. ვენეციელებმა და გენუელებმა კი აქ ტყვემონებით ვაჭრობა გააცხოველეს. იგივე ფუნქცია იკისრეს ამ მხრივ ოსმალებმა. ყველა იმპერიას ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ექსპასიონისტური ინტერესები ჰქონდა. ადიღეური ეთნოსი მათთან ხშირად სიმბიოზში იმყოფებოდა.

მეცნიერებაში შენიშნულია, რომ ჩრდილო-დასავლეთი კავკასია XVI-XIX საუკუნეებში ორი დიდი იმპერიის – რუსეთისა და პორტის – მეტოქეობის არეალი, ობიექტი იყო. მოსკოვმა წარმატებას მხოლოდ XVIII საუკუნის ბოლოს მიაღწია.

---

[134]Джорджо Интериано. О быте и обычаях Черкесов, С. 28.

ისიც შენიშნულია, რომ ადიღეელებისათვის, ნოღაელებისათვის, ყირიმელი თათრებისათვის ოსმალეთის იმპერია უფრო მოხერ-ხებული სახელმწიფო იყო[135]. ყოველ შემთხვევაში ეთნიკურ კა-ტასტროფამდე საქმე არ მიდიოდა. ისინი ერთმანეთთან სიმბიო-ზურ ურთიერთობაში იყვნენ: ოსმალები ადიღეელებს გარკვეულ შემოსავალს აძლევდნენ, ტყვე-მონებს ყიდულობდნენ, ჩერქეზებ-ზე ოსმალეთში დიდი მოთხოვნილება იყო.

გეოგრაფიული ფაქტორის გამო იყო, რომ ადიღეური ეთ-ნოსი, მართალია, ჩამოყალიბდა სხვებთან ურთიერთობაში, მაგ-რამ ცხოვრების წესის გამო, ვერ მოხდა სხვადასხვა ტომების ინტეგრაცია, ვერ გაუჩნდათ საერთო სახელმწიფოებრივი წარ-მონაქმნის შექმნის აუცილებლობა. მართალია, რამდენიმე აბაზუ-რი ტომის ენობრივი ასიმილაცია განხორციელდა, მაგრამ ეს პროცესი ამაზე შორს ვეღარ წავიდა.

ჩრდილო-დასავლეთ კავკასიელები რუსულ აგრესიასთან დამარცხების შემდეგ. ადვილად შეელივნენ თავიანთი განსახლე-ბის არეალს. და არა მხოლოდ ისინი, არამედ მომთაბარე ნოღა-ელები და ყირიმელი თათრები. როგორც ჩანს მომთაბარეებისა-თვის და ნახევრადმომთაბარეებისათვის შედარებით ადვილი იყო საკუთარი ეთნოსფერას მიტოვება. მათი მთავარი საქმიანობა ხომ მიწათმოქმედება კი არა, არამედ მეცხოველეობა იყო, რაც განსხვავებულ და განსაკუთრებულ ეთნოფსიქოლოგიას ქმნიდა. ყირიმიდანაც ხომ, პირველ რიგში, მასობრივად „სტეპნიაკები“ წავიდნენ.

ზემოთ ითქვა, რომ კავკასია ბუნებრივ-გეოგრაფიული, ლა-ნდშაფტური და კლიმატური თვალსაზრისით უაღრესად მრავა-ლფეროვანი რეგიონია. სწორედ ეს იყო მიზეზი აქ მცხოვრები ეთნოსების არათანაბარი განვითარებისა. ამ ფაქტორის შესახებ ჯერ კიდევ XIX საუკუნის ავტორები აღნიშნავდნენ, რომელთა-

---

135 *В. Гудаков*. Северо-Западный Кавказ в системе межетнических отношений… С. 546.

გან *ნიკოლაი დუბროვინი* შეიძლება დავასახლოთ, რომელმაც მთელი კავკასიის დაწვრილებითი აღწერილობა მოგვცა (ეს კი იმპერიის ინტერესებში შედიოდა): «Сделанный нами краткий орографический и гидрографический очерк Кавказского перешейка указывает на разнообразие в нем как харкатера местности, так и климатических условий. От различия климата и природы происходит и чрезвычайное разнообразие в жизни племен, его населяющих, или, лучше сказать, в этнографическом их быте»[136].

ასე რომ, გეოგრაფიულმა ფაქტორებმა განაპირობეს კავკასიის სოციალური და კულტურული განვითარების მრავალფეროვნება, მათ შორის, ეთნიკური სიჭრელე. ამავე მიზეზით მოხდა მის ერთ ნაწილში ძირძველი ეთნოსების შენარჩუნება და მეორე ნაწილში ეთნიკურ ერთობათა მონაცვლეობა. არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა გარემომცველ საკონტაქტო ეთნიკურ არეალებს. ჩრდილოეთ კავკასიისათვის თუ ასეთი არეალი ევრაზიის ნომადური სამყარო იყო, სამხრეთ კავკასიისათვის – მახლობელი აღმოსავლეთის და ბერძნულ-ბიზანტიური ცივილიზაციური კერები. გეოგრაფიული ფაქტორის გამო შეფერხდა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში განსახლებული ადიღეური/ჩერქეზული და ცენტრალური კავკასიის მთისწინეთში მცხოვრები ყაბარდოული ეთნიკური ერთობების სამეურნეო და სოციალური განვითარება. თავის მხრივ ამ უკანასკნელმა გარემოებამ დაამუხრუჭა მათი ეთნიკური კონსოლიდაცია. ყველაფერ ამასთან ერთად გასათვალისწინებელია შავი ზღვის უარყოფითი როლი. ზღვით შემოსული ჯერ ევროპელები (რომლებსაც სანაპირო ზოლში კოლონიებიც ჰქონდათ) და შემდეგ თურქები მხოლოდ ტყვეთა გაყვანით იყვნენ დაინტერესებული, რაც ასევე იყო მიზეზი მუდმივი ე. წ. მეომრული სულის შენარჩუნებისაც. ეს

---

[136] Дубровин Н. Ф. *Кавказ и народы, его населяющие*, Книга I, М., 2015, С. 70.

„მეომრული სული“ კი უმთავარესად თარეშებში გამოიხატებოდა. რუსეთის იმპერიის მიერ ადიღეელების/ჩერქეზების ეთნოსფერას მოსპობაშიც და მათ აყრა-გადასახლებაშიც ამ „მეომრულმა სულმა“ (შეურიგებლობამ) და ნახევრადმომთაბარეობამ და ნახევრადმობინადრეობამ გარკვეული როლი შეასარულა. საბოლოო შედეგი კი ეთნიკური კატასტროფა გახლდათ – დიდ გეოგრაფიულ არეალში ადირეურ/ჩერქეზულ ეთნოსს ძირითადად რუსული (აგრეთვე სომხური და ბერძნული) ეთნოსი ჩაენაცვლა.

ქართველთა და ჩრდილოკავკასიელთა ეთნიკური ურთიერთობის პრობლემები

ქართველებისა და ჩრდილოეთ კავკასიელების ეთნიკურ ურთიერთობას მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია გააჩნია. ეს ურთიერთობა ხან მშვიდობიანი იყო და ხანაც მტრული, რასაც არაერთი ეთნოგრაფიული ფაქტი ადასტურებს. ჩრდილოეთ კავკასიის მთიელებს ისტორიულად ახასიათებდათ თარეშები, რომელიც მათი შემოსავლის ერთ-ერთი ძირითადი წყარო იყო. ისტორიაში ასეთი თარეშები უფრო გვიანი შუა საუკუნეებიდან არის ცნობილი, მაგრამ ეს მოვლენა, რა თქმა უნდა, ამ დროს არ დაწყებულა. ისინი ადრე შუა საუკუნეებშიც თარეშობდნენ. საქართველოს მიმართულებით ეს თარეშები ძლიერდებოდა მაშინ, როდესაც სახელმწიფო სუსტდებოდა, ხოლო ერთმეფობის პერიოდში კი ასეთი შემთხვევები მცირდებოდა. ისტორიაში ცნობილია საქართველოში დაღესტნელთა თარეშები „ლეკიანობის“ სახელით. თუმცა სხვა ჩრდილოეთკავკასიელებიც არ აკლებდნენ. გვიან შუა საუკუნეებში არანაკლებ აოხრებდნენ საქართველოს ოსები და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში მცხოვრები ადიღეური ეთნიკური ერთობები. ეს თარეშები კი გახდა მიზეზი საქართველოს მთელ ჩრდილოეთ მონაკვეთზე ეთნიკური ცვლილებებისა. აღმოსავლეთიდან დავიწყოთ: აღმოსავლეთ კახეთში, დღეს რომ საინგილოს ვუწოდებთ, მოსახლეობის ეთნიკური ცვლა სწორედ ლეკების თარეშებმა განაპირობა. და ამ თარეშების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმაპირობებელი ფაქტობრივად საგარეო ვითარება იყო. აღმოსავლეთ კახეთიდან XVII საუკუნის დასაწყისში შაჰ-აბასის მიერ ადგილობრივი მოსახლეობის ირანში ძალადობრივმა გადასახლებამ გამოიწვია დაღესტნელების (ხუნძებისა და წახურების) მიგრაცია. 1617 წლიდან მიგრაცია ინტენსიური გახდა. ამ დროიდან ქართულმა პროვინციამ ახალი სახელწოდება — ჭარ-ბელაქანი — მიიღო. თუმცა უნდა ითქვას, რომ მათი და-

სახლება აქ ცოტა უფრო ადრეც დაიწყო – XVI საუკუნის დასაწყისში ლევან კახთა მეფემ ლეკების ერთი ჯგუფი ფიფინეთში დაასახლა, რათა მათ დაღესტნის მთებიდან სამეფო კარისათვის ყინული ეზიდათ. ლეკების თარეშები მთელ აღმოსავლეთ საქართველოს მოიცავდა. ქართველებს ისინი სტაცებდნენ არა მხოლოდ ქონებას, საქონელს, ჭირნახულს, არამედ, რაც მთავარია, იტაცებდნენ ადამიანებს. **მოგვიანებით მოთარეშეებმა დაიწყეს დასახლებული ტერიტორიების დაპყრობა და დამორჩილებული მოსახლეობის დახარკვა. შაჰ-აბასის შემდეგ კი ქართულ მიწებზე დასახლება დაიწყეს და ეს მიწა-წყალი მოქმედებების ერთგვარ პლაცდარმადაც აქციეს.** ლეკებს საქართველოს ტერიტორიაზე სხვა პლაცდარმიც ჰქონდათ – ახალციხის მხარე, რომელიც მათ ოსმალეთმა უბოძა. ლეკები არც სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობას აყრიდნენ ხეირს. ასე რომ, აღმოსავლეთ საქართველოსა და მის მოსახლეობაზე შეტევას სამი მხრიდან ახორციელებდნენ: დაღესტნიდან, ჭარ-ბელაქნიდან და სამცხე-ჯავახეთიდან. ეთნიკური ქართველების ძალიან დიდი ნაწილი იყიდებოდა და იკარგებოდა.

ცნობილია, რომ აღმოსავლეთ კახეთში ადგილზე დარჩენილი ქართული მოსახლეობა ლეკდებოდა. მიზეზი იყო ის, რომ მოსულნი უფრო ბევრნი აღმოჩნდნენ ადგილობრივ ქართველებზე და უმრავლესობის ენობრივ-ეთნიკური გარემო, მოსული ეთნიკური ერთობა ეთნიკურ ქართველებს თავის გარემოში ითრევდა. მეორე მიზეზი ქართველთა სხვა ეთნიკურ სამყაროში გადასვლისა სოციალურ-ეკონომიკური იყო. ფეოდალური ექსპლოატაციით შევიწროებული ქართველი გლეხობა გაურბოდა მებატონეს და თავს აფარებდა „უბატონო“ ლეკებს. ასე ლეკდებოდა ქართველი გლეხი, რადგან „გალეკება“ მათთვის უბატონობას ნიშნავდა. ჩრდილოეთ კავკასიელი დაღესტნელების თარეშებმა (ლეკიანობამ) აუნაზღაურებელი დანაკლისი მიაყენა ქართულ ეთნოსს – აღმოსავლეთ საქართველოში მოსახლეობა კატასტროფიულად შემცირდა, ზოგიერთი მხარე

(განსაკუთრებით განაპირა კუთხეები) ქართველებისაგან სრულიად დაიცალა. და რაც ყვალზე მთავარია საქართველომ დაკარგა ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი – აღმოსავლეთი კახეთი. თარეშების შედეგად საქართველოს მიწა-წყალზე ჩრდილოეთ კავკასიელი მთიელები დასახლდნენ. აქ ადგილობრივი ეთნიკური ქართველები მხოლოდ ალაგ-ალაგ გადარჩნენ, რომელთა ნაწილმა შუა საუკუნეებში ქართველობის განმაპირობებელი ყველაზე დიდი მარკერი – ქრისტიანობაც დაკარგა, თუმცა, მიუხედავად ამისა, ერთმა ნაწილმა ეთნიკური ცნობიერება მაინც შეინარჩუნა.

ზემოთ აღინიშნა, რომ ლეკები ტყვეებს იტაცებდნენ, მათ ტყვეები ძირითადად ახალციხეში გაჰყავდათ გასაყიდად, რომლებსაც სომეხი ვაჭრები ყიდულობდნენ: „ახალციხეს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თურქებისათვის. აქედან იპყრობდნენ და ძარცვავდნენ ისინი დასავლეთ კავკასიის სამხრეთით მდებარე მიწებს. მათი ბელადები აქეზებდნენ ჩერქეზთა და ლეკთა მებრძოლ სულს; ახალციხის ფაშას დროშის ქვეშ ძარცვავდნენ და აჩანაგებდნენ ლეკები მდიდარ ქართლს (გეორგიას). ოსები, დიდოელები, ჭარელები დაუსჯელად აწვებოდნენ მტკვრისა და ალაზნის ველებს, როგორც ღრუბლები. მოტაცებული ქალ-ვაჟი, როგორც ძვირფასი საქონელი, მიჰყავდათ ახალციხეში, სადაც ტყვეთა დიდი ბაზარი იყო; აქედან ეს საქონელი გადიოდა ერზრუმში, ტრაპიზონში, თეირანში, კონსტანტინეპოლში. ძირითადად სომხები ეწეოდნენ ამ სახის ვაჭრობას“[137]. ტყვეთა ნაწილის რეალიზებას, სხვადასხვა მიზეზების გამო, იშვიათად, ვერ ახერხებდნენ და ასეთებს მონებად აქცევდნენ. ხანდახან ასეთ ტყვე-მონებს ოჯახის შექმნის საშუალებასაც აძლევდნენ. ასეთი ქართველები და მათი შთამომავალნი კი, ბუნებრივია, ლეკდებოდნენ. ასე რომ, თარეშე-

[137] აუგუსტ ჰაქსტჰაუზენის საქართველოს შესახებ. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2011, გვ. 99

ბის ერთი შედეგი იყო ქართველთა დაღესტნურ ეთნოსებში შეღწევა, გალეკება. ეთნოგრაფიულად დადასტურებულია დაღესტნის მთელ რიგ სოფლებში მცხოვრები სხვადასხვა თუხუმების ქართული წარმომავლობა. დადასტურებულია პირიქითი ფაქტებიც. – სხვადასხვა დაღესტნური ეთნოსების წარმომადგენელთა აღმოსავლეთ საქართველოში მიგრაცია. ეს მიგრაცია ინდივიდუალური იყო. გარდა მტრული ურთიერთობისა, დაღესტნელებს ქართველ ხალხთან მშვიდობიანი ურთიერთობაც, სამეურნეო-კულტურული კავშირებიც ჰქონდა. დაღესტნელთაგან ქართველებთან ეთნიკური ურთიერთობებით განსაკუთრებით ისინი გამოირჩეოდნენ, რომლებიც საქართველოსთან მეზობლობაში ცხოვრობდნენ. მაგალითად ჭამალალელთა ბევრ თოხუმს თავი ქართული წარმოშობისად მიაჩნდა. ისინი ძირითადად ლეკიანობის დროს ტყვედ მიყვანილი ქართველების შთამომავლები იყვნენ. ანალოგიური ფაქტები დიდოელებს შორისაც ბევრია დადასტურებული. შენიშნულია, რომ XIX საუკუნეში ბევრი დიდოელი ქართულადაც მეტყველებდა, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ საუკუნეების განმავლობაში მათ მჭიდრო სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები ჰქონდათ კახეთის მოსახლეობასთან. მათვე საქონლის დიდი ნაწილი კახეთისა და საინგილოს საძოვრებზე ჩაჰყავდათ გამოსაზამთრებლად. სხვათა შორის, დიდოელებს (ცეზებს) გაცვლითი ვაჭრობა ისტორიულად მხოლოდ საქართველოსთან ჰქონდათ. საქართველოში გასაყიდად ჩამოჰქონდათ მატყლი, მაუდი, ტყავი, გამომშრალი ხორცი, ცხიმი, ერბო, ყველი. აქ კი იძენდნენ პურს, ქსოვილს, ტანსაცმელს, ხილს, ხელოსნობის ნაწარმს და ა. შ. ვახუშტი ბაგრატიონიც წერდა ამის შესახებ: „და კახეთის მჭრისანი ჰყმობენ კახთა მეპატრონეთა და აძლევენ ხარკთა და არა ლაშკართა, რათა ვიდოდნენ სავაჭროდ კახეთს, ვინაჲ-დგან ზიდვენ კახეთიდამ საზრდელსა, საშიშლოსა და საჭმარ-

სა თჳსსა“[138]. ჯერ კიდევ XX საუკუნეში კაპუჭელების საშუალო და უფროსი თაობის ბევრი წარმომადგენელი თავისუფლად ლაპარაკობდა ქართულად, რაც განპირობებული იყო საქართველოსთან ისტორიულად ჩამოყალიბებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობებით. კახეთი კაპუჭელებისათვის გარე სამუშაოზე გასავლელი ერთ-ერთი რეგიონი იყო. კაპუჭელები ალაზნის მინდორზე ხშირად საზამთრო საძოვრებსაც ქირაობდნენ. იგივე შეიძლება ითქვას ხვარშიელების, ჰინუხელების შესახებაც.

ისევე როგორც ყველა მთიელი, ლეკებიც საქართველოსთან ამ თვალსაზრისით მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული. არა მხოლოდ ადრე, არამედ XIX საუკუნესა და XX საუკუნის ვიდრე 60-იან წლებამდე ისინი როგორც ხელოსნები მოფენილი იყვნენ ქართულ სოფლებს, მაგალითად, აწარმოებდნენ სპილენძის ჭურჭლის მოკალვას. ზოგჯერ კი ეს მათ ქართულ სოფლებში დარჩენასაც იწვევდა. დარჩენა კი გაქართველების ტოლფარდი იყო. მაგალითად, შეიძლება მოვიყვანოთ კახეთის სოფელ ხოდაშენში მოსახლე ჩოთალიშვილები.

ამრიგად, საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთით მცხოვრებ დაღესტნელებთან ქართველებს მუდმივი ურთიერთობა ჰქონდათ (ეკონომიკური, მეგობრული, მტრული და ა. შ.). დაღესატანსა და საქართველოს შორის მოსახლეობის ორმხრივი მიგრაციაც ყოველთვის არსებობდა. მიგრირებული ლეკები საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში – კახეთში ინდივიდუალურად სახლდებოდნენ. როგორც აღვნიშნეთ, ლეკების ინდივიდუალური მიგრაციის დამადასტურებელია ზოგიერთი გვარის დაღესტნური წარმომავლობაც. XIX საუკუნის 30-40-იან წლებში ყვარლის სიახლოვეს დაღესტნელებით (ხუნძებით და კაპუჭელებით) დასახლებული სამი სოფელი გაჩ-

---

[138] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – ქართლის ცხოვრება, ტომი IV, 1973, გვ. 782.

ნდა: *თივი, თებელჯოხი* და *ხაშალხუტი.* თუმცა ხუნძები 1944 წლამდე ყვარლის რაიონის სხვა სოფლებშიც (*ახალსოფელში* 5 ოჯახი, 16 სული, *ყვარელში* 19 ოჯახი, *ჭიკაანში* 1 ოჯახი, *ყორიანში* 4 ოჯახი) ცხოვრობდნენ. კახეთში მცხოვრები ლეკები საბჭოთა მთავრობამ 1944 წელს ჩაჩნეთში გადაასახლა. მაგრამ 1955 წელს ისინი კვლავ დაბრუნდნენ საქართველოში. ამ დროს ყვარლის რაიონში უკან 612 ოჯახი დაბრუნდა. 1957 წელს ლეკების ახალი ტალღა შემოვიდა საქართველოში. დაახლოებით 575 სული სხვადასხვა სოფელში (*ახალსოფელი, ბალღოჯიანი, ჭიკაანი*) დაასახლეს.

ჩრდილოეთ კავკასიელთა თარეშებმა საქართველოში ეთნიკური ვითარება სხვაგანაც შეცვალა. ამჯერად ამ საკითხს ქართულ-ოსურ ეთნიკურ ურთიერთობათა კონტექსტში უნდა შევეხოთ. ოსების ჯგუფურ გადმოსახლებას საქართველოში წინ უძღოდა მათი თავდასხმები, თარეშები. ეს თარეშები კი ოსურ ენაში „ოსობის/ოსიანობის“ სახელით იყო ცნობილი. ეს ტერმინი დვალეთში მცხოვრებ ოსებში დადასტურებული აქვს კოსტა ხეთაგუროვს[139]. ოსობის/ოსიანობის შედეგად დვალეთში მცხოვრებ ოსებში თითქმის ოჯახი არ ყოფილა, რომ საქართველოდან გატაცებული რაიმე ნივთი არ ჰქონოდათ. სწორედ ჯერ ჩრდილოეთ კავკასიის მთებიდან დვალეთში თარეშების შედეგად შეიცვალა ადგილობრივი ქართული მოსახელეობა ოსური მოსახლეობით და შემდეგ XVI საუკუნეში აქ ფეხის მოკიდების შემდეგ დვალეთი გახდა ოსი მოთარეშეების ფორფოსტი, საიდანაც შიდა ქართლის მთებში მცხოვრებ ადგილობრივ ქართულ მოსახლეობას ავიწროებდნენ. სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს რომ დვალეთში ქართული მოსახლეობის ოსური მოსახლეობით შეცვლაში, თარეშებთან ერთად, ეპიდემიების წვლილიც დიდია. ხოლო შიდა ქართლის მთაში მეორე ფაქტორი გახლავთ საგარეო. ბარში ადგილობ-

---

139 К. Хетагуров. Собрание сочинений в трех томах, том второй, М., 1974, С. 228-240

რივი მოსახლეობის უაღრესად შემცირების შედეგად შიდა ქართლის მთიელები თითქმის კოლექტიურად აიყარნენ და დაბლობში ჩასახლდნენ. მათი ნასოფლარები კი შედარებით თავისუფლად დაიკავეს დვალეთში მცხოვრებმა ოსებმა. ეთნოგრაფიული მონაცემებით აშკარაა მთელი გვიან შუა საუკუნეების განმავლობაში ქართველთა შორის ოსური ეთნოსის წარმომადგენლების შემოღწევა და ოსებს შორის – ქართველებისა. XVII საუკუნის ბოლოსათვის დვალეთში ძირითადად განხორციელდა ადგილობრივი ქართველი მთიელების – დვალების ასიმილაცია ოსების მიერ. მაგრამ, როგორც ბ. კალოევის მიერ ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალებით ირკვევა, დვალეთის ზოგიერთ ხეობაში, მაგალითად, ზახაში ქართულ-ოსური ორენოვნება დიდხანს, XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისამდე იყო შემორჩენილი[140]. ზახელების უმეტესობამ ქართული ენა კარგად იცოდა. დასახელებული ავტორი ამას საქართველოსთან ხანგრძლივი ეთნოკულტურული კავშირებით ხსნის, აგრეთვე ზახის ეკლესიებში ქართული სასულიერო პირების მოღვაწეობითა და მათ მიერ ქართულ ენაზე ქადაგებით. ეს მასალა პირდაპირ მიუთითებს არა ორ სხვადასხვა ეთნოსს შორის არსებულ ეთნოკულტურულ კონტაქტებზე, არამედ იმაზე, რომ დვალები ქართველები იყვნენ და მოსულმა ირანულენოვანმა ერთობამ მათი ასიმილაცია დიდხანს ვერ მოახერხა. ოსების დვალეთში დასახლებამდე, მათი მოწოლის, თარეშის, ლაშქრობების გამო, დვალების მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს სხვადასხვა მხარეში (შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, იმერეთი, რაჭა, სამცხე) განსახლდა. ადგილზე დარჩენილი დვალები, ოსთა ეთნიკურ-ენობრივ გარემოში ამ უკანასკნელთა აქ ჯგუფური შემოსახლებისა და სწრაფი გამრავლების შედეგად ასიმილირდნენ. წარმოშობით ქართველი მთიელები დვალები იყვნენ: ხადურები, ჩიფჩიურები, ბიგულები, თვაუ-

---

140 Б. Калоев. Осетинские историко-этографические этюды, М., 1999. С. 299.

რები, ჩოჩოურები (იგივე ჩოჩიშვილები), ბელელურები, გუდიაურები, ბაგაურები, გერგაულები, თაბაურები, ხერხეულიძეები, ქესაურები, ფარუხაულები, ბიგანები (ბიგანიშვილები)... რაც შეეხება ნარ-მამისონის ქვაბულში (ანუ დვალეთში) მოსახლე ყველაზე დიდ ოსურ გვარს ხეთაგურს (ხეთაგუროვებს), მათი წინაპარი აქ ყაბარდოდან იყო მოსული და, ბუნებრივია, ქართულ ენობრივ-ეთნიკურ გარემოში გვარსახელიც -ურ სუფიქსით გაიფორმეს. ასე რომ, ყაბარდოდან დვალეთში მოსული ხეთაგურები ჯერ გაქართველდნენ და შემდეგ, აქ ოსების ჯგუფური მიგრაციის შედეგად — გაოსდნენ. მოკლედ რომ ვთქვათ, გვიანი შუა საუკუნეებიდან ოსური ეთნოსის წარმომადგენელთა მიგრაციამ, რომელიც „ოსობის/ოსიანობის" ფონზე მიმდინარეობდა თითქმის რადიკალურად შეცვალა საქართველოს ცენტრალური მხარის — ჯერ დვალეთის და შემდეგ შიდა ქართლის მთიანეთისა და მთისწინეთ-ბარის ეთნიკური შემადგენლობა. თითქმის ისევე განვითარდა მოვლენები, როგორც აღმოსავლეთ კახეთში — საქართველოს დაშლა-დასუსტებამ განაპირობა ჩრდილოეთიდან საზღვრის მორღვევა, მთიელთა ჩამოწოლა და ქართული ეთნოსის არაქართული ეთნოსით შეცვლა. ისევე როგორც აღმოსავლეთ კახეთში, აქაც ეთნიკურ უმცირესობაში აღმოჩენილი ქართველი მთიელები გაოსდნენ. აგრეთვე დაფიქსირდა ქართულ სოფლებში დასახლებული ეთნიკური ოსების გაქართველების ფაქტები, მითუმეტეს, როდესაც შუა საუკუნეებში ეთნიკურობის მთავარი ნიშანი იყო რელიგია. ქართული საზოგადოება მართლმადიდებლობამიღებულ ოსს ოსად აღარ მიიჩნევდა. ასეთი პროცესი XIX საუკუნეშიც გრძელდებოდა. იმდროინდელ რუსული კამრალური აღწერის დავთრებში ქრისტიანობამიღებულ ოსებს მიწერილი აქვთ „ნაოსარი", „ოსყოფილი".

ამრიგად, განსაკუთრებული იყო ქართულ-ოსური ეთნიკური ურთიერთობები. მონღოლებამდე პერიოდში — ქართველი მეფეები ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ ოსებს, როგორც

მებრძოლ ძალას, ხშირად ქირაობდნენ. მონღოლების შემოსევების შემდეგ ოსები ჩრდილოეთ კავკასიის მთებში შემოვიდნენ და ამ ურთიერთობამ უფრო ინტენსიური ხასიათი მიიღო. გვიან შუა საუკუნეებში კი დაიწყო ოსების საქართველოს ტერიტორიაზე შემოღწევა. ეს შემოღწევა ეთნიკურ შემოღწევას გულისხმობს. საქართველოში მიგრირებული ოსები ხშირად ქართველდებოდნენ. ქართული ეთნოსის წარმომადგენლების გაოსებაც ხდებოდა. დვალეთსა და შიდა ქართლის მთაში ოსების ინტენსიური მიგრაციის შედეგად, დასტურდება ქართველთა გაოსების ფაქტები. ოსურ ენობრივ-ეთნიკურ სამყაროში აღმოჩენილი მცირერიცხოვანი ქართველები ოსდებოდნენ. ამის არაერთი ეთნოგრაფიული ფაქტია დადასტურებული. დვალეთის მოსახლეობის ქართველობის და შემდეგ მათი გაოსების დამადასტურებელი ის აურაცხელი მიკროტოპონიმია, რომელიც საქართველოს ამ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში დასტურდება[141]. ოსურ-ქართული ეთნიკური ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი იყო ინტენსიური ჯგუფური შემოსახლება.

აღმოსავლეთ კახეთისა და შიდა ქართლის მთიანეთის ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა აფხაზეთშიც – აქაც ძველი აფხაზები ახალი აფხაზებით შეიცვალნენ, აფხაზური ეთნოსის წარმომადგენლები გაუცხოვდენ ქართველებისაგან. ეთნიკური ვითარების შეცვლაში კი ისევ მთავარი როლი ჩრდილოეთ კავკასიელებმა, ამჯერად ადიღეური ეთნოსის წარმომადგენლებმა და უბიხებმა, მიიღეს მონაწილეობა. ძველი აფხაზეთის ქართული მოსახლეობა გვიან შუა საუკუნეებში ამ თარეშების შედეგად ენგურგაღმიდან ენგურგამოღმა გამორბოდა. ჩრდილოეთ კავკასიელთა და აფხაზთა თარეშებისაგან თავდასაცავად სამე-

---

[141] რ. თოფჩიშვილი, დვალეთი და დვალები, თბ., 2016, გვ. 142-159; Р. Топчишвили. Об этнической принадлежности двалов. – Осетины в Грузии, сборник, Тб., 2015, С. 162-205.

გრელოს მთავარს XVII საუკუნის პირველ ნახევარში გარკვეული ღონისძიებები გაუტარებია – „...ანაკოფიის აღმოსავლეთით ზღუდან მთამდე შეავლო ზღუდე ლევან დადიანმან, აფხაზთა გამოუსვლელობისათჳს“[142]. მაგრამ შემდგომმა ფეოდალურმა შინააშლილობამ და დაპირისპირებამ ვეღარ გაუძლო ახალი აფხაზების თარეშებს, რომლებშიც ხშირად აბაზები და ადიღეური ტომების წარმომადგენლებიც შედიოდნენ. განსაკუთრებით აქტიურები კი უბიხები იყვნენ. აბაზურ-ადიღეურ-უბიხურმა ტომებმა თარეშებით ჯერ თვით ძველი აფხაზები შეაწუხეს. ამის გამო იყო, რომ აფხაზების მნიშვნელოვანი ნაწილი სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ მიგრირდა. მათ ტერიტორიაზე კი ჩრდილოეთ კავკასიელი მთიელები ესახლებოდნენ. ადგილზე დარჩენილი მოსახლეობა მოსულ, ენობრივად მონათესავე, ტომებს ერეოდა. მათ ასიმილაციას, მოსულებში გათქვეფას სოციალური ფაქტორიც განაპირობებდა. ქართული მოსახლეობა იყრებოდა და ენგურს გამოღმა გადმოდიოდა. მაგალითად, წალენჯიხის რაიონის სოფელ ობუჯში მაშინ გამოქცეულან ჯგერდის მახლობელ სოფელ კვიტოულიდან (დღევანდელი ოჩამჩირის რაიონი, გულრიფშის რაიონის საზღვართან) კაკაჩიები, რომლებსაც თან ქიაჩის მთავარანგელოზის ხატი წამოუღიათ და ის ობუჯში დაუსვენებიათ. სოფელ ჯგერდიდან არც თუ ისე შორს დღესაცაა ადგილის სახელი „ქიაჩი“, სადაც X საუკუნის ეკლესიის ნანგრევებია (ქიაჩის მთა და ნაეკლესიარი კელასურის კედლის იქითა მხარესაა). ვახუშტი ბაგრატიონიც წერდა: „...**გარნა იყო ჭირი დიდი ოდიშს, ვითარცა აღვსწერეთ, და უმეტეს აფხაზთაგან, რამეთუ მოვიდოდნენ ნავებით და ჴმელით და სტყუვნიდნენ, დაიპყრეს ვიდრე ეგრისის მდინარემდე, და დაეშენებოდნენ თჳთ აფხაზნი და არღარა იყო დრანდას და მოქუს ეპისკოპოსნი**“[143]. ისინი

[142] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 782.
[143] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 845.

ძირითადად ქართველი მოსახლეობის ნასოფლარებში ეშენებოდნენ, რომლის მოსახლეობაც აფხაზებს ან ტყვედ ჰყავდათ წაყვანილი და თურქეთში გაყიდული, ანდა აფხაზების შიშით ენგურს გამოღმა იყვნენ გადმოსახლებულნი. სწორედ ამ დროს – XVII საუკუნის 60-იანი წლებიდან – არიან აფხაზები გადმოსახლებული დღევანდელი ოჩამჩირისა და გულრიფშის რაიონებში. აქ ისინი უპირატესად აფხაზების მთებიდან, ბზიფისა და კოდორის ზემო წელიდან არიან მოსული. მოხდა მოსახლეობის ეთნიკური ცვლა. მიგრირებულ მოსახლეობას აქ ქართული მოსახლეობის ნაწილი დახვდა, მაგრამ ისინი დროთა განმავლობაში, როგორც ენობრივად, ისე ეთნიკური თვალსაზრისით გააფხაზდნენ. თუმცა, ქართული გვარსახელები კი შეინარჩუნეს. რაც შეეხება სამურზაყანოს, მიუხედავად იმისა, რომ XVI-XVII საუკუნეებში ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილი ენგურს გამოღმა გადმოსახლდა, აქ მაინც მნიშვნელოვანი რაოდენობით იყვნენ დარჩენილნი. აქ მოსულმა აფხაზმა თავად-აზნაურობამ თან ეთნიკური აფხაზური მოსახლეობაც მოიყოლა, თუმცა ამ მხარის მოსახლეობა ეთნიკურად არ შეცვლილა. პირიქით ადგილობრივ გარემოში დამკვიდრებული აფხაზური გვარები გაქართველდნენ. ამის დამადასტურებელია ქართული გვარსახელები: *ზუხბაია, ქეცბაია, კაკუბავა, დოლბაია, ქირობაია, როსტობაია, ყოლბაია, გვაზბაია, მიქელბაია, თარბაია, ცხუცხუბაია, აბუხბაია...*

ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობის ამოძრავება, თავის მხრივ, ჯერ მონღოლთა ლაშქრობებმა და შემდეგ თემურლენგის შემოჭრამაც განაპირობა. ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ჩრდილოეთ კავკასიელთა უმეტესობას ჩრდილოეთ კავკასიის დაბლობით სარგებლობის საშუალება არ ჰქონდა, სტეპები ძირითადად მომთაბარეებსა და ნახევრადმომთაბარეებს ჰქონდათ დაკავებული. ამიტომ იყო, რომ მათი უმრავლესობა სამხრეთით – საქართველოსკენ მოისწრაფოდა. ეს პროცესი კი ძირითადად არამშვიდობიანი იყო. საისტორიო გადმოცემე-

ბით, რომელიც არაერთ ავტორს ჩაუწერია როგორც XIX, ისე XX საუკუნეებში, აფხაზეთში მცხოვრები აფხაზური გვარების დიდი ნაწილის თავდაპირველი საცხოვრებელი ჩრდილოეთ კავკასია და აბაზიის შავიზღვისპირეთშია. ამ გადმოცემების გამო იყო XIX საუკუნის რუსი ავტორი დიაჩკოვ-ტარასოვის დასკვნა, რომ თანამედროვე აფხაზები არ არიან ამ ტერიტორიის ავტოქტონები. ისტორიოგრაფიაში მითითებულია, რომ ჩრდილოეთ კავკასიიდან დღევანდელი აფხაზთა წინაპრები ძირითადად ბზიფის ხეობის ქვაბულის – ფსხუს გზით გადმოდიოდნენ. აქ გარკვეული ხნით მკვიდრობის შემდეგ, მოსახლეობა მთისწინეთსა და ბარში გადადიოდა, გადასახლებულთა ადგილს კი ახალი მიგრანტები იკავებდნენ[144]. სწორედ ამიტომაა, რომ ბევრ აფხაზურ გვარს სალოცავი ფსხუს ქვაბულში აქვს. ფსხუდან სხვადასხვა დროს გვარებს თან მისი ნიშებიც მოჰქონდათ. აფხაზთა ხალხური გადმოცემებითვე ძველთაძველ დროში აფხაზეთის მთებში ცხოვრობდა ხალხი, რომლებიც წანები იყვნენ. ეს წანები კი დასავლურქართულ მოდგმას სანებს (სვანებს) ანდა ჭანებს (ზანებს) წარმოადგენდნენ. ისტორიული აფხაზეთის ტერიტორიაზე ანუ მიწა-წყლზე კოდორიდან ბზიფამდე, რომ ჩრდილოეთ კავკასიური ტომების მიგრაცია მოხდა და რომ აქაც გზა მათ იარაღით გაიკაფეს, მოწმობს გადმოცემა, რომ ყაბარდოელი ინალი, რომელიც მთელი რიგი აფხაზური არისტოკრატიული გვარების საფუძველჩამყრელად მიიჩნევა, წარმატებულ ომებს აფხაზებთანაც აწარმოებდა.

XIV საუკუნის მეორე ნახევრიდან დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე დაწყებული აბაზური (ჯიქური), უბიხური და ადიღეური მოსახლეობის ჯგუფური და გაჟონვითი შემოსახლება თითქმის მთელი გვიან შუა საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა, რამაც საბოლოოდ საქართველოს ამ ძირძველ

---

144 ს. ბახია-ოქრუაშვილი. აფხაზთა ეთნიკური ისტორიის პრობლემები (ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევა), თბ., 2010.

და ისტორიულ მხარეში მოსახლეობის ეთნიკური ცვლილება გამოიწვია. ფაქტობრივად, **მოხდა ძველი აფხაზების ახალი აფხაზებით ჩანაცვლება** და ეს პროცესი თავდაპირველად მხოლოდ ნამდვილი აფხაზეთის ტერიტორიაზე, ძველ აბაზგიაში განხორციელდა, რომელიც თანამედროვე აფხაზეთის მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს მოიცავდა. შემდეგ კი, გვიან შუა საუკუნეებში, ძირითადად, XVII საუკუნის ბოლო მეოთხედში მათი უფრო სამხრეთით, აბჟუაში წინ წამოწევა მოხდა. ძველი აფხაზები (აბაზგები) ასევე ნარევი აბაზურ-ქართული მოსახლეობა იყო, რომელთა ენაც აბაზურის ერთ-ერთ დიალექტს წარმოადგენდა და რომელსაც გვიან შუა საუკუნეების „ქართლის ცხოვრების" მინაწერის ავტორი **აფსარულ ენას** უწოდებს. მაგრამ ეს ძველი აფხაზები IX საუკუნიდან ვიდრე XV საუკუნემდე კულტურულ-ისტორიულად ქართველები იყვნენ[145]. ისინი ისეთივე შემქმნელები იყვნენ ფეოდალიზმის პერიოდის ქართული კულტურისა, როგორც საქართველოს სხვა მხარეების მკვიდრნი. **გვიანი შუა საუკუნეების აფხაზები კი, ფაქტობრივად, თანამედროვე აფხაზები არიან, რომლებიც ძველი აფხაზების, აბაზების, უბიხების, ადიღეელებისა და ქართველური ლოკალურ-ტერიტორიული ერთეულების (ძირითადად მეგრელების) და სხვათა შერევის შედეგად ჩამოყალიბდნენ.** ამ ახალი აფხაზების ეთნიკურ საფუძველს კი ძველი აფხაზების (აბაზგების) ენა წარმოადგენდა. აფხაზეთის ძველ და ახალ მკვიდრებს შორის ზღვარი იმიტომ ევლება, რომ ძველი აფხაზები ქრისტიანები, მიწათმოქმედნი და ქართული ფეოდალური საზოგადოების, სოციალური სფეროს, კულტურის განუყოფელი ნაწილი იყვნენ. მაშინ როდესაც ახალი აფხაზები წარმართები (ქრისტიანობიდან მიქცეულები), მეჯოგეები და თემური ცხოვრების მომდევრები იყვნენ.

---

[145] რ. თოფჩიშვილი. კავკასიის ეთნოლოგია, თბ., 2012, გვ. 33-57.

აბაზური, უბიხური და ადიღეური მოდგმის მოსახლეობის აფხაზეთის ტერიტორიაზე მიგრაცია გვიან შუა საუკუნეებში (XV-XVII სს.) მათი მიგრაციის პირველი შემთხვევა არ ყოფილა. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ჩრდილო-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთიდან და ჩრდილოეთ კავკასიიდან კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მოსახლეობის მიგრაცია ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისშიც მოხდა. ეს იყო აბაზურ-ადიღეური ეთნოსის პირველი დასახლკარების შემთხვევა. შემდგომშიც არაერთხელ ხდებოდა მათი ინფილტრაცია-შემოჟონვა. თუმცა ერთიანი საქართველოს მონარქიის პირობებში კოდორის სამხრეთ-აღმოსავლეთით მიგრაცია ადგილობრივ მკვიდრ ქართულ ეთნოსს რაიმე პრობლემას ვერ უქმნიდა. აფხაზური ეთნოსის ქართველ ხალხში და ქართველების აფხაზებში ორმხრივი შეღწევა თითქმის მუდმივად ხდებოდა. ამიტომაა, რომ თანამედროვე აფხაზებს ანთროპოლოგიურად უფრო მეტი საერთო აქვთ დასავლურ ქართულ მოსახლეობასთან, ვიდრე აბაზ-ადიღეელებთან. ამის დამამტკიცებელია ქართული წარმოშობის გვარების დიდი რაოდენობა, რომლებსაც ახალი აფხაზები ატარებენ. 1867 წელს აფხაზეთიდან თურქეთში წასულ მუჰაჯირთა სიაში გვარების დიდი ნაწილი დასავლურქართულია, რომლებიც *-ია* და *-ა* სუფიქსებით ბოლოვდება. ისიც ნიშანდობლივია, რომ აღნიშნულ სიაში პირველ ნომრად *კიკნაძის* გვარია დასახელებული. ამავე დროს, XIX საუკუნის პირველი ნახევრის აფხაზეთის ზოგიერთი სოფლის მცხოვრებთა სიების მიხედვით ბევრ აფხაზურ გვარს ორმაგი აფხაზურ-ქართული სუფიქსი *(-ბა+-ია)* აქვს (*ეიბაია, ჭანუნბაია, გუნბაია, თორბაია, ღოლუშბაია, თარბაია, ავშიბაია, ცუიბაია, ამიბაია* და სხვ.) და არა მხოლოდ, მაგალითად „შვა სოფლის“ (აბჟუას) სოფელ *კვიტოულში*, არამედ „აფხაზეთის სამფლობელოსა შინა სოფლის *ლიხნსაკ*“. აღნიშნული კი უდავოდ იმ გარემოებაზე მიუთითებს, რომ აფხაზები ქართული სახელმწი-

ფოებრივი, ფეოდალური და კულტურული ერთობის განუყოფელი წევრები იყვნენ.

ამრიგად, მძიმე ვითარება შეიქმნა ეთნიკური თვალსაზრისით გვიან შუა საუკუნეების საქართველოში. მთის მთელი რიგი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების მოსახლეობა ამოვარდა: ძველი აფხაზები ახალმა აფხაზებმა შეცვალეს. თითქმის გაქრა ადგილობრივი მოსახლეობა შიდა ქართლის მთიანეთსა და დვალეთში, აღმოსავლეთ კახეთში (საინგილო), რაშიც უარყოფითი როლი ჩრდილოეთ კავკასიელებთან არასასურველმა ეთნიკურმა ურთიერთობებმა შეასრულა. აფხაზეთის ტერიტორიაზე ამ თვალთახედვით უარყოფითი როლი ჩერქეზულმა ეთნიკურმა ერთეულებმა ითამაშეს, რომელთა თარეშებმაც ბოლოსადაბოლოს აქ მოსახლეობის ეთნიკური ცვლა გამოიწვია — ადგილობრივი ქართული მოსახლეობის დიდი ნაწილი ენგურს გამოღმა მიგრირდა, ხოლო ადგილზე დარჩენილთა მნიშვნელოვანი ნაწილი ასიმილირდა. ქართველების ჩრდილოეთ კავკასიიდან მიგრირებულ მოსახლეობაში შეღწევას გვარებზე ერთი თვალის გადავლებაც კი ადასტურებს.

უფრო ისტორიის სიღრმეში თუ ჩავიხედავთ, აშკარაა, რომ ქართველურ ეთნიკურ ერთობას მჭიდრო ურთიერთობა გააჩნდა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში მცხოვრებ ადიღეელებთან/ჩერქეზებთან, უფრო სწორედ, პროტოადიღეელებთან და ფაქტობრივად ქართველურმა ეთნიკურმა ერთობამ ადიღეელთა ეთნოგენეზშიც მიიღო მონაწილეობა.

ქართველთა ეთნოგენეზისა და ტერიტორიის შესახებ ერთ დროს გაბატონებული იყო შეხედულება სამხრეთიდან მიგრაციის შესახებ. ეს პროცესი ისევ ჩრდილოეთ კავკასიურ ეთნოსებთან იყო მიბმული. ამ შეხედულების ავტორები დარწმუნებით აცხადებდნენ, რომ ქართველთა მოსვლამდე თანამედროვე და ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე ჩრდილოეთ კავკასიელები — ნახურ-დაღესტნური და აფხაზურ-ადიღეური ტომები — ცხოვრობდნენ, პირველნი — აღმოსავლეთ საქართ-

ველოში და მეორენი – დასავლეთ საქართველოში, რომ ამ უკანასკნელთა კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთით გადანაცვლება მოხდა ქართველების ზეწოლის შედეგად. მაგალითად შეიძლება ერთი ამონარიდი მოვიყვანოთ: «Адыгейские элементы в топонимике Западной Грузии, как-то სუფსა, აჭყვა, მალთაყვა, აკამფსის (древнее название Чороха) явление не случайное; имеются серьезные основания предполагат, что на территории Западной Грузии картвельским племенам предшествовали абхазско-адыгейские племена»[146]. საამისოდ ამ მკვლევარების წყაროს რამდენიმე ტოპონიმი წარმოადგენდა, რომლებსაც ჩრდილო კავკასიური ენებით ხსნიდნენ; ისინი ამ ტოპონიმებს სუბსტრატულ ტოპონიმებად აცხადებდნენ. მაგრამ არავინ არ ფიქრობდა იმის შესახებ, რომ გარდა სუბსტრატული ტოპონიმებისა, ადსტრატული ტოპონიმებიც არსებობს, რომლებიც ამა თუ იმ ეთნოსის გარკვეული ჯგუფის საკუთარი ტერიტორიიდან სხვათა ტერიტორიაზე გადასახლების შემდეგ ჩნდება. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (და დასავლეთ საქართველოს მთიანეთშიც) ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები ვაინახების ჯგუფური გადმოსახლება ძვ. წ. III საუკუნეში, მეფე საურმაგის დროს, ქართულ წყაროში დადასტურებული ფაქტია[147].

მაგრამ ამჯერად მხოლოდ აფხაზურ-ადიღეური მოდგმის ტომების ეთნოგენეზის, უფრო მეტად კი მათი თავდაპირველი განსხლების არეალის საკითხს შევეხებით. 2012 წელს დასტამბულ ნაშრომში ძალიან მოკლედ შევეხეთ აფხაზურ-ადიღეური ეთნიკური ერთობების ეთნოგენეზს, უპირველეს ყოვლისა, მათი თავდაპირველი განსახლების არეალს: „უკანასკნელი პე-

---

[146] *Арн. Чикобава*. Картвельские языки, их исторический состав и древний лингвистический облик. – იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, II, თბ., 1948, გვ. 263.

[147] ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით *ს. ყაუხჩიშვილის* მიერ, ტომი I, თბ., 1955, გვ. 27.

რიოდის გამოკვლევებით აფხაზურ-ადიღეური ეთნიკური ერთობის, უფრო სწორედ, პროტოადიღეელების თავდაპირველი განსახლების არეალი იყო სტეპების ზონა – მდინარე ყუბანის ჩრდილოეთით ტერიტორია – აზოვისპირეთი და მიმდებარე შავი ზღვის ჩრდილოეთი. პროტოადიღეელაბად მიიჩნევიან აღნიშნულ გეოგრაფიულ არეალში ანტიკურ წყაროებში მოხსენიებული მეოტები და სინდები, რომელთა წინაპრებმაც სამხრეთით შედარებით გვიან წამოიწიეს[148]. პროტოადიღეელებს ჯერ ინდოევროპელები (სკვითები და სარმატები) შეერივნენ, შემდეგ – პროტოქართველები. მიგვაჩნია, რომ სამხრეთით გადმოსახლების შემდეგ უნდა მომხდარიყო პროტოადიღეელების ქართველურ ენობრივ-ეთნკურ ერთობასთან კონტაქტი. აქ საკმარისია ჯერ მაიკოპის კულტურის (ძვ. წ. III ათასწლეული) მონათესავეობა გავიხსენოთ მტკვარ-არაქსის კულტურასთან[149] და შემდეგ კი ყობანური კულტურა, რომელიც, ფაქტობრივად, კოლხური კულტურის ნაირსახეობას წარმოადგენდა. პროტოადიღეელების ენობრივ-ეთნიკური კონტაქტი ქართულ ენობრივ-ეთნიკურ ერთობასთან, ე. ი. ყობანური კულტურის მქონე ერთობასთან, ძველი წელთაღრიცხვის ბოლოს ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ჩამოწევის შედეგად მოხდა“[150].

---

[148] В. В. Гудаков. Северо-Западный Кавказ в системе межетнических отношений с древнейших времен до 60-х годов XIX века. – СПб, 2007.

[149] ო. ჯაფარიძე. ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის, გვ. 193-251.

[150] *რ. თოფჩიშვილი.* ეთნოგენეზის პროცესისა და ქართველთა ეთნოგენეზის შესახებ. – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VI, თბ., 2012, გვ. 56-57 (სქოლიო). აქვე დავამატებთ, რომ მაიკოპის კულტურის შესაძლო ქართველური წარმომავლობის შესახებ მიუთითებდა *ი. დიაკონოვი* (იხ.: *И. М. Дьяконов*. Языковые контакты на Кавказе и Ближнем Востоке. – Кавказ и цивилизации древнего Востока. Орджоникидзе, 1989. С. 16-17).

სამეცნიერო ლიტერატურაში ადიღეელთა ეთნიკური ერთეულების წინაპრებად არიან მოხსენიებულნი აზოვისპირა მეოტები, რომლებიც ყუბანისპირეთის სტეპებში ცხოვრობდნენ. ისინი აქ ჯერ კიდევ ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისამდე ჩანან. 370 წელს ჰუნების თავდასხმები მეოტებსაც შეეხო. ჰუნების შემოსევამდე მეოტები ცხოვრობდნენ აზოვის ზღვასა და დონის შესართავს შორის და ყუბანის ქვემო დინებაზე. ამ დროს მოხდა მეოტების განსახლების არეალის შეცვლა და მარჯვენა ნაპირის ყუბანისპირეთიდან მარცხენა ნაპირზე გადანაცვლება. ჰუნების შემოსევების შემდეგ აღარ იხსენიებიან სხვა ადიღეური მოდგმის ეთნიკური ერთეულები: *სინდები, ასპურგიანები, ფსესები, დოსხები, დანდარები*..., რომლებიც აზოვისპირეთში ცხოვრობდნენ. ამ დროიდან ადიღეური ტომების ადგილი ყუბანსა და დონს შორის მომთაბარეებმა დაიჭირეს.[151]

თანამედროვე მეცნიერებაში ადიღეური ეთნიკური ერთეულების წინაპარ ეთნოსად მეოტები მიიჩნევიან, რომლებიც აზოვისპირეთში ანტიკურ წყაროებში ძვ. წ. VI საუკუნიდან იხსენიებიან, სადაც მათ თვალი ახ. წ. III-IV საუკუნეებამდე ედევნებათ. მეოტების ინდოირანელებთან კონტაქები სწორედ ამ პერიოდში უნდა მომხდარიყო, თუმცა, როგორც სამართლიანად შენიშნავენ, ინდოირანულ სტეპურ ეთნოსებთან კონტაქტები არც შემდგომ პერიოდშია გამორიცხული. ვიმეორებთ, მეოტების განსახლების არეალად მიჩნეულია აზოვის ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო დონის დელტამდე.[152]

სამეცნიერო ლიტერატურაში *მეოტების* განსახლების არეალად მიიჩნევა აზოვის ზღვის აღმოსავლეთ სანაპირო და

---

[151] *Л. Лавров*. Избранные труды по культуре абазин, адыгов, кАрачаевцев, балкарцев. Нальчик, 2009, стр. 56-51.

[152]*Кузнецов И. В*. Числительные в языках народов Кавказа (Этнокультурный аспект проблемы «Восток-Запад») // Археологические и этнографические исследования Северного Кавказа. Краснодар: 1994, С. 86.

მდინარე ყუბანის ქვემო და შუა დინება. ანტიკური წყაროებით ნამდვილად დასტურდება აზოვისზღვისპირეთში მეოტების მკვიდრობა, მაგრამ ყუბანის ქვემო და შუა დინების მისამართით ამას ვერ ვიტყვით. მათ აქ მკვიდრობას არქეოლოგიური მონაცემებით გულისხმობენ.

მონღოლებმა სამხრეთ-დასავლეთ კავკასიაზე, სხვა მომთაბარეების დარად, მნიშვნელოვანი ცვლილებები განახორციელეს, მათ არა მხოლოდ ალანების ეთნიკური განსახლების არეალის შეცვლა გამოიწვიეს, არამედ სხვა კავკასიური ეთნოსებისაც. განსახლების არეალი ალანებისა, რომლებიც ძირითადად დასავლეთ და ცენტრალურ კავკასიის ველებსა და მთისწინებში მოსახლეობდნენ, ადიღეური ეთნიკური ერთეულების წარმომადგენლებმა – ყაბარდოელებმა – დაიკავეს. ბუნებრივია, ისმის კითხვა: სად იყვნენ იქამდე ადიღეური, უფრო ზუსტად, პროტოადიღეური ტომები განსახლებულნი? უფრო ჩრდილოეთით, იქ, სადაც მათი ერთ-ერთი წინაპრები – მეოტები ბინადრობდნენ. ეს იყო შედარებით შემოსაზღვრული ტერიტორია, აზოვისპირეთში. მათი განსახლების არეალის ცვლილებას აქ ნომადების ხშირი შემოსვლა იწვევდა. აფხაზურ-ადიღეური ტომების ყუბანის სამხრეთით გადმოსახლება საბოლოოდ ჰუნების შემოსევების დროს მოხდა IV საუკუნის 70-იანი წლების შემდეგ. ჩრდილოეთიდან სამხრეთით მეოტების გადმონაცვლების საწყისს ეტაპად სარმატების დრო უნდა მივიჩნიოთ. მათ ადგილგადანაცვლებაში არანაკლები როლი ითამაშეს დასავლეთიდან შემოჭრილმა გუთებმაც. ყირიმიდან გადმოსულმა გუთმა ტეტრაკიტებმა დაიპყრეს შავიზღვისპირეთის სანაპირო ტამანზე და მისი მიმდებარე რეგიონები, რის შედეგადაც აქედან განდევნეს კერკეტები აღმოსავლეთით, დიდი კავკასიონის ქედის მთისწინეთში, ყუბანისპირეთსა და შავი ზღვის სანაპიროზე; აქვე გადასახლდნენ მეოტები, რომლებიც ჰუნების დარ-

ტმებს აღმოსავლეთით გამოექცნენ.[153] ადიღეელთა და უფრო ადრე პროტოადიღელთა ეთნოგენეზში სწორედ მათ, განსაკუთრებით ირანულენოვანმა ნომადებმა, მიიღეს მონაწილეობა. ყველა მათგანი იმ მიმართულებით წავიდა, სადაც ჰუნებისა და გუთების თარეშები ვერ მიწვდებოდა. სიწყნარე იყო მხოლოდ იმ რაიონებში, რომლებიც ზიხებით (ჯიქებით) იყო დასახლებული და საითკენაც მიისწრაფოდნენ სხვა მეოტური ეთნოსები. მეოტებთან ერთად წავიდნენ მეოტთა გარემოში ასიმილირებული სარმატები და ალანები. ზიხები თავდაპირველად მცირე ტომს წარმოადგენდნენ, რომლებიც ბინადრობდნენ თანამედროვე ქალაქებს გაგრასა და ტუაფსეს შორის. სამეცნიერო ლიტერატურაში ისიცაა მითითებული, რომ V საუკუნიდან ისინი გადაადგილდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით შავი ზღვის სანაპიროზე და დაიკავეს ტერიტორია ცემესის უბემდე.[154] სხვათა შორის, არსებობს ჰიპოთეზა, რომ პირვანდელი ზიხები/ჯიქები, ასევე კერკეტები კოლხთაგანნი იყვნენ და გვიანანტიკურ პერიოდში განიცადეს ეთნიკური ცვლილება.[155]

არ შეიძლება არ შევჩერდეთ და უყურადღებოდ დავტოვოთ ენათმეცნიერთა, კერძოდ, *გ. კლიმოვის* მიერ გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, რომლის მიხედვითაც აშკარაა, რომ პროტოადიღეელებს ეთნიკური კონტაქტები ჰქონდათ ქართველებთანაც, *ვ. გუდაკოვი* ამ კონტაქტებს უშვებს მხოლოდ აფხაზთა მეშვეობით, რომლებიც მისი სიტყვით, პროტოადიღეელთა სამხრეთ-აღმოსავლეთით ბინადრობდნენ. გ. *კლიმოვის* შეხედულებით, აფხაზების განსაკუთრებული მდგომარეობა

---

153 История народов Северного Кавказа с древнейших времен до конца XVIII в. М.: 1988, С. 95.

154 История народов Северного Кавказа… С. 122.

155 *ბ. გოგია.* ისტორიის სათავეებთან. ქართველთა წამყვანი როლი, დაკნინება და აღდგენა (ლინგვისტური მასალებისა და წყაროების მეცნიერული ანალიზი), ტომი I, პარიზი-ლონდონი-რომი-თბილისი, 2006, გვ. 984.

ადიღე-აფხაზთა ლინგვისტურ და ეთნიკურ გაერთიანებაში აიხსნება „მათი სიახლოვით დასავლურქართულ ტიპთან“, და აფხაზთა ეთნოგენეზიც კი დაკავშირებულია „დასავლეთ ქართველთა რომელიღაც ჯგუფის ადიღეურ ენაზე გადასვლასთან“.[156] *კლიმოვის* მოსაზრებების გადმოცემა კვლავ უნდა გავაგრძელო: როგორც არ უნდა იყოს, აფხაზურ-ადიღეურ და ქართველურ ენებს შორის კონტაქტები წარმოიქმნა საკმაოდ ადრე, და აფხაზეთი იყო გეოგრაფიული რაიონი, სადაც ეს კონტაქტები ხორციელდებოდა. ყოველ შემთხვევაში, აფხაზურ-ქართული ენობრივი ურთიერთქმედება დაიწყო არა უგვიანეს VIII საუკუნისა, აფხაზეთის დასავლურქართულ სამეფოს წარმოქმნასას[157]. ამიტომაა რომ აფხაზურ ენაში ბევრად უფრო მეტი ქართველიზმია, ვიდრე ადიღეური, რომლებიც წმინდა გეოგრაფიული თვალსაზრისით მდებარეობდა უფრო შორს ჩრდილო-დასავლეთისაკენ. და თუ რაღაც ქართველიზმები ხვდებოდა ადიღეურ ენაში – ასკვნის *ვ. გუდაკოვი* – ეს ხდებოდა აფხაზურის საშუალებით[158]. აფხაზურ ენაში მნიშვნელოვანი რაოდენობის ქართველური სუბსტრატი გამოავლინა *თ. გვანცელაძემ.* ამ ენაში ქართულია ქრისტიანული ტერმინები, ზღვაოსნობისა და მეთევზეობის ტერმინები, სხვადასხვა დარგობრივ ჯგუფთა ლექსიკა[159].

რა შეიძლება ითქვას ამ ერთგვარად საინტერესო მოსაზრებებზე? (ახლა თავი დავანებოთ იმ ჰიპოთეზას, რომლის თანახმად აფხაზები (აფსუები) XV საუკუნიდან ჩამოყალიბდნენ

---

[156] *В. Гудаков*. Северо-Западный Кавказ в системе межетнических отношений... С. 68.

[157] *Климов Г. А*. Введение в кавказское языкознание. М.: 1986, С. 180, 182.

[158] *В. Гудаков*. Северо-Западный Кавказ в системе межетнических отношений... С. 69.

[159] *თ. გვანცელაძე.* აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის ლინგვისტური საფუძვლები. – ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან: აფხაზეთი (უძველესი დროიდან დღემდე). თბ., 2007, გვ. 190-196.

ადგილობრივი პირვანდელი აფხაზების და მოსული ადიღეური ეთნიკური ელემენტის ასიმილაციის კვალობაზე). პირველ რიგში წარმოუდგენლად მიგვაჩნია, როგორ ხვდებოდა ადიღეურ ენებში ქართველიზმები აფხაზურის საშუალებით? არის კი ანალოგიური ფაქტები ლინგვინისტურ მეცნიერებაში დადასტურებული? ჩვენ პირიქით გვგონია. იყო რაღაც პერიოდი, როდესაც დასავლეთ ქართველებს ეთნიკური კონტაქტი ჰქონდა პროტოადიღეელებთან. I საუკუნემდე აფხაზები არ ჩანან თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე. გასარკვევია, თუ ვინ ცხოვრობდა I საუკუნემდე თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე და უფრო ჩრდილოეთითაც მეოტების მოსვლამდე. თუ ადიღეურ ენებში ქართველიზმებია, და როგორც ჩანს, არის, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ ქართველები (უფრო მართებული იქნება: ქართველური ეთნიკური ერთობები), თავის დროზე, აფხაზეთის უფრო ჩრდილოეთითაც იყვნენ გავრცელებული. ხომ არაა ამის დამადასტურებელი არქეოლოგიური მასალა, კერძოდ, ყობანური კულტურა? აფხაზები ხომ არ არიან ქართველთა და ადიღეელთა/პროტოადიღეელთა შერევის შედეგად ჩამოყალიბებულნი? ვფიქრობთ, რომ არსებული მასალა ამ მოსაზრებას უჭერს მხარს. განა მარტო მეოტ-ადიღეელებმა მოახდინეს ქართველი ტომების ასიმილაცია? არა! შერევის შედეგად ჩრდილოეთით მეოტ-ადიღეელებმა გაიმარჯვეს, სამხრეთით – ქართველებმა. ამის შედეგია აბაზგია და აფსილია ანუ აფხაზეთი და აფშილეთი. მიგვაჩნია, რომ ეს შერევა ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში უკვე მომხდარი იყო, რამაც ახალი ეთნოსის – აფხაზების წარმოქმნა გამოიწვია, აფხაზებს თავიანთი ენა გააჩნდათ. ხოლო მათი სამხრეთით ბინადარი აფშილები კი ქართველები იყვნენ. უფრო ჩრდილოეთით თუ შერევებისას, ეთნიკური კონტაქტებისას გამარჯვებული გამოვიდა მეოტური/პროტოადიღური ელემენტი, სამხრეთით – ქართული ელემენტი. ასე რომ, VIII საუკუნეში საბერძნეთსა და ქართველებს შორის საზღვარი ეთნიკურ საზღვარზე გადიოდა

– კელასური იყო ეთნიკური და პოლიტიკური საზღვარი. ეთნიკური საზღვარი კოლხებისა და ადიღეური ტომებისა დიოსკურიასთან ჯერ კიდევ სტრაბონს აქვს დაფიქსირებული. ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნის ავტორის *გაიუს პლინიუს სეკუნდესის* (უფროსი) მიხედვითაც დიოსკურია კოლხთა ქალაქია.[160] კიდევ ერთი გარემოების შესახებ: *ვ. გუდაკოვი* ადრე შუა საუკუნეებში აფხაზური ეთნოსის შესახებ საუბრობს, ადიღეელებზე კი – არა. იმდროინდელ ადიღეელებს ის ჯერ კიდევ პროტოადიღეელებს უწოდებს. არსებობს სხვა, მეორე გზაც ადიღეელებს შორის ქართველიზმების გაჩენისა. ცნობილია, რომ ადიღეელთა სამი ყველაზე დიდი ტომი – აბაძეხები, შაფსუღები და ნატუხაელები – ასიმილირებული აბაზები არიან. სავარაუდოდ, ადიღეურ ენაში ქართველიზმები მათი შეტანილი უნდა იყოს.

აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველური ელემენტის განსახლებაზე არაერთი ტოპონიმიც მიუთითებს. არავითარ ეჭვს არ იწვევს ის, რომ „ცხუმი“ ქართული ტოპონიმია.[161] გარდა ცხუმისა, სვანური მეტყველებით იხსნება აფხაზეთის ტოპონიმები: *ტამიში, ღუმურიში*[162], *გაგრა/გაკრა*[163], *დიოსკურია*[164],

---

[160]*გაიუს პლინიუს სეკუნდესი (უფროსი).* ბუნების ისტორია. – ანტიკური კავკასია. ენციკლოპედია, ტომი I, წყაროები, თბ., 2010, გვ. 500.

[161]საინტერესოა ერთ-ერთი მოსაზრება (ბადრი გოგია), რომლის მიხედვითაც ცხუმის პირვანდელი ეტიმოლოგია არის ზანური: რცხუმი („შერწყმული, ტყუპი“), რცხუმაფა („შერწყმა“).

[162] *Г. В. Цулая*. Абхазия и абхазы в контексте истории Грузии (Домонгольский период). М., 1995, С.15

[163]*თ. გვანცელაძე.* აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის ლინგვისტური საფუძვლები, გვ. 192.

[164]ანტიკურ წყაროებში თანამედროვე სოხუმის ორი სხვადასხვა სახელწოდებაა დაფიქსირებული – *სებასტოპოლისი* და *დიოსკურია.* პირველი მათგანი თუ ბერძნულია, მეორე, როგორც დადგენილია, აშკარად ქართველურია (ზანურია): ტოპონიმის მეორე ნახევარი „სკური“ ცნობილი მეგრული ტოპოგრაფიული ტერმინია. ხოლო „დიო“ მეგრულია, რაც ქართულად დედას ნიშნავს. ამას ემატება მესამე სახელწოდება, რომელიც ქართულ წყა-

წიბელიუსი (ამ უკანასკნელში გამოიყოფა ქართული ძირი წიფ-), მისიმიანეთის მხარეში *ფუსტა* (სვანურ ქრისტიანობამდელ ღვთაებათა პანთეონში ფუსტას ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეჭირა) და სხვ.).

სამართლიანადაა შენიშნული, რომ „ქართული სიტყვის ფონეტიკური იერის ელემენტს წარმოადგენს არა მხოლოდ **ცხ** კომპლექსი, არამედ ქართულში მოქმედი მთელი სისტემა თანხმოვანთა ჰარმონიული კომპლექსებისა, რომელი სისტემის მხოლოდ 1/12 (რა თქმა უნდა, არა ზუსტად) ნაწილია ცხ კომპლექსი. სახელდობრ: **ბღ-ფხ-პყ, დღ-თხ-ტყ, ძღ-ცხ-წყ, ჯყ-ჩხ-ჭყ** და მათი ფონეტიკური შესატყვისები ზანურში (მეგრულ-ჭანურში). სხვა ენებში თანხმოვანთა ასეთი სისტემა არა გვაქვს. სრულიად ცხადია, რომ ამ სისტემის ილუსტრაციას წარმოადგენს პავლე ინგოროყვას „სპეციალურ ექსკურსში“ დამოწმებული სახელწოდებები: სობღისი – სობისი, დღვანა – დვანა, ტყაურუ, ტყუბუნი, იგივე ცხომი-ცხუმი, წყუზამელა, წყურგილი, წყვიბენი, ჩხარი, ჩხალთა. თუ გავითვალისწინებთ ქართული ბგერათსისტემის გამძლეობას, სრულიად მართებული იქნება, რომ ამ ნიმუშებს დაემატოს მრავალი დღეს მოქ-

---

როებშია დადასტურებული – *ცხუმი*. ეს უკანასკნელიც ქართველურია (სვანური). თქმული იმის საშუალებას გვაძლევს, რომ დავასკვნათ: თანამედროვე სოხუმის მიდამოები ისტორიულად მხოლოდ და მხოლოდ ქართველური ეთნიკური ერთობებით იყო დასახლებული. ზღვის მხარეს, ძირითადად სამხრეთ-აღმოსავლეთით ზანები მკვიდრობდნენ, ხოლო მთებისკენ ჩრდილო-აღმოსავლეთით – სვანები. აქ სვანური და ზანური ერთობები ერთმანეთს ხვდებოდნენ. ხოლო გვიან პროტოაფხაზურ-ადიღეური ეთნიკური ჯგუფების მოსვლის შემდეგ, ამ უკანასკნელთა შერევის შედეგად ახალი ტომობრივი ერთობა – აფსილები / აფშილები წარმოიქმნენ, რომლებიც ენობრივ-ეთნიკური თვალსაზრისით ქართველურნი იყვნენ და მხოლოდ და მხოლოდ ამიტომაც ჰქონდათ აბაზგებისაგან/აფხაზებისაგან განსხვავებული ეთნონიმი, რომლებიც უფრო ჩრდილოეთით ბინადრობდნენ. აბაზგ-აფხაზებიც იმავე სამი კომპონენტის შერევის შედეგად იქნენ ჩამოყალიბებული, ოღონდ ჩრდილო-დასავლეთით გამარჯვებული გამოვიდა არა ქართველური, არამედ პროტოაფხაზურ (აბაზურ)-ადიღეური ელემენტი.

მედი ტოპონიმიკური სახელწოდება აფხაზეთის ტერიტორიაზე, რაც აღნიშნულია სხვადასხვა მასშტაბის რუკებზეც კი. მაგ.: დღამშ (მდინ.), კინდღა (სოფ.), იაშთხვა-იაშტუხი (სოფ. ცხადია, რომ ეს ერთი და იგივე სახელწოდებაა, მხოლოდ იაშტუხ-ში დარღვეულია თხ კომპლექსი; როგორც ჩანს, ძველია იაშთხვა), აითხა (მთა), თხინა (სოფ.), ამტყელი (სოფ.) ტყუარჩელი, ფრცხა (მთა), აცხუ (მთა), რეჩხუწა (სოფ., მთა), ანჩხა (მთა), ჩხორთოლი (სოფ.) და სხვ.“ „კარგი ნიმუშია ზემოგამოთქმული მოსაზრებისა იმის შესახებ, რომ ფონეტიკური იერის მიხედვით სიტყვის მიკუთვნება აადვილებს მის ეტიმოლოგიზაციას, მაგ., *პავლე ინგოროყვას მიერ* 146-7 გვ. განხილული სახელწოდება ტყუბუნი: ტყ კომპლექსი მიუთითებს მის ქართულობაზე, ხოლო მისი მნიშვნელობა ემთხვევა „დიოსკურია“-ს მნიშვნელობას და ამგვარად იხსნება მისი მრავლობითი რიცხვის ფორმა. როგორც ჩანს, ტყუბუნი, resp. ტყუბუნი წარმოადგენს ძველი ბერძნული „დიოსკურიო“-ს (ლეგენდით – „ტყუპი ძმები“) შესატყვისს.

თანხმოვანთა ჰარმონიული კომპლექსების სისტემის არსებობა აფხაზეთის ისტორიულ ტოპონიმიკაში ისეთი ურყევი მოწმობაა ქართულობისა, რომ არ შეიძლება მისი გვერდის ავლა (მხოლოდ ცხუმ-ცხომით და თუნდაც რამდენიმე ცალკეული ტერმინის დასახელებით) ან მისი ჩათვლა მეორეულ ფონეტიკურ მოვლენად, თუ არ გვინდა, რომ გზა მიეცეს ნებისმიერ დასკვნებს“.[165] *გ. ახვლედიანის* ამ ლინგვისტურ ლოგიკურ მსჯელობას ძნელია ვინმემ რაიმე დაუპირისპიროს.

საამისო თანხმოვანკომპლექსიანი ტოპონიმების დიდი რაოდენობა, რომელთა დათარიღება ხერხდება და რომლებიც ქართულ და უცხოურ წყაროებშია მოხსენიებული, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე (136 ერთეული) და აფხაზეთს გა-

---

[165] *გ. ახვლედიანი.* აფხაზეთის ისტორიული ტოპონიმიკის ზოგიერთი საკითხისათვის. – მნათობი, 1957, №2, გვ. 108-109.

რეთ[166] – დანარჩენი საქართველოს ტერიტორიაზე მათი შესატყვისები დადასტურებული აქვს *პავლე ინგოროყვას.* მართლაც, როდესაც აფხაზეთის ტერიტორიაზე ეთნოგენეტიკური პროცესებისა და ეთნიკური ისტორიის შესახებ საუბრობენ მეცნიერები, ამ ტოპონიმების გვერდის ავლა წარმოუდგენლად მიგვაჩნია. აქ ამ ტოპონიმების მხოლოდ ნაწილს მოვიხმობთ, რომლებიც საკმაოდ გამჭვირვალე ქართველური ტოპონიმებია: *ტყუბუნი, ბიჭვინთა, ბზიბი, ულალი* (ძველ ქართულ ენაში ძნელად სავალი (მთის) აღმნიშვნელი იყო. XIV საუკუნის წარწერაში მოხსენიებულია გაგართან ერთად), *ლიხნი / ლუხუნი* (საბა: „ლიხი – ფრიად მაღალი შამბი“), *ხოფი* (ხოფ- ძირზე ტოპონიმები არაერთი გვხვდება როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში), *ცანთა – ცანითი, წიბელი, წიბელთა, გუმა/გუმისთა, ჩხარი/ჩხალი, ჩხალთა, ბოკერი, დალი, ქკითასი* (ჯიქეთის ტერიტორიაზე), *ბაგა, აშე-ღალი* (*ევლია ჩელების* მიხედვით, *აშე-ღალი* ჯიქეთის ოთხი თემიდან ერთ-ერთი იყო. ზანურად ღალი ღელეა), *ღალიძგა, სუბეში, წყუბუნი, წყუზამელა, წყურგილი* (სოფელი, რომელიც წყუზამელზე მდებარეობდა. „წყუ“ წყალს, წყაროს ნიშნავს), *მოქვი* (შავშეთში იყო სოფელი მოქვთა), *გუბი, დღვანა, ტყვაჯა, ტყვარჩელი, ტყაურუ, მარმარისკარი, ფშია/ფშა* (საბა: „ფშა – მდინარისაგან წყარო, მუნვე ახლოს გამოდენილი“), *თილითი/თლითი* (შდრ.: ლიახვის ხეობის ტოპონიმს თლია), *ილორი... თ. გვანცელაძე* დამატებით კიდევ ორ ათეულ ქართველურ ტოპონიმს ჩამოთვლის აფხაზეთის ტერიტორიაზე: ზიგანა, მოხორა, ჯიხახორა, ხოირი, კორცხერი, კოპიტი, აითარნე, (ა)რუხა, (ა)მტყელი, გენწვიშ...[167]

---

[166] *პ. ინგოროყვა.* გიორგი მერჩულე ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა. თბ., 1954, გვ. 146-189.

[167] *თ. გვანცელაძე.* აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის ლინგვისტური საფუძვლები, გვ. 192.

მნიშვნელოვანი რაოდენობით დაიძებნება ქართული სუსტრატული ტოპონიმები ჩრდილო-დასავლეთ კავკასისა და თანამედროვე კრასნოდარის მხარის შავიზღვიპირეთში. აქ მკვლევარებს გამოვლენილი აქვთ შემდეგი ტოპონიმები: *სონთა* (XIX საუკუნის 60-იანი წლების დოკუმენტში დაფიქსირებულია უღელტეხილი); *სონჩხა* (სოჭიდან 20 კილომეტრში მდინარე შახეს აუზის ქედის სახელწოდება. „სონე“ იგივე სვანია, ხოლო „ჩხ“ – ქედი); *ბაზისი* (V საუკუნის ანინიმი ავტორის მიხედვით, მდ. ბაზისი მიედინება ზიხებსა (ჯიქებსა) და სანიგებს შორის. ესაა ფაზისის ფონეტიკური ვარიანტი); *სუბაში* (ნავსადგური და მდინარე შახესთან ახლოს. ტოპონიმის სუფიქსი -ში ქართულია. შდრ.: ცანაში, სასაში, ჭკადუაში... სუბვძირზე საქართველოში რამდენიმე ტოპონიმია); *ბაგა* (V საუკუნეში შახედან 160 სტადიონზე. ქართულად საქონლის საგომს ნიშნავს); *კურჯიპსი* (მდ. ბელაიას მარცხენა შენაკადი მაიკოპთან ახლოს. ნიშნავს ქართველთთა წყალს); *გელენჯიკი* (იგივე გელენჯიხა. „გელენ“ მეგრულად გარეს, გარეთას ნიშნავს. „ჯიხა“ – ციხეს, ე. ი. გარეთა ციხე. შდრ.: წალენჯიხა, ჯიხაისკარი, ნოჯიხევი, ჯიხურები...); *გუჯეურიუ* (ქედი. გვიჯერი სვანურად წაბლია); *კოცხური* („კაცხ“ სვანურად სიმაღლეს, მწვერვალს ნიშნავს. მაღალი ქედი); *სონე იმეზ* (კრასნოდარიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით ას კილომეტრში. ნიშნავს სვანთა ტყეს). ეს ტოპონიმები ზ. რატიანმა გამოავლინა, რომელიც ბოლოს ასეთ დასკვნას გვთავაზობს: „ამრიგად, ადიღეური ტოპონიმია სრულიად უეჭველად ასაბუთებს, რომ მდინარე ყუბანის მარცხენა ნაპირის მხარეში და შავი ზღვის სანაპიროზე, ქ. სოჭიდან ტამანის ნახევარკუნძულამდე ადიღეურ მოსახლეობაზე უწინ ქართველი მოსახლეობა ცხოვრობდა“[168].

---

[168] *ზ. რატიანი.* წყაროთა ღაღადი ანუ პირიქითა საქართველო, თბ., 1995, გვ. 17-28, 28. ჩამოთვლილი ტოპონიმების ქართველურობის შესახებ იხილეთ *ვ. მარხულიას* სტატია რუსულ ენაზე: *Г. Мархулия.* Грузинская

ამრიგად, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე, მის ჩრდილოეთით შავი ზღვის სანაპიროზე და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში მეოტების/პროტოადიღეელების გადმოსახლებამდე ქართველური ეთნიკური ელემენტი ცხოვრობდა. აქ მიგრირებულმა ადიღეელების წინაპრებმა ქართველური ეთნიკური ჯგუფების ასიმილაცია მოახდინეს. აფხაზთა შემადგენლობაში ქართველური ელემენტი უფრო მნიშვნელოვანი რაოდენობით შევიდა, ვიდრე ადიღეელებში. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ვარაუდი, ჩვენ მაინც არ ვამტკიცებთ იმას, რომ ქართველური ეთნიკური ერთობები აფხაზეთიდან ჩრდილოეთით შავი ზღვის სანაპიროსა და ჩრდილოეთ-დასავლეთ კავკასიაში ოდითგანვე ცხოვრობდნენ და რომ აღნიშნული ტერიტორია ქართველური ერთობების ეთნოგენეზის გეოგრაფიული არეალი იყო. აქ ქართველური ეთნიკური ჯგუფები გადანაცვლებული იყვნენ როგორც ზღვის სანაპირო ზოლით, ისე დასავლეთ საქართველოს მთიანეთიდან. ბუნებრივია, კითხვა გაჩნდება: როდის უნდა მომხდარიყო ეს მიგრაცია? – იმ დროიდან, როდესაც ყობანური კულტურა წარმოიქმნა (II ათასწლეულის დასასრული – I ათასწლეულის დასაწყისი), რომელიც, როგორც მეცნიერთა მიერ აღიარებულია კოლხური კულტურის ერთ-ერთი ნაირსახეობა იყო.

რადგან აბაზგები/აფხაზები თანამედროვე აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთით და უფრო ჩრდილოეთითაც ახ. წ. დასაწყისიდან ჩნდებიან, აშკარაა, რომ მათ სამხრეთ-აღმოსავლეთით მიგრაციას ბიძგი მისცეს სარმატებმა. სარმატებმა აფხაზთა/აბაზგთა ეთნოგენეზშიც მიიღეს მონწილეობა. მაშინ უნდა გადასცემოდა მეოტებს/პროტოადიღებს ნართების ეპოსი. მაგრამ აფხაზები მხოლოდ ორი კომპონენტისაგან არ წარმოქმნილან. მათ ეთნოგენეზში მესამე და მნიშვნელოვანი კომპონენტი გახლდათ ქართველური კომპონენტი: ზანური და სვანური. კა-

---

топонимика Краснодарского Края. – http://kavkasia.net/Georgia/article/1278966892.php

ვკასიონის ქედის სამხრეთით შავიზღვისპირეთის თითქმის მთელ მონაკვეთზე ზანები მკვიდრობდნენ, აგრეთვე სვანები, რომლებიც ცხოვრობდნენ კოდორის ხეობასა და სოხუმის მიდამოებშიც ზღვაზეც გამოდიოდნენ (ამას ტოპონიმი ცხუმიც ადასტურებს). სვანები იყვნენ სანიგები, რომლებიც ახ. წ. II საუკუნეში სოხუმის რაიონში ბინადრობდნენ, ხოლო ადრე უფრო ფართოდ იყვნენ განსახლებულნი (ვ. გუდაკოვი ცდილობს სანიგები ადიღეურ ეთნიკურ ერთობას – ჟანაელებს დაუკავშიროს). აგრეთვე ქართული ელემენტი ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მთებშიც მკვიდრობდა. ქართველური ეთნიკური ერთობა გვიან, VI საუკუნის შუა ხანებიდან ჩრდილო-დასავლეთ კავკასიონის მთებში შემოჭრილ ალანებსაც შეერია, მათ სუბსტრატად იქცა. ეს მოხდა თანამედროვე დიგორის, ყარაჩაისა და ბალყარეთის ტერიტორიაზე. ამ დროის შედეგია ოსურ ენაში როგორც მეგრელიზმები, ისე სვანიზმები. ცენტრალურ და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მთისწინა და მთის ზოლი რომ ქართველური ენობრივი ერთეულების განსახლების არეალი იყო, ამას ყობანური არქეოლოგიური კულტურაც ადასტურებს, რომელიც კოლხური კულტურის ადგილობრივი ვარიანტია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ვიდრე XVIII საუკუნის ბოლომდე სვანები თანამედროვე ყარაჩაისა და ბალყარეთის საქართველოს მოსაზღვრე ტერიტორიებზე ჯერ კიდევ მჭიდროდ მკვიდრობდნენ[169]. დასავლურ ქართულმა (სვანურმა) ელემენტმა ბალყარელებისა და ყარაჩაელების ეთნიკურ ისტორიაშიც მიიღო მონაწილეობა. მონღოლების შემდეგ კავკასიონის მთებში მოსული თურქულენოვანი ყივჩაღები სწორედ სვანებს დაეფინნენ. სვანები იმდენად მნიშვნელოვანი რაოდენობით შეერივნენ მოსულ თურქულენოვან ეთნიკურ ერთობას რომ ბალყარელებისა და ყარაჩაელების ანთროპოლოგიური ტიპის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი შეასრულეს. როგორც შე-

---

[169]*Л. Л. Лавров*. Расселение сванов на Северном Кавказе до XIX века, стр. 56-51.

ნიშნავენ, ისინი „კავკასიონური ტიპის კლასიკური წარმომადგენლები არიან“.[170] ლექსიკური მონაცემები, „ტოპონიმიკური პარალელები“, ფოლკლორი, გვარების ნათესაობა, საცხოვრებლისა და სამეურნეო ნაგებობების ტერმინოლოგია, აგრეთვე სვანური ტიპის კოშკების არსებობა ბალყარეთში იმას ადასტურებს, რომ ადგილობრივი კავკასიური სუბსტრატი „როგორც ჩანს, სვანური წარმოშობის“ იყო[171]. თანაც ეს სუბსტრატი უფრო მეტად ძველია, ვიდრე ალანური[172]. მ. *მერეტუკოვი* მდინარე ლაბას სვანურ მეტყველებას უკავშირებს, რადგან სვანურად „ლაბნა“ „წყაროს“ აღნიშნავს.

მოყვანილი მონაცემები აშკარად მიუთითებენ იმის შესახებ, რომ ადიღეური ტომები ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში უფრო ჩრდილოეთიდან – აზოვის ზღვისა და შავი ზღვის ჩრდილოეთ მონაკვეთებიდან არიან გადმოსახლებული. იგივე შეიძლება ითქვას აფხაზ-აბაზების შესახებ, ოღონდ ამ უკანასკნელთა მიგრაცია შედარებით ადრე მოხდა და ისინი უპირატესად უშუალოდ შავი ზღვის სანაპირო ზოლში იყვნენ განსახლებული. აფხაზ-აბაზების ეთნოგენეზში, ისევე როგორც ადიღეელების ეთნოგენეზში, მონაწილეობა მიიღო ადგილობრივმა ეთნიკურმა ერთეულმა. ეს ადგილობრივი ეთნიკური ერთობა, რომელმაც აფხაზ-აბაზების ეთნოგენეზში სუბსტრატის როლი შეასრულა ქართველური ეთნიკური ერთობა იყო. თუ ზემოთ მოყვანილ ენათმეცნიერულ გამოკვლევებსაც გავიხსენებთ, რომ აფხაზურ-აბაზურ ენებში ქართველური სუბსტრტის სახითაა წარმოდგენილი, ვფიქრობთ, ამ მოსაზრებას მყარი საფუძველი გააჩნია. ამასთანავე, როგორც ადიღეელთა, ისე აფხაზ-აბაზების ეთნოგენეზში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ირანულენობრივმა ეთნიკურმა ერთობამ. შავი ზღვის სანაპი-

---

[170]*Алексеев В. П.* Происхождение народов Кавказа. Краниологическое исследование. М., 1974, 26.

[171]*Алексеев В. П.* Происхождение народов Кавказа, С. 201-203.

[172]*Алексеев В. П.* Происхождение народов Кавказа, С. 201-203.

როზე აფხაზეთის ტერიტორიაზე და მის ჩრდილო-დასავლეთით, მეოტების ჩრდილოეთიდან მიგრაციამდე რომ ქართველური ეთნიკური ერთობები მკვიდრობდნენ საამისო საისტორიო მონაცემები თავმოყრილი აქვს *მერი ინაძეს* საყურადღებო ნაშრომში „ძველი აფხაზეთის ეთნოპოლიტიკური ისტორიის საკითხები". რამდენიმე ციტატა აღნიშნული ნაშრომიდან: „ამ რეგიონში დასავლურ-ქართველ ტომების მეზობლად ჩერქეზული მოსახლეობის დამკვიდრება შეიძლება აიხსნას ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მწირ და უნაყოფო ადგილებში მცხოვრები ჩერქეზული ტომების ერთ-ერთი ჯგუფის აქ ჩამოსახლებით"[173]. „ზიქები ანუ ჯიქები მხოლოდ ძვ. წ. II-I სს-ის მიჯნაზე ჩნდებიან შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე"[174]. „...ძვ. წ. VI-I საუკუნეებში დღევანდელი აფხაზეთის როგორც სანაპირო, ისე მთიანი ადგილების მოსახლეობაში ეთნოპოლიტიკური თვალსაზრისით წამყვანია ქართველური, უმთავარესად დასავლურ-ქართული (მეგრულ-ჭანური, სვანური) წარმომავლობის ტომები"[175]. შავი ზღვის სანაპიროზე თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე და უფრო შორსაც, ჩრდილო-დასავლეთით ქართველური მოდგმისანი რომ ცხოვრობდნენ, ამას ქართული საისტორიო ტრადიციაც მიუთითებს. მემატიანე გადმოგვცემს, რომ თარგამოსმა ეგროსს უბოძა ქვეყანა ლიხის ქედიდან ზღვამდე, „სადა წარსწვდების წვერი კავკასიისა"[176]. კავკასიონის ქედის უკიდურესი დასავლეთი კი ნიკოფსიაა (თანამედროვე ტუაფსე).

აფხაზური ეთნოსი ქართულ ეთნოსთან ადიღეური ტომების შერევის შედეგად რომაა წარმოქმნილი ამას აფხაზთა ანთროპოლოგიური ტიპიც ნათლად მიუთითებს. აფხაზები არაფ-

---

173 *მ. ინაძე.* ძველი კოლხეთის ისტორიის საკითხები, თბ., 2009, გვ. 407.

174 *მ. ინაძე.* ძველი კოლხეთის ისტორიის საკითხები, გვ. 409.

175 *მ. ინაძე.* ძველი კოლხეთის ისტორიის საკითხები, გვ. 401.

176 ქართლის ცხოვრება, ტომი I, *ს. ყაუხჩიშვილის* გამოცემა, თბ., 1955, გვ. 5.

რით განსხვავდებიან დასავლურ ქართული ეთნოგრაფიული ჯგუფებისაგან. ფიზიკური ანთროპოლოგი *ვ. ბუნაკი* აფხაზებს ქვემო იმერული ტიპის ლოკალურ ვარიანტში ათავსებდა, ხოლო *მ. აბდუშელიშვილი* მათ გურიის, სამეგრელოს, აჭარის და სამურზაყანოს ქართულ მოსახლეობასთან ერთად შავიზღვისპირულ ვარიანტში აერთიანებდა[177]. ეს უკანასკნელი იმასაც აღნიშნავდა, რომ ფიზიკური ანთროპოლოგიის თვალთახედვით, აფხაზებს ქართულ ეთნიკურ სამყაროსთან უფრო მეტი კავშირი აქვთ, ვიდრე ადიღეელებთან[178]. კიდევ ერთი ამონარიდი ფიზიკური ანთროპოლოგის *ლია ბითაძის* ნაშრომიდან: „აფხაზთა თავისებური მდგომარეობა ადიღეურ ენობრივ ჯგუფში აისახება დასავლელ ქართველებთან მათი ნათესაობით. მისი აზრით (საუბარია ანთროპოლოგ გ. ჯანბერიძეზე – რ. თ.), რომელსაც მორფოლოგიური ფაქტები ადასტურებენ, აფხაზთა ეთნოგენეზი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ქართველების რომელიღაც ჯგუფის ადიღეურ ენაზე გადასვლა; ანუ აფხაზთა ფიზიკური წინაპრების უდიდესი უმრავლესობა ნაწილი იყო არა სხვა აფსუა-ადიღურ ხალხთა წინაპრებისა, არამედ თანამედროვე ქართველების ქართულენოვანი წინაპრებისა. ამ მოსაზრებას იზიარებს *ვ. ალექსეევიც*. ის ეთანხმება თვალსაზრისს, რომ ანთროპოლოგიურად აფხაზები უფრო ახლოს დგანან ქართულ ეთნიკურ სამყაროსთან, ვიდრე ადიღეელებთან. იგი წერს: „აფხაზთა გაერთიანება ადიღური ენობრივი ჯგუფის შემადგენლობაში, ალბათ, შედარებით გვიან განხორ-

---

177 დაწვრილებით იხილეთ: *ლ. ბითაძე.* ანთროპოლოგიური მონაცემები აფხაზთა ეთნოგენეზის საკითხისათვის. – ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან: აფხაზეთი (უძველესი დროიდან დღემდე), თბ., 2007, გვ. 173-177.

178 *М. Г. Абдушелишвили*. Антропология древнего и современного населения Грузии. Тб., 1964, С. 57.

ციელდა და, ყოველ შემთხვევაში, წარმოადგენს მეორად მოვლენას მათ ეთნიკურ ისტორიაში“.[179]

ამავე დროს ხდებოდა ქართულ ეთნოსში ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხების სხვადასხვა ჯგუფების მიგრაცია-შემოღწევა. იშვიათი არ იყო ქართველთა ჩრდილოეთით მიგრაცია. ამ თვალსაზრისით არაერთი ეთნოგრაფიული ფაქტია დადასტურებული. ამავე დროს, დადასტურებული ფაქტია, რომ სვანები ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მოსაზღვრე ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიაზედაც (ბალყარეთი და ყარაჩაი) მკვიდრობდნენ. ისტორიულად სვანები უფრო ვრცელ ტერიტორიაზე იყვნენ განსახლებულები. შემდეგ მათი განსახლების არეალი თანდათან შემცირებულა სხვა ქართველურად მეტყველ ჯგუფებთან შერევის შედეგად (ქართებთან, მეგრელებთან). თანამედროვე სვანეთის საზღვრები ადრე შუა საუკუნეებში, ფაქტობრივად, უკვე ჩამოყალიბებული იყო. დღევანდელ სვანეთს ჩრდილოეთიდან კავკასიის მთავარი ქედი აკრავს. ჩრდილოეთ კავკასიაში სვანთა მეზობელი/მოსაზღვრეები ყარაჩაელები და ბალყარელები არიან, რომლებსაც სვანები ეთნონიმით – „სავიარები“ მოიხსენიებენ. ქართულ და უცხოენოვან საისტორიო და ეთნოლოგიურ ლიტერატურაში გარკვეულია, რომ **სვანები ჩრდილოეთ კავკასიაშიც იყვნენ განსახლებულნი, კერძოდ, მდინარეების – თერგისა და ყუბანის – სათავეებში, სადაც ასევე დასტურდება სვანური ტოპონიმები**[180]. ზემოხსენებული XIX საუკუნის ავტორი ბ. ნიჟარაძე წერდა: *„ჩვენ ვიცით, რომ ამ ქედის ჩრდილოეთის კალთები, რომლის ახლო ადგილები დღეს ჩეგემის, ბაქსანის (ურუსბიევის) და ყარაჩის საზოგადოებათ უჭირავთ, ჩვენს დრომდე სვანეთის კუთვნილებას შეადგენდა და დაბეგრილი იყო სვანების მიერ. მაგალითად, ჩე-*

---

[179] *ლ. ბითაძე.* ანთროპოლოგიური მონაცემები აფხაზთა ეთნოგენეზის საკითხისათვის, გვ. 176-177.

[180] Л. Лавров. Расселение сванов на Северном Кавказе до XX в.//Вопросы Этнографии Кавказа, Тб., 1952, გვ. 78, 89

გემის საზოგადოება ყოველწლივ იხდიდა 12 ვერძს მულახის საზოგადოების სასარგებლოდ, ბახსანი და ყარაჩა აძლევდა ბეგარას, ან საბალახოს საბატონო სვანებს, ან მათ ბატონებს. ქრისტიანობის ნაშთნი, რომელსაც დღეს მოგზაურნი პოულობენ ჩეგემის, ბახსანის და ყარაჩის არე-მარეში, ამტკიცებენ, რომ აწინდელ მკვიდრთა წინედ აქ უცხოვრია ქრისტეს სარწმუნოების აღმსარებელ ხალხს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ისინი სვანები უნდა ყოფილიყვნენ, რომელნიც გადასახლებულან სვანეთში, მხოლოდ მაშინ, როდესაც ისლამის აღმსარებლებმა ახლანდელ მცხოვრებლების წინაპართა ძალა დაატანეს და ან თავის ნებით გამოექცნენ თვით ისლამის აღსარებას"[181].

ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნის ბერძენი გეოგრაფი სტრაბონიც აღნიშნავდა სვანთა განსახლებას კავკასიონის მწვერვალებზე, დიოსკურიის (დღევანდელი აფხაზეთის მთავარი ქალაქის სოხუმის) ზემოთ. VI საუკუნის II ნახევარში მოღვაწე ისტორიკოსი მემანდრეც აღნიშნავდა, რომ „სვანები ერთი იმ ტომთაგანია, რომელიც კავკასიის გარშემო ცხოვრობს"; „ისინი (სვანები – რ.თ.) კავკასიის მწვერვალებაზე ცხოვრობენ"[182]. ამ ცნობით აშკარაა, რომ სვანები VI საუკუნისათვის ჩრდილოეთ კავკასიაშიც მკვიდრობდნენ. სხვას არაფერს უნდა ნიშნავდეს ისტორიკოსის სიტყვები თუ არა მათ კავკასიის გარშემო განსახლებას. თუ როდის დასახლდნენ სვანთა წინაპრები ჩრდილოეთ კავკასიაში, ეს ერთობ ძნელი გასარკვევია. რუსული წყაროების ცნობით, „1562 წელს ყაბარდოს მფლობელმა თემურ-ყვამ („ტემრიუკ") დაიპყრო «Кабаков Мшанских и Сонских сто шестьдесят четыре [183]. უეჭველია, რუსულ ცნობაში მშანებისა და სონების ქვეშ უდავოდ სვანები იგულისხმებიან. მშანებში ხომ სვანთა თვითსახე-

---

[181] ბ. ნიჟარაძე. ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, II, თბ., 1964, გვ. 51-52.

[182] გეორგიკა, III, თბ., 1936, გვ. 221.

[183] ПСБЛ, т. XIII, вторая половина, СПБ, 1909, с. 371.

ლწოდება „მუშან“ იკითხება. „სონეს“ კი ყაბარდოელები სვანებს უწოდებენ. ამასთანავე სვანეთის ჩრდილოეთ კავკასიის მოსაზღვრე ქვეყნებში, როგორც მკვლევარები მიუთითებენ, დღემდეა მოღწეული ტოპონიმები, რომლებიც სვანური მეტყველების საშუალებით იხსნება; აგრეთვე, სვანური კოშკები, სვანური ძირის გვარები, ქრისტიანული ეკლესიის ნაშთები და სხვ. ზემოხსენებული რუსი ეთნოგრაფი ლ. ლავროვი სვანების ჩრდილოეთ კავკასიაში მკვიდრობას (მდინარეების ყუბანისა და ბაქსინის სათავეებში) XIV საუკუნიდან ვარაუდობდა. ის წერდა, რომ „სვანთა საცხოვრისებმა მდინარეების ყობანისა და ბახსანის სათავეებთან თავისი კვალი დატოვა ტოპონიმიკაში“ და ჩამოგვითვლის ე.წ. სეხნია ტოპონიმებს: „უჩკულანი“ და „უშგული“, „ხუმარა“ (სხუმარი) და „ცხუმარი“, „ლაშკუტა“ და „ლაშხეთი“. მასვე სოფელ ხუმარასთან ახლოს დაუდასტურებია შუა საუკუნეების ციხის ნანგრევები, რომელსაც „შოანა“, „შუანა“, „შონას“ უწოდებენ. ლ. ლავროვის დასკვნა ასეთია: «Приведенные данные позволяют предпологать, что в некую историческую эпоху часть Северного Кавказа, в первую очередь верховья р. Кубани и р. Баксана были населены сванами». სხვაგან ის წერს, რომ «Сваны овладели Баксанским ущельем между 1640 г. и 1743 г. а оставили его (видимо под давлением Кабарды) в период между 1743 г. 1773 г. Господство сванов в верховьях Кубани должно быть отнесено к более раннему времени, именно до переселения сюда тюрок с баксана, т.е. грубо говоря, до рубежа XVII-XVIII вв.»[184] (с. 344). რუსი მეცნიერი ბოლოს ასკვნის, რომ «Расселение сванов

[184]Л. Лавров. Расселение сванов на Северном Кавказе до XX в., გვ. 344.

на северном Кавказе до XIX в. не может подлежать сомнению»[185].

რუსეთის გენშტაბის მოხელე *ი. ფ. ფლარამბერგი*, რომელიც XIX საუკუნის 30-იან წლებში იმყოფებოდა ჩრდილოეთ კავკასიაში, წერდა, რომ სოფელი ხულამი არის ჩერეხ-სახთას დასავლეთ ნაპირზე, სადაც ცხოვრობენ სვანური ოჯახები, რომლებიც დღემდე იცვამენ იმერულად და უწოდებენ „სონებს“[186].

1835 წელს დიგორხან გარდაფხაძე-დადეშკელიანის (ტოუ დადეშკელიანის მეუღლე) მიერ კავკასიის მთავარმართებელ როზენისადმი მიწერილ საჩივარში ვკითხულობთ: „*რომელიც სვანეთისა მამული დღემდის ყოფილა მფლობელობისა ქვეშე ჩვენსა და არისცა, მათ მამული საზღვრავს ჩერქეზების მხრიდან სოფელი თეგენი და ყარაჩაელების მხრით არის სამზღვარი, სადაც დასრულდება ვაკე კლავი, რომელსაც ეწოდების ლაბგვიარი და ესე ლაბგვიარი არის ჩვენი და იმის იქით ყარაჩაელთა*“[187]. წერილში დასახელებული „თეგენი“ დღევანდელი ყაბარდოს სოფელი თეგენკია, ხოლო „ლაბგვიარი“ (სვანური ტოპონიმი) ახლანდელი ულუ-კამის ხეობაა. დიგორხანი იმასაც წერდა, რომ „ჩერქეზების მხრივ, რომელიც სახლობენ ჩერქეზიდამ გადმოსახლებულნი მცხოვრებნი სოფელსა ბახსანსა, იგი არის საკუთარი ჩვენი. იმის გამო, რომელ იქ მცხოვრებელნი, რომელიც დღესა სცხოვრობენ, ადრე სახლებულან ჩერქეზეთს სოფ. გინგისს და იქიდან გადმოსახლებულან იმ სოფლის ნახევარი ხალხნი თავიანთ მამულს სოფელ ნაქმუკსა და ნაქმუკიდან არ არის დიდ ხანი რომელ თათარხანის მამას

---

185 Л. Лавров. Расселение сванов на Северном Кавказе до XX в., გვ. 344.

186Адигы, Балкарцы и Карачаевцы в известьях авторов XIII-XIX вв, Нальчик, 1974, с. 256-257

187 საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 2, ანაწერი 1, საქმე №4465, გვ. 245

ციოყს გადმოუსახლებია ჩვენს საკუთარ სოფელს ბახსანსა, თხოვნითა მათის მეუფროსის ისმაილ ვირისპილოვისათა, რომელსაც შვილი მირზაყულა დღეს არის ცოცხალი და სცხოვრობს მას ჩვენს სოფელს ბახსანსა და რომელნიც ჩვენნი გლეხნი სახლებულან მას ბასხანში. ისინი ამოუწყვეტია ჭირსა და დანარჩომანი გადმოუსახლებია ციოვს (ციოყს) სოფელსა ლეშტერსა (ფარის საზოგადოების სოფელი ღეშდერი) და ლაშხარსა (ფარის საზოგადოების სოფელი ლაშხარი), რომელნიც გვმსახურობენ ჩვენ ბატონყმურის წესითა". იმავე წერილიდან ირკვევა, რომ „ყარაჩაელნი როდესაც მოიხმარებდნენ მამულსა ჩვენსა ლაბგვიარად წოდებულსა ანუ სხვაგვარად პირუტყვის საძოვნელადა, გვაძლევდნენ თვითნიერ ყოვლისა ვარყოფისა შესახვედრსა საბალახოსა, როცა შეხვდებოდათ ჩვეულებისამებრ."

ეთნოგრაფიული მასალებით, სვანეთში მცხოვრები ზოგიერთი გვარი ჩრდილოეთ კავკასიიდანაა გადმოსახლებული. მაგალითად, ბეჩოში მცხოვრები *ვეზდენები* ბალყარეთიდან გადმოსახლებულად მიიჩნევენ თავს. მათი განაყრები იქ ვეზდენოვების გვარს ატარებენ; ისინი ერთმანეთს ენათესავებიან. სვანებს ბალყარეთთან ბოლო დრომდე არ ჰქონდათ გაწყვეტილი სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები. ისინი ბალყარეთში (ბალყარელებს სვანები „სავიარს" უწოდებენ) სათიბად დადიან, რაშიც სანაცვლოდ საქონელს, ცხენებს, უნაგირებს... აძლევენ. სვანი მთხრობელის თქმით, ვინც ხშირად დადიოდა, იმათი ენა იცოდა. ჩვენი მიჯნები ვიცით და დამარხულია საზღვარზე ნახშირი. ნახშირი მიწაში „საუკუნეებს სძლებს." ეთნოგრაფიული მონაცემებით, სავაირთა ქვეყნიდან ყოფილან მოსულნი *გოშთელიანები.* ყაბარდოში მკვიდრობს *შახმურზაევების* გვარი, რომლებიც ძირად გუჯეჯიანები არიან. გადმოცემით ყაბარდოში ისინი ორი-სამი საუკუნის წინ სვანეთიდან გადასახლებულან. ჩრდილოეთ კავკასიაში მოსახლე *ქურდანოვები* ზემო სვანეთის

მულახის თემიდან გადასახლებულ ქურდიანთა შთამომავლები არიან.

როგორც ირკვევა, ჩრდილოეთ კავკასიიდან არიან გადმოსახლებულნი *ცინდელიანები,* რომლებიც ბეგარას იღებენ სოფელ ხურძულში მოსახლე ყარაჩაელებისაგან. საზღვრის დასადგენად ჩასულ კომისიას ერთმა ხურძუკელმა განუცხადა, რომ ჩვენი და სვანეთის საზღვარი კავკასიონის დიდი ქედია. ჩვენს მახსოვრობაში ეს არის და ოდესღაც რა იყო, ალაჰმა იცისო. ამ სიტყვაზე გამოხტა სვანების მხრით მოხუცი *ვიჩი ცინდელიანი* და აღელვებულის ხმით მიმართა ყრილობას: *„ჩვენს და თქვენს შუა საზღვარი დიდი ქედი კი არ არის, ქვის ხიდი (ეს ხიდი სოფელთან იყო) (ბაჩა ბოგ). ჩემს სიცოცხლეში სამჯერ ამიღია თქვენგან ბეგარა – საბალახე იმ ადგილებიდან, რომელსაც დღეს თქვენ დაეპატრონეთ. ორჯელაც ჯოგი წაგართვით, როდესაც საბალახოს გადახდაზე ურჩობა გაგვიწიეთ. ეს იყო მურზაყანის მამის თ. ციოყის დროს. „ამჟი ლი! ამჟი ლი! (ასეა! ასეა!) მოისმა სვანების ერთიანი ყიჟინა“*[488].

სხვათა შორის, ჩრდილოეთ კავკასიაში ოდესღაც სვანთა განსახლების ადგილი, ტოპონიმი „ბახსნი“ სვანური ენის საშუალებით იხსნება, რაც, როგორც აღნიშნავენ, „გაყოფილ, გაპობილ ადგილს“ ნიშნავს (მსგავსი ტოპონიმი, სოფლის სახელი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში – გუდამაყარში-ცაა: „ბახანი“). სვანური ტოპონიმია „ლაბგვიარიც“, რაც ისეთ ადგილს აღნიშნავს, სადაც ხიდის გადება შეიძლება. სვანეთის მოსაზღვრე ჩრდილოეთ კავკასიაში სვანური ტოპონიმები (ოიკონიმები) სხვაც არაერთია. ასეთ ტოპონიმებს შორის ასახელებენ: „უჩქულან“-ს, „კოჯურდი“-ს, „ჯავლი“-ს. „უშგულ“ უკუღმართ ადგილს ნიშნავს. „კოჯურდ“-ში კი გამოიყოფა სვანური სიტყვა „კოჯ“ (კლდე). სხვათა შორის, ასევე სვანუ-

---

[188] ბ. ნიჟარაძე. ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, II, თბ., 1964, გვ. 152.

რი მეტყველებით ხსნიდა ტოპონიმ „კოჯორს“ (თბილისის მახლობლად) ეთნოლოგი მ. გეგეშიძე[189].

ასე რომ, ინტენსიური იყო სვანებისა და მოსაზღვრე თურქულენოვანი ბალყარელებისა და ყარაჩაელების ეთნიკური ურთიერთობა. მიგრაციული პროცესები ორივე მიმართულებით მიმდინარეობდა. ბალყარეთსა და ყარაჩაიში არაერთ გვარს აქვს გადმოცემა ქართული (სვანური) წარმომავლობის შესახებ. ასევე მცირე რაოდენობით არ მოგვეპოვება ეთნოგარაფიული მასალა, რომლებიც პირდაპირ გვიდასტურებენ სვანეთში მთელი რიგი გვარებისა და სამხუბების „სავიარული“ (ბალყარული) წარმომავლობის შესახებ. თუმცა ისეთი ეთნოგრაფიული მასალაც ცოტა არაა, რომლითაც ირკვევა ჩრდილოეთ კავკასიის აღნიშნული რეგიონებიდან თვით იქ მცხოვრები სვანების გადმოსახლების შესახებ. ჩრდილოეთ კავკასიელების დასავლეთ საქართველო ტერიტორიაზე გადმოსახლება-შემოღწევა ჯგუფური ხასიათის თითქმის არასდროს ყოფილა, ის ძირითადად ინდივიდუალურ ხასიათს ატარებდა.

ინტენსიური იყო რაჭველების ეთნიკური ურთიერთობები მოსაზღვრე ჩრდილოეთ კავკასიელებთან, განსაკუთრებით ოსების დიგორელთა ეთნოგრაფიულ ჯგუფთან. ეს ეთნიკური ურთიერთობები ხშირად „კერძ-მოკეთეობის“ ხასიათს ატარებდა. ამასთანავე, რაჭიდან მოსახლეობის ინტენსიური გადინება მიმდინარეობდა ჩრდილოეთ კავკასიაში, რასაც ხელს უწყობდა კერძ-მოკეთეობის ინსტიტუტი, რაჭველთა ჩრდილოეთ კავკასიაში გარე სამუშაოდ სიარული. XIX საუკუნის 80-იან წლებში „უწყვეტ ნაკადად მიემართებოდა რაჭველთა ქარავანი მამისონის გზით ჩრდილო კავკასიისაკენ. ასე გაჩენილა რაჭველთა ახალმოსახლეობა ჩრდილო ოსეთს, ყაბარდოსა და სტავროპოლის მხარის სოფლებსა და ქალაქებში: ალაგირში, ზმეიკაში, დარკოხში, ვლადიკავკავში, ნალჩიკში, პიატიგორსკში,

---

[189] მ. გეგეშიძე. „კოჟორი“ (ტოპონიმიკური დაკვირვება) – კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966, გვ. 190-209.

კისლოვოდსკში“[190]. აღსანიშნავია, რომ მთის რაჭაში კერძის დროებითი შეჯალაბების გარდა, ოჯახში მათი მუდმივი წევრად მიღების ჩვეულებაც დასტურდება. „ნიკო სიმონიეს ძე გავაშელის (სოფ. ღები) გადმოცემით, მათ წინაპარს – გვარად თოქათის – დვალეთის აულ გალიათას უცხოვრია, ავი ბატონი ჰყოლია, მისი ავკაცობა ვეღარ აუტანია და მოუკლავს. ამის შემდეგ თოქათის ოჯახი, ორი ძმა ცოლ-შვილით რაჭაში გადმოხვეწილან და ღებელი ყონაღის – გავაშელის ოჯახში ჯალაბად შესულან, მათი გვარი მიულიათ და ერთ დიდ ოჯახად ცხოვრება დაუწყიათ“[191]. „ღებიდან რაჭის ფეოდალების ურჩობას გაქცევია ქუჩუკ ლობჯანიძე, რომელიც მალყარელი კერძის მამაგომედა ბატაშვილის ოჯახში შეუფარებია თავი“[192].

მიგრაცია-გაჟონვის არაერთი ფაქტიცაა დადასტურებული. „საყურადღებო გადმოცემა არსებობს აგრეთვე გობეჯიშვილების გვარის წარმოშობის შესახებ, რომელსაც დიგორიდან გამოქცეულად მიიჩნევიან. ესენი სამნი ძმანი ყოფილან: „გობეჯა, ხამიჯა და ია. მათ დიგორში კაცი შემოკვდომიათ და თემისაგან განდევნილებს თავი რაჭის მთებში შეუფარებიათ. მოსულან რაჭის მთავარ წერეთელთან და დასახლების ნებართვა უთხოვიათ. გზად ღები გაუვლიათ და ძლიერ მოსწონებიათ. სადმელთან მელა მოუკლავთ და შემდეგ წერეთელს ხლებიან. გობეჯა და ხამიჯა ცხენზე მსხდარან, საშუალო ძმა – ია – ჯორზე. წერეთელმა მგზავრები კი მიიღო, მაგრამ მათ შორის უმეტესი პატივი იასა სცა, როგორც ჯორზე მჯდომსა. წერეთელმა მგზავრები ღამით თავის სასახლეში მოასვენა, სადაც იას თურმე თავადურად ეძინა. მეორე დღეს მათ წერეთელი შეკითხვია, თუ სადა სურთ დასახლება. იას მოუხსენებია, მე იქ დამასახლე, სადაც მელია (სადმელი) მოვკალიო. ხამიჯას

---

[190] ს. რეხვიაშვილი. ქართველ და ჩრდილოკავკასიელ მთიელთა მეგობრობის ისტორიიდან, თბ., 1977, გვ. 9.

[191] ს. რეხვიაშვილი. ქართველ და ჩრდილოკავკასიელ მთიელთა... გვ. 50.

[192] ს. რეხვიაშვილი. ქართველ და ჩრდილოკავკასიელ მთიელთა... გვ. 51.

უთხოვია დიგორელებთან შერიგება და ისევ უკან გაბრუნება. გობეჯას კი მოუსურვებია ღებში დაბინავება. წერეთელს შეუსრულებია მათი თხოვნა. იასათვის, როგორც ჯორზე მჯდომისა და ღამე თავადურად მძინარისათვის, აზნაურობა უბოძებია და სადმელში დაუსახლებია, აქედან შემდეგ იაშვილების გვარი წარმოშობილა. გობეჯა ღებში დასახლებულა და გობეჯიშვილების გვარი წარმოშობილა. ხამიჯა უკანვე დიგორში გაბრუნებულა, სადაც მისი შთამომავალი ხამიჯაევევი დღესაც ცხოვრობენ და რომლებსაც ღებელ დეტუეენთ გობეჯიშვილებს თავიანთ მონათესავედ თვლიან[193]".

ქართველთაგან განსაკუთრებული ურთიერთობა ჩრდილოეთ კავკასიის სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლებიდან მთიელებს ჰქონდათ[194], რომლებიც მათ მეზობლად ცხოვრობდნენ. თუმცა ეს ურთიერთობა მხოლოდ მთიელებს შორის არ იყო. საქართველოს სახელმწიფოს ერთიანობის პერიოდში ეთნიკური ურთიერთობები უფრო მაღალი დონისა იყო. აქ შეიძლება მხოლოდ ქართული სამეფო დინასტიის წარმომადგენლების ქორწინებები მოვიყვანოთ, მაგალითად, ალან-ოსთა სამეფო კარის წარმომადგენლებთან.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებისა და ჩრდილოეთ კავკასიელი მთიელების ეთნიკური ურთიერთობის ბევრი ეთნოგრაფიული მასალა არსებობს. განსაკუთრებით ინტენსიური იყო ხევსურეთის, ფშავის, თუშეთის და ხევის მოსახლეობის ურთიერთობები ვაინახური მოდგმის ჩაჩნებსა და ინგუშებთან. მთიანეთის დასახელებულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში არაერთი შემთხვევა გვაქვს დადასტურებული ამა თუ იმ გვარისა და მამიშვილობის ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსახლებისა და გაქართველების შესახებ. მხოლოდ რამდენიმე ეთნოგრაფიული ფაქტის მოყვანით დავკმაყოფილდებით. ხევსურე-

---

193 ს. მაკალათია. მთის რაჭა, თბ., 1987, გვ. 27.

194 იხ.: ნ. ჯალაბაძე. ქართულ-ვაინახური ურთიერთობის დინამიკა. ჩეჩნური ფენომენი ქართულ სინამდვილეში, თბ., 2006.

თში მცხოვრები „ჯაბუშანურის გვარი თათარი (ქისტი) ყოფილა. ... შემდეგ ჯაბუშანური აქედან აყრილა და სათათრეთში გადასულაო, დარჩენილა მხოლოდ ერთი კოჭლი და მისგან ეს გვარი მომრავლებულაო. ჩხუბის დროს ჯაბუშანურებს ხევსურები დღესაც წასძახებენ: „თქვე თათრები“-ო. ამ გვარს სასაფლაოც ცალკე აქვს“[195].

„ხალხური თქმულებით, ბაგრატიონ მეფეს ამღელები უნათლავს და, ვისაც ქრისტიანობა არ მიულია, აქედან აყრილან და თათრეთში გადასულან“[196].

„გაფიცვის ასეთი წესით მიღებული გვარი ფშავში მრავალია. მაგალითად, გორზემაული ქისტი ყოფილა, რომელიც მესისხლეობის გამო ქისტეთიდან ფშავის ხევში გამოქცეულა და აქ ცაბაურთელებს ძმად გაფიცვია“[197].

„ზოგიერთ გვარს თავისი წარმოშობის ისტორიაც ახსოვს. მაგალითად, ქისტაურების წინაპარი ქისტი ყოფილა ღულ-ჩხარეგოედან გადმოსული. ქისტაური სამი ძმა ყოფილა, ქისტეთში კაცი მოუკლავთ და სამივენი საქართველოში გამოქცეულან. ერთი მათგანი მოხევეებში გადასულა და უთქვამს, მე აქ გავიბოტებიო (დავდგებიო) და ამ სოფელსაც გაიბოტენი დარქმევია. მეორე ძმა ხევსურეთში სოფ. ღულში დასახლებულა და მესამე კი შუაფხოში“[198].

ეთნიკური ურთიერთობების დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ ჩაჩნეთის მოსაზღვრე მხარე ისტორიულად ქართლ-კახეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა და აქ მცხოვრებ ჩაჩნებს XIX საუკუნის რუსული აღწერების მიხედვით ქართულსუფიქსიანი გვარები ჰქონდათ. ვაინახურ და ქართულ ეთნიკურ ურთიერთობებს რომ ხანგრძლივი ისტორია და ტრა-

---

[195] ს. მაკალათია. ხევსურეთი. თბ., 1984, გვ. 74.

[196] ს. მაკალათია. ხევსურეთი, გვ. 74.

[197] ს. მაკალათია. ფშავი, გვ. 74.

[198] ს. მაკალათია. ფშავი, გვ. 74.

დიცია გააჩნია ეს ქართული საისტორიო წყაროებითაც დასტურდება, მაგალითად, მეფე საურმაგმა დურძუკების მნიშვნელოვანი ნაწილი როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს მთიანეთში განასახლა. დროთა განმავლობაში კი ისინი ქართველთა შორის გაითქვიფნენ. საურმაგის მიერ დურძუკების დიდი რაოდენობით საქართველოს მთელ ჩრდილოეთ პერიმეტრზე დასახლება, რა თქმა უნდა, მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდებოდა, თუ აქ ადგილობრივი მოსახლეობა დღეს ჩვენთვის გაურკვეველი მიზეზების გამო, შეთხელებული იქნებოდა. სამართლიანადაა შენიშნული, რომ ჩრდილოეთ კავკასიელთა ასეთ გადმოსახლებას პოლიტიკური მიზნებიც ჰქონდა – საურმაგმა აქ თავისი დასაყრდენი ძალა განასახლა. ამავე დროს, დურძუკების მიერ სამშობლოს მიტოვება და ახალ ადგილზე გადასახლება გამოწვეული იყო გადამეტსახლებით („დურძუკეთი ვერღა-რა იტევდა კაცთა სიმრავლისაგან"). ვფიქრობთ, რომ საურმაგისადმი დურუკების დახმარება სწორედ იმ წინაპირობით უნდა ყოფილიყო განპირობებული, რომ ადგილობრივ ძალებთან გამარჯვების შემთხვევაში, ისინი სამოსახლო ადგილებს მოიპოვებდნენ. დურძუკების დასახლება მეფე საურმაგმა საქართველოს მხოლოდ ერთ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ რეგიონში არ მოახდინა. ისინი მთელ საქართველოს მთიანეთში გაფანტა, რათა მომავალში მიგრანტებისა და მათ შთამომავლების მხრივ რაიმე წინააღმდეგობა გამოერიცხა. ასეთი ერთ-ერთი ფაქტი მართლაც დაფიქსირებული აქვს ლეონტი მროველს, როდესაც ჩრდილოეთ კავკასიელი დურძუკები საურმაგის დროს ჭართალში გადმოსახლებულებს შეუერთდნენ და კახეთსა და ბაზალეთზე ითარეშეს[199]. შემდგომ პერიოდებში დურძუკები როგორც ცალკე ეთნიკური ერთობა არცერთ ქართულ წყაროში აღარ მოიხსენიება, რაც, ბუნებრივია –

[199] დაწვრილებით იხ.: მ. ტყავაშვილი, თ. შაკიაშვილი. ჩრდილოკავკასიელთა მიგრაცია საქართველოში (ძვ. III ს.). – ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, VIII, თბ., 2006, გვ. 357-374.

დურძუკები ქართველებთან არა მხოლოდ ინტეგრირებულნი, არამედ მათგან ასიმილირებულიც იქნენ.

XIX საუკუნის შუა ხანებში ინგუშებისა და ჩაჩნების კიდევ ერთი ჯგუფური გადმოსახლება მოხდა საქართველოში, კერძოდ, პანკისის ხეობაში. XIX საუკუნეში მიგრირდა ჩრდილოეთ კავკასიაში ხევის მოსახლეობა (იგივე შეიძლება ითქვას რაჭის მოსახლეობის შესახებაც). დღესაც ვლადივკავკაზში ქართველები მნიშვნელოვანი რაოდენობით არიან.

მიგრირდებოდნენ თუ არა ისტორიის ადრეულ პერიოდებში ქართველები ჩრდილოეთ კავკასიაში? ამის შესახებ მწირი ინფორმაცია გაგვაჩნია. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ VIII-X საუკუნეებში ასეთი მიგრაციები ხდებოდა, რომ აღნიშნულ დროს ქართული ქრისტიანული ძეგლების აგებას (თხაბა-ერდი, დათუნას ეკლესია...) თან ქართველთა გარკვეული რაოდენობის გადასახლებაც ახლდა. უფრო მეტი, შენიშნავენ, რომ „ქართველების ჩრდილოეთ კავკასიაში გადასახლებამ არნახულ მასშტაბებს არაბობის დროს მიაღწია. მათი ბატონობა საქართველოში დაახლოებით სამას წელიწადს გაგრძელდა“[200]. მიგვაჩნია, რომ ქართველების ჩრდილო ცენტრალურ კავკასიასა და ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში „არნახული მასშტაბების მიგრაცის“ დამადასტურებელი არავითარი დოკუმენტური მასალა არ გაგვაჩნია. ასეთი ჯგუფური სახის მიგრაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში იყო შესაძლებელი თუ მიგრანტების მიმღები რეგიონი მოსახლეობისაგან თავისუფალი იქნებოდა. მასობრივი გადასახლების შემთხვევაში ადგილობრივი გარემო საამისოდ მზად იყო? თუმცა, ცალკეული გადასახლებანი საქართველოდან ჩრდილოეთ კავკასიაში ბუნებრივია იყო. ასეთი მიგრაციის დამადასტურებელი ხომ არაა ის ფაქტი, რომ საქართველოს სამეფოს შემადგენ-

---

[200] მ. ტყავაშვილი. ქართული ახალშენები ჩრდილოკავკასიაში (XVIII-X საუკუნეებში). – ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, VIII, თბ., 2006, გვ. 350.

ლობაში ყოველთვის შედიოდა მოსაზღვრე ჩაჩნებით დასახლებული ტერიტორია. ამის დამადასტურებელი ფაქტი ხომ არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ შატილის, არღუნის ხეობის მოსაზღვრე სოფლების მკვიდრნი 1886 წლის საოჯახო სიებით აღმოსავლეთ საქართველოს მთის რეგიონნებისათვის დამახასიათებელ -ურ სუფიქსიან გვარებს ატარებდნენ.

ხევსურეთის (საქართველოს) საზღვარი უფრო ჩრდილოეთით იყო. *იოანე ბაგრატიონის* მიხედვით, კახეთს მიეწერებოდა „ქისტეთის ერთი ხეობა თავისი სოფლებით ითვლებოდა კომლი 950“[201]. რუსეთის იმპერიის დროსაც მომიჯნავე ჩაჩნეთის ტერიტორიის 11 სოფელი თბილისის გუბერნიის თიანეთის მაზრაში შედიოდა. ასეა ეს დადასტურებული 1886 წლის საოჯახო სიებითაც და აქ მცხოვრებ ეთნიკურ ჩაჩნებს გვარები -ურ სუფიქსით ჰქონდათ გაფორმებული (*ალბაკაური, აშიგაური, ბარჩაული, კარსამაული, მუხაური, გადუმაური, ხაიაური...*)[202]. ეს ტერიტორია 1925 წელს ჩაჩნეთის ავტონომიური ოლქის თხოვნის საფუძველზე ქართველმა ბოლშევიკებმა, ბუნებრივია, მოსკოვის მითითებით, ჩაჩნებს გადასცეს. არღუნის ხეობის ეს სოფლები იყო: ჯარეგო, თერეთელო, მალხისტი, ცეკარო, სახანო და სხვ. ასე გატარდა რუსეთსა და საქართველოს შორის საზღვარი სოფელ შატილიდან რამდენიმე კილომეტრში. 1928 წელს საქართველოს ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ ხევსურეთს კიდევ ერთი ტერიტორია ჩამოაჭრა – სათიბი „ალაქოს მთის“ უბანი. შატილელები სათიბების დაკარგვას არ შეურიგდნენ და საქმე შეტაკებამდე მისულა.

ქართველ ეთნოლოგებს დადასტურებული აქვთ, რომ ფშავის ცენტრალურ სალოცავს ჩრდილოეთ კავკასიელი „არა-

---

[201] იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, თბ., 1986, 72.

[202] რ. თოფჩიშვილი, ეთნოისტორიული ეტიუდები, წიგნი I, თბ., 2005, გვ. 98-99.

ქართველი ტომებიც“ ლოცულობდნენ[203]. იმავე ეთნოგრაფიული მასალებით, აღმოსავლეთ საქართველოს მთაში საკმაოდ არიან ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსახლებულთა შთამომავალნი. მაგალითად, გოგოლაურთ თემში მახაურები დაღესტნელი ტყვის შთამომავლები არიან, ჩიტუანი ოსეთიდან მოსულან[204].

ლეკების თარეშები მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს ბარის მიმართულებით არ ხდებოდა. ისინი ზოგჯერ მთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებსაც ესხმოდნენ თავს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა შემდეგი ეთნოგრაფიული მასალა: „ლეკები ეცემოდნენ ფშავს და ტყვეებს ერეკებოდნენ. უკანასკნელად ერთი ტყვე ქალი ჭიჩოდან მახაჭკალაში წაუყვანიათ და იქ გაუთხოვებიათ. იმ ქალის ვაჟების შვილებმა, აბდულამ და ზაქარამ, ამ რამდენიმე წლის წინათ ხევისბერს პეტრე კუწაშვილს ჭედილა დააკვლევინეს და არაყიც მოიტანეს, — „ჩვენი ბებო აქაური იყო და ჩვენ აქ უნდა ვილოცოთო“[205].

„ღვთისია ხუცესის თანახმად გიგაურები გველეთში მაშინ ცხოვრობდნენ, როცა ბარისახო ჯერ კიდევ დასახლებული არ ყოფილა. მაშინდელ დროში გუდელას სისვაურებში მდგარა მითხოდან წამოსული ქისტი სანაგი. იმას მაგანძურნი ავიწროებდნენ და გველეთელი გიგაურებისათვის უთხოვია მფარველობა. გიგაურებს ჯერ უარი უთქვამთ — ურჯულოაო. სანაგს თეთრი ხარი მიუგვრია გიგაურებისათვის — უნდა მოგებაროთო, ხარქვაბით შემოლბარებია, ძმობა და ფიცი უქნავ და ძმო-

---

[203] ვ. ბარდაველიძე. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტომი I, თბ., 1974, გვ. 9.

[204] ვ. ბარდაველიძე. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის... ტომი I, გვ. 117.

[205] ვ. ბარდაველიძე. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის...ტომი I, გვ. 170-171.

ბის სამანი ჩაუგდავ გიგაურების სალოცავ – ანგელოზის ჯვარში“[206].

„გადმოცემით ლიქოკელნი (გარდა ჭალისოფელში მცხოვრებ ბასხაჯაურებისა და ვაჩიაურებისა) სანაგის შთამომავალნი არიან, ძირად ჭანთელნი. მათს წინაპარს ჭანთეთში კაცი მოუკლავს. სამი ძმანი ყოფილან და წამოსულან შატილში. ამ სამი ძმიდან ერთი სანაგი ხევსურეთში წასულა (აქედანაა ლიქოკელი), მეორე ძმა თუშეთში გამგზავრებულა (ისეები ჩვენებ განაყრებია) და მესამე ძმა შატილში დარჩა ანატორელთ ეძახიან მათ“[207].

„უსაჯურნი უფრო ბურდულებია და არა ველთაურები; უსაჯურნი შთამომავლობით ოსები არიან. ერთხელ ხევსურებს მაღრან-დვალეთიდან (დვალეთი) ტყვე წამოუყვანიათ. აი იმ ტყვის შთამომავალნი არიან უსაჯურნი. როცა ხევსურები ურჯულოებს ებრძოდნენ, მათ ლაშქარს ერთი ქმოსტელი წინამძღოლი ჰყავდა – სახელგანთქმული ხევსური ბერდიაული. ეს ბერდიაული „უბედური“ იყო, ე. ი. უვაჟიშვილო. დაბერდა უკვე, მაგრამ ხევსურები მაინც არ ეშვებოდნენ და მას თავის ლაშქრის წინ იმძღვარებდნენ. ასე იყო მაღრან-დვალეთზე გალაშქრების დროსაც, როცა ხევსურებმა ტყვე-ოსი ხელთ ჩაიგდეს, მაშინ გადაეწყვიტათ – ეს ტყვე ბერდიაულს ვაჩუქოთ და მისი უსაჯი (უკანონო) შვილი იყოსო. მართლაც გაზარდა ბერდიაულმა ოსი ტყვე და მის შთამომავლობას უსაჯურნი დაერქვა“[208].

---

[206] ვ. ბარდაველიძე. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტომი II-1, ხევსურეთი, თბ., 1982, გვ. 30.

[207] ვ. ბარდაველიძე. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის... ტომი II-1, ხევსურეთი, თბ., 1982, გვ. 48.

[208] ვ. ბარდაველიძე. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის..., ტომი II-1, გვ. 106.

არაერთგვაროვანი იყო თუშების ურთიერთობა ჩრდილოეთ კავკასიელებთან (ლეკებთან და ჩაჩნებთან). აი, ეს მასალაც: „გადმოცემით „ჩიღოში წინავ შვიდოც კვამლ ყოფილიყვ, ცხრაოცი მარტო პირტიტველა თოფის ამღე ბიჭია ყოფილიყუ. ერთხენ კიცვაის ქორწილში მთვრალ ჩიღოელთ გოგორათანით ლეკის მეკოპარი აქისაკენ მებრუნ. ლეკის ჯარს ყველა კაცებ დე ოცნეს, დიაცებიდ ბალღებ კი ტყვედ გერეკნეს. ერთია ბალღ კიდებნ დამრჩალიყოდ იმისაი გამრავლებულიყუ გარევ სოფელი. იმაშინას ამოწყვეტილან ქიბიშაურნი, ჭორჭელნი, გორგიენი, ქოსაენი, დუყანი, კორხელაურნიდ კიდენ სხვები“[209].

„ჩიღოში გადმოვიდეს ფარეტათ დადაიდ ბათირიანთ ივანეი. ესენი ქისტებ იყვნეს. ბათირიანთ ივანეი დიკლოს გადავიდად იქ დასახლდ, ფარეტათ დადაი კი აქ დარკ, ჩვენ მამულზე“[210].

„აბრამ გიორგის ძე თილიძის თქმით, თილიძეები ძირად ლეკებია. იქიდან (ლეკეთიდან) არის (თილისძეების წინაპარი) ოჯახი წამოსული, ითუანხალის რაიონიდან, აჩარის ხეობიდან სოფელ შატოვიდან“[211].

„სოფ. დანოში 1949 წლის აღწერილობით 50-კომლამდე უცხოვრიათ შემდეგ გვარებს: თავბერიძე, ლუხუმაიძე, ხაპრიძე, თათარაიძე, ალხანაიძე, შახაძე, უმარაიძე და ხელაიძე. „ალხანაანი, შახაანიდ უმარაანი წმიდა ქისტები არიან. სისხლის აღების ნიადაგზე ორი ძმანი – ისაიდ უშარაიდ ერთიც დაი ფატინა აქ დასახლებულიყვნეს, ბიჭებიც აქავ დაქორწინე-

---

[209] ვ. ბარდაველიძე. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტომი II-2, თუშეთი, თბ., 1982, გვ. 21.

[210] ვ. ბარდაველიძე. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის..., ტომი II-2, გვ. 22.

[211] ვ. ბარდაველიძე. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის..., ტომი II-2, გვ. 37.

ბულიყვნეს, დაიც აქავ გეთხოვ. უმარაის შვილები უმარაიძედ ჩაიწერნეს, ისას შვილიებს ისაანთ ეძახიან, ფატინას შვილებ კი ალხანაიძეებად იწერებიან“.[212]

„ს. ჭეშო მდებარეობს პირიქით ალაზნის მარცხენა ნაპირზე. ... ჭეშოს ყველაზე ძველი გვარებია აბალოიძე და ომაიძე, ძველად აქ მხოლოდ ამ გვარებს უცხოვრიათ. ევთხორი აბალოიძეების ყოფილი სოფელია. პირველმოსახლენი სწორედ აბალოიძეები ყოფილან. ომაიძეები კი შემდეგში დასახლებულან. მთხრ. ივანე აბალოიძის ცნობით (დაბად. 1885 წ., 1965): „პირველში დასახლებულნი თურმე ჩვენა ვყოფილვართ, მეორე – ომაიძეები; გურჯაანელი ქართველები ყოფილან ეგენი; **უცოიძეები ქისტები ყოფილან, ქავთარაძეები ლეკები არიან ჩამომავლობით, ალხანაიძეები ქისტები ყოფილან,** აბალოიძეები მესხები ვყოფილვართ ჩამომავლობით, კანთოიძეები ვყოფილვართ, არუშეთიდან... აბალო ერთი ბალღი დამრჩალა, როცა კანთოიძეები ამოხოცილან და იქიდან კი ჩვენ მოვდივართ“. „ომაიძეების ძველი გვარი ხაჩიძე ყოფილა. გურჯაანიდან მოსულა ოთხი ძმა. ერთი დასახლებულა კახეთში საბუეს, ერთი თუშეთში – შენაქოს, ერთი – ჭეშოს და **ერთიც ქისტეთში გადასულა, ითონხას ეძახიან**, ეხლა ახალხევს ეტყვიან, იქ დასახლებულა“[213].

„სოფ. ხისოში ცხოვრობდნენ: ციდილაანი და ზოდონაანი. წარმოშობით ციდილაანი ლეკები ყოფილან. მაგათი მამა-პაპა დაღესტნიდან წამოსული ლეკი ყოფილა“. ცოდილა დაღესტნიდან გადმოსახლებულა, სოფელ გუტუსიდან. ოთხი ძმანი წამოსულან. ერთი დართლოში მოსულა, ერთი – ხისოში და ერთიც ფშაველში. დართლოში იდოიძედ იწერებოდა, ხახაბუში – ბუხაჩაურად და თათარაულად, ხისოში – ციდილაობით,

---

[212] ვ. ბარდაველიძე. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის..., ტომი II-2, გვ. 37.

[213] ვ. ბარდაველიძე. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის..., ტომი II-2, გვ. 42.

ფშაველში – ციხისთავად“[214]. „ხისოს ჭალაში უცხოვრიათ მურთაზაშვილებს. მთხრ. ხარიტონ ალექსის ძე მურთაზაშვილის ცნობით „ჩვენი გვარი არის ქისტისა. ეხლაც არის ჩვენი ნასოფლარი ხილდიხარი. ეს ხეობა არის პირიქით ქისტებში, თუშეთის ახლოს არის. ერთი კაცი წამოსულა იქიდან, კაცი შემოკვდომია და სისხლის აღებაზე დაუწყიათ დავა. მოუყრია ამ ქისტს ცოლ-შვილი წინ და მთა-მთა გადმოსულა...“[215].

„ჩვენი გვარის (კურდღელაიძის) პაპა ხევსურეთიდან იყო მოსული. ხოწნიკაურები ვართაო ჩვენ – ბიძაჩემი იტყოდა ხოლმე. ჩვენი სოფელი შამილის წინარე შვიდოცი (140) კვამლი ყოფილიყო. შამილის დროსა და მის შემდეგ კი დაუწვიათ და გაუნადგურებიათ, ხალხი მთლად ამოუწყვეტიათ...“[216]

გომეწრის თემის სოფელ ალისგორში მოსულები ყოფილან ბაცაიძეები: „ბაცაიძეები ჩაჩნეთიდან გადმოსულან...“[217].

„უთავსაური ყოფილა ადრევე ერთი გვარი ჯვარბოსელში და ყველანი დახოცილან, აღარც მე მახსოვს. მახსოვს, შენდობას ეტყოდნენ ხილმე. მერე ერთი ქისტი შემოხიზნულა და რომ მოუნათლავთ, უთავსაური უწოდებიათ, ვითომ რა, უთავსაურის გვარი აღვადგინოთო. ის ძველი, გათავებული უთასაური მანდ ადგილობრივი გვარი ყოფილა. იმ ქისტის გვარი არ მახსოვს. სახელად ქოთა ერქვა“ ... „ბუჩაიძის გვარის წარმომავლობის შესახებ კი ასეთი გადმოცემა არსებობს: „დაღესტანში ერთი სოფელია, ხილდა, თიჩუსაც ეძახიან, მთა-თუშეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ არის. აქ უცხოვრიათ უმარხანებს; ოთხი ძმა ყოფილა. ერთ ძმას ჩხუბი მოსვლია და სი-

---

[214] ვ. ბარდაველიძე. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის..., ტომი II-2, გვ. 52.

[215] ვ. ბარდაველიძე. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის..., ტომი II-2, გვ. 53.

[216] ვ. ბარდაველიძე. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის..., ტომი II-2, გვ. 72.

[217] ვ. ბარდაველიძე. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის..., ტომი II-2, გვ. 82.

სხლი დაუღვრია. ვისი სისხლიც დაუღვრია, ის ძლიერი გვარისა ყოფილა. ეს ოთხი ძმა აბაიბარგა და წამოვიდა შენაქოში. ... ერთი შენქოში დაასახლეს, ერთი – დოჭუში, ერთი – ჯვარბოსელში და ერთიც – დართლოში. იქაური გვარი დააგდესდა აქ ახალ გვარებად მოინათლნენ. დართლოში ნესტორაანი და თანდილაანები გამოვიდნენ. ესენი ყველანი დაიხოცნენ. საბოლოოდ ერთი კაცი რომ იყო დარჩენილი და ესენიც ყველანი დაიხოცნენ. საბოლოოდ ერთი კაცი რომ იყო დარჩენილი და ისიც მოკვდა, აქაურებმა გადაუხადეს მიცვალებულის ყველა წესი. ამ კაცს აღარავინ დარჩენოდა... შენაქოში უმარხანები ორ გვარად იწერებოდნენ: ბუჩაიძეებად და ჩიღოელიძეებად. ჩიღოელიძეები და ბუჩაიძეები ჩვენი ბიძაშვილები არიან. დოჭუში მიქელაძეებად დაეწერნენ. ... ჯვარბოსელში კი ჩვენი გვარი იყო“[218].

სოფელ ვერხოვანში მცხოვრები „ანწუხელიძეები დიდოები არიან“[219].

სოფელ ბიქიურთაში „მერე კიდევ ერთი ქისტი ყოფილა მოსული ადრევე, ბუცოლიანებს უშვილებიათ, ეგენიც გამრავლებულან და ღაზიანებად იწოდებოდნენ“[220].

„სოფ. დოჭუში ცხოვრობდნენ შემდეგი გვარები ... აბულიძეები. აბულიძეები ქისტები ყოფილან. სამი ძმა წამოსულა ქისტეთიდან. ერთი დოჭუში მოსულა, მეორე – გირევში, მესამე – შენაქოში“[221].

სოფელ ვესტომთაში ძირად ქისტებად მიიჩნევიან ქარსამაულები: „ქარსამაურის პაპა (წინაპარი) ქისტეთიდან გადმო-

---

[218] ვ. ბარდაველიძე. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის..., ტომი II-2, გვ. 87.

[219] ვ. ბარდაველიძე. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის..., ტომი II-2, გვ. 96.

[220] ვ. ბარდაველიძე. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის..., ტომი II-2, გვ. 98.

[221] ვ. ბარდაველიძე. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის..., ტომი II-2, გვ. 99.

სულა პირიქითში. გაზრდილა სოფ. ჭეშოში, ობოლი ყოფილა, იქ დაქორწინებულა და მერე ვესტომთაში დასახლებულა“[222].

გვიან შუა საუკუნეებიდან მძიმე და არასასურველი იყო ქართველებისა და დაღესტნელების ეთნიკური ურთიერთობა. ლეკების ინტენსიურმა თარეშებმა ფაქტობრივად ეთნიკური თვალსაზრისით საქართველოს ჩამოაცილა უკუდურესი აღმოსავლეთი ნაწილი – აღმოსავლეთი კახეთი (საინგილო). კახეთი ეთნოდემოგრაფიული თვალსაზრისით კატასტროფის წინაშე დადგა – გამუდმებულმა ლეკიანობამ ქართველების რაოდენობა მინიმუმამდე დაიყვანა. იყო ლეკების საქართველოში დასახლებისა და გაქართველების ფაქტებიც.

ეთნოლოგიური მეცნიერება ეთნიკურ ურთიერთობებს არა მხოლოდ წარსულში სწავლობს, არამედ თანამედროვე პროცესებიც აქტიურად აინტერესებს. ამ თვალსარისით მნიშვნელოვანია ბოლო ოცი წლის ეთნიკური ურთიერთობები. საბჭოთა კავშირის დაშლამ ბევრი ნეგატიური ასპექტი წარმოაჩინა – ჩრდილოეთ კავკასიელმა ეთნოსებმა ქართველთა წინააღმდეგ აქტიური მონაწილეობა მიიღეს ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში. უშუალოდ ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობები სხვა თემაა და ამ ნაშრომში მათ არ ვეხებით.

---

[222] ვ. ბარდაველიძე. აღმოსავლეთსაქართველოს მთიანეთის..., ტომი II-2, გვ. 106.

ბოლოთქმა

ეთნიკური კულტურისა და ხალხის წარმოშობის შესახებ მეცნიერებაში, მართალია, სხვადასხვა კონცეფციები არსებობს, მაგრამ ყველა მათგანი ერთ რამეშია შეთანხმებული – ერთიც და მეორეც დაკავშირებულია ბუნებრივ გარემოსთან. მხოლოდ გარკვეულ ლანდშაფტში ხდებოდა ეთნოსის ჩამოყალიბება და მისი განვითარება. უფრო მეტიც, ამა თუ იმ ხალხის მენტალიტეტსაც ეკოლოგიური კომპონენტი განაპირობებდა. ისიც ცხადია, რომ ეთნიკურ ერთობათა ცხოვრების უნიფიცირება იწვევს არა მხოლოდ მათი ტრადიციული კულტურისაგან მოწყვეტას, არამედ შესაბამისი ბუნებრივი გარემოსაგანაც. საბოლოო შედეგი კი ეთნიკური ერთობის დეგრადირება იყო.

წინამდებარე წიგნი მხოლოდ ერთგვარ ცდას წარმოადგენს გეოგრაფიისა (ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო, ლანდშაფტი, რელიეფი, კლიმატი) და კავკასიელთა მრავალრიცხოვანი ეთნოსების და შესაბამისად მრავალრიცხოვანი კულტურის ურთიერთმიმართების შესწავლისა. წარმოჩენილი იქნა სწორედ ამ მრავალფეროვნების მხოლოდ ზოგიერთი ასპექტი. ჯერ კიდევ XIX საუკუნეში შენიშნავდნენ, რომ კავკასია წარმოადგენდა ისტორიული, ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მუზეუმის საუნჯეს. იმასაც ესმოდა ხაზი, რომ კავკასიის შესწავლა ნიშნავდა თითქმის მთელი კაცობრიობის ისტორიისა და ეთნოლოგიის შესწავლას. არა მხოლოდ ცალკეულ მეცნიერთა, არამედ მთელი აკადემიის მეცნიერთა ძალისხმევითაც კი ათეული წლების განმავლობაში ვერ მოხდება იმ ფასდაუდებელი სამეცნიერო მასალების გამოწვლილვითი შესწავლა, რომლითაც ასე მდიდარია კავკასიის ყოველი ადგილი და მისი ყველა ხალხი[223]. იმასაც აღნიშნავდნენ, რომ კავკასიის ცოცხალ ეთ-

[223] Общий очерк Кавказа в его прошлом и настоящем – Кавказ: история, народы, обычаи. – Нальчик, 2010. Вып. II, с. 25.

ნოგრაფიულ მუზეუმში ისტორიამ შემოგვინახა თავისი ფორ-მაციის თანამიმდევრობითი ნიმუშები.

კავკასია მრაფალფეროვანია არა მხოლოდ ეთნოსთა სიმ-რავლით, არამედ რელიგიური თვალსაზრისითაც – ქრისტი-ანობისა და მუსლიმობის გვერდით, თითქმის ყველა ხალხს შემორჩენილი ჰქონდა ქრისტიანობამდელი და მუსლიმამდელი რწმენა-წარმოდგენები. ამის მიზეზი კი ისევ და ისევ გეოგრა-ფიული გარემოა. სადღასაც ადვილად ვრცელდებოდა ქრისტი-ანობა თუ ისლამი, სადღასაც კი ამ მონოთეისტური რელიგიე-ბის გავრცელებას წინააღმდეგობა ხვდებოდა და ასეთი წინა-აღმდეგობრივი რეგიონები კი მიუვალი ხეობები იყო. დიდი ქრისტიანული ტრადიციის საქართველოს ასეთ მიუვალ მთის მხარეებშიც კი გაუძნელდა ქრისტიანობის მთელი თავისი სი-სავსით შეტანა. საამისოდ XIX საუკუნის ავტორები, რომლებ-საც ქართველ მთიელთა (თუშების, ფშაველებისა და ხევსუ-რების) რწმენა-წარმოდგენები მთელი სისრულით არ ჰქონდათ შესწავლილი, ისეთ ტერმინს გამოიყენებდნენ, როგორიცაა „წარმართული ქრისტიანობა“[224].

რელიგიის ირგვლივ თუ ისევ ვიტრიალებთ, აუცილებ-ლად უნდა აღინიშნოს კავკასიაში მონოთეისტური რელიგიების გავრცელების შესახებ, სად რომელმა მათგანმა და როგორ გა-იკაფა გზა. ქრისტიანობა სომხეთშიც, ალბანეთშიც და საქარ-თველოშიც სამხრეთიდან გავრცელდა, სადაც უკვე დიდი ქრი-სტიანული ცენტრები არსებობდა, მაგრამ ჩრდილოეთ კავკასი-აში მის გავრცელებას ხელი უკვე კავკასიის დიდმა წყალგამ-ყოფმა ქედმა შეუშალა ხელი. გეოგრაფიულ ფაქტორთან ერ-თად ჩრდილოეთ კავკასიის ხეობებში ქრისტიანობის გავრცე-ლებას ხელი სოციალურმა ვითარებამაც შეუშალა, რადგან აქაური მთის საზოგადოებები სოციალურად დიფერენცირებუ-ლი არ იყო, ხოლო მთისწინა დაბლობში და სტეპებში არამდ-

[224] Общий очерк Кавказа в его прошлом и настоящем , 29.

გრადი ეთნიკური ვითრება გახლდათ, რომელიც მუდმივად იცვლებოდა. ახლა მაჰმადიანობის შესახებ. მაჰმადიანობა კავკასიაში პირველად იქ გავრცელდა, სადაც გეოგრაფიული ფაქტორი ამ უცხო რელიგიის შემომტან ეთნიკურ ერთობებს დასახლებაში ხელს არ უშლიდა. ესაა უპირველეს ყოვლისა თანამედროვე აზერბაიჯანი. ჩრდილოეთ კავკასიაში კი ეს რელიგია იქიდან შევიდა, საიდანაც შეღწევა ყველაზე ადვილი იყო. ესაა კასპიისირეთი – დარუბანდის გასასვლელი. დაღესტნის ხალხებში უკვე VII საუკუნეში დაიწყო ისლამის გავრცელება. ჩრდილოეთ კავკასიის დანარჩენ ხალხებშიც დაღესტნიდან დაიწყო ისლამის გავრცელება გვიან შუა საუკუნეებში. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, პეტრე პირველმაც კავკასიის დაპყრობა კასპიის სანაპიროებიდან დაიწყო, სადაც (დერბენტში) თავმოყრილი იყო მუსლიმთა ყველა ძალა და მათი ვაჭრობის ძირითადი კერაც. ხოლო კავკასიის მთებში მცხოვრებ დაუმორჩილებელ ეთნიკურ ერთობათა დამორჩილება მას შემდეგ მოახერხა რუსეთმა, როდესაც მან სამხრეთ კავკასია თითქმის მთლიანად დაიპყრო.

კავკასიის ეთნიკური სიჭრელეც გეოგრაფიული ფაქტორებით არის განპირობებული, განსაკუთრებით ეს მთიანი ხეობების შესახებ უნდა ითქვას. დაბლობი კი ეთნიკურ ერთობათა ხშირ ცვლას იწვევდა. მთიანი რელიეფი ზღუდავდა კავკასიაში ეთნიკურ და ენობრივ კონტაქტებს, არ ხდებოდა სამეტყველო კოდების შერევა. თუმცა, ძველ წყაროთა თანახმად, ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში კავკასიაში უფრო მეტი ეთნიკური ერთობა მკვიდრობდა. აქაც კი შეაღწია არაკავკასიური წარმოშობის ეთნოსებმა (ირანულენოვანი ოსები, თურქულენოვანი ყარაჩაელ-ბალყარელები). მთებში მათ მოსვლას კი სხვა ფაქტორებმა შეუწყო ხელი. მხედველობაში გვაქვს, ინფექციური დაავადებები, რომელმაც არაერთი კავკასიური ეთნოსი იმსხვერპლა. აღნიშნული მოვლენის შედეგი იყო ზოგიერთი ჩერ-

ქეზული ტომის გაქრობა (მაგალითად, ერთ დროს მრავალრიცხოვანი ჟანეების რაოდენობა მინიმუმამდე დავიდა).

ცნობილია, რომ ოსმალეთის იმპერიამ მიზანმიმართულად მოახდინა დაპყრობილ სამხრეთ საქართველოში ისლამის გავრცელება. მაჰმადიანობის გავრცელებას კი თანდათანობით მოჰყვა ქართული ენის თურქულით ჩანაცვლება. თურქული ენა გავრცელდა იქ, სადაც თურქთა შეღწევა რელიეფის გამო უფრო მოსახერხებელი იყო, ხოლო მიუდგომელ მთიან ხეობებში ადგილობრივმა ქართულმა მოსახლეობამ დედაენა შეინარჩუნა (აჭარა, შავშეთის იმერხევის ნაწილი, კლარჯეთი, ტაოს პარხლის ხეობის შენაკადი ქობაის ხევი). რადგან სამხრეთ საქართველოზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მთები საერთოდ მეზობელ ეთნიკურ თუ ეთნოგრაფიულ ჯგუფებს ერთმანეთისაგან თიშავდა, ტაო-კლარჯეთში კი, პირიქით, მთები ზაფხულში ქართველთა სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის წარმომადგენლებს ერთმანეთს აახლოვებდა. მაგალითად შეიძლება კარჩხლის მთა მოვიყვანოთ, სადაც თავს იყრიდა იმერხევის, კლარჯეთისა და მაჭახლის მოსახლეობა, რომლებიც სამთოდ კარჩხლის მთის სხვადასხვა მხარეს ამოდიოდნენ. იმერხეველების, კლარჯელებისა და მაჭახლელების იაილები ერთმანეთის სიახლოვეს იყო. მათ შორის ურთიერთობა კი მრავალმხრივი გახლდათ. ამ ურთიერთობისა და ინტეგრაციის ერთ-ერთ მაგალითად კი საქორწინო ურთიერთობა უნდა დავასახელოთ. ასევე აახლოვებდა საქართველოს სხვადასხვა ხეობაში მცხოვრებთ სალოცავები. მაგალითად, „ლომისა“, რომელიც ქსნისა და არაგვის ხეობათა წყალგამყოფ ქედზე იყო და რომელიც ორივე ხეობის ქართველ მთიელთა სალოცავი იყო მთიულებისა და ქსნელების დაახლოებსა და ინტეგრაციას იწვევდა.

ამრიგად, მრავალრიცხოვანი მასალის მოხმობით აშკარაა, რომ კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთით მდებარე ჩრდილოეთ კავკასია და სამხრეთით მდებარე სამხრეთ კავკა-

სია არა მხოლოდ გეოგრაფიულად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, არამედ ეთნოგრაფიულადაც. ჩრდილოეთ კავკასიაშიც და სამხრეთ კავკასიაშიც მკვიდრმა ეთნიკურმა ერთობებმა განვითარების სხვადასხვა გზა გაიარეს როგორც სოციალური ისე, სამეურნეო ყოფის თვალსაზრისით. ეთნიკური, კულტურული მოზაიკურობა კი განაპირობა კავკასიის რეგიონის განსხვავებულმა ბუნებრივ-გეოგრაფიულმა (რელიეფი, ლანდშაფტი) და კლიმატურმა პირობებმა.

მართალია კავკასიის მთები ერთმანეთისაგან თიშავდა ეთნიკურ ერთობებს, მაგრამ ეს ფაქტორი მთელი რიგი კულტურული ელემენტების საერთოობასაც იწვევდა. ცნობილ კავკასიოლოგ-ეთნოლოგს ლეონიდ ლავროვს მოჰყავს ნიკო მარის სიტყვები, რომ მთა არა მარტო თიშავდა ადამიანებს, არამედ აერთიანებდა კიდევაც და ასკვნიდა, რომ ეს მართალია იმ თვალსაზრისით, რომ მთებში ცხოვრების პირობების მსგავსება განსხვავებული წარმომავლობის ხალხებსაც კი მეურნეობის, ყოფისა და იდეოლოგიის მსგავს ფორმებს გამოუმუშავებდა (შრომის იარაღები, თავდაცვითი ნაგებობანი, გადაადგილების საშუალებანი, საოჯახო წეს-ჩეულებები, საზოგადოებრივი ყოფა...)[225]. მაგრამ მთის რელიეფი მაინც მთიელების იზოლაციას იწვევდა. რელიეფითა და კლიმატური პირობებით იყო განპირობებული კავკასიელთა სამეურნეო საქმიანობა და მატერიალური კულტურა. აფხაზურ-ადიღეური სამყაროსათვის დამახასიათებელმა ზღვის რბილმა კლიმატმა შექმნა საცხოვრებლის ისეთი სახე როგორიცაა მოწნული სახლი, რომელიც აყალო მიწით ილესებოდა. ხოლო მაღალმთიანი ცენტრალური და აღმოსავლეთ კავკასიის ცივმა კლიმატმა გამოიწვია სქელკედლებიანი ქვის სახლების მშენებლობა.

---

[225] Л. И. Лавров. Роль естественно-географических факторов в истории народов Кавказа. – Кавказский этнографический сборник, IX, М., 1989, С. 6.

წიგნში საუბარი იყო ჩრდილო-დასავლეთ კავკასიელთა ეთნიკურ ერთობათა ცხოვრებაში ზღვის როლზე და რომ ამ ფაქტორმა მათ საზოგადოებრივ განვითარებაში დადებითი როლი ვერ ითამაშა, რადგან ზღვით შემოსულნი თარეშების განვითარებას ხელს უწობდნენ. იმავე ადიღეელებს ნომადური სამყაროსაგან მდინარე ყუბანი გამოყოფდა. ყუბანის მარჯვენა მხარე მათი სამომთაბარეო არეალი იყო. მარცხენა მხარეზე მცხოვრები ადიღეელებისა და აბაზებისათვის ყუბანი ერთგვარ თავდასაცავ ზღვარს წარმოადგენდა; მაგრამ ის მათ სხვადასხვა სტეპური ხალხებისაგან საბოლოოდ ვერ იცავდა. ამ ფაქტორის გამო ადიღეელები და აბაზები საბოლოოდ ბინადარ ცხოვრებაზე ვერ გადავიდნენ და ნახევრადმომთაბარედ და ნახევრადბინადრებად დარჩნენ.

აქ უნდა გავიმეოროთ წიგნში ზემოთ მოყვანილი პავლე ინგოროყვას სიტყვები, რომ „ეგრეთ წოდებული კავკასია ნამდვილად რომ ოთხი ხვადასხვა კულტურულ-ისტორიული კოლექტივია, ოთხი ქვეყანაა: საქართველო, სომხეთი, ადერბეჯანი და კავკასიის მთულეთი“. კავკასიის ხალხების ეთნიკური კულტურის შესწავლა მეცნიერის ამ დებულებას ადასტურებს. მაგრამ კორექტივების შეტანა აქაც შეიძლება. როდესაც კავკასიის კულტურულ მრავალფეროვნებაზე ვსაუბრობთ, აუცილებლად გასათვალისწინებელია რელიგიური ფაქტორიც. ჩრდილოეთ კავკასიელები, ოსების გამოკლებით, მუსლიმები იყვნენ და არიან. თუმცა აქაც ერთი თემი – დიგორი მაჰმადიანურია. მიუხედავად ამისა, ჩრდილოეთ კავკასიელებისაგან დაღესტანი მაინც ცალკე დგას. ყველა დანარჩენ კომპონენტს რომ თავი დავანებოთ, ამ უკანასკნელთა ხელოსნობის საკმაოდ მაღალი დონე, მათ ერთ კულტურულ სიბრტყეზე არ აყენებს. ჩრდილოეთ კავკასიის ეთნიკურ და კულტურულ განვითარებას თავისი დაღი დაასვა მათ ჩრდილოეთით არსებულმა ევრაზიის დიდმა და უძველესმა ნომადურმა სამყარომ. სამხრეთ კავკასიელთა კულტურაზე კი კეთილისმყოფელ გავლენას ახდენდა

წინააზიური უძველესი ცივილიზაცა. სამხრეთ კავკასიაში ძველქართული და ძველსომხური კულტურული თავისებურებები მდიდრდებოდა ანტიკური, ელინური, რომაული, აღმოსავლურ-ქრისტიანული და ბიზანტიური კულტურული მიღწევებით. სამხრეთ კავკასიელები, დასავლეთ ქართველთა გამოკლებით, ირანული ტრადიციების (მიდიური, პართიული, აქემენიდური და სასანიდური), პირველ რიგში კი ზოროასტრიზმის, საკმაოდ ძლიერ გავლენას განიცდიდნენ[226].

სამხრეთ კავკასია ადრე შუა საუკუნეებში თითქოსდა კულტურული განვითარების ერთნაირ ჩარჩოებში ექცეოდა, რადგან ის მოქცეული იყო ქრისტიანული რელიგიის ჩარჩოებში. მაგრამ შემდეგ მისი აღმოსავლეთი ნაწილი ისლამური ცივილიზაციის არეალში მოექცა, ხოლო საქართველოსა და სომხეთში აღმოსავლურ-ქრისტიანული ცივილიზაციის თავისებური ვარიანტები – დიოფიზიტობა და მონოფიზიტობა – გავრცელდა. შედეგად დაიკარგა ალბანელთა ორიგინალური დამწერლობა, ხოლო ქართველებმა კი დამწერლობის სამი სახეობა შექმნეს. ხოლო V საუკუნეში შექმნილი სომხური დამწერლობა დღეს იმავე სახით, უცვლელად გამოიყენება. საქართველოსა და სომხეთში, სასულიერო ლიტერატურასთან ერთად, შეიქმნა მდიდარი საერო ლიტერატურა. ეთნოლოგი სერგი არუთინოვი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ შექმნას უკავშირებს აღმოსავლურ-ქრისტიანულ ცივილიზაციურ სამყაროში ქართული განტოტების საბოლოო ფორმირებას[227]. მისივე მოსაზრებით, სომხური ცივილიზაციური განშტოების ფორმირებაში ასეთსავე როლი შეასრულა სასუნელის გმირულმა ეპოსმა, მაგრამ არა ისეთი, როგორც „ვეფხისტყაოსანმა“ საქართველოში.

---

[226] С. А. Арутюнов. Силуеты этничности на цивилизационном фоне. М., 2012, С. 37-38.
[227] С. А. Арутюнов. Силуеты этничности... , С. 40..

ამდენად, კავკასიელმა ხალხებმა კულტურული და ცივილიზაციური განვითარების სხვადასხვა გზა გაიარეს და სხვადასხვა დონეს მიაღწიეს, რაშიც მნიშვნელოვანი როლი გეოგრაფიულმა ფაქტორმა და საგარეო პოლიტიკურმა ვითარებამ ითამაშა. სრულიად სამართლიანად, სერგი არუთინოვი კავკასიის ხალხებს სხვადასხვა ცივილიზაციებს მიაკუთვნებს და ე. წ. კავკასიურ ცივილიზაციას ფანტომს უწოდებს: «В любом случае ясно, что народы и нации Кавказа сегодня разделены по нескольким различным цивилизациям, и не только словосочетаие «лица кавказской национальности», но даже и выражение «представители кавказской цивилизации» скорее всего должно рассматриватся как фантом, хотя отчасти и отражающий некоторые базисные черты менталитета, могущего быть условно названным «менталитетом черкески»[228].

წინამდებარე წიგნი გიორგი ჩიტაიას ნაშრომიდან ამონარიდით უნდა დავამთავროთ: „ბლაიხშტაინერის აზრით, არც ერთ სხვა ქვეყანაში არ მოიპოვება მცირე ტერიტორიაზე ისე მრავალრიცხოვანი და ნაირი ხალხი, როგორც კავკასიაში. აქ ტომები და ხალხები არსებითად განსხვავდებიან ურთიერთისაგან როგორც ანთროპოლოგიურად, ასევე ენებით და ყოფაქცევით“[229].

---

[228] С. А. Арутюнов. Силуеты этничности ..., С. 42.

[229] გ. ჩიტაია. პროფესორი, დოქტორ რობერტ ბლაიხშტაინერი და კავკასიის ეთნოგრაფია. – გ. ჩიტაია. შრომები ხუთ ტომად, ტომი V, თბ., 2001, გვ. 33.

სარჩევი

შესავალი----------3

ბუნებისა და ადამინთა საზოგადოების
ურთიერთმიმართების პრობლემა----------9

რა ტერიტორიას მოიცავს კავკასია?----------17

კავკასიის გეოგრაფია: ლანდშაფტისა და კლიმატის
შესახებ----------28

კავკასიის ლანდშაფტისა და ისტორიისა და
ეთნოლოგიის ურთიერთმიმართება----------55

ეთნიკური ვითარება ისტორიულ და თანამერდოვე
კავკასიაში----------84

კავკასიის გეოგრაფია და კავკასიელთა ეთნიკური
კულტურა----------104

ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ეთნიკური ერთობათა
სოციალური და კულტურული განვითარების
შეფერხების მიზეზების შესახებ----------123

ქართველთა და ჩრდილოკავკასიელთა
ეთნიკური ურთიერთობის პრობლემები----------179

ბოლოთქმა----------231

გამომცემლობა „**უნივერსალი**"

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: gamomcemlobauniversali@gmail.com; universal505@ymail.com

ISBN 978-9941-26-223-4

როლანდ თოფჩიშვილი

გეოგრაფიული გარემო და კავკასიელთა ეთნიკური კულტურა